

სავჭელი ნორის ფილოსოფიის ინსტიტუტი

მიხეილ მახარაძე

რანგასანსი, ჰუმანიზმი და კართული  
რანგასანსის საკითხები



გამომცემლობა

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2009

ნაშრომში განხილულია ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის, რენესანსისა და პუმანიზმის ურთიერთშემიმართება, რენესანსის და პუმანიზმის მსოფლმსედველობრივი საფუძველი, ქართული რენესანსის საკითხები. დანართის სახით ნაშრომში შესულია ა. ლოსევის – „აღმოსავლური რენესანსი“.

ნაშრომი გათვალისწინებულია შუა საუკუნეებისა და საერთოდ ქულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

**რედაქტორი:** გერონტი შუშანაშვილი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:** აბესალომ ასლანიძე, ფილოსოფიის დოქტორი  
თეიმურაზ მთიბელაშვილი, ფილოსოფიის  
დოქტორი

ISBN 978-9941-409-07-3

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

## წინათქმა

რენესანსის საკითხებით ქართული მეცნიერება გასული საუკუნის დასაწყისიდან დაინტერესდა. ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1908 წელს მიანიშნა საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობაზე. შალვა ნუცუბიძემ კი 1940 წელს აღმოსავლური რენესანსის თეორია წამოაყენა, რომლის ბირთვსაც ქართული რენესანსი შეადგენდა.

ათეული წლების განმავლობაში საქართველოში ინტენსიურად მიღდინარეობდა რენესანსისა და პუმანიზმის პრობლემების კვლევა-ძიება და შესაბამისი შედეგებიც იქნა მიღებული. ამ კვლევა-ძიებით ცხადი გახდა, რომ გაუმართლებელია რენესანსისა და პუმანიზმის საკითხების შესწავლა ერთმანეთისგან იზოლირებულად. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე გამოკვლევაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა რენესანსისა და პუმანიზმის ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტის გარეევებამ. ამ კუთხით, საკითხის მეცნიერული განხილვა წვენ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად მოხდა.

რენესანსისა და პუმანიზმის მსოფლმხედველობრიეთ საფუძვლების ძიებისას ყურადღება შევაჩერეთ ფილოსოფიაზე, კერძოდ, ნეოპლატონიზმზე. ის, რომ რენესანსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში სწორედ ნეოპლატონიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა, საკმაოდ საფუძვლიანად დასაბუთებულია ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მეცნიერების (შ. ნუცუბიძე, ა. ლოსევი, შ. ხიდაშელი, ი. მეღველევი და სხვ) გამოკვლევებში. ჩემი გამოკვლევის – „რენესანსი, პუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო“ (2003) ამ ახალ, შეესებულ და განახლებულ გამოცემაში ნეოპლატონიზმთან ერთად განხილულია ქრისტიანული მსოფლმხედველობა. აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ნეოპლატონიზმი თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა და დიდი ურთიერთზეგავლენაც პქონდათ. ამ სიახლით კი, გამოკვლევა უფრო შინაარსიანი და მრავალმხრივი გახდა.

გამოკვლევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული რენესანსის საკითხებს. თუკი წინა გამოცემაში უფრო

ზოგადი მსჯელობები იყო ქართული რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველზე, ამჯერად ეს ხარევეზი შეიცხო ტრიადაზე ითანე პეტრიწის მოძღვრების ანალიზის დამატებით, სადაც ნაჩენებია, თუ რის საფუძველზე შეიძლება საითვალოს პეტრიწის ფილოსოფია ქართული რენესანსის ერთ-ერთ მსოფლიმედველობრივ წეაროდ.

გამოკვლევაში უკავია რენესანსსა და პუმანიზმზე ქართველ მკლევართა თვალსაზრისების ანალიზს, მათ შორის, გამოკვეთილად, შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომლის ბირთვსაც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული რენესანსის კონცეფცია წარმოადგენს.

რენესანსსა და პუმანიზმზე, მათ ურთიერობიმართვებაზე, აღმოსავლურ რენესანსსა და ქართულ რენესანზე არსებული თვალსაზრისების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოკვლევაში გაკეთებულია ზოგადი დასკვნები საქართველოში რენესანსისა და პუმანიზმის არსებობის თაობაზე.

გამოკვლევაში საკმაოდ ერცელად შევიდა აგრეთვე, ჩვენი მოსაზრებები ნუცუბიძე-ჭონიგმანის თეორიაზე უფიქრობთ, ამ საკითხს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს აქტუალობა.

დანართის სახით გამოკვლევაში შეეიტანეთ ალექსეი ლიოსევის – „აღმოსავლური რენესანსი”, რომელიც მე ვთარგმნე და ჯერ ერთ-ერთ კრებულში გამოქვეყნდა, ხოლო 2005 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. მიგეაჩნია, რომ ამით მკითხველს საშუალება მიეცემა ერთმანეთს შეადაროს ქართველ მკვლეურთა და ა. ლოსევის თვალსაზრისები აღმოსავლურ და ქართულ რენესანსზე და თვითონ გააკეთოს შესაბამისი დასკვნები.

აღნიშნული დამატებების გათვალისწინებით, გამოკვლევის სათაურში გარევეული კორექტივი შეეიტანეთ და ახლა იგი ასე გამოიყერება – „რენესანსი, პუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები”, რაც უფრო შეესაბამება გამოკვლევის განახლებული ვარიანტის შინაარსს.

მიხეილ მახარაძე

# I თავი რენესანსი და ჰუმანიზმი

## § 1. რენესანსის იდეის სათავეებთან

რენესანსისა და პუმანიზმის ცნებების გარეკევამდე ზოგადად შევეხოთ რენესანსის თეორიის კლასიკოსის, შვეიცარელი მეცნიერის, იაკობ ბურკარდტის (1818-1897) თვალსაზრისს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ისტორიკოსმა და კულტუროლოგმა ბურკარდტმა თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა ნაშრომში „იტალიის კულტურა აღორძინების ეპოქაში“ (1860), რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა.

ბურკარდტის გამოკვლევაში დიდი ადგილი ეთმობა ადამიანის ინდივიდუალურ სრულყოფას, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო XIV-XV სს-ის იტალიისთვის.<sup>1</sup> ავტორის აზრით, ამ პერიოდისთვის ასეთი სრულყოფილი პიროვნებები იტალიაში იყვნენ: დანტე, ლეონ ალბერტი, ლეონარდო და ეინწი, პეტრარქა.<sup>2</sup>

რენესანსის ცნებაში, ერთი გაგებით, ანტიკურობის აღდგენა იგულისხმება. ამ მომენტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბურკარდტი და აღნიშნავს, რომ ამ მიმართებით იტალიამ დიდ წარმატებას მიაღწია, იქაც კი, სადაც ყველაფერი ცხადია ანტიკურობისაღმი მიმართვის გარეშე, „სიცოცხლის გარეგანი ფორმა განუყოფლად არის შერწყმული კლასიკურ ანტიკურობასთან“.<sup>3</sup>

ბურკარდტის აზრით, კლასიკური ანტიკურობის აღორძინება იტალიაში XIV საუკუნეში იწყება და იგი მძლავრად აღწევს ცხოვრების ყველა სფეროში, ხდება მისი კულტურის წყარო და ფუნდამენტი.<sup>4</sup> ამასთან, ბურკარდტი იტალიურ აღორძინებაში ხედავს მქეთრთ თავისებურებებს, ეროვნულ, თუკი იტალიის გარეთ ჩვენ ვხედავთ ანტიკურობის ელემენტების რეფლექსურ გამოყენებას ამა თუ იმ პრაქტიკული დანიშნულებით, საკუთრივ იტალიაში აღორძინება განპირობებულია არა მხოლოდ ერთი – მეცნიერული ნახესხობით, არამედ ანტიკურობის რესტავრაციაში ცხოველმოქმედი მონაწილეობით,

რომელიც ძველი დროის დიდების უოველმხრივი ხსოვნით მუღავნდება.<sup>5</sup>

ბურკარდტი ანტიკურობის სრულყოფილი ათვისების დაწყებას XIV საუკუნით ათარიღებს. ამ მოვლენას წინ უსწრებდა ქალაქური ცხოვრებისა და საზოგადოებრიობის განვითარება, განათლებისექნ მისწრაფება, თეორიული საფუძვლების შემზადება, რაც შეეძლო შესრულებინა კლასიკურ ანტიკურობას.<sup>6</sup>

ბურკარდტი არ ეთანხმება იმ იტალიულ სწავლულებს, რომელთა აზრით, პუმანიზმა და ანტიკურობის აღორძინებამ ხელი შეუშალა ეროვნულ განმანათლებლობას, რადგანაც ამ დროს ყველაფრის გადაწყვეტას ანტიკურობით ცდილობდნენ, რაც იტალიის თანამედროვეობას მონურ მდგომარეობაში აუკნებდა.<sup>7</sup> მისი აზრით ეი ყველაფერი, რაც აღორძინებასთან არის დაკავშირებული, საკუთრივ აღორძინების შინაგანი აუცილებლობიდან მომდინარეობს. კერძოდ, სწორედ ამ შინაგანი აუცილებლობით იტალიის იმდროინდელმა გენიოსებმა, თავისთავად ყველაზე ეროვნულებმა, ფართოდ გაუხსნეს კარები პუმანიზმს და XV საუკუნეში მისი დაუცვლებისთვის გზა გაწმინდეს.<sup>8</sup>

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბურკარდტი თავის მსჯელობებში არ განმარტავს პუმანიზმის ცნებას და მას ასე თუ ისე უკავშირებს ანტიკურ აღორძინებას. ამას ადასტურებს აეტორის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, პუმანიზმის განმტკიცებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წერის სწილს, ლათინიურ ენაზე საქმის წარმოებას და მჭევრმეტყველების აღორძინებას.<sup>9</sup>

რაც შეეხება ანტიკური ფილოსოფიის აღირმინებას, ბურკარდტის აზრით, იტალიელთა აბსტრაქტული აზროვნების-თვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა არისტოტელეს შემოქმედებას („ეთიკა”, „პოლიტიკა”), ხოლო სხვა ფილოსოფოსები ამ მიმართებით ნაკლებ მნიშვნელოვანნი იყვნენ. აქ ერთი აუცილებელი შენიშვნა უნდა გაეკთდეს: რენესანსის მსოფლიმსედელობისთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას. როგორც ვხედავთ, რენესანსის პრობლემების კვლევის საწყის სტადიაზე, ბურკ-

პარდგრან, რენესანსის მსოფლმხედველობრივი, კერძოდ, ფილოსოფიური საუკუმეველი სათანადოდ არ იყო შესწავლილი.

ბურკპარდგრან პუმანიზმი აღორძინებას უკავშირდება, რაც კარგად ჩანს ავტორის მსჯელობაში პუმანიზმის დაცემის მიზეზებზე. პუმანიზმის წარმომადგენლებს – ბრწყინვალე ფილისოფიოსებს, რომლებმაც XIV საუკუნეში კლასიკური ანტიკურობის ქულტი გააუცელეს, XVI საუკუნეში მეცნიერება საკულტურობრიბლენის, თუმცა მათ მოძღვრებებსა და ცდებს გვერდს ვერ უკლილნენ. პუმანისტებს თავდაპირელად ადანაშაულებდნენ ბორიტ სიამაყესა და თავაშვებულობაში, შემდეგ კი მესამე ბრალდებაც დაემატა – ურწმუნოება, რაც ანტირეფორმისტული მოძრაობის შედეგი იყო.<sup>10</sup>

აქევე, აეტორი პუმანიზმის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებს მათი წარმომადგენლების ურთიერთმტრობასა და არასოლიდარობას.<sup>11</sup>

აღორძინების არსეა და მის ცალმხრივობაზე ბურკპარდგრი აღნიშნავს: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღორძინება – ანტიკურობის თავისი ცალმხრივი გატაკებითა და გაღმერთუბით, გარდაუვალი ისტორიული პროცესია და ცალკეული პიროვნებები ამ ეპოქაში მხოლოდ ბრძან იარაღს წარმოადგენენ. შემდგომი საუკუნეების მთელი განვითარება ემყარება ამ აღორძინების მთელ ცალმხრივობას და სასიცოცხლო ამოცანების დავიწყებას”.<sup>12</sup>

ბურკპარდგრი იჩალიელ პუმანისტებს ადარებს სოფისტებს, თუმცა ამ უკანასკნელთ კაპიტალი გააჩნიათ, მაშინ, როცა პუმანისტები მთლიანად შეძლებულ მფარველებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

ბურკპარდგრის გამოკვლევის მეორე ნაწილს ლაიტმოტივად გასდევს ინდივიდის პრობლემა, კერძოდ, მისიერ სიტყვებით თუ ვიტვით – „ადამიანის აღმოჩენა”, სადაც ხაზგასმულია აღამიანის შინაგანი ბუნება პოზიციაში, ბიოგრაფიებსა და ავტობიოგრაფიებში. უანრულ ლიტერატურაში კი საუბარია აღამიანის გარეგნულ გამოხატვაზე სხვადასხვა ავტორთან და ა.შ. მოკლედ, ყველაუერი მიმართულია იმისკენ, რომ აღამიანი წარმონიდეს თავისი ინდივიდუალურობით. აი, ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითი ბურკპარდგრის გამოკვლევიდან. როცა იგი აფასებს კასტილიანეს მიერ დახატულ „კორტიჯია-

ნოს” (კარისკაცის) სახეს, აღნიშნავს: „ეს არის ადამიანური თანაცხოვრების იღეალი, რომელიც პასუხობს საერთოდ მაღალი განათლების თანამედროვე აუკავებასა და მოთხოვნებს; აქ არა იმდენად ადამიანია სასახლეს შეგუებული, რამდენადაც უფრო სასახლე არსებობს მისთვის.”<sup>13</sup>

ბურკარდტი ხაზს უსევამს ადამიანის ფიზიკური სრულყოფისობის ზრუნვას აღორძინების ხანის იტალიაში (იგულისხმება ტანგარჯიში, ცხენოსნობა, ნიჩბოსნობა და სხვ.). ასევე ხაზგასმულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, რაც გამოიხატებოდა რელიგიისა და ეთიკის საკითხებით ქალის დაკავებულობაში. მანამდე ეს, ჩვეულებრივ, მამაკაცის საქმედ იოვლებოდა მაშინაც კი, როცა ძალაუფლება ქალების ხელში იყო.<sup>14</sup> მოკლედ, ავტორი საუბრობს ყველა იმ მოვლენაზე, რაც აუცილებელი იყო პუმანიზმისთვის.

ბურკარდტი აკეთებს დასკვნას, რომელიც აღორძინების ეპოქაში რელიგიასთან დამოკიდებულების და საერთოდ, რენესანსისა და პუმანიზმის არსის გამომხატველია. აღორძინების ეპოქაში დაახლოებით ასეთი ვითარებაა, რომ „ანტიკურობის გავლენის გამო, ცხოვრების ქრისტიანული იღეალის – სიწმინდის ადგილი ისტორიული იღეალის იღეამ დაიკავა”.<sup>15</sup>

გამოკვლევაში ბურკარდტი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ განსახილევალ ეპოქაში ინდივიდუალიზმის განვითარების უკიდურესობებმა დანაშაულობათა ზრდა გამოიწვია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მათთვის დანაშაული რაღაც მიზანს კი არ ემსახურებოდა, არამედ თავისთავად იყო თავისებური მშენიერება და ფსიქოლოგიური ნორმების მიზნების განხორციელების საშუალება.<sup>16</sup> შეიძლება ითქვას, რომ ბურკარდტის აზრით, პუმანიზმით განპირობებულმა ინდივიდუალიზმის განვითარებამ, საპირისპირო შედეგი გამოიღო და მეტიც – ხშირად საქმე განუკითხაობამდეც მიღიოდა.

აღნიშნულ თემაზე ბურკარდტი აგრძელებს საუბარს და მიაჩნია, რომ იმდროინდელი იტალიური ხასიათის უმთავრესი

\* ქართველ მეცნიერთაგან ამ მომენტს პირველად ყურადღება მიაქცია ნოდარ კაკაბაძემ. იხ. მიხი – Томас Манн. Граны Творчества. Тб., 1985, გვ. 107-108

ნაკლი – მაღალგანვითარებული ინდივიდუალურობა, ამავე დროს მისი სიდიადის აუცილებელი პირობა იყო. ამ დროს პიროვნება უპირისპირდება სახელმწიფო ხელისუფლებას, მეტწილად ტირანულს. აქედან გამომდინარე, რასაც ადამიანი აქეთებს, სწორია, რასაც არა, ეს დანაშაულია.<sup>17</sup> სავარაუდოა, რომ ბურკპარდტის მოსაზრებაში იგულისხმება რეალობასა და ადამიანურ მისწრაფებებს შორის დაპირისპირება. ავტორის საუკრადლებო შენიშვნით, ინდივიდუალიზმის ასეთი გაგება იტალიური კულტურის წყალობით გაურცელდა მთელი დასაცავის ხალხებში.<sup>18</sup>

ბურკპარდტის გამოკვლევაში საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი შემწენარებლობას, რაც რენესანსისა და პუმანიზმის აუცილებელი შემაღლებენტილი ელემენტია. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია შემწენარებლობაზე ისლამური სამყაროს მიმართ. ავტორის შენიშვნით, ჯვაროსნული ომების შემდეგ ისლამისადმი პოზიცია იცვლება და „უკე დადებით კონტექსტში იკვეთება მუსლიმ მმართველთა სახეები (ეგვიპტელი მამლუქები, განსაუთორებით სულთანი სალადინი). თუმცა ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო ეითარებასაც. ასე, მაგალითად, რომის პაპი პიუს II ისლამის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ხოლო ბევრი პუმანისტი თურქების წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგებდა.<sup>19</sup>

ბურკპარდტის გამოკვლევის განხილვა შეიძლება დავამთავროთ მისი ერთი საუკრადლებო მოსაზრების დამოწმებით, სადაც საუბარია აღორძინების ადგილზე კულტურის ისტორიაში: „ჩუენ ვხედავთ, თუ როგორ ხვდებიან აქ ერთმანეთს შუა საუკუნეების მისტიციზმის გამოძახილებანი და პლატონური დოქტრინები თავისი თავისებური უახლესი სულით. შეიძლება სულაც არ მომწიფდა სამყაროსა და ადამიანის შემცნების უმაღლესი ნაყოფი. მხოლოდ ამის გულისფერის იტალიის აღორძინება უნდა იწოდებოდეს უახლესი დროის გზამკელუა ვარსკელავად“<sup>20</sup>.

დაახლოებით ასეთია რენესანსზე პირველი ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორის მთავარი დებულებები. შეიძლება ითქვას, რომ ბურკპარდტის პოზიცია ათევლი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა შუა საუკუნეების კულტურის კვლევა-ძიების ხასიათსა და მიმართუ-

ლებას, რაც თავისებურად აისახა ქართულ მეცნიერებაში XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს.

აქევე, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ბურკპარლტან რენესანსი გაგებულია, როგორც ანტიურობის აღორძინება. ამასთან, მის ნაშრომში ნათლად არ არის გარევეული და ჩამოყალიბებული რენესანსისა და პუმანიზმის ცნებები და მათი ურთიერთმიმართება და ა.შ. ასევე უურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ბოლო ხანებში ევროპულ მეცნიერებაში იცვლება დამოკიდებულება რენესანსის ტრადიციული გაგებისა და საერთოდ კულტურის ისტორიაში მისი ადგილის შესახებ.\* ამ მხრივ საურადღებოა XX საუკუნის ავტორების – იტალიელი მეცნიერის ეუჯენიო გარინისა და კემბრიჯის სამეცნიერო საზოგადოების წევრის პიტერ ბიორკის გამოკვლევებში წარმოდგენილი თვალსაზრისები.

ე. გარინის რჩეული ნაშრომების რუსული გამოცემის შესავალი წერილის ავტორის, რენესანსისა და პუმანიზმის პრობლემების მკვლევრის ლიდია ბრაგინას აზრით, რენესანსის გაგებაში გარინისა და მისი მიმდევრების პოზიცია განსხვავდება იმ ტრადიციული თვალსაზრისისგან, რომელიც რენესანსის მედიევიზაციას ახდენს, რენესანსს მიიჩნევს შუასაუკუნების კულტურის ერთ ფაზად, უარყოფს პუმანიზმის ნოვატორულ სულისკეთებას და პირიქით ხაზს უსვამს მის ქრისტიანულ საწყისს. ლ. ბრაგინა აღნიშნავს, რომ ამ ტრადიციული თვალსაზრისის დამცემია ამერიკელი მეცნიერი ჩ. ტრინკაუსი.<sup>21</sup>

ლ. ბრაგინას აღნიშვნით, გარინის პოზიციას, ჰყავს სხვა ოპონენტებიც, კერძოდ, ამერიკელი მეცნიერი პაულ კრისტელერი და მისი მიმდევრები. აღორძინების მომხრეებისგან განსხვავებით, ისინი რენესანსული კულტურის საერო საწყისსა და მის დამოუკიდებელ მნიშვნელობას აღიარებენ.

\* ქართველ მეცნიერთაგან ამ საკითხს შეეხო ელგუჯა ხინთიბიძე. მისი აზრით, დღეს დასავლეთის მეცნიერებაში რენესანსის ფენომენს ისე აღარ აფასებს, როგორც აღრე: „ასე რომ, კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უკვე დაწყებულია იმ წელილის გადაფასება, რაც ევროპული კივილიზაციის პროცესებში რენესანსმა შეიტანა“ (ე. ხინთიბიძე. „შეასაუზნებრივი და რენესანსული „ევფეისტუარსანში“. თბ., 1993, გვ. 217).

ამასთან, მკეთრად ავიწროებენ „ჰუმანიზმის“ ცნებას, აცლიან მას მსოფლიმედველობრივ როლს და დაჟეათ სპეციალურ პროფესიულ ამოცანამდე, კერძოდ, ფილოლოგიურ შტუდირებასა და რიტორიკაზე.<sup>22</sup>

საქურადღებოა გარინის პოზიციის ბრაგინასეული ინტერპრეტაცია: „ე. გარინის თანახმად, ჰუმანიზმი – ეს ადამიანზე, ბუნებასა და საზოგადოებაში ჩის აღგილზე არა მხოლოდ ახალი მოძღვრებაა, არა მხოლოდ ახალი ეთიკაა, რომელმაც უმთავრესი როლი შეასრულა ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში, არამედ ახალი მეცნიერული მეთოდია, რომელმაც გავლენა მოახდინა ბუნებათმცოდნეობის განვითარებაზე“.<sup>23</sup> აქვე აღნიშნულია, რომ გარინის აზრით, ჰუმანიზმი ახალი მსოფლიმედველობაა, რომელმაც „წამოაყენა სამყაროს-თან ადამიანის პარმინიის იდეალი და ახალი აზროვნების აისად იქცა. სწორედ ამაში ხედავს გარინი რენესანსული ჰუმანისტის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას.

ლ. ბრაგინას გარინის დამსახურებად მიაჩნია ის, რომ იგი ერთმანეთისგან არ წავიდოს ჰუმანიზმსა და აღორძინებას, რასაც ხშირად აკეთებენ სხვები. კერძოდ, როცა ჰუმანიზმს უკავშირებენ ადამიანის პრობლემის დამუშავებას ლიტერატურასა და ჰუმანიტარულ დისკიპლინებში XIV-XV საუკუნეებში, ხოლო აღორძინებას – ხელოვნებისა და ბუნებათმცნიერების აუკავებას ძირითადად XVI საუკუნეში. გარინის აზრით, „ამიტომაც ძნელია, ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნეში, გამარჯვებული ჰუმანიზმი დავუპირისპიროთ ჩანასახში მყოფ აღორძინებას, თითქოსდა პირებული იყოს ადამიანის დამკაიდრება ლიტერატურის, ხოლო მეორე ბუნების დაუფლება მეცნიერების მეშვეობით“.<sup>24</sup>

ლ. ბრაგინას შესავალ წერილში საუკურადღებოა აგრეთვე გარინის იმ თვალსაზრისის ინტერპრეტაცია, რომელიც შეასაუკუნეებში ანტიურობისადმი ინტერესის გაღვიძებას ეხება. ამის მიზუნი იყო XII-XIV საუკუნეებში სქოლასტიკის შესკლა ჩიხში, რის გამოც აუცილებელი შეიქმნა პირდაპირი კაუშირის დამყარება არა შეასაუკუნეების „ბარბაროსობით“ შერეუნილ, არამედ „ნამდვილ ანტიურობასთან“.<sup>25</sup>

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია პლატონის ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის მნიშვნელობა შეასაუკუნეების

კულტურისთვის, განსაკუთრებით პუმანიზმისა და რენესანსისთვის. ლ. ბლაგინა ამ კუთხითაც იხილავს გარინის პოზიციას. პლატონისა და ნეოპლატონიზმისადმი ინტერესის გაზრდა, გარინის აზრით, მთელი რიგი გარემოებებით იყო განვირობებული, კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ცვლილებით, ცოდნის ახალი სფეროების (ანთროპოლოგია, გნოსეოლოგია, კოსმოლოგია) ათვისებით, პუმანიტარული აზრის განვითარების მითხვევნებით, პლატონისა და ნეოპლატონიკურისების შრომების თარგმანებით. „ნეოპლატონიზმი, რომელიც ფართოდ გავრცელდა ფლორენციაში, XV საუკუნის ბოლო ათწლეულისა და XVI საუკუნის პუმანიზმში მძღვარი იდეური ნაკადი გახდა“.<sup>26</sup>

გარინის აზრით, აღორძინება იმ ზომით იყო ანტიკურობის აღმოჩენა, რამდენადაც გაცნობიერებული აღმოჩნდა შეუა საუკუნეების სამყაროს მნიშვნელობა; იგი იმდენად იყო კლასიციზმისა და პუმანიზმის ორიგინალური და ახალი ფორმა, რამდენადაც გაგებული იყო შეუა საუკუნეების მიერ ანტიკურობის გამოყენება, რომელსაც ეს ეპოქა აკრიტიკებდა და უარყოფდა კიდეც. რენესანსული კულტურა ენიდან დაწყებული და ხელოვნებით დამთავრებული, ყრიელობის თრუონტზე მოქმედებდა: ფილოსოფიური რესტავრაცია და ისტორიული თეოტცნობიერება – იმ სახით, რომ თავიდან აცილებულიყო როგორც პასიური მიბაძვა, ისე გაცნობიერებული ფალსიფიკიაც, საბოლოოდ, თუმცა განსხვავებული სახით, მაგრამ მაინც, უნდა გამოყენებულიყო როგორც ანტიკურობის მოპოვებული ნაყოფი, ისე შეუა საუკუნეების მძიმე შრომის პოზიტიური შედეგები.<sup>27</sup>

გარინი საურადლებო შენიშვნას აკეთებს მარსილიო ფინიოს (1433-1494) მსოფლმხედველობას უ, რომელშიც გამოკვეთილია პლატონის, პლოტინესა და ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის პოზიციაც. კერძოდ, აქ გარინი ეხება სიტყვის, ლითოგოსის მარადიულ გამოცხადებას, რომელსაც უისინო განსჯის საგნად იხდის თავის ყველა შრომაში და რაც უძველესი დროის პოეტებთან და ბიბლიიაში შეთვისებულია პითაგორასა და პლატონის მიერ, გაღრმავებულია პლოტინესა და ფსევდო-ლიონისეს მოძღვრებებში. „ეს, – გარინის აზრით, – სწორედ პლატონის თეოლოგიაა, რომელიც გაგებულია როგორც *docta*

*religio* („მეცნიერული თეოლოგია”), როგორც დვთის შემეცნების გზით თავისი თავისი შემეცნება და პირიქით, თავისი თავის შემეცნებით დვთის შემეცნება”.<sup>28</sup>

აქ დამოწმებული გარინის აზრი ნამდვილად გადმოსცემს ღმერთთან ადამიანის დამოკიდებულების პლოტინისეული და არეოპაგიტული თვალსაზრისის არსეს.

საერთოდ, პლატონისა და ნეოპლატონიზმის გაგებაში გარინის თვალსაზრისი და ამავე საკითხზე ქართელ ფილოსოფოსთა (შალვა ნუცუბიძე, შალვა ხიდაშელი) პოზიცია თითქმის იდენტურია. შ. ნუცუბიძისა და შ. ხიდაშელის შრომებში ნეოპლატონიზმი გაგებულია ისე, სადაც ღმერთი და მისგან გამოსული სინამდვილე ერთიანობაშია, ადამიანს ღმერთთან გაერთიანება შეუძლია და ა.შ. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა გარინისთან: „როგორც ფინინო ფიქრობს, ქრისტეს გაცხადებაც პრიმიტიული თეოლოგიის სხვადასხვა სახეებში განხორციელებული და პლატონისა და პლოტინეს მიერ განმარტებული უცვლელი მარადიული ჰეშმარიტება ემსარება სამყაროს ერთიანობას, ღმერთისა და მის მიერ შექმნილთა განუყოფლობას.”<sup>29</sup>

გარინთან ნათლად არის ნაჩვენები შუა საუკუნეებისა და პუმანიზმის მიმართება. მისი აღნიშვნით, შუა საუკუნეებში იცოდნენ ანტიკურობა, მაგრამ მაშინ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ საიდან იყო აღებული ესა თუ ის თეზისი, პლატონიდან თუ არისტოტელედან. მათთვის მთავარი იყო მისი შეთვისება, გათავისება, თუკი ეს აზრი ღირებული იყო. ამ შემთხვევაში პლატონი და არისტოტელე მხოლოდ აზრის მატარებელნი იყვნენ. მაშინ როცა, „პუმანიზმისთვის დამახასიათებელია ყოველი ანტიკური მოაზროვნის ინდივიდუალური სახის გაგებისექნ მისწრაფება; ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის გარეგნობის ცოდნა. სოკრატესთან რომ ვისაუბრო, სოკრატეს სკოლაში რომ ვიარო, სოკრატე – ნამდვილი სოკრატე ხელახლა უნდა აღმოვაჩინო.”<sup>30</sup>

გარინი რენესანსის ეპოქაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფილოლოგიას. რენესანსი თავისი აღმოცენებისთანავე ფილოლოგიას ემყარებოდა. მაშინ, როცა ფილოსოფია და საერთოდ ადამიანური ცოდნა საუკუნეების განმავლობაში თეოლოგიის ნიშნით ვითარდებოდა. სწორედ ყოველგეარი ცრურწმენისგან

თავისუფალი ფილოლიოგია ლორენცო ვალას სახით, გაბედულად ესხმის თავს წმინდა წერილს, უგულებელყოფს ჰელა ავტორიტეტის და გვასწავლის დამოუკიდებლად, საკუთრივ წავიკითხოთ ჩვენს წინ გადაშლილი წიგნები – იქნება ეს პატივსაცემი ანტიური მოაზროვნების პერგამენტები თუ უნივერსუმის უდიადესი კოდექსი.<sup>31</sup>

განსახილველ პუმანიშმის ეპოქაში, გარინის აზრით, ბენება არ არის წმინდა ღვთაება, ღვთის ქალიშვილი ან ნათესავი, რომელიც უნდა ეჭვრიტოთ და მხოლოდ პატივი მოვაგოთ; ის მხადა დაუთმოს ძლიერს, რომელსაც შეუძლია მისი ღაუფლება. ამ დროს შეიცვალა ადამიანისა და სამყაროს კავშირის გაგება. უფრო სწორად, ეს ხედვა საგნების მიღწევის ერთ-ერთი ხერხია მხოლოდ. ფილოლოგია უკვე აღარ გვევლინება არისტოტელეს „ორგანონის“ (ლოგიკის) კომენტორად და განმმარტებლად. ამ დროს მიიჩნეუნ, რომ არისტოტელეს ფილოსოფია სულაც არ არის დასრულებული ცოდნა სამყაროზე, არისტოტელე კი – მეცნიერებაში განხორციელებული მსოფლმხედველობის დამკანონებელი. როგორც ერთი მათგანი იტყოდა – „არისტოტელე უდიდესი ადამიანი იყო, მაგრამ მაინც ადამიანი“.

გარინის შენიშვნით, ლორენცო ვალასთვის არისტოტელეს ლოგიკა არის არა რეალობის სტრუქტურის იგივეობრივი, არამედ უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ სებიუქტური მხჯელობები და დღეს სრულიად გამოუსადეგარი. გარინის თანახმად, ამ აზრამდე უცბად არ მისულან, მაგრამ „პუმანისტებმა ახლა იციან და კარგად უწყიან, რომ კაცობრიობის ისტორიას თეოთონ ადამიანი ქმნის“.<sup>32</sup>

რენესანსის ტრადიციული გაგებისადმი მქვეთრად კრიტიკულია პიტერ ბიორკის პოზიცია. მისთვის მიუღებელია ის ამაღლებული განწყობა, რაც ტრადიციულად თან ახლავს რენესანსის ცნებას, რომელიც ხელოვნებისა და კულტურის ოქროს ხანად არის მიჩნეული.

ბურკარდტის თეალსაზრისს რენესანსზე ბიორკი მითად მიიჩნევს. მას ასევე მითად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბურკარდტთან ერთმანეთისგან მეცნიერად არის გამიჯნული რენესანსი და შეა საუკუნეები, იტალია და დანარჩენი ევრო-

პა. ამით კი, ბიორკის აზრით, „უგულებელყოფილია შუა საუკუნეების მიერ XVI საუკუნემდე შემოტანილი სიახლეები.<sup>33</sup>

ბიორკის აზრით, ბურკარდტი ცდება, როცა ხელოვნების აღორძინებისა და კლასიკური ანტიკურობის გაცვალების მოძევლებულ ფორმულებს უმატებს ინდივიდუალიზმს, რეალიზმსა და მოდერნიზმს. აეტორის შენიშვნით, XIX საუკუნეში რენესანსზე გავრცელებულ ამ მითს ბევრი დღესაც სერიოზულად აღიქვამს, მაგრამ პროფესიონალ ისტორიკოსებს, რენესანსის ამგვარი განმარტება აღარ აკმაყოფილებთ.<sup>34</sup>

ბიორკის აღნიშვნით, მედიევისტებმა სხვადასხვა რენესანსებს მიაკვლიეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რენესანსი მხოლოდ იტალიური მოვლენა არ ყოფილა. ამ მიმართებით შორს წავიდა არნოლდ ტოინბი (1882-1975),<sup>\*</sup> რომელმაც რენესანსი მიაკვლია ბიზანტიაში, ისლამის სამყაროსა და შორეულ აღმოსაკლეთში.<sup>35</sup>

რენესანსზე ბიორკის თეალსაზრისის არსი გადმოცემულია მის შემდეგ მსჯელობებში: „თუ ჩვენ რენესანსს მეწამულ და ოქროს ფერებში წარმოვიდგენთ და გამორჩეულ კულტურულ სასწაულად ან მეუსეულ გამოვლინებად მიერჩეთ, ჩემი პასუხი იქნება „არა“. მაგრამ თუ ამ ტერმინს შუა საუკუნეების მიღწევებისადმი ან ევროპისგარე სამყაროსადმი ზიანის მიუვენებლად გამოიყენებთ დასავლეურ კულტურაში მომხდარ გარეულ ცვლილებათა აღსანიშნავად, მაშინ იგი შეიძლება ფუნდამენტურ, საყრდენ კონცეფციად მიერჩიოთ, რომელიც სავსებით გამართლებულია”.<sup>36</sup> ნაშრომის დასკვნაში ბიორკი, ბურკარდტისგან განსხვავებით, რენესანსს უფრო „მოძრაობად“ მიიჩნევს, ვიდრე პერიოდად,<sup>37</sup> რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩინია. ამასთან, იგი გაუმართლებლად მიიჩნევს რენესანსისა და შუა საუკუნეების დაპირისპირებას, რასაც აღილი აქვს ბურკარდტის ნაშრომში. ამის გარდა, ბიორკი ბურკარდტისეულ „ინდივიდუალიზმსა“ და „რაციონალიზმს“ სპეციფიკურად რენესანსეულ მოვლენებად არ

\* სამწუხაროდ, პიტერ ბიორკი არაფერს ამბობს შალვა ნუცუბიძის აღმოსაკლეური რენესანსის თეორიაზე, რაც ინფორმაციის არქონით უნდა იყოს განპირობებული.

თველის და ამგვარი რამის შესაძლებლობას შუა საუკუნეებიც ვარაუდობს.<sup>38</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ბიორკი ბურკარდტის რენესანსის უოვლისმომცველობას არ იზიარებს და ამ ცნებას უფრო ვიწრო გაგებით წარმოადგენს, რითაც ბურკარდტის თვალსაზრისის გადაფასებას ახდენს.

ბურკარდტის, გარინისა და ბიორკის თვალსაზრისების უოვლი გადმოცემით გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა რენესანსისა და პურინიზმუ, მათ შინაარსზე როგორც აღრეულ (XIX საუკუნე), ისე თანამედროვე (XX საუკუნის მეორე ნახევარი) ეკლესიულ მეცნიერებაში.

## § 2. რენესანსისა და პურინიზმის ურთიერთმიმართება

რენესანსისა და პურინიზმის – კულტურის ამ ორი მოვლენის ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. ამიტომაც ამ სკაიოთხის გასარკვევად მრავალი ავტორის თვალსაზრისის განხილვა და შეფასება მოგეიხდება.

### 1. რენესანსის ცნებისთვის

რენესანსი ფრანგული სიტყვაა და აღორძინებას ნიშნავს. პირველად რენესანსის ცნება გამოიყენა დიდმა იტალიელმა ხელოვანმა ჯოვანი ვაზარიმ (1511-1574). შემდგომ კი ის დამკვიდრდა მეცნიერებაში, როგორც შუა საუკუნეებში კულტურის თვალსაზრისით მომხდარი დიდი ისტორიული შემობრუნების აღმნიშვნელი.

აღორძინება რაღაც უკვე არსებულის განახლება-აღდგენას ნიშნავს. ბუნებრივია, უკვე არსებულის აღდგენა-განახლებაში გათვალისწინებულია ახალიც, უფრო სწორად, იმ ეპოქის თავისებურებანი, რომელშიც მიმდინარეობს განახლება-აღდგენის ეს პროცესი.

მიღებული თვალსაზრისის თანახმად, შუა საუკუნეებში მონოთეისტური მსოფლმხედველობის გაძლიერების გამო, დი-

დი ხნის განმავლობაში ადამიანისადმი ანტიკური დამოკიდებულება გაუქმებული იქნა, ამქეცენიური სიჩამდგილე მოჩვენებითად და, აქედან გამომდინარე, იმქეცენიური მარადიული ცხოვრებისთვის მოსამსადებელ საფეხურად იქნა მიჩნეული. ადამიანისადმი ამგვარი დამოკიდებულება ძირითადად დამასასიათებელი იყო ყველა დიდი მონოთეისტური რელიგიის-თვის.

განვითარებული შეა საუკუნეების ეპოქაში მკვეთრი შემოძრუნება ხდება ადამიანის და, საერთოდ, ამქეცენიური სიჩამდგილის გაგებაში. მაგალითად, ამ ეპოქის იტალიური ფერწერის ტიტანებთან (ლეონარდო და კონჩი, მიქელანჯელო, რაფაელი) ამქეცენიური სინამდვილე ნდობა გამოცხადებულად და ღირებულადა მიჩნეული. სამივე დიდი ხელოვანის ფერწერული შედევრები სიცოცხლით საესე სიტუაციებს გამოხატავს, ხოლო მიქელანჯელოს ქანდაკებანი მუდამ განცვიფრებას იწევენ „გასულიერების“ ძალით. აქ აღნიშნულის მსგავს კითარებას ვხედებით დიდი იტალიური პოეტის, რენესანსული ყაიდის ხელოვან დანტე ალიგიერთან.

ბუნებრივია, როდესაც მსჯელობა ეხება რენესანსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, საჭიროა გაირკეს, თუ რა იგულისხმება რენესანსის ცნებაში. სხვათა შორის; რენესანსის პრობლემებზე მსჯელობისას ხშირად გაუგებრობის მიზესი გამხდარა ამ ცნების სხვადასხვანაირი გაგება. მეკლევართა ერთი ნაწილის აზრით, რენესანსი გულისხმობს ამჰეცენიური სინამდვილის ღირებულად გამოცხადებას, მეორე ამას განსაკუთრებულ რელიგიურ მოვლენას უკავშირებს, მესამე კი – რენესანსის წარმოშობისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ქალაქერი ცხოვრების მაღალ დონეს და ამის საფუძველზე რენესანსს კაპიტალიზმის გარიურაუად თვლის. არის ისეთი მოსაზრება, რომ რენესანსის წარმოშობა ამა თუ იმ ქვეყანაში დაკავშირებულია საერთოდ კულტურის განსაკუთრებულ აღმავლობასთან. რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, უფრო სწორად იმათ, ვისაც საგანგებო ეკლესის საგნად გაუხდიათ რენესანსის პრობლემები, მათი აზრით, რენესანსი ნიშანავს ამქეცენიური სინამდვილის ღირებულად გამოცხადებას და ადამიანისადმი ახლებურ დამოკიდებულებას, რაც გულისხმობს ადამიანის წინა პლანზე წამოწევას.

ამქუენიურის ლირებულად გამოცხადება და ადამიანისადმი ახლებური დამოკიდებულება რენესანსის ცნების ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი ნიშანია. ამგვარად გაგებული რენესანსის მსოფლმხედველობის საფუძველს კი ნეოპლატონური ფილოსოფია წარმოადგენს. ამ საკითხის გარკვევაში განსაკუთრებული წელილი შიუძლივით ქართულ ფილოსოფობებს. შ. ნუცუბიძე ამ თვალსაზრისის პირველი აკტორია, ხოლო შ. ხიდაშელი ამ პოზიციის აქტიური დამცველი და განმამტკიცებული (ამის თაობაზე უფრო ვრცლად მომდევნო სპეციალურ თავში).

როგორია ისტორიული ვითარება რენესანსის თეორიის შესახებ? განვითარებული შუა საუკუნეების ევროპაში რენესანსი რომ არსებობდა, ეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია. შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიის თანახმად კი, რენესანსი უფრო ადრე წარმოიშვა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში.\*

შ. ნუცუბიძე „ევროპოლურიზმის“ კრიტიკისას განიხილავს პენინგისა და კასირერის თვალსაზრისებს, რომელთა თანახმადაც რენესანსი ევროპული მოკლენაა და ის თეორიულად შეამსადეს იოანე სკოტ ერიუგენამ (პენინგი) და ნიკოლოზ კუზელმა (კასირერი). შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ როგორც ერიუგენას (810-877), ისე კუზელის (1401-1464) მსოფლმხედველობა განსაზღვრულია არეოპაგიტული მოძღვრებით და თუ მათი მსოფლმხედველობანი რენესანსის საფუძვლად ითვლება, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ამგვარად საკუთრივ არეოპაგიტიკა. აქ შეიძლება გავიხსენოთ ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის (1872-1970) თვალსაზრისი: „ერიუგენას მიერ ლათინურ ენაზე თარგმნილმა არეოპაგიტულმა თხზულებებმა უფრო დიდი გავლენა მოახდინეს

\* არც აღმოსავლური და არც ქართული რენესანსის თვალსაზრისები პირველად შ. ნუცუბიძეს არ წამოუკნებია. შევიცარიუელი მეცნიერის ადამ მეცის (1869-1917) წიგნში – “Die Renaissance des Islams”. Heidelberg, 1922, უკვე არის მინიჭება აღმოსავლეთში რენესანსის არსებობაზე. რ. მილერ-ბურნიცეას და სხვები აღნიშნავნენ მსგავს ვითარებაზე XI-XII სს-ის საქართველოში. მაგრამ აღმოსავლური (და ქართული) რენესანსის თეორია უშეალოდ შ. ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა.

ევროპულ კულტურასე, ვიდრე საკუთრივ ერიუგენას მოძღვრებამ.”<sup>1</sup>

არეოპაგიტული მოძღვრება, შ. ნუცებიძის აზრით, რენესანსის ერთ-ერთი იდეური საფუძველია. ამ მოძღვრების გავლენას განიცდიდნენ რენესანსის ფილოსოფიის წარმომადგენლები – ნიკოლოზ კუსელი, მარსილიო ფინინო, ჰიკო დელა მირანდოლა და სხვ. შ. ნუცებიძე არეოპაგიტიყის წელის კულტურის ისტორიაში ასე წარმოადგენს: არეოპაგიტულმა მოძღვრებამ ანტიური ფილოსოფიური მემკვიდრეობა „აგადარგო ქრისტიანულ საფუძველზე”, რითაც შენარჩუნებული იქნა რენესანსისთვის აუცილებელი პრინციპები და იდეები. ეს ძირითადი იდეა დმერთისა და სამყაროს ერთიანობას გულისხმობს, რაც შემდეგ აუცილებელ მომენტებს მოიცავს: დმერთიდან არსებათა აუცილებლობით წარმოშობა, ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობა, დმერთიან უშუალო შეერთების დაშვება, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსატანციურობის აღიარება.<sup>2</sup>

რენესანსზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული რასელს. მისი აზრით, იტალიაში „სამყაროზე შეასაუცუნეობრივი შეხედულებებისგან განსხვავებული ახალი დროის შეხედულების წარმოშობა განაპირობა მოძრაობამ, რომელმაც მიიღო სახელწოდება – აღიარინება.”<sup>3</sup> რასელის შენიშვნით, დასაწყისში ამ იდეას ერთეულები თუ იზიარებდნენ, რომელთა შორის აღსანიშნავია ფრანჩესკო პეტრარქა. თანდათანობით კი მთელი XV საუკუნის განმავლობაში ეს იდეა მისაღები გახდა როგორც საერო, ისე სასულიერო პირთაოვის. ამ დროისთვის ეკლესიის ავტორიტეტი იცვლება ანტიურობის ავტორიტეტით.

რასელის აზრით, ეს, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეკლესიის ავტორიტეტებისგან განთავისუფლების გზაზე, ვინაიდან ანტიური დროის მოაზროვნებს განსხვავებული შეხედულებები პქონდათ და მათი ავტორიტეტის აღიარებით შეა საუკუნეებში ყოველ ინდივიდუალურად მოაზროვნეს საშუალება ეძლეოდა თეითონ გადაეწყვიტა, თუ რომელი მათგანის აზრი მიეღო.

რასელის საინტერესო და საყურადღებო შენიშვნით, „აღორძინება არ ყოფილა ფილოსოფიის სფეროში დიდი მიღ-

წევების პერიოდი, მაგრამ მან მოგვცა ცნობილი შედეგები, რომლებიც XVII საუკუნის სიღიადის აუცილებელ წანამძღვრებს წარმოადგენდნენ".<sup>4</sup> რასელის აზრით, აღორძინებამ დაშალა სქოლასტიკური სისტემა და ყურადღება მიაპყრო პლატონის შესწავლას, ყოველ შემთხვევაში იმ დონეზე მაინც, რომ არჩევანი ყოფილიყო პლატონსა და არისტოტელეს შორის. აქ აეტორი აქეთებს საყურადღებო შენიშვნას: „რაც შეეხება ამ ორივე ფილოსოფოსს (პლატონსა და არისტოტელეს – მ.მ), აღორძინებამ განაპირობა მათ შესახებ პირველწყაროებზე დამყარებული ზუსტი წარმოდგენები, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ნეოპლატონიკოსებისა და არაბი კომენტატორების განმარტებებისგან.“ ამ კონკრეტულ შმთხვევაში რასელს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ აღორძინება (რენესანსი) – ანტიკურობის აღორძინებაა და აქედან გამომდინარე, ანტიკურობის აღორძინებით რენესანსმა ყველა პირობა შექმნა იმისთვის, რომ ანტიკური ძეგლები, კონკრეტულ შემთხვევაში პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებანი, გაცნობილი ყოფილიყო უშუალოდ, ყოველგვარი კომენტარებისგან თავისუფალ ორიგინალში.

მნიშვნელოვანია, თუმცა შეიძლება სადაცოც იყოს რასელის შემდეგი თვალსაზრისი: „აღორძინება არ ყოფილა სახალხო მოძრაობა, ეს იყო მეცნიერთა და მსატვართა მცირერიცხოვანი ჯგუფების მოძრაობა, რომელთაც მფარველობდნენ გულუხვი პატრონები, განსაკუთრებით მედიჩი და პუმანისტი პაპები“. ამ დახმარების გარეშე, შენიშნავს რასელი, აღორძინებას არ ექნებოდა ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებები. ამის დასადასტურებლად მოჰყავს ბოკაზოსა და პეტრარკას მაგალითი. შესაბამისი პოლიტიკური ვითარების არსებობის გამო, მათ გაცილებით ნაკლები გაელენა მოახდინეს თანამედროვეებზე, კიდრე XV საუკუნის პუმანისტებმა.

„რასელი აღორძინების დამსახურებას იმაში ხედავს, რომ ამ ეპოქამ დაბადა ტიტანები – ლეონარდო და ვინჩი, მიქელაზიელო, მაკიაველი... მან განათლებული ხალხი გაათავისუფლა შუა საუკუნეების შეზღუდვათა ტესლებისგან და ანტიკურობის ტემების ყოფილი განვითარებული ასრი ჰქონდათ. „რენესანსმა ბერძნული სამყაროს ცოდნის აღორძინე-

ბით შექმნა სულიერი ატმოსფერო, რომელშიც კელავ გახდა შესაძლებელი ელინურ მიღწეულებთან გაჯიბრება და რომელ-შიც ინდივიდუალურმა გენიამ ალექსანდრეს დროიდან მოყოლებული არნახული თავის სუფლება მოიპოვა აუგავებისთვის".<sup>5</sup>

რენესანსის ცნების საინტერესო განმარტებას იძლევა უოლტერ პატერი (1839-1894): „დღეისთვის გამოთქმა – რენესანსი გამოიყერება არა მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში ძეველი კლასიკური ხანის აღორძინების მიმართ, როგორც მას ადრე იყენებდნენ, არამედ ჰაველა მრავალრიცხოვანი მოძრაობის აღსანიშნავად, რომლის ელემენტი ან სიმპტომი იყო ძეველი კლასიკური ხანის აღორძინება. ჩვენთვის რენესანსი არის მრავალმხრივი, მაგრამ მაინც მთლიანი მოძრაობის კრებითი სახელი.“<sup>6</sup> ვფიქრობ, ვ. პატერთან მოცემული რენესანსის ცნების განმარტება უპირველესად უურადღებას იმსახურებს იმით, რომ აქ რენესანსი გაგებულია, როგორც განვითარებული შეუასეუნების მრავალრიცხოვან და მრავალმხრივ მოძრაობათა საერთო კრებითი სახელწოდება. ამასთან, ავტორთან ეს მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი მოძრაობა, მაინც ერთ მთლიან პროცესადაა წარმოდგენილი, რაც ჩვენი აზრით, რენესანსის ცნებას უფრო შესაბამება.

რენესანსის საინტერესო გაგება გვხედება ი. პუზანოსთან. ავტორის აზრით, რენესანსს ორგარად აფასებენ: ბურკარდტის სკოლა ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში ამ ეპოქის დიდი მიღწევების მხედველობაში მიღებით აღორძინებას მიიჩნევს უდიდესი ლირებულების მქონედ.<sup>7</sup>

მეორე აზრის თანახმად კი (ლ. კარსავინი), რენესანსი არის არა აუკავების, არამედ ძალთა დაკინიხების ხანა, რენესანსი შემოქმედებითი ზღვრის მიღწევის ხანა კი არ არის, არამედ იმ უფსერულში ჩატარდნაა, რომელშიც ჩვენს თვალწინ იჩეკება თანამედროვე კულტურა.<sup>8</sup>

პუზანოს აზრით, რენესანსი, ისე როგორც ყოველი ახალი ცივილიზაცია, ხასიათდება თავისებურებებით, სიცოცხლის თავისებური გამოვლენით, თავისი განსაკუთრებული ხელოვნებით, ცოდნითა და რელიგიით. რენესანსი ისევე თავისებურია, როგორც შეუასეუნები, ანტიკურობა. ის არც პროგრესია და არც რეგრესი. რაც შეეხება რენესანსის რელიგიურობის საკითხს, ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ

„რენესანსის ეპოქაში რელიგიური ძიებისას ჩვენ ვაკვირდებით რელიგიურობის სინთეზის საინტერესო ცდას ხილული სინამდვილის მიღებითა და გამართლებით.“<sup>9</sup> აქვე ავტორი აკეთებს საინტერესო შენიშვნას, რომლის თანახმადაც, „რენესანსმა კვლავ აჩვენა, რომ რელიგიურობა ყოველთვის როდი უნდა იყოს ასკეტური, პესიმისტური, სამყაროსა და ადამიანის „უარმყოფელი“.

პუზანო აღნიშნავს, რომ შეუა საუკუნეებში ხილულ სინამდვილეზე უარყოფითი წარმოდგენა იყო, სამყარო გამოცხადებული იყო ბოროტების საუფლოდ, სადაც ადამიანს მუდამ საფრთხე ელოდა. მაგრამ, ამასთან, შეუა საუკუნეებში იყო საღი აზრიც, რომელიც სამყაროს (ხილულ სინამდვილეს) მიიჩნევდა სიკეთედ.<sup>10</sup>

ავტორი ვრცლად ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ შეუა საუკუნეებში იდგა კითხვა – რისთვის მიეცათ ჟაპირატესობა – მიწიერისა თუ ზეციირისთვის, რაც დღის წესრიგში აუკნებდა საკითხს – ღმერთი თუ სამყარო, მიწიერი თუ მარადიული? აღნიშნული დილემის გადაწყვეტისას კი, რენესანსის მიმდევრებთან სამყაროსადმი პრიმატის მიზიჯება კავშირში იყო ათეიზმთან (ღმერთის, სულისა და იმქენიური ცხოვრების უარყოფა).

პუზანოს თვალსაზრისში საუკირადებოა ის მომენტი, რომ ავტორმა წინა პლანზე წამოსწიდა შეუა საუკუნეების ეპოქაში მიწიერისა და ზეციირის დაპირისპირება. მაგრამ, რენესანსი რომ გარკვეულად ამ დაპირისპირების გაუქმებაა, ეს პუზანოსთან არ ჩანს.

აქ კარგად ჩანს, რომ პუზანომ რენესანსზე ორი თვალსაზრისი დაიმოწმა – ერთი ბურკპარდტის სკოლისა, ხოლო მეორე – კარსავინის. ეს უკანასკნელი კი რენესანსს კულტურის ისტორიაში უარყოფით მოკლენად მიიჩნევს.

ლევ კარსავინი (1882-1952) აღნიშნავს: სკოლის მერხიდან შეეხვიეთ იმ აზრს, რომ აღორძინება თანამედროვე ადამიანის თავისებური „ოქროს საუკუნეა“, მისი ძალების აუვავებისა და „ინდივიდუალიზაციის“ ეპოქაა. მაგრამ ამასთან, ჩვენ ვივიწყებთ, რომ ინდივიდუალიზმით შემოზღუდვა ავადმყოფობაა. „რენესანსის ეპოქა, ისევე როგორც ბრუნოს სისტემა, – ინდივიდუალიზმის ტრაგედიაა და არა ოქროს საუკუნე“.<sup>11</sup>

კარსავინი რენესანსისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას იმით ხსნის, რომ რენესანსის ეპოქაში ადამიანი „დაბრუნებას“ ახდენს არა ახლის ძიებაში, არამედ ძეველის „სევდაში“. ამიტომაც, შემდგომ ეპოქებში, პრობლემას წარმოადგენდა არა უკან სქილასტიკისა და შეუა საუკუნეებისენ მობრუნება, არამედ „ახალი“ ფილოსოფიისა და საერო მეცნიერების ინდივიდუალურობის დამტკიცება. ავტორი რენესანსის ტრაგედიად მიიჩნევს ღვთაებისგან მოწყვეტას, რაც გარდუგალად განაპირობებს მის დაშლასა და დაღუპვას. აბსოლუტური სიმართლე და ადამიანისა და სამყაროს ღვთაებასთან მძლავრი კავშირი, ასეთი იუო ალორძინების განუხორციელებელი ამოცანა.<sup>12</sup>

ლ. კარსავინი რენესანსის კულტურის ისტორიაში შემაფერხებელ მოვლენად მიიჩნევს, რაც სწორი არ არის. თუმცა, ისიც (ჰადია, რომ რენესანსი, რომელიც მოლიანობაში პროგრესული მოვლენა იუო კულტურის ისტორიაში, გააჩნიდა თავისი ჩრდილოვანი მხარეები. ამ მხრივ საუკუნადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართველ მეცნიერს – ნოდარ კაკაბაძეს (1924-2007).

ნ. კაკაბაძის შენიშვნები არსებითად ეხება რენესანსული მსოფლმხედველობით გამოწეულ უარყოფით შედეგებს მოძღვნო ხანებში, კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში.

შეუა საუკუნეების ეთიკური იდეალის თანახმად, ადამიანი უნდა გაოავისუფლდეს ყოველგარი ხორციელისგან და მასში არსებითად უნდა იქცეს სულიერი საწყისი. რენესანსში კი, ნ. კაკაბაძის შენიშვნით, თავის უფლებებში აღადგინა ხორცი, გრძნობა, ბიოლოგიური მოთხოვნილებები... რენესანსში შექმნა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალი. მაგრამ ის, რაც ადრე პროგრესული იუო, როგორც შეუა საუკუნეების ასკეტიზმისადმი რვაქცია და ადამიანის ემანსიპაციას წარმოადგენდა, თანდათანობით თავის მეორე უკიდურესობაში გადაიზარდა. ადამიანი ინსტინქტების მონა გახდა, მასში გაიღვიძა მხეცმა. ამით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში აბსურდამდე იქნა დაყვანილი რენესანსის მიერ ხორცის რეაბილიტაცია. ნ. კაკაბაძის აზრით, აღნიშვნული გარემოებით უნდა იყოს განპირობებული თანამედროვე დასავლეთში შეუა საუკუნეების სულის რეაბილიტაციის ცდები,

მაგალითად, ნეოპლატონიზმის აღორძინება.<sup>13</sup> საბოლოოდ კი, თანამედროვე დასაცლეთში, ფაქტობრივად „რენესანსული“ ადამიანის კარიკატურული ფორმით წარმოდგა ადამიანი-მომხმარებელი, რომელშიც ხორცი, სხეული ბატონობს სულ-ზე, მეტაფიზიკურ საწყისზე, ადამიანის ბიურგერული არსებობის საზღვრების გარეთ მდებარე ინტერესებზე, დაასკვნის ავტორი.

შეუკუნების რენესანსულ მოდელსა და XX საუკუნის ადამიან-მომხმარებელს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება შეიძლება სადაც იყოს, რამდენადაც ადამიანის რენესანსული ტიპი არ გულისხმობდა ხორცის რეაბილიტაციას სულის ხარჯზე და უფრო სულისა და ხორცის პარმონიას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნეში ადამიანის რენესანსული ტიპის ბედზე ნ. კაკაბაძის დაკვირვება საინტერესოცაა და საყურადღებოც. ეს თვალსაზრისი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ამ საკითხის განხილვა არ გვხვდება რენესანსზე სპეციალურ გამოკვლევებშიც კი.

## 2. პუმანიზმის ცნებისთვის

პუმანიზმის ცნება უართო გაგებით გულისხმობს შეხედულებათა სისტემას, რომელიც აღიარებს ადამიანის, როგორც პიროვნების ღირებულებას, მის უფლებას თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, თავისი უნარების განვითარებასა და გამოვლენაზე და ა.შ. ეიწრო გაგებით კი პუმანიზმში იგულისხმება აღორძინების ეპოქის კულტურული მოძრაობა, რაც ნათლად გამოვლინდა XV საუკუნის იტალიაში.<sup>14</sup>

პუმანიზმის ცნების შინაარსის დადგენისას ვერ ავცდებით რენესანსის ცნებას, რაღანაც ამ ორი ცნების შინაარსი ერთმანეთთან ისე მჭიდრო კავშირშია, ისე გადაწილია ერთმანეთზე, რომ ხშირად ისინი კიდეც უარავენ ერთმანეთს. ამ სირთულესზე მიუთითებს არაერთი მკელევარი.

ალექსეი ლოსევის აზრით, „როგორც რენესანსი, ისე მისი ესთეტიკა შეუძლებელია გადმოიცეს მისთვის დამახასიათებელი კულტურული მდინარების გარეშე, რომელსაც ჩვეულებრივ პუმანიზმს უწოდებენ.“ ლოსევის მიხედვით, რენესანსი და

ჰუმანიზმი რომ მჭიდროდაა ერთმანეოთან დაკავშირებული, კარგად ჩანს მისი შემდეგი შენიშვნიდანაც: „თუკი მხედველობაში მივიღებთ ჰუმანიზმის ტერმინის ერთმოგნიას (Humanus – ნიადაგი, მიწა), მაშინ რენესანსის უკუთხესი გამოიხატვა – ჰუმანიზმის ეპოქის ევროპაში, როგორც არნახულის – წარმოუდგენელიცაა”. მაგრამ ამ ტერმინს საყალალო ხევდრი ერგო წილად, შენიშნავს ლოსევი, კერძოდ, ხევდრი განუსასილელობისა, მრავალმნიშვნელობისა და სშირად ბანალური ზერელობისაც ეთ.

ჰუმანიზმს ლოსევი ასე განმარტავს: „ჰუმანიზმი, პირველ რიგში, არის რენესანსისთვის ტიპური თავისუფლად მოაზროვნე ცნობიერება და სრულიად საერო ინდივიდუალიზმი”.<sup>15</sup> იქევე, რათა უფრო ცხადი გახდოს ჰუმანიზმის სპეციფიკა, ლოსევი აუცილებლად თვლის, რომ ჰუმანიზმი მიწნეული იქნეს არა უბრალოდ საერო თავისუფალ აზროვნებას, არამედ უპირატესად ამ უკანასკნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამოქალაქო მხარედ, რომელიც მოიცავს ოპტიმიზმის ყველა ფორმას და ამ თავისუფალი აზროვნების პედაგოგიურ და ყოფით და, ბოლოს და ბოლოს, მორალურ და პრაქტიკულ მხარეებს.

ა. ლოსევი იტალიელი ჰუმანისტების დამახასიათებელ თეოსებად მიიჩნევს ძეველი ენების დაუფლებას. ისინი ენას სწავლობდნენ ყოველმხრივ (მეცნიერულად, ესთეტიკურად, სტილისტურად) და იმდენად კარგად იუვნენ დაუფლებული ციცერონისეულ ლათინურს, რომ მათ ამ საქმის უფრო გვიანდელი დროის მცოდნენი ძნელად თუ გაეჯიბრებოდნენ. არც ის იყო შემთხვევითი, რომ იტალიელი ჰუმანისტები იყვნენ კლასიკური ფილოსოფიის დამფუძნებლები.

ა. ლოსევი თავის გამოკვლევაში მნიშვნელოებან აღილს უთმობს ნეოპლატონიზმისა და ჰუმანიზმის მიმართებას და აღნიშნავს, რომ აღორძინების ხანის ნეოპლატონიკოსების ჰუმანიზმი სრულიად განსაკუთრებული ტიპის იყო – „ეს იყო ფილოსოფიურ-მითოლოგიური, პოეტური და პირად-ენთუზიასტური თავისუფალი აზროვნება”.

ამ საკითხს ა. ლოსევი ეხება აგრეთვე, განვითარებული აღორძინების ფილოსოფიურ-ესთეტიკური შინაარსის განხილვისას, სადაც იგი უფრო აზუსტებს ჰუმანიზმის ცნებას. კერ-

ძოდ, აღნიშნავს, რომ პუმანიზმის ცნებაში ჩვენ გვესმის რენესანსის ის პრაქტიკული მიმართულება, რომელიც ნეოპლატონურ თეორიასთან თანაბრად ერთობ მბრძანებლურად და დიდი ტემპერატურით ლაპარაკობდა სპეციალურად ადამიანურ მორალზე, პროგრესიონის საზოგადოებაზე და თავისთავის შემცნობი პიროვნების სხვადასხვა მცნიერულ, მხატვრულსა და პედაგოგიურ ტენდენციაზე.<sup>16</sup>

ა. ლოსევის აზრით, რენესანსის ესთეტიკა ნეოპლატონიზმისა და პუმანიზმის საოცარი ნარევია. ამიტომაც არ იქნებოდა შეცდომა, თუკი რენესანსის ესთეტიკას საბოლოოდ გავიგებთ ან როგორც პუმანიტარულ ნეოპლატონიზმს, ან ნეოპლატონურ პუმანიზმს.

ა. ლოსევი, ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნევს ნეოპლატონიზმსა და პუმანიზმს შორის არსებული სიახლოვისა და განსხვავების ფორმების ჩვენებას, რასაც ადგილი ჰქონდა რენესანსის ეპოქაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი ერთ მომენტზე ჩერდება. მისი აზრით, აზროვნების ეს ორი ტიპი – ნეოპლატონიზმი და პუმანიზმი – მსარდი ინდივიუალიზმის გამოყლენას წარმოადგენდა და იმის მიუხედავად, რანაირი განსხვავებაც არ უნდა ყოფილიყო მათ შორის, მაინც ერთი და იგივე იყო. სწორედ ამიტომაც „ეს იყო პუმანიტარული ნეოპლატონიზმი ამ სიტყვის სრული გაგებით, ერთნაირად საერო, ერთნაირად სწავლული და სრულიად ერთნაირად მოაზროვნე.“<sup>17</sup>

ა. ლოსევის მიხედვით, პუმანიზმი რენესანსის ეპოქის კულტურული მოძრაობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისუფალი აზროვნება და საერო ინდივიდუალიზმი. ის აგრეთვე გულისხმობს პიროვნების თავისუფლების წინა პლანზე წამოწევას. პუმანიზმს თავისი არსებით ნეოპლატონიზმთან აქვს როგორც სიახლოვე, ისე დაშორება. მაგრამ რადგანაც ორივე მსოფლიმხედველობა მზარდი ინდივიდუალიზმის პროდუქტია, ამდენად ისინი ერთიანია და ამიტომაც გამართებულია ტერმინის – პუმანიტარული ნეოპლატონიზმის არსებობა.

მკვლევარ ლ. ბრაგინას აზრით, „იტალიური პუმანიზმი აღორძინების ეპოქის მოწინავე იდეოლოგია იტალიაში და წარმოადგენს რთულსა და მრავალმხრივ ისტორიულ მოვ-

ლენას”, რომელიც მკიდროდაა დაკავშირებაული XIV-XVI საუკუნეების იტალიის სოციალურ-პილიტიკური და კულტურული ცხოვრების განსხვავებიულ სფეროებთან.<sup>18</sup>

ლ. ბრაგინა პუმანიზმის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს ამქეუენიური ბედნიერებისთვის ზრუნვას, რაც უპირველესად ვლინდება იმ ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკურ, ესთეტიკურსა და პედაგიგიურ სფეროებში. აუტორს პუმანიზმი წარმოდგენილი აქვს, როგორც კულტურის იდეოლოგიური საფუძველი – ანტიდოგმატური, საერო ხასიათის ანტისქოლასტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც თავის განვითარებაში ასახავდა ღრმა ცვლილებებს გვიანი შუა საუკუნეების იტალიის საზოგადოებრივსა და იდეოლოგიურ პირობებში. ხოლო, რაც შეეხება ამ იდეოლოგიის მატარებლებს – პუმანისტებს, ისინი „ცოდნის ახალის ხისტემის მატარებლები და შემოქმედნი იყენენ, რომლის ცენტრშიც იდგა ადამიანი, მისი მიწიერი დანიშნულება”.<sup>19</sup>

საურადლებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ლ. ბრაგინას პუმანიზმის იდეურ წყაროებზე. მისი შენიშვნით, საკუთრივ პუმანისტები მიუთითებდნენ თავიანთ სიახლოვეზე ანტიკურ ფილოსოფიასთან, ანტიკურ ფილოსოფიურ აზრთან, რომელიც მოტელ სამყაროსთან ადამიანის პარმონიულ ერთიანობას ასაბუთებდა. საერთოდ კი, ძევლი აგორიტეტებისადმი მიმართვა მთელი რენესანსული კულტურის მნიშვნელოვანი ნიშანი იყო. გარდა ამისა, ბრაგინა აღნიშნავს ახალი ღროვის იმ ტენდენციას, რომელიც პუმანიზმის წარმოშობას უკავშირებს XII-XIII საუკუნეების ეკროპის სულიერი კულტურის განვითარებას. ამ ღროვს შექმნილი ქალაქის არასაეკლესიო სკოლები და მათ საფუძველზე წარმოქმნილი უნივერსიტეტები საერო ცოდნის ცენტრები ხდება.<sup>20</sup>

ლ. ბრაგინას საბოლოო დასკვნით – „როგორც ანტიკურის, ისე შუა საუკუნეების, პუმანიზმის იდეური წყაროების მრავალგვარობამ განაპირობა იმ „სააზროვნო მასალის“ განსაკუთრებული სიმართლე და წინააღმდეგობრიობა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ადრინდელი საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა, მათი გადამუშავება პუმანისტერი კულტურის განვითარების ღროვისა და ტენდენციების შესაბამისად”.<sup>21</sup>

აქამდე ძირითადად იმ ავტორთა თვალსაზრისებს შევეხე-  
ხეთ. როგორთა თანახმადაც პუმანიზმი კულტურული მოძ-  
რაობაა და მისი უურადღების უპირველესი საგანია ადამიანი.  
ამასთან, პუმანიზმი ანტიდოგმატური და ანტისქოლასტიკური  
მოძრაობაა. ამ აზრისგან განსხვავებულ პოზიციაზე დგას  
ვალენტინ ლაზარევი. მისი აზრით, „პუმანიზმის – აღორძი-  
ნების ცენტრალური კულტურული მოვლენა – მთლიანობაში  
არ ყოფილა ანტიქრისტიანული“.<sup>22</sup>

ვ. ლაზარევი პუმანიზმის იდეოლოგიაში ადამიანის,  
როგორც ძირითადი ღირებულების, ფაქტორს, რა თქმა უნდა,  
არ უარყოფს, მაგრამ მას მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას  
უყავშირებს და ეს, მისი აზრით, არის ქრისტიანული პუმა-  
ნიზმის არსი, როგორიც შემდგომში მდგომარეობს: „ადამია-  
ნურისა და ადამიანური ღირებულების მაღალი მნიშვნელო-  
ბის აღიარებიდან და ამის საფუძველზე გამოცხადების რე-  
ლიგიის, ზეადამიანური, ზეგონებრივი, ღვთაებრივი უმაღლესი  
ღირებულებებისკენ; ადამიანის აღორძინებისა და განახ-  
ლებიდან ქრისტიანობის აღორძინებისა და განახლებისკენ;  
წარმართული სიბრძნის ხელახალი აღდგენიდან, სახარების-  
დორინდელი რწმენის რესტაურაციის მცდელობამდეც კი,  
ქრისტიანობის სავარაუდო პირველსაწყის სიწმინდეზე გა-  
დასვლა“.<sup>23</sup>

ვ. ლაზარევის მოსაზრებათა არსი არის ის, რომ პუმა-  
ნიზმი დააკავშიროს რელიგიასთან, კერძოდ, ქრისტიანობას-  
თან (ამასთან, უფრო მის პირველსაწყის ფორმასთან).  
უფიქრობ, რომ ამ მხრივ ავტორის პოზიცია საქმაოდ მყარია.  
მაგრამ მაინც საჭიროა იმის დადგენა, თუ რა სპეციფიკით  
ხასიათდება ქრისტიანობის ეს ღონება, რამაც განაპირობა პუ-  
მანიზმის ჩამოყალიბება. უფრო სწორად თუ კიდევით, გა-  
სარევევი და დასადგენია ქრისტიანობის ის იდეოლოგია,  
რომელიც პუმანიზმა გამოიყენა ამქვეუნიურის ღირებულებად  
გამოცხადებაში.

აღორძინების ეპოქის პუმანიზმზე (პუმანიზმის ვიწრო  
გაგება) ქართულ მეცნიერებაში სპეციალური გამოკვლევა არ  
მოგეეპოვება. მხოლოდ ერთ ავტორთან – შალვა ხილაშელ-  
თან გვხვდება პუმანიზმის ზოგიერთი საკითხის განხილვა.

შ. ხიდაშელი რენესანსსა და პუმანიზმს მჭიდრო კავ-შირში განიხილავს და ამის საფუძველზე რენესანსისა და რენესანსული პუმანიზმის არსებით მომენტად მიიჩნევს ხილული სინამდვილისა და მიწიერი ადამიანის ღირებულებად აღიარებას.<sup>24</sup> მაგრამ ეს მჭიდრო კავშირი რენესანსსა და პუმანიზმს შორის, სულაც არ ნიშნავს მათ შორის განსხვავების უგულებელყოფას, აღნიშნავს ხიდაშელი სხეა გამოკელევაში. აქ ავტორი გამართლებულად მიიჩნევს გზას პუმანიზმიდან რენესანსისკენ.<sup>25</sup>

საგანგებოდ გვინდა შეკჩერდეთ შ. ხიდაშელის ერთ თვალსაზრისსე. როგორც უკვე აღნიშნეთ, შ. ხიდაშელის აზრით, რენესანსისა და რენესანსული პუმანიზმის არსებითი ნიშანია ამქვეუნიურის, მიწიერი ადამიანის ღირებულებად გამოცხადება. პუმანიზმის პრობლემატიკის მკელევართა უმრავლესობის აზრით, აღნიშნული ნიშანი პუმანიზმისთვის არსებითია. აქედან გამომდინარე, გარეუეული აზრით, რენესანსი და პუმანიზმი ერთმანეთს ემთხვევა. თუკი საბოლოოდ ამ პოზოციაზე დაკრიჩით, მაშინ XI-XII საუკუნეების ქართული კულტურა იქნება მხოლოდ პუმანისტური და ამ ეპოქის საქართველოში ყოფილა არა რენესანსი, არამედ პუმანიზმი.

სინამდვილეში კი რენესანსის ცნება უფრო უართო მნიშვნელობის უნდა იყოს და მასში მეტი უნდა იგულისხმებოდეს, ეიდორე ამქვეუნიურის ღირებულად გამოცხადება. აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კულტურის საერთო აყვავება, ანტიურობის აღდღევენა, დემოკრატიული გარდაქმნები ქვეყანაში, რელიგიური პუმანიზმი და ა.შ. თუკი ამ კუთხით შეეხდავთ XI-XII საუკუნეების ქართულ კულტურულ, სოციალურ-სა და პოლიტიკურ გარემოს, მაშინ უფრო მეტი საფუძველი გვექნება ვილაპარაკოთ XI-XII საუკუნეების ქართულ რენესანსზე, უკიდურეს შემთხვევაში პროტორენესანსზე მაინც.

ახლა განვიხილოთ იმ ავტორთა თვალსაზრისები, რომლებშიც უშუალოდ რენესანსისა და პუმანიზმის მიმართებაზე მსჯელობა (ნ. კონრადი, მ. ბახტინი, ლ. ბატკინი).

ნიკოლოზ კონრადი (1891-1970) პუმანიზმისთვის, კერძოდ, რენესანსული პუმანიზმისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფილოსოფიას. ავტორის შენიშვნით, პუმანიზმი დამახასიათებელი იყო ადამიანისთვის საერთოდ. მაგალითად, ადამიანის

წარმოდგენა ლეთაების მსგავსად, ეს იყო, აღბათ, უეელაზე აღრინდელი თვალსაზრისი პუმანიზმზე, ხოლო რენესანსული პუმანიზმი მდგომარეობდა ადამიანის დარწმუნებულობაში თავისი პიროვნების „ლიტერატულებაში მისი უკელა ასპექტით”.<sup>26</sup> ამგვარი გაგებისას წინა პლანზე იწევს ადამიანის ავტონომიურობა და თავისუფლება. კონრადის აზრით, პუმანიზმის ეს კონცეფცია მითსა და რელიგიას კი არ ემქარება, არამედ ფილოსოფიას. „სწორედ ამ შინაარსში პუმანიზმი შეადგენს, როგორც მე მექანიზმა, აღორძინების ეპოქის ნიშანს აღნიშნულ კულტურულ-ისტორიულ პლანში”. პუმანიზმი, ნ. კონრადის აზრით, იღებდა ახალს და უარყოფიდა იმას, რაც ხელს უშლიდა (დოგმატიზმი და სკოლასტიკა).

ნ. კონრადი რენესანსის, პუმანიზმთან შედარებით, უფრო ნაკლებმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს. თუ რა იგულისხმება რენესანსის ცნებაში, ეს მეორეხარისხოვანია ამ ეპოქის დახასიათებისას. რენესანსი „უეჭველად განუყოფელია მთავარისგან – პუმანიზმისგან, მაგრამ მაინც მხრილოდ მისი თანმხლები მოვლენაა”.<sup>27</sup> კონრადის ეს თვალსაზრისი სადაცოდ მიგაჩნია.

მიხეილ ბახტინი (1895-1975) რენესანსის სპეციალისტის კონრად ბურდახის თვალსაზრისის განხილვისას აღნიშნავს: „ბურდახი მართებულად თვლის, რომ ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიც იყო რენესანსი, არ შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ცალეეული ადამიანის წმინდა შემცნებითი ძიებებისა და ინტელექტუალური დაძაბვის რეზულტატი”.<sup>28</sup> (გავიხსენოთ, რომ რასელი სწორედ ამის საპირისპიროს გულისხმობდა, კერძოდ, მისი აზრით, რენესანსი ცალკეულ პირთა მსოფლმხედველობაა).

აქევე მ. ბახტინი იმოწმებს ბურდახის თვალსაზრისს რენესანსა და პუმანიზმზე: „პუმანიზმი და რენესანსი არაა ცოდნის პროდუქტი (Produkt des Wissens). ისინი წარმოიშობიან არა იმის გამო, რომ მეცნიერებაში აღმოაჩენენ ანტიკური ხელოვნებისა და ლიტერატურის დაკარგულ ძეგლებსა და ცდილობენ ისევ დაუბრუნონ ისინი ცხოვრებას. პუმანიზმი და რენესანსი უხუცესი ეპოქის მგზნებარე და განუსაზღვრელი მოლოდინითა და მისწრაფებითაა აღსავსე, რომლის სულიც თავის სიღრმეში შეძრწუნებულია და მოწყურებულია ახალ

სიჭაბუქეს".<sup>29</sup> ბახტინი ბურდახს უწონებს იმას, რომ მან რენესანსი არ მიიჩნია ცოდნად, „ინტელექტუალურ გაძლიერებად”, ანტიკურობის ხელოვნებისა და ლიტერატურის აღსაღენად.

მ. ბახტინი ეხება კოსმოსის გაგების თვალსაზრისს შეუასაუკუნეებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარეულლირებულებაზე აქცენტირება: „სივრცით საფეხურებს, რომლებიც ქვევიდან ზევით მიემართება, მყაცრად შეესაბამება ლირებულებითი საფეხურები. რაც უფრო მაღალია საფეხური, მით უფრო სრულყოფილია და ღმერთთან ახლოსაა. მაღალისა და დაბალის ცნებებმა და სახეებმა თავის სივრცით-ლირებულებით გამოხატულებაში, სისხლით ხორცამდე მოიცვა შეუასაუკუნეების ადამიანი”.<sup>30</sup>

აღორძინების ეპოქაში, მ. ბახტინის აზრით, შეუასაუკუნეების ეს იერარქიული წყობა დაინგრა. აქ „მაღლა” და „დაბლა” შეფარდებითი გახდა და მათ ნაცვლად აქცენტი გადატანილი იქნა მიმართებებშიც. „წინ” და „უკან” ვერტიკალურიდან პორიზონტალურ მიმართებაზე ეს გადასცლა, რასაც თან ახლდა დროის მომენტების გაძლიერება, განხორციელდა აღამიანის სხეულის ირგვლივ, რომელიც მაშინ კოსმოსის შეფასების ცენტრი გახდა.

მ. ბახტინის აზრით, შეუასაუკუნეების იერარქიის თვალსაზრისზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა არეოპაგიტიკამ, რომელიც ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის სინთეზს წარმოადგენდა. მასში დასრულებული სახითაა მოცემული იერარქიის სისტემა.<sup>31</sup> არეოპაგიტიკამ ნეოპლატონიზმიდან კოსმოსის საფეხურებრივი იდეა აიღო, რაც გულისხმობს სამყაროს დაყოფას „მაღლად” და „დაბლად”. ქრისტიანობამ კი არეოპაგიტიკას მისცა გამოსყიდვის იდეა, რომელიც უმაღლეს და დაბალ სამყაროებს შორის შეუამავალია. არეოპაგიტიკაში ციდან მიწისენაა სელა, ადამიანსა და ღმერთს შორის ციური ძალებია განლაგებული, ხოლო საეკლესიო იერარქია ციური იერარქიის ასახვა.

აქ ბახტინის თვალსაზრისიდან პირდაპირ თუ არაპირდაპირ ის დასკვნა გამოდის, რომ არეოპაგიტიკა შეუძლებელია რენესანსის საფუძველი ყოფილიყო. არეოპაგიტიკა ხომ

იერარქიული სისტემაა, მ. ბახტინის ასრიო კი, რენესანსი სწორედ იერარქიულ წყობას არღვევს.

რენესანსისა და პუმანიზმის პრობლემების მკელევარი ლეინიდ ბატკინი აღნიშნავს, რომ ხშირად რენესანსსა და პუმანიზმს აიგივებდნენ, ზოგჯერ კი ერთმანეთს უპირისპირებდნენ. აუტორი იმოწმებს იტალიელი ისტორიკოსის დელიო კანტიმორის თვალსაზრისს: „პუმანიზმი – ფართო მოძრაობაა, რომელსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ პუმანისტების ნაშრომებში. აღორძინება კი (როგორც ეს პუმანისტებს ესმოდათ) – ეპოქის აბსტრაქტული განსაზღვრებაა. ეს ტერმინები, თუკი ჩავუფიქრდებით, შეთავსებადია ერთმანეთთან”.<sup>73</sup>

ზოგჯერ, აღნიშნავს ლ. ბატკინი, „პუმანიზმისა“ და „აღორძინების“ ცნებებში ერთმანეთის მიმდევარ ეტაპებს გულისხმობენ და ამ აზრით პუმანიზმში „მაღალ აღორძინებას გულისხმობენ“. საკუთრივ ლ. ბატკინი პუმანიზმს სულაც არ მიიჩნევს აღორძინების ნაწილად და მისნად ისახავს აჩვენოს პუმანიზმის საერთო მიმართულება აღორძინებასთან.

გარეუეული წიაღსვლების შემდეგ ლ. ბატკინი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „პუმანიზმი“ და „რენესანსი“ ერთმანეთში გადადის, ერთმანეთში იგულისხმება. „რენესანსი – კულტურის პუმანიტარული ტიპია. პუმანიზმი კი – რენესანსული და მხოლოდ რენესანსული მოელენაა“.<sup>74</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბატკინის ეს თვალსაზრისი გაზიარებულია სხვა მკელევრების მიერ. მიგვაჩინია, რომ სპეციალური შენიშვნის გარეშე პუმანიზმის შემოფარგელა მხოლოდ რენესანსის ეპოქით მართებული არ უნდა იყოს.

ლ. ბატკინის აზრით, აღრინდელი პუმანიზმი აქცენტს აკეთებდა თეოლოგიაზე, მეტაფიზიკაზე, ნატურ-ფილოსოფიაზე... შემდგომში კი (XV საუკუნის შუა ხანები) ონტოლოგიაზე, ღმერთსა და შესაქმეზე.

ლ. ბატკინის აზრით, სულიერი ელიტარობის გარეშე ვერ წარმოიქმნებოდა საერთო ინტელიგენცია. ფილოსოფიური პუმანიზმის გარეშე არ შეიძლებოდა აზროვნების ახალი სტილის დაუფლება. ინტელექტუალური პათოსით ეზოტერიკული და ლინგვისტური ფორმის studie humanitatis (პუმანიზმის ცნების პირველი ლათინური აღნიშვნა) არ იქნებოდა ანტიკურობის ხელმეორე აღმოჩენა, არ იქნებოდა აღორძინება.<sup>75</sup> აქ

კი, ეპევგარეშვა, რომ ბატქინი რენესანსის ჩამოყალიბებაში საკუთრივ ჰუმანიზმის ანიჭებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს, რაც ანგარიშგასაწევი თვალსაზრისია.

ჰუმანიზარები ფიქრობდნენ, რომ სიწმინდის მიღწევა შეიძლება საერთო შემოქმედებაში ჩაძირეთ, ხოლო სათნოება მიიღწევა ანტიკური ტექსტების კითხვით.<sup>35</sup>

ლ. ბატქინის შეხედულებაში ჩანს, რომ მასთან ჰუმანიზმი და რენესანსი ზოგჯერ ერთმანეთს ფარავს. კერძოდ, როცა ის ლაპარაკობს ჰუმანისტებსა და რენესანსის მხატვრებზე, აღნიშნავს, რომ მათ ადამიანებში შენიშნეს ღვთაებრივი სახეების განხორციელების შესაძლებლობა.<sup>36</sup> ავტორის აზრით, აღორძინების გაგება ადვილი არაა, რადგანაც ის კულტურის ისეთი ტიპია, რომელიც ჩვენთან არასაკმარისად ახლოა და ამასთან არასაკმარისადაა შორს.<sup>37</sup>

საყურადღებოდ მიგვაჩნია ლ. ბატქინის თვალსაზრისი რენესანსის ბედზე მომდევნო დროის კულტურებში. რენესანსი, ავტორის აზრით, სხვა კულტურაში ხორციელდებოდა, როგორც მთლიანობა. იგი არ გადასულა არც მხოლოდ კაპიტალისტურ კულტურაში, არც მხოლოდ ბაროკოში და არც მხოლოდ განმანათლებლობაში; „აღორძინების მთლიანობა მდგომარეობდა როგორც მარადიული დაუმთავრებლობა, მარადიული პოტენციურობა, როგორც „ნაყოფიერ შებოჭილობასთან“ მჲიდრო კავშირში – დაუსრულებელი გადასვლა.“<sup>38</sup>

ლ. ბატქინი საინტერესო შედარებას აკეთებს სოკრატესა და ჰუმანისტებს შორის. სოკრატე თავისთავში ღრმავდებოდა და ის მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აზროვნებდა იგი. ჰუმანისტები კი წმინდა ესთეტიკურსა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ონტოლოგიურად იხილავდნენ. მათი ონტოლოგია დიდი ხანია მოძველდა, მაშინ როცა სოკრატეს თვით-შემეცნების პრინციპი მუდამ მისაბაძი იქნება. სწორედ ამიტომაც ჰლატონის დიალოგები უკვდავია, ხოლო ჰუმანისტების ნაწარმოებებს მხოლოდ სპეციალისტები კითხულობენ.

დასასრულს, ლ. ბატქინი საუბრობს ჰუმანიზმის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობაზე, რაც ფილოსოფიისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით გამოიხატება. ჰუმანისტებმა უკვე არსებული მასალის გამოყენებით კულტურის ახალი ტიპი შექმნეს.

შეიძლება ითქვას, რომ ლ. ბატკინის ნაშრომი იმ გამოყენებს შორის, რომლებიც რენესანსის და პუმანიზმის საკითხებისადმია მიძღვნილი, ერთ-ერთი საყურადღებოა.

### 3. პაიდებირი და სარტოი პუმანიზმის შესახებ

ზოგადად განვიხილოთ მარტინ პაიდეგერისა (1889-1976) და ეს პოლ სარტრის (1905-1980) ოვალსაზრისები პუმანიზმზე. საყურადღებოა, რომ მათთან სრულიად ახლებურადაა გაგებული პუმანიზმის ცნება.

პაიდეგერის აზრით, პუმანიზმი სპეციფიკური რომაული მოელენაა, რომელიც ლათინიზმის გვიანდელი ელინიზმის განათლებასთან შეხვედრის შედეგად წარმოიშვა. „პუმანიზმი“ – „ადამიანური ადამიანი“, პირველად რომის რესპუბლიკაში იქნა მოფიქრებული, როგორც „ბარბაროსი ადამიანის“ საწინააღმდეგო მოვლენა. XIV-XV საუკუნეების ე.წ. რენესანსი იტალიაში, პაიდეგერის აზრით, არის „რომაული სათონების აღორძინება“, „renaissance romanitatis“.<sup>39</sup> პაიდეგერი საუბრობს პუმანიზმის მარქსისულსა და სარტრისეულ (ამ უკანასკნელთან, როგორც ცნობილია ექსისტენციალიზმი არის პუმანიზმი) გაგებაზე, რომელიც არ საჭიროებს ანტიკურობისადმი დაბრუნებას.<sup>40</sup> პაიდეგერის აზრით, „ყოველგვარი პუმანიზმი ან განსაზღვრულ მეტაფიზიკას ეფუძნება, ან თვითონვე ქმნის ასეთ საფუძველს.“<sup>41</sup>

პუმანიზმზე პაიდეგერის თვალსაზრისი უპირველესად საინტერესოა იმით, რომ მასთან ეს ცნება ტრადიციული გაგებით არ არის წარმოდგენილი, რასაც მისი შემდეგი აზრიც ადასტურებს: კითხვა – რანაირად შეიძლება „პუმანიზმს“ დაუბრუნოთ აზრი, თავისთავში შეიცავს არა მხოლოდ სიტყვა „პუმანიზმის“ შენარჩუნებას, არამედ იმის აღიარებასაც, რომ ამ სიტყვამ დაკარგა თავისი აღრინდელი აზრი.<sup>42</sup>

ამასთან, პაიდეგერის შენიშვნით, „პუმანიზმის“ წინააღმდეგ გამოსვლა გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. კერძოდ, ამგვარი გამოსვლით არ მოხდეს ანტიპუმანიზმის დაცვა და ბარბაროსობისადმი ქება-დიდების შესხმა. ამაში არის „ლოგიკაც“ – ვინც პუმანიზმს უარყოფს, სხვა რა დარჩენია, თუ არა ამის საწინააღმდეგო ამტკიცოს ადამიანზე.<sup>43</sup>

საბოლოოდ აღნიშნულ საკითხესე პაიდეგერთან ის ასრი იყითხება, რომ ამა თუ იმ მოქლენაზე, კონკრეტულ შემთხვევაში – „ჟუმანისმასე“ მსჯელობისას ტრადიციულ შეფასებებს თავი უნდა დავაღწიოთ და ეს საკითხი თანამედროვე აზროვნების მოთხოვნათა მიხედვით განვიხილოთ.

ლაც შეეხება სარტოს, ის ერთმანეთისგან მკვეთრად ასევავებს ჟუმანიზმის ორ გაგებას.

ერთი გაგების თანახმად, ადამიანი განხილულია, როგორც მიზანი და უმაღლესი ღირებულება. ჟუმანიზმის ამგვარი გაგება გვხვდება, მაგალითად, უან კოკტოსთან. ამგვარ ჟუმანიზმში ადამიანი დასრულებული არსებაა და ის მთლიანობაში შეიძლება გაგებულ იქნეს ზოგიერთი ადამიანის გამორჩეული მოქმედების მიხედვით (მაგალითად, ისე როგორც კოკტოს ერთი ნაწარმოების გმირი, რომელსაც არავითარი წვლილი არ მიუძღვის თვითმფრინავის შექმნაში, როცა მაღალ მთებს გადაუფრენს, აღტაცებული შესძახებს „ადამიანი საოცარია!“).

ასეთი ჟუმანიზმი სარტოს აბსურდულად მიაჩნია, რადგანაც არ შეიძლება ადამიანი განსაჯოს ადამიანმა, „ექსისტენციალისტი არასოდეს არ განიხილავს ადამიანს როგორც მიზანს, რადგანაც ადამიანი მარად დაუსრულებელი არსებაა.“<sup>44</sup> სარტოი აქვე შენიშნავს, რომ ადამიანის კულტს ოგიუსტ კონტის (1798–1857) ჩაეტანილ ჟუმანიზმამდე და შეიძლება ითქვას, ფაშიზმამდე მიეკავართ.

ჟუმანიზმის მეორე გაგების თანახმად, ადამიანი მუდამ თავისი თავის გარეოა. სწორედ ამის საფუძველზე არსებობს ის, როგორც ადამიანი. მეორე მხრივ, ადამიანს არსებობა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ტრანსცენდენტური მიზანი გააჩნია. მხოლოდ თავისი თავის საზღვრების გადაღახევის საფუძველზე ობიექტების დაჭრით ადამიანი იმყოფება შუაგულშითავისი საკუთარი საზღვრებიდან ამ გასვლის ცენტრში, რადგანაც ადამიანური სუბიექტების სამყაროს გარდა სხვა სამყარო არ არსებობს.

მაკონსტრუირებელი ადამიანის მიერ ტრანსცენდეტურობასა (არა იმ აზრით, როგორადაც ღმერთია ტრანსცენდენტური, არამედ ადამიანის საზღვრებიდან გასვლის აზრით) და სუბიექტურობას შორის დამყარებული ეს კავშირი, რომლის თანახმადაც ადამიანი თავის თავში ჩაეტანილი კი არაა,

არამედ მუედაშ ადამიანურ სამყაროში იმყოფება, სარტრის ასწრიო, წარმოადგენს ექსისტენციალურ ჰუმანიზმს.<sup>45</sup> ამგვარი ჰუმანიზმის მიხედვით კი, ადამიანის გარდა სხვა კანონმდებელი არ არსებობს და სამყაროში „გადაგდებული“ ადამიანი თეოთორიაა თავისი ბედის განმგებელი. ადამიანმა რომ ადამიანურად მოახდინოს თავის თავის რეალიზაცია, ეს შესაძლებელია არა თავის თავში ჩაიძრეთ, არამედ მის გარეთ მისის ძიებით, რომელიც შეიძლება იყოს განთავისუფლება ან კიდევ რომელიდაც კონკრეტული თკითგანხორციელება.<sup>46</sup>

სარტრის მიხედვით, ნამდვილი ჰუმანიზმი სწორედ ისაა, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს და თავის ბედ-იღბლის განმგებლადაც საკუთრივ მას სახავს. ასეთია ექსისტენციალური ჰუმანიზმის არსი.

როგორც ვნახეთ, პაიდეგერთან და სარტრთან ჰუმანიზმის ტრადიციული გაგება გადასინჯულია. ჰუმანიზმის ამ სახით წარმოდგენა სხეულია მიღორმასა და კულევის სხვა გზას მოითხოვს.

განხილული სხვადასხვა თვალასაზრისების საფუძველზე შეიძლება გარეული დასკრების გაეთება რენესანსისა და ჰუმანიზმის ურთიერთმიმართებაზე. რენესანსისა და ჰუნანიზმის ცნებებზე ერთიანი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი არ არსებობს. ეს უყრო რენესანსის შესახებ ითქმის, რაც შეეხება ჰუმანიზმის ცნებას, მასში ძირითადად ამქეუყნიურის, მიწიერი ადამიანის ღირებულად მიჩნევა იგულისხმება.

აეტორთა ერთი ნაწილი რენესანსის ცნებაში ანტიკურობის აღდგენას გულისხმობს; მეორე ნაწილი რენესანსს კაპიტალიზმის გარიურავად მიიჩნევს და ქალაქური ცხოვრების დაწყებას უკავშირებს; მესამე ნაწილი (მაგალითად, ბურღალი) რენესანსს უფრო რელიგიურ მოვლენად თვლის; სოგიერთი მკვლევარი კი, რენესანსისთვის აუცილებლად მიიჩნევს კულტურის საყოველთაოდ აუვავებას. რენესანსის ერთი გაგება – ამქეუყნიურის ღირებულად გამოცხადება, არსებითად ემთხვევა ჰუმანიზმის გაგებას.

სხვადასხვა აეტორის თვალსაზრისთა შეჯერების, აგრეთვე შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის სააზროვნო ვითარების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ:

რენესანსი არის კულტურის ტიპი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში თავისებურად ელინდება.

რენესანსის არსებობისთვის აუცილებელია კულტურის საერთო აღმავლობა და აყვავება, რაც მთლიანობაში გულისხმობს ანტიკურობის აღდგენას, ფილოსოფიისა და ხელოვნების აღმავლობას, რელიგიის განსაკუთრებულ დონეს, და ამის შესაბამისად – პოლიტიკური და სამართლებრივი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

სრულყოფილი რენესანსული კულტურის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ყველა ამ ნიშნის არსებობა. მაგრამ შეიძლება ისიც, რომ რომელიმე აღნიშნულ სფეროში განხორციელდეს რენესანსი და გვექნება რენესანსი ვიწრო გაგებით (მაგალითად, რენესანსი ფილოსოფიაში, რენესანსი ლიტერატურაში და ა.შ.).

ისიც შეიძლება, რომ ჩამოთვლილ სფეროთაგან კონკრეტულ შემთხვევაში რომელიმეს დონე ვერ აქმაყოფილებდეს რენესანსის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში სრულყოფილი რენესანსი არ გვექნება. ის იქნება ბოლომდე „განუხორციელებელი“ რენესანსი (მომავალში ამ ცნების დაზუსტება აუცილებელია). ამ სახის რენესანსი არ უნდა ავერიოთ პროტორენესანსში (წინარე რენესანსში). ეს უკანასკნელი შეიძლება სრულყოფილ რენესანსში გადაიზარდოს, მაშინ როცა „განუხორციელებელ“ რენესანსს ამოწურული აქვს თავისი თავი.

ჰუმანიზმი რენესანსთან შედარებით უფრო კულტურულისტორიული მოვლენაა, რომელიც ძირითადად გულისხმობს მიწიერი ადამიანის, საერთოდ ადამიანურის დაყენებას სამყაროს ცენტრში და ამქვეყნიურის ღირებულებად გამოცხადებას.

ჰუმანიზმი შეიძლება გვხვდებოდეს როგორც აღორძინების ეპოქაში, ისე მანამდე და მის შემდეგ. დროის თვალსაზრისით ჰუმანიზმი უფრო ხანგრძლივი მოვლენაა, მაგრამ ჩარჩოებით უფრო ვიწრო, კიდრე რენესანსი.

# II თავი რენესანსისა და ჰუანიზმის მსოფლიშეადვიციური საფუძველი

რენესანსისა და ჰუანიზმის მსოფლიშეადვიციური საფუძვლების ჩამოყალიბებაში გადამწერები როლი ეკუთვნით რელიგიასა და ფილოსოფიას. კერძოდ, ქრისტიანობასა და ნეოპლატონიზმს.

## შ1. ქრისტიანობა და ნეოპლატონიზმი

ანტიკურობიდან შემდეგ გადასვლის გარდამავალ პერიოდში ყალიბდება ორი უმნიშვნელოვანესი რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედევულობა – ქრისტიანობა და ნეოპლატონიზმი, რომელთაც დიდი ურთიერთზეგავლენა პქონდათ. ამასთან, როგორც ქრისტიანი მოღვაწები ებრძოდნენ ფილოსოფიას, ასევე ზოგიერთი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფიის პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა და აქტიურად ებრძოდა ქრისტიანობას. ასე მაგალითად, პაკლე მოციქული, ტერტიულიანე და სხვები აქტიურად ებრძოდნენ ფილოსოფიას, ხოლო ნეოპლატონიკოსმა პორციონოსმა 15 წიგნი დაწერა ქრისტიანობის წინააღმდეგ.

ქრისტიანობასთან ნეოპლატონიზმის მიმართებაზე ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევია ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი მკლევრების – ვილჰელმ ეინდელბანდისა (1848-1915) და ერუარდ ცელერის (1814-1908) თვალსაზრისები.

ვინდელბანდის აზრით, ალექსანდრიული კულტურის ერთსა და იმავე ცენტრებში, სადაც ბერძნელი კულტურის კულა ფორმა ხედებოდა ყველა რელიგიურ მოძღვრებას, ერთდროულად წარმოიშვა ორი დოქტრინა – ორიგენისა (დაახლ. 185-253 ან 254) და პლოტინეს (205-270), რომელთა შორის მსგავსებასთან ერთად, დიდი განსხვავებაცაა. ქრისტიანული ლეთისმეტყველება (ორიგენის მიერ დაფუძნებული დოქტრინა) დასაყრდენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ეკლესიის სახით ჩამოყალიბდა, ნეოპლატონიზმი კი დაცული

და შენარჩუნებელი იქნა ცალკეულ პიროვნებათა მიერ, ამიტომაც, მან მხოლოდ ცალკეულ სკოლებში შეაღწია! ეს ფაქტორი მიაჩნია კინდელიძანდს ქრისტიანობასთან ბრძოლაში ნეოპლატონიზმის დამარცხების მთავარ მიზეზად.

ცელერის აზრით კი, ნეოპლატონიზმი თავისი წარმოშობით არ არის ელინური სულის რეაქცია ქრისტიანობის წინააღმდეგ<sup>2</sup>. როგორც ქრისტიანობა, ისე ნეოპლატონიზმი, აღიარებს ლეთაების გამოცხადებას, თუმცა ამ საკითხში მათ შორის განსხვავებაცაა: ქრისტიანობა გამოცხადებას ხედავს ისტორიულ პიროვნებასა და ფაქტში, ხოლო ნეოპლატონიზმისთვის გამოცხადება ნაწილობრივ საგნებისა და სამყაროს კანონების ბუნებრივი წესრიგით გამოიხატება, ნაწილობრივ კი – მისტიკური ჭრების მიუღწეველი მიზნით.

ცელერი დიდი მნიშვნელობას აჩინებს ფილონის მოძღვრებას ნეოპლატონური ფილოსოფიის ჩამოყალიბებში. მისი აზრით, ღმერთის არსების ფილონისეული განსაზღვრება საფუძვლად დაედო ნეოპლატონურ თეოლოგიას. ფილონი, ისევე როგორც ნეოპლატონიური სისტემის აგებას იწყებს უთვისებო, განუსაზღვრელი ღმერთით, ამასთან, ეს ღმერთი ერთდროულად იუდაური რელიგიის პიროვნული ღმერთიცაა, რომელიც ებრაელი ხალხის სასწაულმოქმედი მხესნელი უნდა ყოფილიყო. ამის გარდა, ფილონს არ უცდია ღმერთისა და მატერიის დუალიზმის გაუქმება ღმერთისაგან მატერიის გამოვანის საფუძველზე, როგორც ეს შემდგომ პლოტინეს ფილოსოფიაში განხილულდა<sup>3</sup>.

შ. ნუცუბიძის აზრით, ნეოპლატონიზმი არის სწორედ ის მოძღვრება, რომელმაც თავისებურად აითვისა ანტიური ფილოსოფია და დაიცვა იგი ქრისტიანული ღოგმატებისგან. მისივე აღნიშვნით, რენესანსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შემქნელები ნეოპლატონიზმიდან ამოდიან. კერძოდ, ნეოპლატონური ფილოსოფიის მონაპოვარი ათეისებული და გადამუშავებული იქნა არეოპაგიტულ მოძღვრებაში, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო რენესანსის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას.

შ. ნუცუბიძის კელეგის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს მინიშნება იმ ერთიან ხაზზე, რომელიც პლატონის ფილოსოფიიდან იწყება და ნეოპლატონიზმისა და მისი

მიმდევრების (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, მიქაელ ფსელოსი, იოანე იტალი, იოანე პეტრიწი, დავით დინანგი...) მსოფლი-მხედველობათა გავლით აღორძინების მსოფლმხედველობრივ საფუძველს ამზადებს. ამ მსოფლმხედველობრივი ხაზის წარმომადგენლები ცდილობენ ღმერთისა და სამყაროს დუალიზმის გაუქმებასა და სიკეთეს აბსოლუტურობის პრინციპის დამკვიდრებას. ოუმცა სადავოდ მიგანინია შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი ქრისტოლოგიასთან ანტიკურობის შეხებას კი არ მიმართავდა, „...არამედ, პირიქით, აგებდა ქრისტოლოგიურ მსოფლგაგებას, სადაც შენარჩუნებული იყო წარმართული ფილოსოფიის ტრადიციები და რომლის საფუძველს წარმოადგენდა მისი საბოლოო ფორმები”<sup>4</sup>.

## 1. ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება

ქრისტიანობა, რომელიც წარმოიშვა I საუკუნეში, მსოფლიოში გაერცელებული მონოთეისტური რელიგიაა. სხვა მონოთეისტური რელიგიების (იუდაიზმი, ისლამი) მსგავსად, ქრისტიანობაც აღიარებს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას დროში, არაფრისგან, ნებელობითი აქტის საფუძველზე.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მოძღვრება მკვდრეთით სხეულებრივ აღდგომაზე, რაც საბოლოოდ დაკავშირებულია ადამის ჩადენილ პირების ცოდვასთან. ადამისა და ევას შეცდომის სახით, შესცოდა მთელმა კაცობრიობამ, რადგანაც ისინი თავის თავში ატარებდნენ საერთოდ მთელ კაცობრიობას. რახან შესცოდეს ადამია და ევამ, ჩეენ – ადამიანები უკვე ცოდვილნი ვართ. გარკვეული დროის შემდეგ, როცა ადამიანმა დაცემის ზღვარს მიაღწია, ღმერთმა ქვეყნად მოავლინა ქრისტე, რომელმაც თავის თავზე აიღო ადამის მოდგმის ცოდვები.

ქრისტეს მოღვაწეობა ორ ფაზას მოიცავდა: მიწიერი ცხოვრება და სამი ღღე მის მკვდრეთით აღდგომამდე. მკვდრეთით აღდგომით ქრისტე საბოლოოდ აუქმებს სიკედილის გამგებლობას<sup>5</sup>. რამდენადაც ქრისტე ღმერთიკაა და ადამიანიც, ამდენად მისი აღდგომით მოხდა ადამიანის პირების სახით აღდგომა, როგორიც იყო ის, ვიდრე ცოდვას ჩაიდენდა.

აღდგომა თავდაპირუელი მდგომარეობის დაბრუნება<sup>7</sup>. ქრისტემ ადამიანების შეცოდებაზი იტეირთა და ამით ადამიანი გაათავისუფლა ცოდნებისგან.

აღდგომა მარადიულია და იგი არ უნდა გავიგოო, როგორც დროში მომხდარი აქტი, რითაც სამარადუამოდ გამოსყიდულ იქნა ყოველი ადამიანის ცოდვა. ყოველმა ადამიანმა, რამდენადაც მისოვის თანამდევია შეცოდება, უნდა განიცადოს ქრისტეს მოელინება და აღდგომის აქტი. ჩაშასადამე, ყოველმა ადამიანმა საკუთარ თავზე უნდა განიცადოს აღდგომის ფენომენი, სხვანაირად აღდგომა ყოველგვარ ა'ხრს დაკარგავდა.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამკვიდრება ზღვდა ფილოსოფიას და საბოლოოდ ეს პროცესი რწმენის ცოდნასე პრიმატის აღიარებით დასრულდა. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფილონ და კლემენტ ალექსანდრიელებმა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ქალაქი აღექსანდრია მრავალმხრივ განვითარებულ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთს ხედებოდა ბერძნული ფილოსოფია და იუდეველთა მსოფლმხედველობა.

ფილონის (ძე.წ. I ს.-ის დასასრული – ახ. წ. I ს. შუა ხანები) მრავალმხრივ შემოქმედებაში ბერძნული ფილოსოფიისა და ბიბლიის ერთმანეთთან შეგუების დიდი მცდელობაა. ფილონის განსჯის მთავარი საგანია მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნი. ამის საფუძველზე ყალიბდება არსებითად ფილონის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ბერძნულ ფილოსოფიასა და ბიბლიურ სიბრძნეს ერთი და იგივე წყარო გააჩნიათ – ღვთაებრივი გონება, ლოგოსი. თუმცა ბიბლიურ სიბრძნეს უპირატესობა გააჩნია, რაღანაც ის ლმერთის სიტყვაა (ლოგოსია) უშუალოდ. მაშინ როცა, ბერძნული ფილოსოფია ღვთაებრივი ლოგოსის ადამიანური ასახვაა<sup>8</sup>.

ფილონთან ლმერთი დახასიათებულია უარყოფითი ატრიბუტებით. მისივე აღნიშვნით – ადამიანური ენა უძლურია ლმერთის გამოსახატავად და რაიმე დადგითი ცოდნა ლმერთზე შესაძლებელია მხოლოდ ექსტაზის ან ბიბლიური გამოცხადების საფუძველზე<sup>9</sup>.

ფილონი აღიარებს ლმერთის მიერ სამყაროს შემქნას დროში, არაურისგან თავისი სიტყვის – ლოგოსის ძალით. შეუა საუკუნეების აზროვნების ცნობილი მკლევრის გენადი მაიოროვის აზრით, ამ თვალსაზრისის გატარებით ფილონი შეუა საუკუნეების უოველგვარი თეოლოგიის საფუძველმდებლად გვევლინება<sup>10</sup>.

მართალია, ფილონი რწმენას ცოდნაზე, თეოლოგიას – ფილოსოფიაზე მაღლა აყენებდა, საბოლოოდ იგი მაინც იმ კატეგორიის მოაზროვნეა, ვინც ბიბლიასთან ბერძნული ფილოსოფიის შეგუებას ცდილობდა. შემდგომში ეს მისწრაფება ქრისტიანობასთან ნეოპლატონიზმის შეგუების ტენდენციაში გადაიზარდა (კაპადოკიელი მამები, ავგუსტინე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი...), რაც საბოლოოდ ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა.

რელიგიასთან ფილოსოფიის შეგუების მცდელობის შემდეგ. თანდათანობით გამოიკეთა რელიგიისადმი ფილოსოფიის დაქვემდებარების ტენდენცია, როცა ფილოსოფია ბოლოს და ბოლოს თეოლოგიის მხევლად იქნა გამოცხადებული. ეს მოსაზრება კლემენტ ალექსანდრიელს ეკუთვნის და იგი საბოლოოდ იოანე დამასკელის მსოფლმხედველობით გაფორმდა.

კლემენტ ალექსანდრიელის (150-216) მსოფლმხედველობა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. იგი, ერთი მხრივ, ფილოსოფიას, ცოდნას რწმენაზე მაღლა აყენებდა, ხოლო მეორე მხრივ, ფილონის მსგავსად, ფილოსოფიას თეოლოგიას უქემდებარებდა. მას ეკუთვნის გამოთქმა – „ფილოსოფია თეოლოგიის მხევალია“.

კლემენტის აზრით, ფილოსოფია უშუალოდ ემსახურება თეოლოგიას იმით, რომ ეხმარება მას დასაბუთებაში, ამიტომაცაა ის თეოლოგიის მხევალი. უველა ქრისტიანისთვის ფილოსოფია არაა საჭირო, მაგრამ იგი აუცილებელია ლოთისმეტყველებისთვის, რადგანაც ის აძლევს მას საშუალებას დასაბუთების საშუალებით დაიცვას რწმენა. ეს არის კლემენტის პოზიცია თეოლოგების წინააღმდეგ, როცა ის ფილოსოფიას იცავს.

გნოსტიკოსებთან კამათში კი კლემენტი ცოდნასთან მომართებაში რწმენას ანიჭებს უპირატესობას. რწმენის უპირა-

ტესობას ცოდნასთან – ფილოსოფიასთან ის არის, რომ იგი უკელასთვისაა მისაწევდომი, ფილოსოფია კი უკიდურეს შემთხვევაში მიუწევდომელია კაცობრიობის ნახევრისთვის – ქალებისთვის<sup>11</sup>.

მეორე უპირატესობა ისაა, რომ რწმენა კაცობრიობას ეძლევა – ძლვენის, საჩუქრის სახით, მზამსარეულად, მაშინ როცა ფილოსოფია დასაბუთების ძნელ და, ამასთან, არც მოღად გარაჩირებულ გზას მოითხოვს.

ელემენტის მესამე და მთავარი არგუმენტი შემდეგია: რწმენა მოუწეველია შემეცნების პროცესისგან, ნებისმიერი ცოდნა რწმენის ელემენტს შეიცავს, ცოდნა და რწმენა მოუწეველია ერთმანეთისაგან. ამით კი ელემენტმა ქრისტიანულ ასროვნების ისტორიაში ჩამოაყალიბა რწმენისა და ცოდნის პარმონიის ცნობილი პრინციპი, რითაც ის ავგუსტინეს, ანსელმ კენტერბერიელისა და შეა საუკუნეების ფილოსოფიის სხვა ცნობილი ელასიკოსების წინამორბედია<sup>12</sup>.

ელემენტ ალექსანდრიელისთვის, ისე როგორც სხვა ქრისტიან მოასროვნეთათვის, ღმერთი ტრანსცენდენტური, ენიო გამოუთქმელი და ადამიანური ცოდნისთვის მიუღწეველია. ჩეენს მიერ ღმერთის დახასიათება განსაზღვრული პრედიკატებით (ღმერთი როგორც ერთი, სრულყოფილი, ეთილი და ა.შ.) სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა ამ ცნებებისთვის უფრო ამაღლებული შინაარსის მიცემას, მათში ისეთი შინაარსის ჩადებას, კიდრე ადამიანურ ენაზე გააჩნიათ.

ღმერთს, – ელემენტის აზრით, – მიესადაგება უარყოფითი დახასიათება. ამით კლემენტი, ფილონის კვალად, საფუძველს უურის აპოფატიკურ (ნეგატიურ) თეოლოგიას, რასაც შემდეგომ დიდი გამოყენება პქონდა კაპადოკიელი მამების, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და მაქსიმე აღამისარებლის შემოქმედებაში<sup>13</sup>.

ქრისტიანობას საუკუნეების განმავლობაში თავის მსოფლიმედველობრივი პრინციპების გატარებისა და განმტკიცებისთვის, შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდა. მსოფლმხედველობრივი საკითხების ირგვლივ ქრისტიანობას არსებითად ფილოსოფიასთან პქონდა პოლემიკა. ჯერ კიდევ პავლე მოციქული ენერგიულად იბრძოდა ფილოსოფიის წინააღმდეგ. იგი არ ცნობდა გონების დამოუკიდებელ ღირებულებას მაშინაც კი,

როცა ის რწმენას უქვემდებარებოდა. პაკლე მოციქული ოყლის, რომ რწმენას და თეოლოგიას ფილოსოფია არ ესაჭიროება, არც წარმართობის წინააღმდეგ ბრძოლაში და არც როგორც ორგანონი. პაკლე მოციქულის აზრით ქრისტე განკაცებული დმურთია, სამყაროს საფუძველი და მიზანია<sup>14</sup>.

პაკლე მოციქული ფილოსოფიისადმი აბსოლუტურად უარ-ყოფითად იყო განწყობილი და მასთან არაეთარ კომპრო-მისზე არ მიდიოდა. ფილოსოფიაზე მისი ყველაზე გავრცე-ლებული აზრის თანახმად, ფილოსოფოსები ის ხალხია, „რო-მელთაც ღვთის ჰეშმარიტება შეცვალეს სიცრუით, თავეანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმე-დისა, რომელიც უურთხეულია უუნისამდე“ (რომაელთა, I,25).

ქრისტიანული მსოფლმხედველობის დაცვასა და განმტკი-ცებას ემსახურებოდა ეკლესიის მამათა მოღვაწეობა, რომელ-თა თეოლოგიური, ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სიკია-ლური დოქტრინები გაერთიანებულია პატრისტიკის ცნებაში და მოიცავს II—VIII საუკუნეებს.

პატრისტიკის პირველი პერიოდი – II-III საუკუნეები, აპო-ლოგეტიკის ხანაა. ამ უანრის უმნიშვნელოვანეს წარმომადგე-ნელი – ტერტიულიანე (150-220) ათენსა და იერუსალიმს, როგორც ფილოსოფიისა და რელიგიის ცენტრებს ერთმანეთს უპირისპირებდა და უოელგვარ მეცნიერულს ღმერთთან მიმართებაში უაზრობად მიიჩნევდა. ტერტიულიანე უმაღლეს სიბრძნედ გამოცხადებას აღიარებდა<sup>15</sup>. ტერტიულიანე პაკლე მოციქულის გზას მისუვება, კინც ენერგიულად იბრძოდა ფი-ლოსოფიის წინააღმდეგ და უოელგვარ ამქვეყნიურ სიბრძნეს ღვთაებრივთან შედარებით უაზრობად მიიჩნევდა („რადგანაც სიბრძნე ამა ქვეყნისა სიშლეგვა ღმერთის წინაშე“, კორინ-თელთა, 1,3,19). ტერტიულიანეს ეკუთვნის რწმენის შეუეალო-ბის შემდეგი ცნობილი თეზა: მწამს, რადგან აბსურდია!

პატრისტიკა თავისი განვითარების უმაღლეს მწერებალს აღწევს საბერძნეთის აღმოსავლეთში კაბადოკიელი მამების სახელით ცნობილ ღვთისმეტყველთა (ბასილი დიდი, გრიგორ ნაზიანზელი, გრიგორ ნოსელი) და ლათინურ დასავლეთში ნეტარი ავგუსტინეს შემოქმედებაში. პატრისტიკის უმნიშვნე-ლოვანესი წარმომადგენლები იყვნენ ფსევდო-დიონისე არეო-

პაგელი და ბოეციუსი. პატრისტიკა იოანე დამასკელის შემაჯუმებელი შრომებით მთავრდება.

აქ განხილულ ქრისტიანული რელიგიის ძირითად პრინციპებსა და ქრისტიან ღვთისმეტყველების წარმომადგენელთა თვალსაზრისებთან, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქრისტიანული მსოფლისედეველიტის ჩამოყალიბებესა და განმტკიცებაში, უშავალო შეხების წერტილები ჰქონდათ ნეოპლატონიკოსებს.

## 2. ნეოპლატონიზმი

ნეოპლატონური ფილოსოფია ანტიკური ფილოსოფიის გარკვეული შეჯამება და დასასრულია. ამ სისტემაში არსებითად გაერთიანებულია პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები, პლატონის თვალსაზრისისადმი უპირატესობის მინიჭების ნიშნით. ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის დამწყები იყო ამონიუს საკა (დაახლ. 175, დაახლ. 242), ხოლო გამოჩენილი წარმომადგენლები: პლოტინე (205-270), პორფირიონი (234-301), იამბლიქე (245-330) და პროკლე (412-485).

პლოტინეს ფილოსოფიის მიხედვით, პირველმიზეზი (ლმერთი), ანუ სიკეთე არის ერთი. პირველი ერთი სრულყოფილების უმაღლესი სახეა და მის დასახასიათებლად ხილული სინამდვილიდან აღებული ცნებები არ გამოდგება. პირველი ერთი მარტივია, რთული რომ იყოს, მაშინ ნაწილების შემცველი და სრულყოფილებას მოკლებული იქნებოდა. პლოტინეს აზრით, პირველი ერთი არის ენერგია, რომელიც სრულყოფილების სისარბისა და სისავსის გამო თავისი თავიდან გადმოედინება<sup>16</sup>.

პლოტინეს სისტემაში, იერარქიულ კიბეზე პირველი ერთის მომდევნო საფეხურია გონება, რომელიც პირველი ერთის მსგავსად მარადიულია, მაგრამ მასთან შედარებით ნაკლებსრულყოფილია და მარტივიც აღარ არის. გონება არის სიმრავლე ერთში. გონების საფეხურზე იწყება თვითშემცნება და რამდენადაც იგი თავისი თავიდან არ გადის, ამდენად თვითონაა მოაზროვნეც და სააზროვნოც.

გონიება ქმნის იერარქიის მესამე საფეხურს სულს, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია იერარქიის მეოთხე და ბოლო საფეხურთან – კოსმოსთან.

სინამდვილე პლოტინეს ფილოსოფიაში საბოლოოდ ასეა წარმოდგენილი: პირველი ერთი (პირველმიზეზი, დმერთი) – გონიერია – სული – კოსმოსი (მატერიალური სინამდვილე).

პლოტინეს ფილოსოფიაში საგანგბოდიდა განხილული მატერიის ცნება და იგი ორი სახითაა წარმოდგენილი: გრძნობადი და მისი შესაბამისი ზეგრძნობად სუერთში. რამდენადაც პირველი ერთი მარადიულია და მისი არსებაა თავისი თავიდან გასვლა – გადმოღვრა, გადმოდენა და ეს აქტიც მარადიულია, ამიტომაც საჩამ იარსებებს პირველი ერთი, მუდამ იქნება გადმოღვრაც. გამომდინარე აქედან, პლოტინეს აზრით, მატერიაც, იქნება ეს გრძნობადი თუ ზეგრძნობადი, მარადიულია (ის ხომ პირველი ერთიდან მომდინარეობს) <sup>17</sup>.

პირველი ერთი, როგორც სრულყოფილების უმაღლესი ფორმა და ყველაფრის საფუძველი, თავის თავში მოიცავს მთელ იდეალურ სინამდვილეს. მასში არის უმაღლესი სიკეთე, უმაღლესი ჭეშმარიტება და უმაღლესი მშენიერება. პირველ ერთში სიკეთე, ჭეშმარიტება და მშენიერება ნაწილების სახით კი არაა მოცემული, არამედ თვით პირველი ერთია ერთდროულად უმაღლესი სიკეთეც, უმაღლესი ჭეშმარიტებაც და უმაღლესი მშენიერებაც. ამ საკითხში პლოტინე უშუალოდ მიჰყება პლატონის ფილოსოფიას.

პლოტინეს ფილოსოფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღმერთის ცნების გაგებას, კერძოდ, მის დადებით და უარყოფით დახასიათებას. პლოტინეს აზრით, პირველი ერთის (ღმერთის) დახასიათება შეიძლება როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ღმერთის დადებითი დახასიათებისას, მას მიერება ხილული სინამდვილიდან აღებული არსებების სახელები, მაგრამ ნებისმიერი ამ სახელთაგანი მიახლოებითაც ეერ გამოხატავს ღმერთის ნამდვილ ბუნებას. ეს სახელები, პრედიკეტები ფაქტობრივად პირველი ერთისადმი ჩვენ მიერაა მიწერილი და არა თვით მისთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებები. ამიტომაც ღმერთისადმი დადებითი მეოთხით მიწერილი სახელები და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული

ცოდნა ირლევენა ღმერთის „უარყოფითი დახასიათებისას. ღმერთის „უარყოფითი დახასიათებისას უქმდება კველა ის სახელი, პრედიკაწი, რაც მიეწერება დადგებითი დახასიათებისას. საბოლოოდ როგორც დადგებითი, ისე უარყოფითი დახასიათება, ვერ იძლევა სრულყოფილ ცოდნას ღმერთის შესახებ. ღმერთის ეს ორგვარი დახასიათება რაციონალური ცოდნის სფეროა, რაც არაა საქმარისი ღმერთის საბოლოო წვდომისთვის. ამიტომაც საჭირო ხდება ახალი გზის გამოქვებნა პირველი ერთის წვდომისთვის. პლოტინეს ფილოსოფიაში ეს არის – მისტიკური ჰერეტის გზა.

ღმერთის მისტიკური, მესაიდუმლოებით ჰერეტის, რაც არაფილოსოფიური გზაა, უმნიშვნელოვანესი აღგილი უკავია პლოტინეს მოძღვრებაში. პლოტინეს აზრით, ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა პირველი ერთისკენ მისწრაფება მასთან საბოლოოდ გაერთიანების მიზნით. ამისთვის კი უპირველესად საჭიროა სხეულის ტყვეობისგან თავის დაღწევა. ეს კი იწყება იმით, რომ ადამიანი ივიწყებს გარე სინამდვილეს, იძირება სულის სიღრმეში, რის შემდეგაც ხედავს გონებისა და სულის პირველ სახეებს და ამ მდგომარეობაში ელოდება პირველი ერთის ხილვას.

პირველ ერთთან გაერთიანებისთვის აუცილებელია კველა იმ საფეხურის გავლა, რომელიც ღმერთისგან მომდინარეობს. პლოტინეს აზრით, როცა ჩვენ გვინდა პირველ ერთთან გაერთიანება, ამისთვის უნდა მიემართოთ სულის ღვთაებრივ ნაწილს (სულის მეორე ნაწილი მიწასთანაა დაკავშირებული). ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა უკელა იმ თვისებების ჩამოცილება, რომლებიც მიწისკენ გვეზიდებიან. ამის შემდეგ, სული მიმართავს გონებას, გონება კი პირველ ერთს. პლოტინესთან პირველი ერთის უშუალო ჰერეტი კი არა, არამედ მასთან მისასელელი უკელა საფეხურის გავლა ხდება. ეს არის ლოგიკური გზა და ამიტომაც ახასიათებენ პლოტინეს მისტიკიზმს, როგორც ფილოსოფიურ ინტელექტუალურს<sup>18</sup>.

პლოტინეს მისტიკიზმის ფილოსოფიურ-ინტელექტუალურ ხასიათს აღასტერებს ისიც, რომ მის მოძღვრებაში პირველი ერთის წვდომა შესაძლებელია ნეგაციის საფუძველზე. რაც გულისხმობს ღმერთში იმის უარყოფას, გამორიცხვას, რაც ის არ არის და, რაც მას არ ეკუთვნის<sup>19</sup>.

პლოტინეს აზრით, დადებითი დახასიათებისას ღმერთს ჩიურება ხილული სინამდვილიდან აღებული სახელები, რომლებიც არ შეესაბამებიან მის არსებას. ამიტომაც აუცილებელი ხდება დადებითი დახასიათებისას მიწერილი სახელების ჩამოცილება. ესაა პლოტინისეული ნეგაცია, რასაც ნიკოლაი ბერლიაევი (1874-1948) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული მეტაფიზიკისთვის.

ღმერთის ნეგაციის შემდეგ, პლოტინეს აზრით, ჩეენ მიუისწრაფვით მისკენ აზროვნების მეშვეობით და ვგრძნობთ, რომ ღმერთი არის გონიების უშინაგანესი არსება, თუმცა მისი გამოხატვა არ შეგვიძლია, მისი გადმოცემა ჩვენს ძალებს აღემატება. პლოტინეს აზრით, აზროვნება არაა საკმარისი ღმერთის ჰერეტისთვის. ამ გზით ღმერთის ნაწილობრივი წედომაა შესაძლებელი, ღმერთის საბოლოო წედომისთვის უნდა მიუმართოთ ინტუიტურ გზას<sup>20</sup>. აღნიშნულიდან ცხადია, რომ პლოტინესთვის აზროვნება საკმარისი არა არის ღმერთის წედომისთვის, თუმცა ღმერთის ჰერეტის გზაზე ის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა.

როგორ და რანაირად ხდება ღმერთთან ადამიანის შეწყრმა-გაერთიანება? ეს გახლავთ პლოტინეს მისტიციზმის მთავარი კითხვა. როდესაც ადამიანი მიმართულია ღმერთისადმი, პირველად იგი გრძნობს, რომ ღმერთი მისგან განსხვავებულია, იგი სხვაა და ღმერთი სხვა. მაგრამ, როდესაც ადამიანი იძირება საკუთარ „მე“-ში, ამით იგი გადალახავს ყოველგვარ შიშს და შეერწყმის ღმერთს.

პლოტინეს აზრით, ღმერთთან შერწმისთვის აუცილებელია აგრეთვე ღმერთის სიძლიერის რწმენა<sup>21</sup>. ღმერთი ჩეენ-შია და არა ჩეენს გარეთ, ამიტომაც, პლოტინეს თანახმად, ღმერთის წედომა შესაძლებელია საკუთარ თავში ჩაღრმავებით. სწორედ იმის საფუძველზე, რომ ღმერთი ჩვენშია, ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია მისი მიღწევა, მაგრამ ადამიანები უფრო დიდ უურადვებას აქცევენ სხეულს, რითაც შორდებიან ღმერთს და უცხოვდებიან მისგან<sup>22</sup>.

ღმერთთან შერწყმა-გაერთიანება ამავე დროს არის სიკეთის ცოდნა, რასაც პლოტინეს აღნიშვნით, პლატონმა უდიდესი ცოდნა უწოდა. პლოტინეს აზრით, სიკეთის ცოდნა მიიღწევა ანალოგით, აბსტრაქციით, ნეგაციითა და ძირითად

საფეხურებზე მეთოდური სკლით. ეს საფეხურებია: განწმენდა ლოცვის მეშვეობით, სიკეთით შემქობა, აღმატრენა-ლურ სამყაროში და იქ დარჩენისა ცდა. ამ გზით მიიღწევა პირველი სინათლე, უმაღლესი მისეზი ანუ ლმერობი<sup>23</sup>.

აქ პირველ რიგში უურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პლოტინეს მოძღვრებაში, თვით ლმერთის მისტიკურ ჰერეტიკაში, რომელიც რაციონალური ცოდნის უძლურების გამოა შემოტანილი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემეცნების უილოსოფიურ ხერხებს (ანალოგია, აბსტ-რაქცია, ნეგაცია). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პლოტინეს მისტიკური რელიგიური მომენტიცაა გათვალისწინებული, რასაც ადასტურებს ლმერთის წელიმისთვის ლოცვის საფეხურის აუცილებლობა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პლოტინე უარყოფს ასკეტიზმს.

უკეთ იურ მსჯელობა პლოტინეს თვალსაზრისზე, რომლის თანახმადაც ლმერთი ჩვენშია და არ გვტოვებს ჩვენ. ამის გარეშე არსებული სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია. ჭეშმარიტ სიცოცხლედ კი პლოტინეს ლმერთთან საიდუმლო კავშირი მიასწინა, რაც გულისხმობს ლმერთთან მისტიკურ გაერთიანებას. ეს კავშირი, გაერთიანება საიდუმლოა იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია მისი გადმოცემა ცოდნის ენაზე. პლოტინეს აღნიშვნით – ლმერთის გვრცელისას ადამიანი გრძნობს, რომ ის ღვთაებრივია, ამ მდგომარეობის გასვლის შემდეგ, იგი „ისევ დამძიმდება“<sup>24</sup>. აქ პლოტინე ცდილობს, რომ ლმერთის ტრანსცენტურობა და იმანენტურობა შეუგუოს ერთმანეთს. კერძოდ, პლოტინეს აზრით, ლმერთი, ერთი მხრივ, ჩვენშია და ამდენად შეიძლება მისი ჩვენში აღმოჩენა, დანახვა, მაგრამ, ამასთან იგი, როგორც მთელი სინამდვილის საწყისი და უზოგადესი პრინციპი, შეუძლებელია მხოლოდ ჩვენში იყოს. ის ამავე დროს ჩვენს გარეთაცაა. პლოტინე აღნიშნავს კიდეც, რომ საუთარ თავში ჩაღრმავებით და ამის საფუძველზე ლმერთის აღმოჩენით, ჩვენ, ფაქტობრივად, ჩვენს გარეთ გავდივეართ. ეს კი ცხადად აჩვენებს, რომ პლოტინე ლმერთის ტრანსცენტურობას და იმანენტურობას უშუალოდ აქავშირებდა ერთმანეთთან. ამით კი ნაცადია ლმერთისა და სამყაროს (ადამიანი ხომ სამყაროს ნაწილია) გაერთიანება, რაც ამავე დროს იმის მაჩვენებელია, რომ ხილული

სინამდვილე თავისთავადაა ღირებული, რადგანაც მასში  
არის ღმერთი, ღვთაებრივი ენერგია.

პლოტინეს ფილოსოფიაში, როცა მსჯელობა შეეხება  
ადამიანის უმაღლეს დანიშნულებას – ღმერთთან შერწყმა-  
გარეთიანებას, ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი ადამიანის  
უმაღლესი დანიშნულება ღმერთთან გაერთიანებაა, როცა  
შერწყმა-გაერთიანების აქტი განხორციელდება, მაშინ რატომ  
არ რჩება, ადამიანი მარადიულად ასეთ მდგომარეობაში.  
პლოტინეს აზრით, რამდენადაც ადამიანი სხეულისაგან შედ-  
გება, სწორედ ეს უშლის ხელს მას ღმერთთან მარადიულ  
ერთიანობაში დარჩენას. სხეულისგან განთავისუფლება  
დროებითი მოვლენაა, გარევეული დროის შემდეგ სხეული  
აიძულებს ადამიანს დაუბრუნდეს თავის მდგომარეობას<sup>25</sup>. აქ  
ადამიანის ექსტაზი ყოფნას ეხება მსჯელობა. ექსტაზი,  
პლოტინეს აზრით, გარკვეული დროის მანძილზე გრძელდება  
და სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი სხეულის შემცველია,  
არ ძალუქს მას ექსტაზის მდგომარეობაში მარადიულად  
დარჩენა.

ედუარდ ცელერის აზრით, პლოტინესთან დათაებრივი  
გამოვლენის მიღწევა მომენტალური აქტით ხდება. გამოდის,  
რომ ღმერთთან ადამიანის ეს შერწყმა-გაერთიანება ერთეუ-  
ლი მომენტალური აქტებისგან შედგება. ერთი შეხედვით, აქ  
სახეზეა წინააღმდეგობა: ადამიანის სული ღმერთთან გაერ-  
თიანებისას, ამავე დროს, გრძნობად მდგომარეობაშიცაა. ცე-  
ლერის აზრით, აქ არავითარ წინააღმდეგობას არ აქვს აღ-  
გილი, რადგანაც თვით პლოტინეს აღნიშვნით ამგვარ მო-  
ნაცელებაში მუდავნდება სულის ნამდვილი ბუნება – სული  
ზეგრძნობადი ცხოვრებისას იმუოფება სხეულებრივშიც<sup>26</sup>.  
გრძნობადსა და ზეგრძნობადს შორის ყოფნა რომ შეძლოს  
ადამიანმა, ამისთვის რაღაც შეაღედური რგოლია საჭირო,  
რომლის დროსაც სული მიწიერი ცხოვრებისას ამაღლდება  
გრძნობადზე. ასეთი მდგომარეობა მიიღწევა რელიგიაში. ეს  
პლოტინეს აზრია და ამიტომაც იყო, რომ როგორც ამას  
სამართლიანად შენიშნავს ცელერი – პლოტინეს მიმდევრები  
განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღაენებდნენ რელიგიის მი-  
მართ<sup>27</sup>.

დმერთის უშუალო წვდომის, მასთან შერწყმა-გაერთიანების გზაზე, სულმა ჯერ თავისი უშუალო მიზეზი – გონების საფუხხური უნდა გაიაროს, რის შემდეგაც ის ივიწყებს აზროვნებას და მთელ უკრადდებას მიაპყრობს უმაღლეს სიკეთეს, დმერთს. როცა გონება ჭერეტს უმაღლეს სიკეთეს, ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ თვით გონებას ორი უნარი გააჩნია: მოაზროვნე, როცა ხდება იმის დადგენა, თუ რა არის საკუთვრივ მასში და მეორე უნარის მეშვეობით გონება დმერთს ჭერეტს. პირველად, როცა გონება უმაღლეს საწყისს ჭერეტს, მას დმერთი გარეგანად ეჩერენება, შემდეგ კი შინაგანად. პირველი ჭერეტისას გონება არის მოაზროვნე, მეორე ჭერეტისას, გონება, როგორც „ნეტარით მთერადი“, კარგავს აზროვნების უნარს<sup>28</sup>. როგორც უხედავთ, პლოტინესთან მისტიკერი ჭერეტისას აზროვნება საბოლოოდ ძალადაკარგულია, მაგრამ იგი მაინც ასრულებს გარეუეულ როლს მისტიკური ჭერეტის განხორციელებისას, ეკრძოდ, სწორედ აზროვნების მეშვეობით ხდება ხილული სინამდეილიდან აღებული და უმაღლესი საწყისისადმი მიწერილ პრედიქატა სახელების ჩამოცილება.

პლოტინეს აზრით, დმერთის წვდომა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც დაჯილდობებულია ფილოსოფიის სიუვარულის უნარით, ვინც თავიდანვე ფილოსოფოსია. ასეთი ადამიანი არ ემაყოფილდება გრძნობადი სილამაზით, არ ჩერდება სხეულებრივით და მიისწრაფებს უმაღლესი მშენებირებისკენ. საბოლოოდ პლოტინე ასკვინს, რომ დმერთისადმი მისწრაფება დამახასიათებელია ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ფლობენ ფილოსოფიურ უნარებს.

დასასრულს განვიხილოთ თავისუფლების საკითხი პლოტინესთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ფილოსოფიის არსის გასაგებად. პლოტინეს აზრით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელიც განთავისუფლებულია სხეულებრივი ცოდვებისგან და მოქმედებს გონების კარნახით. თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის სურვილი, რომელიც განსაზღვრულია გონებით<sup>29</sup>. ამასთან, ადამიანის თავისუფლებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა ადამიანი სიკეთისკენ მიიწრაფების, რადგანაც ცველაფერი, რაც კეთდება, სწორედ სიკეთისთვის კეთდება<sup>30</sup>.

აქ ბ'უნებრივია კითხვა: რატომაა სიკეთისკენ სწრაფვა თავისუფლება? პლოტინეს აზრით, სიკეთე თვითონაა თავისუფლება და ამიტომაც მისდამი მისწრაფება და გაერთიანება თავისუფლების გარანტიაა. რაც შეეხება სიკეთის თავისუფლებას, პლოტინეს აზრით, რადგან სიკეთე უმაღლესი საწყისია, უეყლაფრის საფუძველია, შეუძლებელია ის თავისუფლიც არ იყოს. სხვა შემთხვევაში ის შეზღუდული და გამომდინარე აქედან უმაღლესი საწყისიც აღარ იქნებოდა<sup>31</sup>. უმაღლეს საწყისს, ღმერთს სიკეთე ახასიათებს არა როგორც ატრიბუტი, არამედ თვითონ იგია თავისუფლება. აქ პლოტინე სიკეთეზე ლაპარაკობს, როგორც უმაღლეს საწყისზე, ღმერთზე, რომლისადმი მისწრაფებაც არის ნამდვილი თავისუფლება.

ასეთია ზოგადად პლოტინეს ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები.

პროკლე. პლოტინეს შემდეგ ნეოპლატონური ფილოსოფიის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია პროკლე, რომელიც პლოტინეს „...თავისი იდების ორიგინალურობასა და სიახლეში თუ ჩამორჩება, რამდენადაც პლოტინემ შექმნა ფილოსოფიის ახალი სისტემა, პროკლემ კი გააღრმავა და დააზუსტა ეს სისტემა. ყველა სხვა მიმართებაში ის უდავოდ აღემატება პლოტინესაც კი”<sup>32</sup>, შენიშვნავს ნეოპლატონური ფილოსოფიის დიდი მცოდნე ალექსეი ლოსევი. პროკლესთან, ისევე როგორც პლოტინესთან, პირველსაწყისი არის ერთი, ემანაციური იერარქიის მეორე საფეხურს წარმოადგენს გონგბა, მესამე – სული, მეოთხეს კი – კოსმოსი.

პროკლეს ფილოსოფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არსებათა შორის მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას. ყოველ არსებას, პროკლეს აზრით, თავისი მიზეზი აქვს და შეუძლებელია, რომ არსებულებს მიზეზი არ გააჩნდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა ცოდნა არსებებისა თუ საგნების შესახებ, კერ ვიტოზით, რომ ერთი საგანი მეორესთან მიმართებით პირველადია, არ იქნებოდა განსხვავება წარმოშობელსა და წარმოშობილს შორის და ა.შ.

პროკლეს ცოდნის აუცილებელ პირობად მიაჩნია ყოველგვარი არსებულის მიზეზის ცოდნა: „და ჩვენ მაშინ ვამბობთ, რომ ნამდვილად ვიცით, როცა ვიცით არსებულის მიზეზი”<sup>33</sup>.

ამრიგად, ცოდნა რომ გვქონდეს არსებულის შესახებ, ამისთვის არსებულს უნდა გააჩნდეს მიზეზი. თუ მიზეზი და მისი შედეგი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და არ არსებობს მიზეზთა უსასრულო რიგი (სხვა შემთხვევაში თუკი მიზეზთა უსასრულო რიგი იქნება, მაშინ არ გვექნება ცოდნა რაიმე საგნის „შესახებ, რაღანაც უსასრულოს ცოდნა შეუძლებელია), მაშინ უნდა არსებობდეს არსებულის პირველმიზეზი, რომლისგანაც, როგორც საფუძვლისგან მომდინარეობს ყველა არსება, ყველა საგანი.

არსებულთა პირველმიზეზი კი არის ერთი. პროკლეს აზრით, სიმრავლე აუცილებლად ნაზიარებია ერთს, სხვა შემთხვევაში – სიმრავლის ყოველი შემადგენელი ნაწილი ისევ სიმრავლე იქნება (ის ხომ ერთიანობის პრინციპს მოქლებულია) და ა.შ. უსასრულოდ. ამ შემთხვევაში ყოველი ნაწილი უსასრულობის უსასრულობის რიცხვისგან იქნება შედგენილი და, ამდენად, თუ არ იქნება ერთი, არ იქნება არაფერი (ასეთ უსასრულობაზე ხომ არაფრის თქმა არ შეიძლება). გამომდინარე აქედან, პროკლე აკეთებს დასკვნას, რომ პირველსაწყისი ერთია და არა სიმრავლე, ის რომ არსებობდეს, ერთიანობას უნდა იყოს ნაზიარები აუცილებლად.

პირველ ერთს, თავის მხრივ, არსებობისთვის არ სჭირდება სხვასთან ზიარება, პრიკლეს ამ ოვალსაზრისის გასაგებად გაყიხსენოთ ნეოპლატონიკოსთა საერთო აზრი პირველსაწყისი ერთის შესახებ, რომლის თანახმადაც, ის არის მარტივი, უმაღლესი არსება, სრულყოფილების უმაღლესი ფორმა, არსებულთა საფუძველი, რომელიც თავისი თავიდან არ გადის. თავისი თავიდან რომ გადიოდეს, მაშინ მას აღგილი დასჭირდებოდა, აღგილის მქონე კი ნაწილების შემცუქლია და ამდენად აღარ იქნება ერთი (ნაწილები უკვე სიმრავლეს ნიშნავს). ასე რომ, პირველსაწყისი არის ერთი, ის ამავე დროს პირველადი, ხოლო სიმრავლე მასთან შედარებით მეორადია.

პროკლესთან პირველი ერთი (ღმერთი) ყველფრის საფუძველია, მწარმოებელია (შექმნილის მნიშვნელობით), რომელიც აღემატება მის მიერ წარმოებულს (შექმნილს). ეს ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი დებულებაა,

რაც გამოხატავს ამ ფილოსოფიურ სისტემაში მოცემული იერარქიული კიბის არსებობის არსებობის სათავეშია პირველი ერთი, რომელიც ყველაფრის მწარმოებელია, ხოლო ბოლოში – პასიური მატერია.

აზროვნების ისტორიაში პროკლეს ფილოსოფიის განსაკუთრებული დამსახურება ტრიადული პრინციპის შემთხვევანა, რომლის არსიც ასეთია: არსებულთა ყოფნა მიზეზში, მათი გამორსელა მიზეზიდან და უკუდაბრუნება ამავე მიზეზში. ამასთან, პრელესთან ტრიადული პრინციპი ლოგიკურის სფეროს ეხება. პროკლეს აზრით, თავის მიზეზში დაბრუნება შეუძლია მხოლოდ უსხეულოს, რადგანაც თავის თავში დაბრუნება ნიშნავს დაბრუნებულისა და რაშიც ბრუნდება იმის გაერთიანებას, ამიტომაც ასეთი რამის თქმა სხეულებრივის მიმართ დაუშევებელია. ეს იმის გამო, რომ სხეული შედგება ნაწილებისგან, რომელებიც სხვადასხვა ადგილას არიან და სწორედ ამ მიზეზით სხეულებრივის თავის თავში დაბრუნება შეუძლებელია, კერძოდ, ამ დროს ვერ განხორციელდება გაერთიანება დაბრუნებულსა და იმას შორის, რაშიც ხდება დაბრუნება.

ტრიადული პრინციპის გადმოცემისას პროკლე ფაქტობრივად ეხება ნეოპლატონიზმის ისეთ არსებით მომენტს, როგორიცაა პირველი ერთიდან არსებათა წარმოშობის საფუძველი. რის საფუძველზე ხდება პირველი ერთიდან არსებათა წარმოშობა? პროკლეს აზრით, რომელიც აბსოლუტურად ემთხვევა პლოტინეს თვალსაზრისს, პირველი ერთიდან არსებათა წარმოშობა ხდება სრულყოფილების სიჭარბით, „ის რომ თავისი სრულყოფილების წყალობით კი არ ქმნიდეს, არამედ თავისი პოტენციის ნაკლებობით, მაშინ ის არ იქნებოდა უძრავი“<sup>24</sup>. პირველ ერთს ნაკლებობა პოტენციის რომ პქონდეს, მაშინ ის სხვას მისცემდა სუბსტანციას ცვლილებითა და გარდაქმნით. პირველი ერთი მოძრაობას, ქმნადობას და ცვლილებას რომ არ ექვემდებარება როგორც პლოტინეს მსგავსად, პროკლესთანაც, ეს არაერთგზის არის ხაზგაზმული.

მიზეზ-შედეგობრივი კაშირებით შედგენილი იერარქიული კიბის დახასიათებისას, პროკლე აჩვენებს, რომ მიზეზი და შედეგი ერთიანიცაა და განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთის-

გან. მხოლოდ განსხვავებულნი რომ იყენებ ისინი, მაშინ წარმოებულს (შედეგს) არაფერი ექნებოდა აღებული მწარმოებლისგან (მიზეზისაგან). მიზეზით წარმოებულს გააჩნია მსგავსი მწარმოებლობა, ამიტომაც მას, როგორც მსგავსს, უფრო გააჩნია არსებობა, კიდრე არამსგავსს. ეს მსგავსება კი მომდინარეობს წარმოებულის მწარმოებლობაზე წილნააყარობის გამო.

პროკლეს ასრით, უკელა წარმოებული იმყოფება მწარმოებულში და გამომდინარეობს კიდევ მისგან. გამომდინარეობა ხდება მეორადი საგნების პირველთან მსგავსებით და საგანი, რაც უფრო მსგავსია საწყისთან, მით უფრო ადრე გამოიყოფა მას. ამასთან, წარმოებული მთლიანად არაა ჩამოშორებული მწარმოებელს, სხვა შემთხვევაში წარმოებულს არაფერი გქნებოდა იგივეობრივი იმასთან, რაც რჩება მწარმოებელში და ვეღარ კიტყოდით, რომ წარმოებული მომდინარეობს მწარმოებლისგან და მათ შორის კავშირი განუწყებელია.

წარმოებული მწარმოებლისგან ჩამოშორებული არაა, მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ წარმოებული მხოლოდ დარჩეს მწარმოებელში. ამ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნებოდა მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას: თუ ისინი მხოლოდ იგივეობრივნი იქნებიან, მაშინ ვეღარ კიტყვით, რომ ეს არის მწარმოებელი და ეს წარმოებული. იგივეობისას განსხვავების მომენტი აუცილებელია და ამის შესახებ პროკლეს ასრი ასეთია: „...რამდენადაც წარმოებული შეიცავს მწარმოებელთან რადაც იგივეობრივს, ის რჩება მასში; რამდენადაც შეიცავს სხვას, გამომდინარეობს მისგან... ე.ი. ერთდროულად ის რჩება მასში და გამომდინარეობს მისგან და ერთი არაა განპირობებული მეორისგან”<sup>55</sup>. „ერთი არაა განპირობებული მეორისგან“ – ნიშნავს, რომ პირებულსაწყისი გადის თავისი თავიდან, ის ამავე დროს მაინც ერთად რჩება. ეს გასელა და დარჩენა ერთდროული აქტია და არა სხვა რამით განპირობებული.

ტრიადაზე მოძღვრებაში, პროკლე დიდ ყურადღებას აქცევს ნეოპლატონური ფილოსოფიის კიდევ ერთ ისეთ არსებით საკითხს, როგორიცაა არსებათა უკედაბრუნება თავის მიზეზში. კერძოდ, მიზეზიდან გამოსული შედეგი მასევ უბრუნდება უკან. პროკლეს აზრით, თუკი ამის საწინააღმ-

დეგონს დაუკუშებდთ, მაშინ უაზრობას მიუიღებდთ, რადგანაც ყოველი არსებულის უმაღლესი დანიშნულებაა სიკეთისკენ (პირკული ერთისკენ) მისწრაფება, რისთვისაც აუცილებელია საკუთარი მიზეზებისკენ სწრაფვა. ეს იმის გამო, რომ ყოველ არსებულს ყველა თვისება შეძენილი აქვს საკუთარ მიზეზის-გან. არსებებს უშუალოდ თავისი მიზეზებისგან აქვთ შეძენილი სიკეთისკენ სწრაფვაც, ამიტომაცაა, რომ უპირველესად, უშუალოდ თავის მწარმოებელს უბრუნდება წარმოებული.

ამრიგად, მიზეზებიდან შედეგის (მწარმოებლურიდან წარმოებულის) გამოსეყლითა და უკედაბრუნებით საწყისი და ბოლო უკავშირდება ერთმანეთს და ვლებულობთ ერთიან განუწყვეტელ მოძრაობას, ერთი მხრივ, ხდება დაბრუნება წინამავალში (ე.ი. უშუალო მიზეზში) და ეს არის პატარა ციკლი, ხოლო მეორე მხრივ, ხდება საერთო დაბრუნება პირებს ერთში – ღმერთში, ესაა დიდი ციკლი.

პროკლეს დასკვნითი აზრის თანახმად, მწარმოებლისგან წარმოებულის გამოსეყლას იმიტომ აქვს ადგილი, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავედებიან; თუკი ისინი მხოლოდ იგი-ეობრივი იქნებოდნენ, მაშინ არავითარ გამოსეყლას არ ექნებოდა ადგილი. მაგრამ თუკი მხოლოდ გამოსეყლას ექნება ადგილი, მაშინ მიზეზსა და შედეგს შორის არავითარი კავშირი არ იარსებებდა.

იქნებ შედეგი მხოლოდ უბრუნდება მიზეზს? პროკლეს აზრით, მხოლოდ დაბრუნებას რომ პქნონდეს ადგილი, მაშინ აღარც დაბრუნებას ექნება ადგილი, კინაიდან დაბრუნება ყოველთუის გულისხმობს გამოსეყლასაც, ამიტომაც რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: „...მიზეზით წარმოებული რჩება მიზეზში, გამოდის (მისგან) და უბრუნდება მას“<sup>36</sup>.

პროკლეს ფილოსოფიაში პირველსაწყისი ერთი აღმოჩნდა როგორც საწყისი, ისე საბოლოო პუნქტი. იგი არის თვით-მიზეზი, რომელსაც საკუთარი თავის დაფუძნებისთვის სხვა არ სჭირდება. ის მიზეზიცაა და მიზანიც. ეს აზრი ახლოსაა არისტოტელეს ფორმის ფორმასთან, მაგრამ არისტოტელეს ფორმის ფორმას შესაძლებლობიდან სინამდვილეში გადაჰყავს მატერია, მაშინ როცა პროკლესთან რაც ბრუნდება, ის არამატერიალურია.

პროკლეს ფილოსოფიაში ტრიადული პრინციპი (ერთი – ერთიდან გამოსცლა – ერთში დაბრუნება) საბოლოოდ განვითარების პრინციპად იქცა. ეკრძოდ, როცა პირველი ერთი გადის სიმრავლეში, მართალია ის რჩება ერთად და ასეთი უდის უბრუნდება თავის თავს, მაგრამ ის უკვე ნაზიარებია სიმრავლეს. ამის თაობაშე ცელერი აღნიშნავს, რომ პროკლეს ფილოსოფიის მთავარი მიზანი – უკელატრის ერთისადმი დაჭვემდებარე (ერთიდან არსებათა გამოსცლა და მასში უკედაბრუნება), უკვე მოცემული იყო პლოტინეს ფილოსოფიაში. მაგრამ პროკლეს ფილოსოფია გამოირჩევა თავისებურებით, რითაც ის განსხვავდება წინამავალი ფილოსოფიური სისტემებისგან. ეკრძოდ, პროკლესთან ყოველი სიმრავლე ერთიანობასთანაა წილნაყარი, ყოველ სიმრავლეს საფუძლად აქვს ერთი და ყოველი ერთი წარმოშობას სიმრავლეს. ეს წარმოშობა არის არა დაყოფადობისა და გარდაქმნის საფუძველზე, არამედ ერთიანი მიზეზის სრულყოფილებითაა განპირობებული<sup>37</sup>.

პროკლეს ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიკეთისა და ბოროტების მიმართებას. ამ საკითხში პროკლე, ისევე როგორც პლოტინე, სიკეთის აბსოლუტურობას აღიარებს და ბოროტებას არასუბსტანციურად მიიჩნევს. ამასთან, პროკლემ, განსხვავდებით პლოტინესგან, რომელიც ბოროტებას მაინც უშვებდა სიკეთის ბუნების გასაგებად, ბოროტების ყოველგვარი მნიშვნელობა გააუქმა.

პროკლეს მრავალმხრივი მოძღვრებიდან აქ ძირითადად განხილულია ის მომენტები, რითაც მან არსებითი წელილი შეიტანა ნეოპლატონური ფილოსოფიის განვითარებაში.

ქრისტიანობასთან ბრძოლაში ნეოპლატონური ფილოსოფია დამარცხდა, რაც 529 წელს იმპერატორ იუსტინიანეს დეკრეტით – ათენის ნეოპლატონური სკოლის აკრძალვით გაფორმდა. ამის მიუხედავად, ნეოპლატონიზმის გაელენა მომდევნო დროის აზროვნებაზე მნიშვნელოვანი იყო. ამ გაელენას ადგილი პენდა ქრისტიანულ მსოფლიმხედველობაზეც, რამაც განაპირობა ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ჩამოყალიბება.

ჯერ კიდევ ნეოპლატონიზმის აღმაულობის ხანაში ამ ფილოსოფიური სისტემის ძირითადი პრინციპები გამოყენებული

იქნა კაპადოკიელი მამების სახელით ცნობილ ღვთისმეტყველებთან (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანსელი, გრიგოლ ნოსელი). კაპადოკიელებთან გაზიარებული იქნა ნეოპლატონიკოსთა მოძღვრება ღმერთსე, სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე. სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის ნეოპლატონური თვალსაზრისი მათ დაამჟღიდრეს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში.

ნეოპლატონიზმის დიდი გავლენას განიცდიდა ნეტარი ავგუსტინე (354-430) – დიდი ქრისტიანი ღვთისმეტყველი, რომელმაც სწორედ ნეოპლატონიზმთან დაახლოებით შეძლო მანიქებელობასთან კავშირის გაწყვეტა. ავგუსტინეზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პლოტინეს მოძღვრებაში.

ქრისტიანული ნეოპლატონიზმის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ფსევდო-ლიონისე არეოპაგელი, ვის შემოქმედებაშიც მოცემულია ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის სინთვზის ერთ-ერთი წარმატებული ცდა. არეოპაგიტულ მოძღვრებაში შეიძლება ითქვას გაზიარებულია ნეოპლატონური ფილოსოფიის უველა არსებითი პრინციპი (მოძღვრება ღმერთზე, ღმერთის დადებითი და უარყოფითი დახასიათება, სიკეთისა და ბოროტების მიმართება, მისტიკური ჭერეტის ფილოსოფიურ-ინტელექტუალური ხასიათი). ამასონ, არეოპაგიტულ მოძღვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ნეოპლატონიზმიდან მომდინარე ნეგატიურმა თეოლოგიამ, რომლის არსიც ისაა, რომ ღმერთი მიიღწევა ნეგაციით და არა ცოდნით.

ნეოპლატონიზმი თავისებურად განავითარეს იამბლიქემ, პორფირიოსმა და სხვებმა. რა მიზნითაც გამოკვლევაში გვჭირდება ნეოპლატონური ფილოსოფია, ამისთვის სრულიად საკმარისია ჩეენს მიერ განხილული პლოტინესა და პროკლეს მოძღვრებათა ძირითადი თვალსაზრისები. ამიტომაც, ამ მიმართებით საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ადრეულ ხანაშივე ნეოპლატონიზმს თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა ქართულ სააზროვნო კითარებაზე. პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეს დასტურდება ბერძნული წყაროებით ცნობილი IV საუკუნეში არსებული კოლხეთის რიტორიული სკოლითა და ამ პერიოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ბაჟურის ფილოსოფიური შეხედულებებით. მაგრამ ნეოპლა-

ტონისმის გადამწყვერმა გაკლენამ ქართულ ფილოსოფიურ ასროვნებაში უფრო გვიან პპოვა გამოხატულება, რაც საბოლოოდ ქართული ნეოპლატონიზმის (ეფრემ მცირე, ოთანე პეტრიწი, რუსთაველი) ჩამოყალიბებით დასრულდა.

## შ2. ოთანე პეტრიწის ფილოსოფიის ერთი ადგილი რენესანსული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით

XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტეუკელის ოთანე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ ქართველ მკულევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მკულევართა ერთი ნაწილი (ნ. მარი, შ. ნუცუბიძე, ი. ფანცხავა, შ. ხილაშვილი) პეტრიწის ნეოპლატონური ფილოსოფიის ტრადიციების გამგრძელებლად და განმავითარებლად, ე.ი. ნეოპლატონიკოსად მიიჩნევს; მ. გოგიძერიძე ითანე პეტრიწის ფილოსოფიას ახასიათებს, როგორც სქოლასტიკურს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შ. ნუცუბიძემ პეტრიწის ფილოსოფიას ყურადღება მიაქცია სხვა მხრივაც. კერძოდ, პეტრიწის ფილოსოფიას იგი რენესანსულად მიიჩნევს და მას უკავშირებს ქართული რენესანსის დაწყებას. ამ საკითხზეც აზრთა სხვადასხვაობაა. შევნიშნავთ, რომ რა ნიშნებითაც პროკლეს, ფსევდო-დიონისეს, ითანე სკოტ ერიუგნას, მაისტერ ეკაპარტის ფილოსოფიური მოძღვრებანი მიჩნეულია რენესანსულად, ამ ნიშნებითვე ითანე პეტრიწის ფილისოფიაც შეიძლება ჩაითვალოს რენესანსულად.

ითანე პეტრიწის მსოფლმხედველობის მთლიანობაში განხილვა ნათელს ხდის მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის ნეოპლატონურ ხასიათს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია პეტრიწი ემყარება ნეოპლატონურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით კი პროკლეს, მაგრამ იგი ნეოპლატონიზმის პასიური მიმდევარი როდია. ერთი იმ პრობლემათაგანი, რომელიც ითანე პეტრიწის ნეოპლატონური თვალსაზრისი გათვალისწინებით აქვს ჩამოყალიბებული, და ამასთან მასში სიცხადე შეაქვს, არის ტრიადის საკითხი. ამის გარდა, ტრიადის პეტრიწისეული თვალსაზრისი რენესანსის ფილო-

სოფიური მსოფლიმხედველობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

როგორც ნეოპლატონისმის „უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებთან (პლოტინე, პროკლე), ისე ითანე პეტრიწის ფილოსოფიაშიც, პირველი ერთისა და სამყაროს მიმართება – მიზეს-შედევრობრივი დამოკიდებულებითაა წარმოდგენილი. ამ მიმართების ანალიზისას კი მუღავნდება პეტრიწის თვალსასრისი ტრიდიაზე. იგი თავის თხზულებაში ჯერ გადმოსცემს პროკლეს დებულებას, შემდეგ კი განმარტავს მას. ამ განმარტებისას კი, ხშირად გამოთქვამს ორიგინალურ თვალსაზრისს.

ითანე პეტრიწი იხილავს პროკლეს დებულებას, რომლის თანახმადაც არსებულნი ერთი მიზესიდან – პირველმიზე ზიდან წარმოიშობიან. აქ პეტრიწის აზრით, პროკლე უარყოფს არის სტოტელება და ალექსანდრე აფროდიზიელის თვალსაზრისებს, რომლებმაც შემოქმედებითი მიზეზი არსებულთაგან გამოყევს!

ითანე პეტრიწის აზრით, პირველი ერთი არ უნდა იქნეს გაგებული არც ძალად, არც გონებით მისაწვდომად, არც მოქმედებად. თუკი ერთს რიმელიმე აღნიშნულ თვისებას მივაწერთ, მაშინ ის არ იქნება წმინდა, კეშმარიტი, ანუ, მისი ტერმინებით რომ გამოვხატოთ, „უზალო“ ერთი. ამის შემდეგ პეტრიწი აღნიშნავს, რომ არსებულებს არსებობა მინიჭებული აქეთ ზესთა არსისგან. იგი იმოქმედს სოკრატეს, რომლის თანახმად, ყოველი შემოქმედი თავის შექმნილს აძლევს თვისებას<sup>2</sup>. პეტრიწის აზრით, პირველი ერთი არის ყველაზე მაღლა, ზესთა არსებული. მას მოჰყავს შედარება აპოლონთან (მზე): ისე როგორც მზე მაღლაა ყველა წარმოქმნილზე, ასევე პირველი ერთი. პირველი ერთი, როგორც ყველაფრის საწყისი პეტრიწის ნეოპლატონურად აქვს გააზრებული: ერთი არის უმაღლესი სიკეოე, როგორც მისი სრულყოფილების უმაღლესი გამოხატულება. თუ საწყისი არაა სიკეოე, მაშინ სხვა უნდა იყოს სიკეოზე უმჯობესი და მაღლა მდგომი და მისგან უნდა მომდინარეობდნენ არსებულნი, როგორც პირველმიზეზისგან. ამასთან, მასვე უნდა უბრუნდებოდნენ არსებულნი, როგორც პირველსაწყისის. პეტრიწი მიანიშნებს ნეოპლატონიკოსების ცნობილ თეზისზე: არსებულნი მიისწრაფ-

ვიან და „უბრუნდებიან სიკეთეს. არსებულნი პირველი ერთის-ენ მიისწრაფებიან, როგორც ერთით გაერთიანებულნი. თუ სიკეთე არსებულთა პირველმიზეზი და საფუძველი არაა, მაშინ ის წარმოშობილი „უხდა იყოს არსებულთაგან, როგორც მიზეზისგან, მაგრამ, პეტრიწის აზრით, დაუჯერებელია, რომ მიზეზი წარმოიშეა შედეგიდან. მართალია, როგორც პლოტინე, ისე პროელე ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ მიზეზთან შედარებით შედეგი ნაკლოვანია და რაც უფრო დაბლა გეშეებით, სრულყოფილება კლებულობს, მაგრამ არც ერთს ერთის, სიკეთის თუ პირველსაწყისის დასაბუთებისას არ გამოუქენებიათ ის ხერხი, რომელსაც ეხედებით ითანე პეტრიწთან: მიზეზის შედეგიდან წარმოუშობლობა<sup>3</sup>.

ამრიგად, პეტრიწის მიხედვით, სიკეთე არის არსებულთა არსებობის მიზეზი და დასაწყისი. თუკი სიკეთე არსებულთან თანაარსებობს, მაშინ პირველმიზეზიდან წარმოშობილი არის უფრო უკეთესი, ვიდრე სიკეთესთან თანაარსებული. ეს აზრი ასე უნდა გავიგოთ: თუ სიკეთე და არსებული ერთადაა და არსებობს მასზე უკეთესი სხვა მიზეზი, მაშინ ის სიკეთე უმჯობესი და უმაღლესი იქნებოდა. პეტრიწი აღნიშნავს, რომ ამ აზრის გაზიარება შეუძლებელია, ვინაიდან სიკეთეზე უმაღლესი არ არსებობს და არც მოიაზრება. ამიტომაც ის პირველია და ყველა არსებული მიერთებულია მასთან. აქ პეტრიწი ცდილობს იმის ჩვენებას, რომ პირველსაწყის ერთი, მართალია, ყველგან იმყოფება, მაგრამ ამასთან, არც იმყოფება. სწორედ ამგვარადაა დახასიათებული ერთი ნეოპლატინისმში. ამით პეტრიწი აჩვენებს საწყისი ერთის დიალექტიკურ ბუნებას. ის, რომ არ იყოს არსებულში, მაშინ მოწყვეტილი იქნება მათგან და მათ შორის კავშირი არ იქნება, ხოლო სიკეთე თუ მხოლოდ არსებულებთან იქნება, მაშინ ის მიზეზად არ გამოდგება.

პეტრიწი იხილავს პროელეს დებულებას: „ყოველი წარმოარსებული უშუალოდ რჩება წარმოარსებულში და გამოდის მისგან“<sup>4</sup>. მისი აზრით, აქ განხილულია მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. აღნიშნული დამოკიდებულებისას ადგილი აქვს სამ მიმართებას, რომელთაც პეტრიწი შესაბამისი ბერძნული ტერმინებით აღნიშნავს:

1. შედეგის უოფნა მიზეზში მის წარმოშობამდე, რაც ნიშავს შედეგის არსებობას მიზეზის შესაბამისად (კატეგრია);

2. შედეგის გამოსვლა მიზეზიდან და არსებობა არსის შესაბამისად (კატეგორია);

3. შედეგის უკედაბრუნება მიზეზში და არსებობა მიზეზთან თანამონაწილეობის შესაბამისად (კატამორექსინ).

მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულების პირველ მიმართებაში, შედეგი ჯერ კიდევ მიზეზში იმყოფება. „...რამეთუ ყოვლისა მიზეზონანსა და მიზეზსა შორის დაუმსჭულავნ თვისა მიზეზსა შორის არა ვითარ სხუად სხუასა შორის, არამედ ვითარ იგივეობად თვთებასა შორის თვისსა”<sup>5</sup>. პირველი ერთისოფას შეერთება და სიმრავლე არაა დამახასიათებელი. მასში იმყოფება ყოველი ერთეული და ერთი როგორც თავის თვისებებში სიმრავლის გარეშე. ამრიგად, ერთი არ გადის თავისი თავიდან.

მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების მეორე მიმართება აჩვენებს, რომ შედეგი გამოეყოფა მიზეზს და ნაკლებსრულყოფილია მიზეზონა შედარებით. მართალია, შედეგის საფუძველი მიზეზშია, მაგრამ იგი უკვე შედეგია და მიზეზისგან განსხვავებულია. ამრიგად, ერთი მხრივ, შედეგი მსგავსია მიზეზისა (კინაიდან მისგან მომდინარეობს და მასში აქვს საფუძველი), ხოლო მეორე მხრივ, როგორც შედეგი განსხვავებულია. მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებაში მსგავსებისა და განსხვავების მომენტების შეტანით, პეტრიწი აჩვენებს ამ დამოკიდებულების დიალექტიურ ბუნებას: შედეგი მიზეზის იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც.

მესამე მიმართება აჩვენებს, რომ არსებულნი თანაზიარებულნი არიან პირველმიზეზთან, კინაიდან ყველა მიისწრაფების თავისი მიზეზისკენ, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა. ყოველი საგანი მიისწრაფების მიზეზისკენ, რათა გაერთიანდეს მასთან („რამეთუ ყოველი უკუნმქცევი თვისისა მიზეზისა მიმართ და სადაცთა იწარმოა ისწრაფების შერთვად და წადნობ, რაითა ერთ ექმნეს თვისსა სატრფოსა”<sup>6</sup>). აღნიშულით ცხადი ხდება, თუ როგორ მოიაზრებს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას პეტრიწი. აქ ნათლად ჩანს, რომ როდესაც

პირეულმიზეზში იმყოფება შედეგი, მაშინ სიმრავლესთან არ გვაქვს საქმე, ვინაიდან შედეგი მისესშია და ერთის იგივეობრივია. არც მაშინაა სიმრავლე, როდესაც შედეგი მიზეზის თანამონაწილეა. როდესაც შედეგი გამოიდის მიზეზიდან და არსებობს არსის მიხედვით, სწორედ მაშინაა სიმრავლე. მაშასადამე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასაწყისში (I მიმართება) და შედეგის უკან დარუნებისას (III მიმართება) მხილოდ ერთი გვაქვს, ხოლო მიზეზ-შედეგობრივ დამოკი-დულებაში მეორე მიმართება აღნიშნავს იმ მომენტს, როდესაც ერთიდან გამოსული უკავე სიმრავლეა და შეიცავს როგორც მსგავსების (პირეულმიზეზთან), ისე განსხვავების მოქნებებს. სწორედ ამაშია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დიალექტიკურ ბუნება, რომლის ძალითაც შედეგი 'უკუ'ბრუნდება მიზეზს.

პროკლეს მიხედვით, „ყოველი არსებული თავისი არსებით უბრუნდება იმას, რისგანაც წარმოიშვა“. პეტრიწი უცრინათელს ხდის და შინაარსობრივად ამდიდრებს პროკლეს ამ აზრს: „ხოლო მეტრუე მიზეზთა და დასაბამთა თვისთად კეთილობისა არს მეწადე“<sup>7</sup>. მისი ეს აზრი ასე უნდა გავიგოთ: შედეგი მიზეზიდან მოდის და მასზე ნაკლებია, ხოლო ყოველიერ მისწრავების საგანი არის სრულყოფილი (სხვანაირად მისწრავებას არ ექნებოდა აზრი), ამიტომაც მიზეზის მოტრუიალე სიკეთისეკენ მიისწრავების სწორედ ამის გამო, „ყოველი მეტრუე და მეწადე თვისისა საწადოხსა, მიმართ უკუნქცეულ არს“<sup>8</sup>. ეს მისწრავება ამოუწურავია, ვინაიდან ის სხვა არაფერია, თუ არა უკან დაბრუნების ჩაუქრობელი სურვილი: „რამეთუ წადილიცა მათი დაუსებელ, და საწადოიცა მათი თანგანუვლელ უსაზღვროობითა, და სანთელიცა უკავილთა მათ საწადოხსათა უმრუმ, და ტრუიალებაზცა უმრუმ წადილისაა“<sup>9</sup>. აქ ცხადად ჩანს, რომ პეტრიწს პროკლეს თვალსაზრისში მეტი სიცხადე შეაქვს, რაც მისი მხრიდან ამ აზრის განცითარებაა.

როგორც აღვნიშნეთ, ნეოპლატონურ ფილოსოფიაში პირეული ერთიდან გამომდინარეობა გამოწევულია სრულყოფილების სიჭარბით. სწორედ ამის გამო პირეული ერთისგან აუცილებელი ხდება არსებულთა გამოსვლა. რაც შეეხება

მასში საგნების უკუდაბრუნებას, ნეოპლატონიკოსების მიხედვით, ყოველი საგანი უბრუნდება იმას, საიდანაც ის უშუალოდ წარმოიშვა. მართალია, აქ სისტემა შეიკრა, მაგრამ უკუდაბრუნების აუცილებლობა არ ჩანს. რაც შეეხება პეტრიწს, ის აჩვენებს უკუდაბრუნების აუცილებლობაზე, რასაც არსებებში უკუდაბრუნების ჩაუქრობელი სურვილის დაშებით გამოხატავს. მაშასადამე, შეუძლებელია, რომ არსებული არ დაუბრუნდეს თავის მიზეზს. ყოველ არსებულში უაშემულევის სურვილი ჩაუქრობელია. ეს მისწრაფება აუცილებლობით რომ ხდება, ამას ადასტურებს პეტრიწის მიერ გამოთქმული შემდეგი აზრი: „ხოლო ყოველი ნებად და ყოველი წადილი მაშინდა წადილ და ნება, ოდეს ეგოს უმსილველად მიღმო აღრჩეულათაგან სულისათა”<sup>10</sup>. აქ პეტრიწის იმის თქმა უნდა, რომ, თუ კი მისწრაფება ხდება არსევანით, მაშინ ის განსაზღვრულია სხვით და მისწრაფებაც აღარაა აუცილებელი ხასიათის; მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ანარეკლი იქნებოდა. მისწრაფება, პეტრიწის აზრით, მომდინარეობს წინამავალი მიზეზების მეშვეობით ვიდრე პირველმიზეზამდე. მაგალითად, ცა სულით ეტრუის გონებას, გონების მეშვეობით კი ღმერთს, როგორი გზითაც ხდება პირველსაწყისიდან გამოსელა, იმავე გზით ხდება მასში უკუდაბრუნება. ამრიგად, როგორი აუცილებლობითაც ხდება გამოსელა პირველსაწყისიდან, იმავე აუცილებლობით ხდება მასში დაბრუნება. პეტრიწის ეს აზრი უაღრესად მნიშვნელოვანია: აქ კიდევ ერთხელ ნაცადია შედეგის მიზეზში აუცილებლობით უკანდაბრუნების დასაბუთება.

პეტრიწი აღნიშნავს, რომ მისწრაფება არ არსებობს მსგავსების გარეშე, ეინაიდან მისწრაფებას აღგილის აქვს მხოლოდ მსგავსის მსგავსთან მიმართებაში. ამიტომაც მსგავსება არის უკუდაბრუნების მიზეზი. აქვე იგი გრძნობს სიძნელეს, რომლისთვისაც პროკლეს არ მიუკცევია ყურადღება: თუკი მსგავსება არის მისწრაფების მიზეზი, მაშინ როგორლა მიისწრაფების პირველსაწყისი ერთისაკენ უსახო და უგვარო მატერია? პეტრიწი აღნიშნული სიძნელის გადაწყვეტას შემდეგნაირად ცდილობს: მისი აზრით, უსახო და უგვარო მატერია ცვალებადობაშია, მაგრამ ამ ცვალებადობაში ის მუდამ იგივეობრივ მატერიად რჩება. ამ ცვალებადობაში მა-

ტერიია რჩება ერთად; ეს უსახოა მატერია, პეტრიწის აზრით, პირველსაწყისს პეტრი იმით, რომ ერთიანი მოელია. ის უსახო და უგვაროა, მაგრამ ერთია და სწორედ ერთობით პეტრი პირველსაწყისს, ამიტომ მისწრაფების მისკენ და უმაღლესი სიკეთით ერთილდება („ერთობითა პეტრი მას ზესთასაცა ერთითასა... ხოლო ერთობითა უბაძავს და უმსგავსებს ზესთ განკარგულსა ერთსა, და ვინაზოგან პეტრი რაითვე წაღნოვს ტრფიალებად მისდამი და გაკეოლებად ზესთა კეოილობათა მისთაგან”<sup>11</sup>). აქ საყურადღებოა ის აზრი, რომ პეტრიწი, პროკლესგან განსხვავებით, ცდილობს სინამდვილის ერთიან სისტემაში ადგილი მოუწინახოს მატერიას. როგორც ვიცით, პროკლესთან უკუღაბრუნების უნარი მხოლოდ უსხეულოებს გაასწიათ. ნეოპლატინიზმი, მართალია მთელი სინამდვილე პირველსაწყისიდან მომდინარეობს, მაგრამ მატერია რაღაც ნაირად მაინც დამოუკიდებელია პირველსაწყისისგან.

როგორც აღინიშნა, პროკლესთან ყოველგვარ წარმოშობას და უკუღაბრუნებას წრიული ხასიათი აქვს. აქ პეტრიწი გამოთქვამს საყურადღებო აზრს: ყოველი „წარმოარსებული“ უკუგბრუნდება „წარმომაარსებელს“. ეს დაბრუნება, მისი აზრით, ისე კი არ ხდება, რომ ჯერ წარმოშობა იყოს და მერე დაბრუნება, როგორც ეს სხეულებრივ მიზეზსა და შედეგს ახასიათებს („არა თუ პირველ წარმომად იყო და მერმედა უკუნქცევად, ესვითა სხეულებითა მიზეზთა და მიზეზოანთა ზედა...“<sup>12</sup>). ეს ერთდროული პროცესია. რაც შეეხება უკუღაბრუნების წრიულ ხასიათს, ეს შემდეგში მდგომარეობს: შედეგი მიზეზიდან გამოისვლისას მასვე უკუგბრუნდება. რამდენადაც შედეგის პირველმიზეზში უკუღაბრუნება ხდება წინამდებარებით მიზეზების გაღლით, ამიტომაც ზოგი წრე დიდია, ზოგი პატარა. თუ მიმსწრაფი ახლოსაა პირველმიზეზთან, წრე პატარაა, როცა შორსაა, მაშინ წრე დიდია, ვინაიდან შედეგს უფრო ბევრი შეუალები მიზეზების გაულა სჭირდება. შედეგის დაბრუნება პირველსაწყისში ხდება მისწრაფებით, რომლის ძალით ნაკლებად სრულყოფილი მისი წრაფების თავისი მსგავსი უფრო სრულყოფილისკენ.

პეტრიწის აზრით, არსებათა რიგის აგებისას, კანონის<sup>13</sup> ძალით ერთს – ერთი ბედი ერგო, მეორეს – მეორე. იმ არსე-

ბებს, რომელთაც ერთნაირი ბ'უნება და ვნება (განცდა) აქვთ, მათ არსებაც ერთი აქვთ. პეტრიწი იხილავს სიძნელეს, რომელიც აუცილებლობით ახლავს მოცემულ დებულებას. თუ მიზეზისა და შედეგის ბ'უნება ერთი და იგივეა, მაშინ ერთი რატოშაა სასურველი და მიზეზი, ხოლო მეორე მსურველი და შედეგი? ამ სიძნელის გადაწყვეტისას პეტრიწი მიმართავს ნეოპლატონური ფილოსოფიის იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დაშორებულია არსება პირებს მიზეზს, მით უფრო ნაკლებ სრულყოფილია იგი და სწორედ სრულყოფილების ხარისხით არის ერთი მიზეზი და მეორე – შედეგი. როგორც ვხედავთ, პეტრიწი სიძნელის გადაწყვეტისას მიმართავს ნეოპლატონურ პრინციპს, ჩაგრამ უფრო ცხადს ხდის მას. რაც შეეხება შედეგის მიზეზში უკუდაბრუნებას, მისი აზრით, უკელა არსებული უბრუნდება იმას, რისგანაც მიიღო მან სუბსტანცია. ამიტომაც პირებს არსებები მიისწავეთ პირებისას, ვინაიდან მისგან აქვთ მიღებული არსებობა, მშვენიერება, სიკეთე. დაბალი რანგის არსებები მიისწავეთ იმისაკენ, რისგანაც უშუალოდ მიიღეს არსებობა. სწრაფვის საბოლოო მიზანი არის პირებს ერთი – ღმერთი, რომელშიც დაბრუნდებისთვის პირებს რიგში საჭიროა თავის უშუალო მიზეზში დაბრუნდება.

მიზეზ-შედეგობრივი კაუშირის ერთადერო სწორ საფულებს, პეტრიწის მიხედვით, მათ შორის განხილული მიმართება წარმოადგენს (შედეგი მიზეზის იგივეობრივიცაა და მისგან განსხვავებულიც), საკითხის სიცხადისთვის პეტრიწი ბოლოს კრიტიკულად იხილავს მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ყოველი სხვაგვარი გაგების შეუძლებლობას:

1. თუკი მიზეზიდან შედეგის მხოლოდ გამოსულას ექნება აღგილი, მაშინ ის მთლიანად გამოეყოფა მას და მისაღმი მისწრაფებას აღარ ექნება აღგილი, ეს კი, პეტრიწის აზრით, შეუძლებელია და არღვევს მარადიულ კანონზომიერებას. სწორედ პირებს ერთი ქმნის ყოველგვარ კანონზომიერებას და მასში ყოფნა, გამოსულა და განსხვავება აუცილებელია;

2. თუ დავუშეებო შედეგს მხოლოდ უკუდაბრუნებას, მაშინ შეუძლებელი იქნება, რომ ის, რასაც უბრუნდება შედეგი, არ იყოს მისი არსებობის მიზეზი; შეუძლებელია,

რომ ის რაც „უპუიქცევა”, უბრუნდებოდეს სხვას და არა თავისი არსებობის მიზეზს;

3. შეიძლება თუ არა, რომ შედეგი მიზეზში იმყოფებოდეს, მისგან გამოვიდეს, მაგრამ არ დაუბრუნდეს მას? ასეთი რამ, პეტრიწის აზრით, შეუძლებელია, ვინაიდან ის, რაც გამომდინარეობს, არ შეიძლება არ ეტრუნდეს იმას, რისგანაც გამომდინარეობს: „ხოლო თუ არ უკუ ეტრუოს არცა ვიდრეჩე პირველ განცოფისა ყოველ მის შორის... ვინაჲ საჭირო არს, რადთა უკუნ ერტრუოსცა თვისსა დასაბამსა”<sup>14</sup>. აქ სიცხადის-თვის გავიხსენოთ საერთოდ ნეოპლატონიკოსებისა და პეტრიწის აზრი: საწყისიდან გამოსული მასვე უბრუნდება იმის გამო, რომ ის მსგავსია მისი და ყოველ არსებულს საწყისისგან აქვს სრულყოფილება.

4. ასევე შეუძლებელია, რომ შედეგი მიზეზში იყოს, მისკუნ მიისწრაფოდეს, მაგრამ მისგან არ გამომდინარეობდეს. ამის ნათელსაყოფად მოვიყენოთ სათანადო ციტატებს პეტრიწის „...რამეთუ განცოფასა და წარმოობასა გებად უპირატების: ხოლო უკუქცევასა წარმოქმნად და განცოფად, რამეთუ რად უკუნ ექცეს, უკეთი პირველად არ იწარმოოს და განცილოს მისგან?”<sup>15</sup>. აღნიშნული ცხადს ხდის, რომ პეტრიწის მოძღვრება მეაცრი მონისმია: ყოველი წარმოქმნილი უკან უბრუნდება წარმოიქნელს და რომელსაც პირველ საწყისში არა აქეს საფუძველი, ვერ გაერთიანდება მასთან; მეტიც, ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან მთელი სინამდვილე პირველი ერთისგანაა გამოსული. ამგვარად, პეტრიწის აზრით, „ხოლო შენ ესე გაიმეცნე, რომელ ამათ მიერ მხოლო მხოლოთა სირაჲ არსოთად არ აღეგების, რამეთუ ვერც გებად ოდენ შეუძლობს მარტოდ, და ვერცა წარმოქმნად მარტოდ და ვერცა კიდურთა” შემკრუელობად და ვერ მესაშუვლისად და ვერცა კიდურთა შორის ყოფად ოდენ რას წარმოთხავს არსთა სირადსასა”<sup>16</sup>. პეტრიწი ხედავს, რომ თუ მხოლოდ შედეგის მიზეზში დარჩენას ექნება აღგილი, მაშინ არსებათა რიგი ვერ აიგება (არსებათა გამოსვლა არ იქნება); ვერც

\* ეილურებში იგულისხმება საწყისი და ბოლო, ანუ მიზეზი და შედეგი.

შედეგის მხოლოდ გამოსვლის შემთხვევაში იქნება არსებათა რიგში კავშირი, რაღაც ასე გამოსული ყოველთვის სხვა იქნება მიზესის მიმართ. თუ შედეგის მიზეზიდან გამოსვლას და უკან დაბრუნებას არ ექნა აღგილი, მაშინ საწყისისა და ბოლოს დაკავშირება არ მოხდება. საწყისსა და ბოლოს შერის დაკავშირება რომ მოხდეს, საჭიროა მათ შორის განსხვავება, მაგრამ თუ მიზეზიდან შედეგის გამოსკლასა და უკავშირებას ცალ-ცალკე ავიღებთ, მაშინ მოწევეტილი იქნება ერთმანეთს საწყისი და ბოლო, ვინაიდან, ერთ შემთხვევაში, მხოლოდ მსგავსებას ექნებოლა აღგილი, მეორე შემთხვევაში – მხოლოდ განსხვავებას. ამრიგად, არსებათა რიგის ასაგებად აუცილებელია, რომ შედეგი კიდეც იყოს მიზესში, კიდეც გამომდინარეობდეს მისგან და კიდეც უბრუნდებოდეს მას. როგორც კხედავთ, იოანე პეტრიწის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების საკითხის სწორი გადაწყვეტა შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ამ კავშირის დიალექტიკური ბუნების საფუძველზე.

პეტრიწი შეა საუკუნეების მოაზროვნეა და მისი შეხედულებების მნიშვნელობა ეპოქის აზროვნების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. შეა საუკუნეების გაბატონებულ მოძღვრებას მონოთეიზმი წარმოადგენს. პეტრიწი აგრძელებს ნეოპლატონური ფილოსოფიის ძირითად აზრს. ნეოპლატონიზმი უპირისპირდება მონოთეიზმს. მონოთეიზმის ამოსავალია ღმერთისა და სამყაროს დაპირისპირებულობა, ნეოპლატონიზმში კი სამყარო მომდინარეობს ღმერთიდან და ისიც ღმერთია, ოღონდ მისი განვითარების გარეულ საფეხურზე. მონოთეიზმის მისედევით, ღმერთი ქმნის სამყაროს არაფრისგან; ნეოპლატონიზმში კი, მთელი სინამდვილე მარადიულად არსებობს და ეს იმის საფუძველზე, რომ ნეოპლატონიზმში უქმდება სუბსტანციური განსხვავება სამყაროსა და ღმერთს შორის. ნეოპლატონური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები შენარჩუნებულია და ორიგინალურადაა განვითარებული იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, განსაკუთრებით ტრიადაზე მსჯელობისას.

იოანე პეტრიწთან მთელი სინამდვილე ერთი მთელია, სადაც ადგილი აქვს პირველმიზეზიდან არსებების მარადიულ წარმოშობასა და უკავშირებას. ეს კი პეტრიწთან

საბოლოოდ ასეა წარმოდგენილი: არსებათა ყოფნა პირველ-მიზეზში (I მიმართება); არსებათა გამოსელა პირველმიზეზიდან (II მიმართება) და არსებათა უკუდაბრუნება პირველმიზეზში (III მიმართება). როგორც აღვნიშნეთ, მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების I და III მიმართებისას არის მხოლოდ ერთი. ჩაგრამ III მიმართების ერთი უკვე სიმრავლეს ნასიარებია და თავისთავავში მოიცავს სიმრავლეს. მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების II მიმართებისას არის სიმრავლე, რომელიც მოიცავს მსგავსებისა და განსხვავების მომენტებს. ეს უკანასკნელი როგორც საერთოდ ნეოპლატონიზმში, ისე იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში, პირველ-მიზეზიდან არსებათა წარმოშობისა და უკუდაბრუნების აუცილებელი პირობაა. ასე ესმის პეტრიწის ტრიადა.

იოანე პეტრიწის ტრიადაზე თვასაზრისში გამოთქმულია სამი უმნიშვნელოვანესი და ორიგინალური მოსაზრება:

1. ცნობილია, რომ ნეოპლატონურ ფილოსოფიაში საბოლოოდ ეერ იქნა დაძლეული პირველმიზეზისა და ხილული სინამდვილის დუალიზმი. ეს სიძნელე დგას იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში. პეტრიწთან, პირველმიზეზადმი მისწრაფების აუცილებელი პირობაა მსგავსება იმისა, რაც მიისწრაფების იმასთან, რისკენაც ხდება ეს მისწრაფება. მაშინ როგორდა მიისწრაფების პირველსაწყისი ერთისენ უსახო და უგვარო მატერია? პეტრიწის მიხედვით, მართალია, უსახო და უგვარო მატერია მარალიულ ცვალებადობაშია, ჩაგრამ ამ ცვალებადობაში ის მუდამ თავისთავთან იგიუეობრივ მატერიად რჩება. სწორედ იმის გამო, რომ მატერია მუდამ ერთია, ამით პგავს იგი პირველმიზეზს (პირველმიზეზიც ხომ ერთია). ეს კი პეტრიწს მიაწინა პირველმიზეზისადმი მატერიალური სინამდვილის მისწრაფების და მასთან გაერთიანების საფუძვლად. როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწთან მოძღვრებაში გარევეული აზრით დაძლეულია მიწიერისა და ზეციურის დუალიზმი.

2. ნეოპლატონიზმსა და პეტრიწის ფილოსოფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მირველმიზეზიდან არსებათა აუცილებლობით გამომდინარეობასა და მასში ასევე აუცილებლობით უკუდაბრუნებას. ნეოპლატონიზმში უკუდაბრუნების აუცილებლობა არსებათა მხოლოდან არ ჩანს. პეტრიწთან კი პირიქით,

ამ მომენტზე დიდი უკრალებაა გამასკილებული და შემოწანილია „უკულაბრუნების ჩაუქრობელი სურვილის“ ცნება. ეს „ჩაუქრობელი სურვილი“ კი, პირველმიზე ზოდან მომდინარე არსებებს ახასიათებთ. ამასთან, არსებათა მისწრაფება პირველმიზე ზისადმი ხდება ყოველგვარი არჩევანის გარეშე („ხოლო ურევლი ნება და ყოველი წალილი მაშინდა და ნება, ოდეს ეგოს უმსილებლად მიღმო არჩევათაგან სულისათა“). ითანა პეტრიწოან არსებათა წარმოშობისა და უკულაბრუნების აუცილებლობა ბოლომდე თანამიმდევრულადაა განხორციელებული და ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიკავს. აღნიშნულს კი დიდი მნიშვნელობა პეტრნდა შეუა საუკუნეებში ფილოსოფიური თვალსაზრისის დამკიდრებაში. ესეც ითანა პეტრიწის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

3. ითანა პეტრიწის აზრით, მიზენი, როგორც უფრო სრულყოფილი შეუძლებელია წარმოიშვას შედეგისგან – უფრო ნაკლებ სრულყოფილისგან. ეს საკითხიც არ იყო გამოკვეთილი ნეოპლატონიზმში და პეტრიწის დამსახურება ამ მხრივაც მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ რენე დეკარტიმა, შედეგის მიზენთან შედარებით „ღარიბის“ – ნაკლებსრულყოფილისგან წარმოშობის შეუძლებლობის საფუძველზე, წამოაქენა ღმერთის არსებობის დასასაბამუთების არგუმენტი.

ეს სამი უმნიშვნელოვანები დასკვნა ტრიადის შესახებ ითანა პეტრიწის თვალსაზრისის საფუძველზეა გაკეთებული. ტრიადაზე ითანა პეტრიწის თვალსაზრისი კი ერთი უმთავრესია, რომლის საფუძველზედაც მისი ფილოსოფია შეიძლება რენესანსულად და აქედან გამომდინარე, ქართული რენესანსის მთავარ მსოფლმსედგელობრივ საფუძველად ჩაითვალოს.

### § 3. შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

შ. ნუცუბიძის მრავალრიცხვან შრომებში, რომლებიც მიძღვნილია ქართული ფილოსოფიის ისტორიის, რენესანსისა და ქართული რენესანსის საკითხებისადმი, ხაზგასმულია არეიპაგიტულ ნეოპლატონიზმზე, როგორც რენესანსის ფი-

ლოსოფიურ საფუძველზე. ამ საკითხები ნუცემდიძის თვალსაზრისები შეჯამებულია მისი შრომების მე-4 ტომის VII-X თავებში. ასე რომ რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველზე შ. ნუცემდიძის საბოლოო თვალსაზრისზე წარმოდგენის შესაქმნელად სრულიად საკმარისია მისი აღნიშნული შრომის მითიოებიულ მონაკვეთზე დამყარება.

შ. ნუცემდიძის აზრით, არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი იყო ნეოპლატონიზმის „გადარგვა“ ქრისტიანობის ნიადაგზე ამასთან, შ. ნუცემდიძის მიხედვით, არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი გარევეულ შუამავალ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა აღმოსავლურ და დასავლურ რენესანსებს შორის.

შ. ნუცემდიძე რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველის დადგენისას ლიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანტიკური მემკვიდრეობის ათვისებას შესაუკუნეებში, რომელიც ორი გზით მიმდინარეობდა: ანტიკური მემკვიდრეობის განვითარება მის საბოლოო ფორმადე და საეკლესიო აზროვნების ცდები – ეკლექტიკურად შეეგუებინათ ანტიკური აზროვნება ქრისტიანული დოგმების დაუკანებისადმი! პირველ გზას მიჰყებიან ნეოპლატონური ფილოსოფიიდან ამოსული ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, იოანე სკოტ ერიუგენა, იოანე იტალი, იოანე პეტრონი, დავით დინანჩი, ეკაპარტი... ეს ხაზი ამზადებს ნიკოლოზ კუსელისა და ჯორდანო ბრუნის პანთეიზმს. მეორე გზას მიჰყებიან კლიმენტ ალექსანდრიული, ტერტიულიანე, ავგუსტინე... შემდგომში მათ საქმეს აგრძელებენ ალბერტი დიდი, თომა აკვინელი...

ზემოთ აღნიშნული პირველი გზის ძირების ძიებას პლატონის (427-347) ფილოსოფიამდე მიუყართ. პლატონმა ერთმანეთისაგან გათიშა იდეებისა და მოვლენების სამყარო. პლატონის ფილოსოფიაში ვერ მოხერხდა იდეებსა და მოვლენებს შორის, საკუთრივ იდეებსა და სიკეთის იდეას შორის კავშირის დამყარება. პლატონის იდეებზე მოძღვრების კარგად ცნობილი არისტოტელეს ეს კრიტიკა, შ. ნუცემდიძის აზრით, ცალმხრივი იყო: არისტოტელე ამ კრიტიკის დროს ეხება მხოლოდ იდეებისა და მოვლენების მიმართების სიძხელეს პლატონის ფილოსოფიაში. ამ კრიტიკისას კურადღების გარეშე იქნა დატოვებული იდეებსა და სიკეთის იდეას შორის მიმართების საკითხი.<sup>2</sup>

შ. ნუციუბიძის აზრით, პლატონის ფილოსოფიაში დაყენებული პრიბლები ბოლომდე ვერ განვითარდა. ეს ვერ მოხერხა ვერც პლატონის მოძღვრების ეწ. პითაგორისტულმა პერიოდმა და ვერც არისტოტელებმ, რადგან „საქმარისი არ იყო იდეათა სამყაროსა და ნივთთა სამყაროს ან სიკეთისა და იდეის არსების ერთმანეთისაგან განსხვავება და დაპირისპირება”, საჭირო იყო, აგრეთვე ერთიანობის პრიციპის გატარება. ეს მხოლოდ ნეოპლატონერი ფილოსოფიის საფუძულზე განხორციელდა და თანაც არა ერთბაშად. პლოტინე ამგეარი ძიებისას ერთის, როგორც საწყისის აღიარებამდე მივიდა. მაგრამ მასთან ერთის სიმრავლეში გადასვლა ამოუხსნელი დარჩა. ვერც პორფირიოსმა ვერ გადაჭრა ეს სიძნელე. ეს საბოლოოდ მოახერხა ნეოპლატიზმური და, საერთოდ, ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელმა სისტემატიკოსმა პროკლემი, რომელმაც უკელაფერი პირველსწყის ერთს დაუკავშირა. პროკლესთან საბოლოოდ დამეგიდოდა ერთისა და სიმრავლის ერთიანობის იდეა. „ლმერთად და სიკეთედ მიჩნეული „ერთი“ არის სამყაროს საწყისი ანუ მიზეზი და როცა იგი თავის თავს შეიმცნებს, შეიმცნებს სამყაროს ან: როცა იგი თავის თავს ხდება, სამყაროდ იქცევა”.<sup>3</sup>

პროკლეს ფილოსოფიის გამგრძელებელი ქრისტიანობის ნიადაგზე უსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელს ამოფარებული უცნობი ავტორია, რომელიც ნუციუბიძე-პონიგმანის ოეორიის<sup>4</sup> თანახმად იყო V საუკუნის ქართველი საეკლესიო

• არეოპაგიტული წიგნების აეტორობის საკითხი საუკუნეების განვალობაში „აწვალებდა“ მცნიერებას. ამ თხზულებების არსებობა 532 წელს კონსტანტინოპოლის საკლესიო კრებაზე გახდა საყოველთაოდ ცნობილი. მის აეტორად გამოცხადდა I საუკუნის ცნობილი საკლესიო მოღვაწე დიონისე არეოპაგელი. რენესანსის მთაზროვნებმა ლორენცო ვილამ (1415-1465) და ურაზმად როტერდამელმა (1466-1536) პირველებმა შეიტანეს ეჭვი ამ საკითხში, რომლის შემდგომაც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა კელუვა-ძიება არეოპაგიტული თხზულებების ნამდვილი აეტორის დასაღვენად. აღნიშნულ საკითხს იკვლევდნენ როგორც გერმანელი (პ. კოხი, ი. შტიგლმაირი), ისე რუსი (ფ. გუმილევსკი, კ. სკორცოვი, ვ. ბოლოტოვი...) მჯდომარები.

პ. კოხმა არეოპაგიტიის საფუძლიანი შესწავლით დააღინა, რომ ამ მოძღვრების ფილოსოფიური მსოფლმხედველობა განსაზღვრულია V საუკუნის ნეოპლატონიკოსი ფილოსოფონის პროელე დიალო-

ხოსის მოძღვრებით. (Koch H. Proklus als Quelle des Ps. D. Areopagita in der Lehre vom Bösen//Philologus. – Gottingen, 1896. -გვ.54). ი. შტიგლმაირის გამოკერდების თანახმად, არეოპაგიტული თხზულებათა ავტორი კარგად იცნობს პროკლეს კომენტარებს პლატონის დიალოგ „ალექიბიადეზე”, რომელიც 462 წლითაა დათარიღებული. (Stigmayer J. Der neoplatoniker Proklus als Vorlage des sogen. Dionysius Areopagita in der Lehre vom Uebel – München, 1895, HYB 18 – გვ.254)

სხვადასხვა ავტორის გამოკერდების საუფლერზე, არეოპაგიტული წიგნების შექმნის თაობაზე, გაკეთებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დასკენები:

1. არეოპაგიტული მოძღვრება ნეოპლატონური ფილოსოფიის, კერძოდ, პროკლეს მსოფლმხედველობის უდავო გაელენას განცდის.

2. არეოპაგიტული თხზულებანი დაწერილია 462 წლის შემდგამებაზე იგი, პლატონის „ალექიბიადისაზე” პროკლესული კომენტარების გაფლენით. რამდენადაც ეს თხზულებანი პირველად 532 წელს იქნება მოხსენიებული, ამდენად არეოპაგიტული მოძღვრების შექმნის საკარაულო დრო 462-532 წლები განისაზღვრა.

3. არეოპაგიტული თხზულებანი ქ. გაზას ეულტურულ გარემოში იყო შექმნილი და მისი აეტორი ჰპისკოპოსი უნდა კოუილიყო.

ამ დასკენებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულ ამ მიმართულებით კელუების შემდგომი წარმატებანი, რომლებიც ძირითადად შეცუდიდისა და ე. პონიგმანის სახელებთან არის დაკავშირებული.

შ. ნუცუბიძე გამოკერდებაში, რომელიც მიზნად ისახავდა არეოპაგიტულ თხზულებათა ნამდებილი აეტორის ჟინაობის გარევენას, ჩერდება იმ კულტურულ გარემოზე, სადაც მოღვაწეობდა არეოპაგიტული წიგნების საკარაულო აეტორი. ამ წერში შედიოდნენ – პროკლე და ენეა გაზეულები და ზაქარია რიტორი („საკელესიო ისტორიის“ ცნობილი აეტორი). შ. ნუცუბიძე დამაჯერებლად ასევენებს, რომ არცერთი ამათგან არაა აეტორი არეოპაგიტული წიგნებისა, უფრო სწორად – ეს აეტორები შეუძლებელია იყვნენ არეოპაგიტიის აეტორები, რადგანაც პროკლე გაზელი ფილობ აღიქმნას მსოფლებელებისათვის და ორიგენის მსოფლებელებისათვის გაელენას განიცდის, ხოლო ენეა გაზელი თავისი ქრისტოლოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებისას ემყარება პლატონის ძირითად დიალოგებს. ენეა გაზელის მსგავსად, ზაქარია რიტორიც პლატონის ფილოსოფიის ერთგული დარჩა. შ. ნუცუბიძის შენიშვნით, რამდენადაც არეოპაგიტული მოძღვრება უშუალოდ პროკლეს ფილოსოფიას ემყარება, ამდენად ეს სამი ცნობილი აეტორი, როგორც არეოპაგიტიის საკარაულო შექმნელი, „მოხსენილი“ უნდა იქნას (შ. ჩუკიძე. თაინა ცხევდი-დიონისია არეოპაგიტი. თბ., 1942, გვ.7).

გაზელი მოაზროვნების მსგავსად, შეუძლებელია არეოპაგიტიის აეტორებად მიჩნეულ იქნენ მათი თანამჯდროებენი – ითან ფილო-

პონი და ლეონტი ბიზანტიული, კინაიდან თითოეულ მათგანს, შ. ნუცუბიძის აზრით, სულ სხვა იღებოლოგიური საფუძველი გააჩნია, კიდრე ფსევდო-დიონისე არეოპაგელს (იგულისხმება პროკლეს ფილოსოფია - მ.მ.)

შ. ნუცუბიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიას”, სადაც აღნიშვნულია: „იმ დიონისე არეოპაგელმა, რომელმაც წარმართობის უმეცრების და წევდიადიდან დეთის შემცნების განსაკუთრებულ შუქს მიაღწია ჩეგნი მოძღვარი პავლეს მეშეობით...” (იქვე, გვ. 19). აქ მკერდევარი ყურადღებას აქცევს გამოთქმას - „იმ დიონისეშ” (პირაპირ „დიონისეს” ნაცვლად) და ასევე მეორე გამოთქმას - „ჩეგნმა მოციქულმა პავლემ”. ამ ბოლო გამოთქმაში წესით უნდა ყოფილიყო - „მოციქულმა პავლემ”. შ. ნუცუბიძის აზრით, აღნიშვნულმა შეიძლება ის აზრი აღვეოძრას, რომ ზაქარია რიტორის მხედველობაში ჰყავდა იმ წრის მოძღვარი და მასწავლებელი, რომელსაც ის თვითონ ეკუვნიდა. ამ წრის ხელმძღვანელი პეტრე იდერი რომ იყო, საყოველთაოდაც ცნობილი, ამიტომაც, შ. ნუცუბიძის შენით, გამოთქმა - „ჩეგნი პავლე” ამ შემთხვევაში საგანგებო დატვირთვას იძენს, რამდენადაც ეს თავისთავად გვიყარნახებს გამოთქმის შეპირისპირებას სხვა პავლესთან - ქრისტეს მოციქულთან. საყურადღებო ისიც, რომ ზაქარია რიტორი, რომლისთვისაც საქმის ნამდვილი კითარება ცხადი უნდა ყოფილიყო, არეოპაგიტული თხზულების აეტორად I საუკუნის მოღვაწეს აცხადებს, რაც შ. ნუცუბიძის აზრით, მიუთითებს, რომ აქ საქმე გვაქვს შეგნებულ „ფალიფიქაციასთან”.

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების ურთიერთბრძოლის პერიოდში, ერთ-ერთი მხარის მიერ დიონისე არეოპაგელის აეტორიტეტი იქნა დამოწმებული. ეკრიდ, არეოპაგიტული თხზულებანი I საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს - დიონისე არეოპაგელს მიაწერეს. უდავო უნდა იყოს, რომ ეს „მიწერა” დიონისე არეოპაგელის დიდი აეტორიტეტის გამო მოხდა და გარეულ მიზანს ემსახურებოდა. ისიც გასათვალისწინებულია, რომ ამ დროის თვის წიგნის მიწერა სხვა აეტორისადმი ჩევეულებრივი ამბავი იყო.

ის, რომ ამ პერიოდში სხვა აეტორისადმი სხვისი წიგნის მიწერა ჩევეულებრივი ამბავი იყო, ჩეგნს ეონერეტულ შემთხვევაში ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტის გამო: ზაქარია რიტორი თავის „საეკლესიო ისტორიაში”, პეტრე იდერის რაღაც გამოსწორდ საქმეზე მიუთითებს, თუმცა ამ საქმის შესხებ არაფერს ამბობს და დუმილს ამჯობინებს. ამასთან, ზაქარია რიტორი, სხვათა სიტყვების დამოწმებით, საინტერესო ამბავზე მოგვითხრობს: თითქოსდა, კინგ ითანე აღვესანდრიულმა თავისი ნაწარმოებები პეტრე იდერს მიაწერა, პეტრემ კი ამ წიგნების გაცნობის შემდეგ, ეს ფაქტი უარყო.

მეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ ითანე აღვესანდრიელი ისტორიული პიროვნება არაა (თ. ბარდენევერი). მაშასადამე, ითანე აღვესანდრიელის წიგნის მიწერა პეტრე იძერ ზე მთლიანად შეთხული ამბავია. ყველაფერი ეს, — შ. ნუცუბიძის აზრით, — ზაქარია რიტორს შეგნებულად აქვს გაეფთებული, რათა მეითხველისთვის პეტრე იძერის სამწერლო მიღვაწეობის შესახებ მიენიშნებინა.

როგორც აღნიშნულიდან ირკვევა, I საუკუნის საეკლესიო მოღვაწის V საუკუნეში შექმნილი თხელულების აკტოცხადებას, პეტრე იძერ ზე არარსებული ითანე აღვესანდრიელის წიგნების მიწერასა და ზაქარია რიტორის მიერ აღნიშნულ პეტრე იძერის „გამოჩენილი“ საქმეს შორის რაღაც კავშირი მართლაც უნდა არსებობდეს.

პეტრე იძერის დიდ აგტორიტეტ ზე მიუთითებს ზაქარია ქართველის შემდეგი სიტყვები: „მნებავ უწყებად თქვენდა, ძმანო ჩემთ საყვარელნო, ცხოვერებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩენისა პეტრესისა, რომელ იგი იქნება მნათობ პალესტინისა და უფროსად ყოვლისა სოფლისა, რომელი იგი აღმოსცენდა ძირთაგან სამეუფოთა და საღმრთოთა და მორჩ იქნება კეთილ საწადელ და სასურველ და აღმორმინდა კითარცა ხე კეთილ და მშენიერი თანაწარსაღინებლისა საღმრთოთა წერილთასა, გამოიხენა უამსა და უწინარესცა უამისა მრავალნი ნაყოფის ცარტული პროზა. მუ-V ტომი, თბ. 1982, გვ. 26). ასეთი კითებები, როგორებიცაა „მნათობ პალესტინისა“, „უფროსად ყოვლისა სოფლისა“, „კითარცა ხე კეთილი მშენიერი თანაწარსაღინებლისა საღმრთოთა წერილთასა“ — თავისთავად მეტყველებენ, თუ ვინ იყო და რა აგტორი პეტრი პქონდა ამ დროისთვის პეტრე იძერს პალესტინაში (და არა მხოლოდ პალესტინაში).

როგორც ცნობილია, არეოპაგიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მოძღვრება სიკეთეზე. ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა პლატონის, პლოტინესა და პროკლეს ფილოსოფიის საფუძველზე აღიარა სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა. არეოპაგიტიკაში სიკეთის საბოლოო მიღწევა ხორციელდება მისტიკიაში ექსტაზის საფუძველზე. შ. ნუცუბიძე კურადღებას აქცევს პეტრე იძერის ცხოვერებაში ისეთ მომენტს, საიდანაც ირკვევა: პეტრე იძერიც ცხოვერების ამნაირ წესს მისდევდა, კერძოდ, მისთვის ექსტაზი უცხო არ იყო. მოულოდნელად ნეტარი (პეტრე) უცნობი შეიქმნა და ექსტაზი ჩავარდა და ამ მდგომარეობაში იგი დარჩა თითქმის საათს, საათნახევარს, თვალები კი ამ დროს უცვლელად პქონდა მიპყრობილი ცისკენ.

საინტერესოა ასეთი ცნობაც: პეტრე იძერი ესაუბრებოდა გაზელ ძენონს. ძენონის აღნიშვნით, პეტრე იძერი ამ აზრებით „პირდაპირი გზით სიკეთისაერთ მიღიოდა“ (შ. ჟილბაძე თაინა პსევდო-დიონისია არეოპაგიტა. გვ. 7). აქ, შ. ნუცუბიძის აზრით, არეოპაგიტულ ძღვებთან გვაქვს თანმთხვევა, კერძოდ, სიკეთის აბსოლუტურობის საკითხში.

შ. ნუცუბიძის სარწმუნო შენიშვნით, ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე არეალაგიტულ მოძღვრება ში მოცემული იქრარქიული პრინციპი და პეტრე იბერის მასწავლებლის – ოთანე ლაზის მიერ წარმოლგენილი სამყაროს იქრარქიული წყობა, რომელიც ანონიმს აქვს გადმოცემული. ოთანე ლაზის, პეტრე იბერის მასწავლებლებსა და მუდმივ თანამდებობას, სამყარო წარმოლდებილი პეტრე და საფეხურებად – ახელო წების, ქერუბის და სერაფიმების სახით. როგორც ცნობილია, არეალაგიტული მოძღვრების ერთ-ერთი თხზულება – „ზეციური იქრარქია“ სპეციალურად ამ საკითხისადმია მიძღვნილი და მასში მოცემული სამყაროს იქრარქიული წყობის მოღვლიც ისეთივეა, როგორიც ოთანე ლაზისა.

სარწმუნო ჩანს შ. ნუცუბიძის მოხაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში არსებულ „დიონისეს აეტობიოგრაფიაში“ (იგულისხმება I საუკუნის საეკლესიო მოღვაწე – დიონისე არეობაგელი – მ. მ.) არაგერია ნათექამი მასზე, როგორც არეობაგიტული თხზულებების აღტორზე. აეტობიოგრაფიაში მინიშნებაც კი არაა დიონისეზე, როგორც არეობაგიტული წიგნების აეტორზე, რაც VII-VIII საუკუნეთა დოკუმენტისთვის, თუნდაც აპოკრიფულისთვის, ფრიდ მრავლისმეტყველია – ამგვარად, საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული წიგნი, რომელშიც არაფერი იყო ნათექამი დიონისეს აეტორობის შესახებ არეობაგიტული წიგნების მიმართ“ (იქვე გვ. 45).

ამ მხრივ, ასევე მნიშნელოვნია ოთანე პეტრიწის ცნობა პროტლეს თხზულების – „თეოლოგიის პირველსაფუძღების“ ხელმეორედ თარგმნის შესახებ: „არამედ მიზეზი აწ ქუალად გარდმოლებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობასა“. შ. ნუცუბიძე თელის, რომ პეტრიწის ეს განცხადება პროტლეს თხზულების აღრე შესრულებულ ქართულ თარგმანზე უნდა მიუთითებდეს. მთარგმნელი კი პეტრე იბერი უნდა იყოს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოთანე პეტრიწის ეს განცხადება სხვადასხვანაირადაა გაგებული მეცნიერებაში.

შ. ნუცუბიძის კელევის შედეგები საუძველს იძლევა გაეთქმული იქნას შემდეგი დასკვნები:

I. ქ. გაზას კულტურული გარემოს იმღროინდელი მოღვაწეები პროფესი და ენეა გაზელები და ზაქარია რიტორი, აგრეთვე მათი თანამედროვეები – ალექსანდრიელი იოანე ფილიოპონი და ლომნი ძიზანტიოლი, შეუძლებელია არეობაგიტული თხზულების აეტორები ყოფილიყვნები.

2. რეალურ „დიონისესა“ და „მოციქულ პატივებს“ ნაცელად ზაქარია რიტორის მიერ „იმ დიონისეს“ და „ჩეკნი პატივებს“ მოხსენიება აჩვენებს, რომ საქმე გვაქვს შეგნებულ ფალსიფიკაციასთან.

3. ზაქარია რიტორის მიერ არარსებული იოანე ალექსანდრიელის წიგნების მიწერა პეტრე იბერზე, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, არეობაგიტული თხზულებების მიეუთვენება I საუკუნის მოღვაწისთვის, მიუითებს, რომ ყოველივე ამას ზაქარია რიტორი შეგნებულად გარ-

კვეული მისნით აკეთებს. აქ ყოველთვის მხედველობაშია მისაღები, რომ არეოპაგიტული მოძღვრება V საუკუნეშია შექმნილი. ამასთან, ზაქარია რიტორის დუმილი პეტრე იძერის რაღაც გამოჩენილ საქმეზე გარეული საიდუმლოების მარცვებელია.

4. არეოპაგიტული მოძღვრებისა და პეტრე იძერის სახელთან დაკავშირებულ თვალსაზრისთა დამთხვევა:

ა) სიკეთის აძსოლუტურობის საკითხში.

ბ) სიკეთის მისტიკური გზით წედომაში.

გ) არეოპაგიტული იერარქიისა და პეტრე იძერის მასწავლებლის – ოთახე ლაზის შიერ წარმოლგენილი სამყაროს საფეხურებრივი მოდულის იგივეობა.

5. პეტრე იძერის ფრიად დიდი განსწავლულობა და მისი საყოველთაო ცნობილი დიდი ავტორიტეტი ქრისტიანულ სამყაროში იმის უდავო საფუძველს იძლევა, რომ მასში არეოპაგიტული თხზულებების შესაძლო ავტორი დავინახოთ.

არეოპაგიტული მოძღვრების ავტორობის საკითხთან დაკავშირებით მცნიერებაში აღრე მიღებული შეღებების გათვალისწინებით, რომლის შესახებაც უკვე მპერნდა საუბარი და მირთადად ახლა აღნიშნული დასკუნების საფუძველზე, შ. ნუცუბიძემ პეტრე იძერი ფსეფლო-დიოონისე არეოპაგელს გაუიგივა და იგი არეოპაგიტიკის ნამდევილ ავტორად გამოაცხადა (შ. ნუცუბიძის კალეჯა-მიება არეოპაგიტიკის საძიებელი ავტორის შესახებ შეჯამდა ნაშრომში: „პეტრე იძერი და ანტიური ფილოსოფიური მემკვიდრეობა”, შრომები. V ტ. თბ., 1975).

შ. ნიუცუბიძის თვალსაზრისისგან დამოუკიდებლად, ამავე დასკვნამდე მიერთა ცნობილი ბელგიული ბიზანტიულოგი – ერნესტ პონიგ-მანი (1892-1954). იმის მიუხედავად, რომ პონიგმანისთვის ნუცუბიძის გამოკვლეული ცნობილი არ იყო, მათი დასკუნები ბევრ პუნქტში გმოთხვევა ერთმანეთს. პონიგმანთან ნუცუბიძის მოსაზრებებისაგან განსხვავებულ და ორიგინალურ მიგნებებს განვიხილავთ მხოლოდ.

ე. პონიგმანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანელი მქედოურის ოტო ბარდებაცევერის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, არეოპაგიტული თხზულებების აეტორი „უცხოელის ენით დაპარაკობს“. ე. პონიგმანის გამოკვლეული ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზაქარია რიტორის ცნობას – პეტრე იძერისა და თეოდორისი იერუსალიმელისადმი არარსებული იოანე ალექსანდრიიელის შრომების მიწერას. ე. პონიგმანი ერთობ საინტერესო კითხვას აუნებს – საკითხავია, როგორდა აირჩია „მოხერხებულმა ყალბისმქნელმა“ თავისი ნაწარმოებების აეტორებად ეს ორი პირი, თუ ისინი არ იყვნენ ცნობილი, როგორც სხვა შრომების აეტორები?!...<sup>8</sup> (Хопицман Э. Петр Ивер и сочинения по Дионисия Ареопагита. Труды Тбилисского государственного университета, т. 59, 1959, გვ. 55)

კულტურური, რაც აქ აღინიშნა, საინტერესო და მნიშვნელოვანია პონიგბანის გამოყელებაში, მაგრამ ძირითადი, რითაც აეტორმა გააძლიდორა და ახალი, თავისეული ორიგინალური მომენტი შეიტანა არეოპავიტული მოძღვრების საძიებელი აეტორის დადგენაში, არის იურეთოოსისა და იოანე ლაზის იდენტობის დადგენა. ე. პონიგბანი კურადღებას აქცევს მიზანებს, რომ სახელი იერეთუოსი ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეთხულია და არ გამოხატავს რეალურად არსებულ პიროვნებას. თუმცა იერეთოოსი ხელოვნურად შეთხული სახელია, მაშინ ასევე ნაყალბევი უნდა იყოს ამ თხზულების აეტორის – დიონისე არეოპაველის სახელიც, რადგანაც, იერეთოოსი ცნობილია როგორც დიონისე არეოპაველის მასწავლებელი.

ე. პონიგბანმა ძევლი ძერძნული, სირიული და რომაული კალენდრების საფუძვლიანი შესწავლისა და შედარების საფუძვლზე დააღინა, რომ ძერძნული, სირიული და რომაული ეკლესია 4 ოქტომბერს აღნიშნავდა, როგორც იერეთოოსის მოხსენების დღე. ამასთან, მცნიერმა კურადღება მიაკვიდა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, ეკრძოდ: 465 წლის 4 ოქტომბერს გარდაცელილა პეტრე იძერის მასწავლებელი – იოანე ლაზი მაშასადამე, იერეთოოსის მოხსენებისა და იოანე ლაზის გარდაცელების დღეები ერთმანეთს ემთხვევა. ეს დღე 4 ოქტომბერია.

აღნიშნულის საფუძველზე ე. პონიგბანი მივიღა დასკვნამდე, რომ იერეთოოსი და იოანე ლაზი ერთი და იგივე პიროვნებაა. იერეთოოსი ფსევდო-დიონისეს მასწავლებელია, იოანე ლაზი – პეტრე იძერისა. იერეთოოსისა და იოანე ლაზის ინდენტიფიკაცია ე. პონიგბანისთვის ფსევდო-დიონისე არეოპაველისა და პეტრე იძერის გაიგივების უმთავრესი საფუძველი გახდა.

შ. ნუცუბიძისა და ე. პონიგბანის ეს მოხაზრებანი მეცნიერებაში შალვა ნუცუბიძისა და ერნესტ პონიგბანის ფსევდო-დიონისე არეოპაველისა და პეტრე იძერის იდენტობის თეორიის სახელითა შესული (პორნიუსი). ამ თეორიას თავის დროზე დადებითად გამოეხმაურებ როგორც საბჭოთა მეცნიერებაში (კ. ორლოვი, ს. სიღოროვა, ე. ჩალოვიანი, ს. ყაუხნიშვილი, ლ. მერიქქსესტაბეგი, შ. ხიდაშვილი, ს. ენექქაშვილი), ისე უცხოეთში (ფრ. ლოელგერი, რ. როეი, ე. ივანეა, ბ. ვარდი). ამ თეორიას აღტაცებით შეხვდნენ დასავლეთის აეტორითებული სამცნიერო უკურნალები (იბ. შ. ნუცუბიძე, პეტრე იძერი და ანტიქური ფილოსოფიური მემკერდურება, გვ 241). ამ თეორიის მართებულობის შესაძლებლობა აღიარებულია შედარებით გვიან თვალსაჩინო რუსი მეცნიერების მხრიდან (ა. ლოსევი, მ. კაპუსტინი, ე. სოელოვი...).

„იდენტობის“ თეორიას უარყოფითად შეხვდა ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი (კ. ქეკელიძე, ს. დანელია, ი. ლომლაშვილი).

როგორც ვხედავთ ნუცუბიძე-პონიგბანის თეორიის მიმართ მეცნიერთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ასეთ ვითარებაში რო-

გორი უნდა იყოს დამოკიდებულება საკუთხრივ არეოპაგიტული მოძღვრებისადმი?

ამ საკითხის გასარევევად შემდეგ კითხვებს უნდა გაუცეს პასუხი:

1. პეტრე იძერის, როგორც არეოპაგიტული თხზულების აეტორის, მიუკუთხნება ქართული კულტურისათვის რამდენადაა გამართლებული?

2. აეტორობის მოუხედავად, აქეს რაიმე მნიშვნელობა არეოპაგიტულ მოძღვრებას ქართული კულტურისთვის?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას უპირველესად შემდგენ ორი გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული: პეტრე იძერმა თავისი ცხოვრების დიდი მონაცემთ სამშობლოსაგან შორის, უცხო მხარეში გააჩარი და საკუთხრივ არეოპაგიტიკაც, უცხო – ბერძნული ენის ატარებულებების ქართული კულტურისთვის.

პეტრე იძერი თავის მასწავლებელთან, ფრიად განხსნავლულ და კეთილ შობილ („კაცი წმიდად და გახშორებული ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა“), იოანე ლაზართან და სხვა თანხმებები ქართველებთან ერთად 12 წლისა, ბიზანტიის ეკისრის მოთხოვნით, კონსტანტინოპოლის წარგზავნებს. კონსტანტინოპოლიში პეტრე იძერმა თავისი ნიჭითა და უნარით დიდად გამოიჩინა თავი. ამის შესახებ ზაქარია რიტორი გვამცნობს: „ხოლო უკუთუ ვინძე იყითხეოდეს, თუ კითარ მეტყველებდა ბერძნულ ნებარი პეტრე, მე ვაუწყო. რამეთუ ჩეგნსა მას ყოფასა კონსტანტინოპოლის ემზომ ადგილად დაისწავლა მან ენაზ ბერძული და სწავლად ვიდრერა უკუირდა ფრიად მეფესა და ყოველთა უილოსოფოსთა პალატისათა სიმახეილე გონებისა მისისად“<sup>10</sup> („ქართული პროზა“, III ტ. გვ. 31-32).

სამეურ კარზე დიდი წარმატების მიუხედავად, პეტრე იძერი (ერისკაცობაში მურვანი) თავის მასწავლებელ – იოანე ლაზართან ერთად პალესტინაში წავიდა და რელიგიური მოღვაწე გახდა. ამ დროისთვის იგი 20-22 წლისა. პეტრე იძერს ახლონენ სხვა ქართველებიც, მათ შორის, ზაქარია ქართველიც, რომელსაც კეთვნის მის შესახებ ბიოგრაფია ასურულ ენაზე. აღნიშვნული ბიოგრაფია XIII თუ XIV საუკუნეში გადმოაქართულა მაკარი მესხება სწორებ ზაქარია ქართველის ბიოგრაფიაში პეტრე იძერი მოხსენიებულია როგორც „მნათობ აღლებინისა“, „კითარუა ხე კეთილი და შევნიერი თანაწარსაღინებულსა საღმრთოთა წერილთასა“, „სამეაულსა და სიქაღლულსა ქართველთასა და მეოხსა ყოვლისა სოფლისასას“ – და რაც მთავარია, ამას გვამცნობს პეტრე იძერთან დაახლოებული პირი, რომელიც სიყრმიდანეე თან ახლდა მას. „ხოლო... პირველად ვაუწყო – მოქალაქეობად მისი და დიდებულებად საკუირველებათა და სასწაულთა მისთავ – რამეთუ არა სხვათაგან თხრობილსა გინა სხვისაგან სმენილსა მოქენე ვარ აღწერად, არამედ რომელსა თეით თვალითა მხილეელ ეიქენ, იგი აღვწერო,

რამეთუ სიყრმითგან შეუდებ მე წმიდასა მას, ეითარცა შეიძლი ერთგული, სადაც არნ და საღაცა წარეაღმნული (იქვე, გვ. 26, 27, 59).

აქ აღნიშნულით, ერთ მხრივ, ცხადი ხდება პეტრე იბერის დიდი განსწავლულობა და აეტორიტეტი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მომ-განვითარება ქართულ გარემოში. ისიც ცნობილია, რომ პეტრე იბერი მის მიერ აგებულ ეკლესიებსა და მასთან დაკავშირებულ აღვიღებს ქართულ სახელებს არქმევდა და, საერთოდ, იგი ბევრს ზრუნავდა ქართული ეკლეტისთვის.

პეტრე იბერის მოღვწეობას პალესტინაში დიდი ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა (1904-1973). იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში ბეთლეჟმის მახლობლად აღმოაჩინა პეტრე იბერის მიერ აშენებული ქართული ეკლესის ნანგრევები. ცნობილი არქეოლოგის შენიშვნით, ეს მონასტერი თავისი გეგმით, დგინისა და ზეთისხილის საწურავებით „განსხვავებულად გამოიყურება აქ მოღვაწე ბერების საქმიანობა, იუდას უდაბნოს სხვა მონასტერთან შედარებით“<sup>12</sup> (გ. წერეთელი, უძევლესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 9). გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ პეტრე იბერს აუშენებია ეს მონასტერი და ამასთან „შეუძირა იგი ქართული წარწერებით, სადაც თვით მისი, მისი მამისა და პაპის სახელებია მოხსენიებული“, და რაც მთავარია, ეს წარწერები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ კეკლაზე უძევლესია დღემდე არსებულ ძელ ქართულ წარწერებს შორის. „ენიანიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწერებენ დღემდე კეკლაზე ძელიად მინეულს ბოლნისის წარწერებს“<sup>13</sup> (იქვე, გვ. 29).

ამავე გამოკვლეული ში, გ. წერეთელი არ იზიარებს აკადემიკოს კორნელი ეკეკლიძის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, პეტრე იბერი „გაიზარდა ბიზანტის ეკლეტიურულ სფეროში, იკვებებოდნა იმ სულიერი საზრდოოთი, რომელსაც ის პოლიტიკური ბერძნულსა და სირიულ წრევებში“. გ. წერეთელის აზრით, ეკლესიის ნანგრევებზე აღმოჩენილი წარწერებით, ეს მოსაზრება არ დასტურდება! „ნაწილობრივ ეს მოსაზრება აღრეც იწვევდა ეჭვს. V საუკუნის დიდი ქართული მოღვაწე მურვან-პეტრე ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთში პეტრე ივერიელის, ანუ პეტრე ქართველის სახელით. საფიქრებელია, ქართველად (ივერიელად) იმიტომ იწოდებოდა იგი სხვა ერგის წარმომადგენელთა მიერ, რომ ასე უწოდებდა და, მაშასადამე, ასე თელიდა იგი თავის თავს. ამიტომ საეჭვოა ეითიქროთ, რომ ეკლეტიურის მოღვაწეს, რომელიც თავის თავს ქართველად თელიდა, არავითარი კავშირი არ პქონდა ქართულ ეკლეტიურულ სამყაროსთან და რომ იგი გაურბოდა მას“<sup>14</sup> (იქვე, გვ. 46). ქართველი უფლისწულის აშენებული ეკლესია და წარწერები – „მოწმობს, რომ იგი მჰირორდ ყოფილა დაკავშირებული ქართულ ეკლეტიურულ სამყაროსთან და იმდროინდებულ წმინდა აღვიღებული მოღვაწეობით მას ქართული ენა და ქართული ეკლეტიურა –

საერთაშორისო სარბიულზე გაცქონდა" (იქნე). აქვე, აეტორი გარაუდს გამოითქვამს, რომ იქნებ პეტრე იძერისა და მისი მსგავსი სხვა პალესტინელი ქართველი მოღვაწეების დამსახურებით შეჩერდების ქართველებმა მოიპოვეს უფლება, პალესტინის უდიდეს ლავრაში, სადაც ბერძნები იყვნენ გაბატონებული, „წართქვან გამნი და სამხრისად, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედა ენაზე", როგორც ამას საბა განწმედილის „ანდერძი" მოწმობს.

გ. წერეთლის თვალისაზრისს მთლიანად ეთანხმება შალვა ხიდაშელი და თავის ქართველი გამოითქვამს საუკრადლებო მოსაზრებას: პეტრე იძერი აუცილებლობით თვლის წარწერებში მოიხსენიოს მამაკაიოს სახელები და თავისი თავი „...არა ეკისრის კარზე შერქმული, და არც პალესტინაში შეძენილი სახელით, რომელიც უფრო მეტად შეუფერებოდა მის სამონასტრო მოღვაწეობას, არამედ სახლით, რომელიც მის მშობლებმა შეარქეს და რომლითაც იგი საკუთარ ქეყანაში იყო ცნობილი" (შ. ხიდაშელი, სამაული და სიქადული ქართველთა, „ცისარი", №4, 1969, გვ. 141).

აღნიშნულის შემდეგ ერთი რამ ცხადია: სამშობლოსგან მოწყვეტილი, უცხო მხარეში მცოვი პეტრე იძერი, ქართულ სულს როდი იყო ჩამოშორებული და მას ქართული სინამდევილე არასოდეს დაიწყებია. შეიძლება ითქვას, რომ პეტრე იძერი მხოლოდ წარმოშობით არ ყოფილა ქართველი.

აქ, კიდევ ერთხელ გაიხსენიოთ გერმანელი მკელევრის ო. ბარდენევერის სიტყვები: „არეოპაგიტული წიგნები", უცხოელის ენით ლადარაკობენო. ო. ბარდენევერი სხვას არაფერს ამბობს თუ არა, ამ წიგნების აეტორი ნასწარლი ბერძნულია წერს: პეტრე იძერმა კონსტანტინოპოლში ბრწყინვალედ შეითვისა ბერძნული ენა, თუმცა ეს მაიც ნასწარლი ენა იყო მისთვის. ამდენად, კ. პონიგმანის მიერ განსაკუთრებული უფრადლების მიქცევა ო. ბარდენევერის აღნიშნულ მოსაზრებაზე, არც თუ ისე უსაცუმელო უნდა იყოს.

ახლა მეორე კითხების შესახებ. საქმარისია შეა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელობანის წარმომადგენლების შემოქმედებათა უბრალო თვალის გადაცელება და ცხადი გახდება არეოპაგიტულისა და, საერთოდ, ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდესი მნიშვნელობა ქართული ფილოსოფიური აზრის ჩამოყალიბებაში.

არეოპაგიტული თხზულებების ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი — XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მთაზრუნვე ეურებ მცირე „ქართული ნეოპლატონიზმის" თვალსაზრისი წარმომადგენლებია. ეს მის მიერ სათარგმნელად შერჩეული ლიტერატურიდანაც კარგად ჩანს (არეოპაგიტიკა, ითანე დაბასკელის თხზულებანი...).

არეოპაგიტულმა მოძღვრებამ დღით გავლენა მოახდინა XI-XII საუკუნეების ქართულ საერთო ლიტერატურაზე. ამ უკონტის მეხოტებეთათვეს (შავთველი, ჩახრუხაძე), არეოპაგიტულ მოძღვრებაში გატარებული

მოღვაწე პეტრე იბერი (411-491). არეოპაგიტულ შრომებში გატარებული ძირითადი პრინციპები, შ. ნუცუბიძის აზრით, რენესანსის მთავარი იდეული საფუძველია. რენესანსის ფილოსოფიის წარმომადგენლები ნიკოლოზ კუზელი, ჯორდანო ბრუნო, მარსილიო ფინინო, პიკო დელა მირანდოლა განიკლიდნენ არეოპაგიტული მოძღვრების გავლენას.<sup>4</sup>

არეოპაგიტულ მოძღვრებაში, ანუ, როგორც მას ხშირად „უწოდებს შ. ნუცუბიძე, არეოპაგიტულ ნეოპლატინიზმში, მოხერხდა მიწისა და ზეცის დუალისმის გაუქმება. ფსევდოდიონისე არეოპაგელმა სამყაროს ერთიანობის პრინციპი ნეოპლატინისმიდან აიღო. მისი დამსახურებაა ის, რომ მან შეძლო „...ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრების შერწყმა ქრისტოლოგიაში ნეოპლატინიზმის მეშვეობით”<sup>5</sup>.

არეოპაგიტიკა, შ. ნუცუბიძის აზრით, იდეუნებოდა როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ამ მოძღვრებაში მოცემული ადამიანის გაღმერთების (თეოზისის) იდეა, რომელიც უპირისპირდებოდა ქრისტიანულ ღოქტრინას ღმერთის განკაცებაზე. რა თქმა

---

თვალსაზრისი დეთაების მიუღწევლობისა და შეუმეცნებლობის შესახებ, საერთო მსოფლმხედველობრივ ფონს წარმოადგენდა, რომელმაც განსაზღვრა მათი ბევრი მეტაფორის ხასიათი.

არეოპაგიტული მოძღვრების აშკარა გავლენა ჩანს რუსთაველის „ვეზებისტყაოსანში”, სადაც მოცემულია პირდაპირი მითითება ფსევდოდიონისე არეოპაგელზე („ამ საქმესა დაუარულსა ბრძენი დიგნოს გააცხადებს“), „ვეზებისტყაოსანში“ გათავისებულია სიექთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის („ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“). ეს თვალსაზრისი პლოტინეს ფილოსოფიიდან იწყება და საბოლოოდ დასრულებულ სახეს არეოპაგიტიკაში ღებულობს.

ზემოაღნიშული საფუძველს იძლევა, რათა მთლიანად გაზიარებულ იქნება შალვა ხიდაშელის მოხაზუება: „არეოპაგიტიკის ქართულ გადათარგმნის თვით ფაქტი, მოუხედავად იმისა, თუ იუნ იურ მისი აეტორი, მნიშვნელოვანია თავისი გავლენით ქართული შუა საუკუნეების იდეოლოგიაზე”<sup>18</sup> (Ш. ხიდაშელი Основные мировоззреческие направления в феодальной Грузии. Тб., 1962, გვ. 259).

მოქლევ, ეს არის ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიის არსი. იმის გათვალისწინებით, რომ არეოპაგიტული მოძღვრება რენესანსის მთავარ მსოფლმხედველობრივ წყაროდ მოიაზრება, იღენტობის თეორიის დასკუნები მნიშვნელოვანი ხდება ქართული რენესანსის კვლევა-ძიებისას.

უნდა, ეკლესიისთვის მიუღებელი იყო ადამიანის გაღმერთების იდეა, კინაიდან ამ შემთხვევაში, მიწიერისა და ზეციურის დუალიზმი ძალას კარგავს, რაც, როგორც ცნობილია, რელიგიური მსოფლმხედველობისთვის აუცილებელია.

შ. ნუცებიძის აზრით, არეოპაგიტული მოძღვრების დევნის მისები იყო აგრეთვე მასში მოცემული იერარქიის პრინციპი, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ნეოპლატონიურ ფილოსოფიაში და აქვთ გამომდინარე ათვისებული იქნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიერაც. იერარქიის პრინციპის დამკაიდრებით არეოპაგიტული მოძღვრება აღიარებს ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის თვალსაზრისს. იერარქიის პრინციპის თანახმად, იერარქიის საფეხურები ერთმანეთთან აუცილებელ კავშირშია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სრულყოფილების ხარისხით, რაც იმას ნიშნავს, რომ სამყარო თავისი იერარქიული საფეხურებით (პირებულმიზეზი ანუ ღმერთი, გონი, სული, კოსმოსი) ერთიანი მთელია. არეოპაგიტული მოძღვრების ბევრ აღილას გატარებულია იერარქიის ეს პრინციპი.<sup>6</sup>

რენესანსისთვის დიდი მნისვნელობა ჰქინდა არეოპაგიტულ მოძღვრებაში გატარებულ აუცილებლობის პრინციპს, რის საფუძველზეც პირველმიზეზიდან არსებები აუცილებლობით, ყოველგარი წინასწარი არსებანის გარეშე მომდინარეობენ – წარმოიშობიან.<sup>7</sup> ეს პრინციპი გვხვდება ნეოპლატონისმის ყველაზე თვალსაზრისო წარმომადგენლებთან: პლოტინესა და პროკლესთან. არსებათა აუცილებლობით წარმოშობის აღიარება ნიშნავს მონოთეიზმის არსებითი მომენტის – კრეაციის უარყოფას, რომელიც გულისხმობს ღმერთის მიერ არსებათა წარმოშობას, საკუთარი სურვილით, დროში, არაფრისებან.

რენესანსული მსოფლმხედველობისთვის ასევე მნიშვნელოვანია არეოპაგიტული თვალსაზრისი სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობაზე, რომელიც ფსევდო-დიონისემდე გვხვდება პლოტინესთან, ბასილი დილთან და პროკლესთან. ფსევდოდიონისესთან გაზიარებულია ეს თვალსაზრისი და წევნოთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ რუსთაველთან იგი სწორედ არეოპაგიტული მოძღვრებიდანაა შემოსული. საკუთრივ სიკეთის აბსოლუტურობისა და ბორო-

ტების არასუბძისტანციურობის აღიარებას ის მნიშვნელობა პქონდა, რომ ამით დაშვებული იყო ბოროტების დაძლევის შესაძლებლობა. ეს იდეა რენესანსის მსოფლმხედველობის-თვის არსებითი იყო.

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ არეოპაგიტულმა მოძღვ-რებამ ნეიპლატონისმის მიერ ათვისებული და გადამუ-შავებული ანტიკურობა „გადარგო“ ქრისტიანობის ნიადაგზე, რითაც შენარჩუნდა რენესანსისთვის აუცილებელი იდეები და პრინციპები. ამ იდეათა შორის ძირითადია – ღმერთისა და სამყაროს ერთიანობა, – იდეა, რომელიც რენესანსის ფილო-სოფიურ მსოფლმხედველობას ამზადებს. ამ ძირითადი იდეის მომენტებია: ღმერთიდან (პირებლმიზუად) არსებათა აუცი-ლებლობით გამომდინარეობა, ადამიანის გაღმერთების თვალ-საზრისი, ღმერთთან უშუალო შეერთების დაშეება, იერარ-ქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბძისტანციურობა.

შ. ნუცუბიძის საერთო თვალსაზრისის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აქ აღნიშნული იდეური ფონი კულ-ტურის ისტორიაში შეამზადა ანტიკურობის ათვისების პირ-ველმა გზამ, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი. შემდგომში ეს გზა მძლავრ მიმართულებად გადაიქცა და მას მიმდევრები პასუხისმგებელი სახელმწიფო სახელმწიფო სახელმწიფო (ბიზანტია, საქართ-ველი, საფრანგეთი, გერმანია). ამ გზამ საბოლოოდ განაპი-რობა კუზულის და ბრუნოს პანთეოზმი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ, შ. ნუცუბიძემ, გავრცე-ლებული აზრის საწინააღმდეგოდ, რენესანსის ძირები აღმო-საელეთში დაინახა და საკუთარი თვალსაზრისი ასე დაა-საბუთა: ნეოპლატონიზმის უკანასკნელი წარმომადგენლის პროექტებს ფილოსოფია მხოლოდ წარმართობით საზრდოობ-და. ამასთან, ამ დროის ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიაა და ამიტომაც მაშინ შეუძლებელი იყო პროექტების მოძღვრების მიღება უცელელად. სწორედ ის იყო ფსევდო-დიონისეს დამსახურება, რომ მან მოახერხა ნეოპლატონიზმის (პროექტებს ფილოსოფიის სახით) „ქრისტიანულ ნიადაგზე გადარგვა“, რითაც გზა გაუხსნა მოწინავე იდეებს. თუკი არეოპაგიტიკა რენესანსის წყაროა, მაშინ რენესანსის ძირები

აღმოსავლეთში ყოფილა საძირქელი, რადგანაც არეოპაგიტიკა აღმოსავლური ქრისტიანობის ძეგლია.

როგორც ვნახეთ, შ. ნუცუბიძის მიხედვით, რენესანსის მსოფლიმებელელობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს იმ იდეებმა, რომლებიც სათავეს ანტიკურ ფილოსოფიაში, კერძოდ, პლატონის მოძღვრებაში იღებდა და რომლებიც შემდგომ განვითარებულ იქნა შ. ნუცუბიძესთან აღნიშნულ „ანტიკური მემკვიდრეობის“ ათვისების პირველი გზის წარმომადგენლების მიერ.

შ. ნუცუბიძესთან ეს თვალსაზრისი უფრო კონკრეტულება, როცა მსჯელობა ეხება ქართული რენესანსის იდეოლოგიას, რომელიც, მისი აზრით, უშუალოდ უკავშირდება იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) ფილოსოფიას. „პეტრიწის მოღვაწეობის არსი მდგომარეობდა არეოპაგიტული ნეოპლატონიზმის აღრიძინებაში, რომელმაც რენესანსის იდეოლოგიის როლი ითამაშა საქართველოში ისევე, როგორც ზოგიერთი ცელი-ლებებით, თითქმის ყველგან, სადაც კი წამოიწყო რენესანსი, იქნებოდა ეს აღმოსავლეთში თუ დასავლეთში“.<sup>8</sup>

იოანე პეტრიწის როლს რენესანსის ჩამოყალიბებაში შ. ნუცუბიძე იმაში ხედავდა, რომ „...რენესანსის ყველა იდეოლოგიისაგან განსხვავებით, რომლებიც მისღევენ მსოფლიო რენესანსის იდეოლოგიურ წაროს – არეოპაგიტული წიგნების ავტორის იდეებს, პეტრიწი მიემართება იმავე გზით, მაგრამ პირველ რიგში ქართული ანტიკურობისაკენ“<sup>9</sup>.

აქ საუკრადლებოა ისიც, რომ შ. ნუცუბიძის აზრით, იოანე პეტრიწის ამგვარი მსოფლმებელელობის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი შეასრულა მისმა განსწავლულობამ და მოღვაწეობამ ბიზანტიაში, კონსტანტინეპოლიში, ითანე იტალის ფილოსოფიურ სკოლაში. პეტრიწი იოანე იტალის არა მხოლოდ ფილოსოფიური, არამედ თეოლოგიური ნაწერების საქმის კურსშიც იყო. როგორც ცნობილია, იოანე იტალი თავისმა თეოლოგიურმა ნაწერებმა ციხემდე მიიყვანა, შენიშნავს შ. ნუცუბიძე. აქ, მას მხედველობაში პქონდა ის ფაქტი, რომ იოანე იტალს თავისი შეხედულებების გამო ეკლესიამ II ბრალდება წაუკენა, რის საფუძველზე შეაჩენენს ეიდეც.

შ. ნუცუბიძეს იოანე პეტრიწი მიაჩნია იმ ყაიდის მოაზროვნედ, რომლის შეხედულებებიც ორთოდოქსული მსოფლ-

მსედველობისთვის მიუღებელი იყო. ამასთან, მისი აზრით, ითანე პეტრიწის შრომა (იგულისხმება პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყელებითინი“-ს პეტრიწისეულ თარგმანზე დართული კომენტარები, რომელიც პეტრიწის რიჩიგინალურ შრომას წარმოადგენს) ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გააზრების იმ ელემენტებს იმეორებს, რომელიც არეოპაგიტულ მოძღვრებაშია მოცემული. სწორედ ამაში ხედავს შ. ნუცუბიძე ითანე პეტრიწის ფილოსოფიის უშუალო კავშირს არეოპაგიტულ მოძღვრებასთან. ამასთან, აქ, ის ერთ პრინციპულ განსხვავებაზეც მიუთითებს: „პეტრიწი სცილდება ფსევდო-დიონისიური წიგნების ავტორის ქრისტიანულ ფირმას და ქართულ რენესანსში „წარმართობის გამოცოცხლების“ მხარეს იხება“<sup>10</sup>.

შ. ნუცუბიძის ოვალუსაზრისი ითანე პეტრიწის „წარმართობისაკენ გადახრის“ თაობაზე ფრთხილ მიღომას საჭიროებს, ეინაიდან ამის ფაქტობრივ და დამაჯერებელ დასაბუთუბას მასთან ვერ ვხვდებით. მით უმეტეს, რომ ამ მომენტს შ. ნუცუბიძე დიდ უურადღებას აქცევს და მას განსაკუთრებულ კულტურულ თუ აზრობრივ დატვირთვას აძლევს: „ანტიკური წარმართული მსოფლებებისაკენ გადაჭრით შემობრუნებაშ ხელი შეუწყო საქართველოში „წარმართობის გამოცოცხლებას“, რომელიც ცოცხალი, ნამდვილი ბუნების პოეტური აღქმის ფორმა იყო. ეს შემობრუნება ცოცხალი ბუნებისაკენ და ცოცხალი მთლიანი ადამიანისაკენ საფუძვლად დაედო XII საუკუნის საერთ პოზიას, რომელიც ქართულ რენესანსს შეადგენს. თავისი შემობრუნებით ბუნებისაკენ, ერთი მხრივ, და საუაროს ისეთი ერთიანობის იდეის დანერგვით, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ და შეუძლებად დამოკიდებულებათა საფეხურების სისტემას, იერარქიის, მეორე მხრივ სიკეთისა და მშენებიერების არეოპაგიტული იდეების აღდგენით პეტრიწი რუსთაველის წინამორბედად გვევლინება. რუსთაველი არეოპაგიტული ნეოპლატონიზმის მიმდევარი იყო და მან შეძლო გაეკრიტიკებინა მშენებიერებისა და სიცეარულის პლატონური მოძღვრება და სიკეთისა და მშენებიერების იდეა ამ ქვეყნად, რეალურ სინამდვილეში, გაღმოეტანა და ზეციურ საწყისთან შეერწყა იგი“<sup>11</sup>.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, შ. ნუცუბიძე პირდაპირ კავშირსა და ერთიან ხაზს ხედავს ფსევლო-ლიტისე არეოპაბელს, იოანე პეტრიწა და შოთა რუსთაველს მორის და ამ ერთიან ხაზში იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობას გარკვეული შეამავლის ფუნქციასაც აკისრებს. კოიქრობ, აქ შ. ნუცუბიძემ არსებითად სწორად შენიშნა იდეური კავშირები სამ დიდ შემოქმედს მორის. ერთადერთი, რაშიც შეიძლება შეედავოს მას, არის ის, რომ ამ თვალსაზრისის დასაბუთება უფრო მეტ სიცხადესა და დამაჯერებლობას საჭიროებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძე გრძნობს ამ სიძნელეს და იოანე პეტრიწის შრომების (ცენტრალურ საკითხზე (არეოპაგიტიკის აღორძინება) მსჯელობისას აღნიშნავს: „ამ საკითხის დეტალური გაშუქება სპეციალური მრინობრაფიის საქმეა“.<sup>12</sup>

შ. ნუცუბიძის აზრით, პროკლეს თხზულების პეტრიწისეული თარგმანი ხშირად სცილდება ორიგინალს და ეს ძირითად გამოწვეულია პროკლეს არეოპაგიტული ინტერეტაციის გავლენით. აქ, „უშუალოდ თვალში გვეცემა ის პრიციპი, რომელსაც უკრძალობა პროკლეს არეოპაგიტული გაგება და მისი გზით ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობაც“.<sup>13</sup> ამით შ. ნუცუბიძეს იმის თქმა უნდა, რომ პეტრიწი პროკლეს თხზულების თარგმნისა და განმარტებისას ხელმძღვანელობდა მისი არეოპაგიტული რედაქციით.

არეოპაგიტიკასთან იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობის სიახლოების დამადასტურებელია სიკეთისა და ბოროტების მიმართების არეოპაგიტული თვალსაზრისის მიღება პეტრიწის მიერ და ამ გზით მისი ათვისება რენესანსის ქართული პოეზიის მხრიდან. საინტერესოა და საყურადღებოა შ. ნუცუბიძის მიერ ამ საკითხის გაშუქება: „პროტებას არ გააჩნია დამოუკიდებული არსებობა და ამდენად, წარმავალია და შეიცავს მეტი ბედნიერების შესაძლებლობას ნაკლები ბედნიერების გზით. ეზიარო ერთს (პროკლე) და თვით იქცელმერთად (არეოპაგელი). ანუ თანამონაწილეობდე ერთში (პეტრიწი) – ასეთია არეოპაგიტული წიგნების აგტორის მიერ ქრისტიანული კულტურის ნიაღაგზე გადამუშავებული ნეოპლატონიზმის აპოგეა. ამავე სახით აითვისა ნეოპლატონიზმის ფილოსოფოსმა პეტრიწმა“.

კეთილისა და ბოროტის, სრულყოფილების, სიყვარულისა და მშენიერების ასეთივე ცნებები შეითევისა იდეოლოგიურად ქცეულ ქართულ (არეოპაგიტულ) ნეოპლატონიზმზე აღნირდილმა ქართული რენესანსის პოეზიამ”<sup>14</sup>.

აქ გვაქვს კიდეც შენიშვნა შ. ნუცუბიძის თვალსაზრისის მიმართ. კერძოდ, ის მსჯელობს სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე შეუა საუკენეების ქართულ ფილოსოფიასა (იოანე პეტრიწი) და ქართული რენესანსის პოეზიაში (შოთა რუსთაველი). ამ თვალსაზრისის (სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა) მთავარ წეაროდ ნუცუბიძე არეოპაგიტულ მოძღვრებას ასახელებს. მაშინ როცა, ის თვალსაზრისი, რომ „ბოროტება სიკეთის კლებაა”, უფრო აღრე გვხვდება ბასილი დიდთან. თუმცა უჭვებარეშეა, ამ თვალსაზრისის უფრო ადრინდელი ნეოპლატონური (პლოტინე) წარმომავლობა. ვინაიდან ბასილი დიდის შრომები იმ დროისათვის უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე, ბუნებრივია, რომ ეს თვალსაზრისი პეტრიწისა და რუსთაველის ეპოქის ქართული სააზროვნო ვითარებისათვის უცხო არ იქნებოდა. ამდენად, აქ, „უპირველესად ისიც გასაარკვევია, რატომ და რის საფუძველზე მიმართავდნენ არეოპაგიტიკას და არა, მაგალითად, ბასილი დიდის შრომებს. ეს რომ ასეა, განსაკუთრებით კი რუსთაველობან, საეჭვო არ უნდა იყოს, რაც მშენიერად შენიშნა და სათანადოდაც გამოიკვლია შ. ნუცუბიძემ.

შ. ნუცუბიძის აზრით, მართალია, იოანე პეტრიწმა ნეოპლატონიზმი არეოპაგიტული რედაქციით აითვისა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ის ორიგინალში არ იცნობდა ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა შრომებს. ამას ადასტურებს მისი „განმარტებაი”, სადაც კარგად ჩანს პეტრიწის როგორც საერთოდ დიდი ერუდიცია, ისე ბერძნული ფილოსოფიის საფუძველიანი ცოდნა. მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ შ. ნუცუბიძე უფრო სხვა მხრივ მიაპყრობს ურადღებას და უფრო სხვა მიმართებით ხედავს იოანე პეტრიწის მიერ ნეოპლატონიზმის არეოპაგიტული ათვისების მნიშვნელობას: „არეოპაგიტული რედაქცია იმიტომაა საგულისხმო, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა ანტიკური მემკვიდრეობის რეცეფცია ქრისტიანობის მიერ, პეტრიწი უფრო

შორის წავიდა ანტიკურობის ათვისების ხაზით და მივიღა სამყაროზე წარმართულ-ხალისიანი შეხედულებამდე, უარყო ასკერიზმი და გამოსახა ეს წარმართული ლმერთების სახეებით”<sup>15</sup>.

თავისი მოსაზრებების დასადასტურებლად შ. ნუცუბიძე მიმართავს იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში ღმერთის ქრისტიანული წარმოდგენის აღილას „ერთისა” და მზის წარმართული წარმოდგენის ჩასმას. მართალია, ამგვრი რამ გვხვდება არეოპაგიტიკაშიც, მაგრამ ეს შ. ნუცუბიძეს მიაჩნია ქრისტიანობიდან „შემთხვევით” და „უნებლიერ” გადახვევებად”<sup>16</sup>.

შ. ნუცუბიძის ეს თვალსაზრისიც საჭიროებს დასუსტებას. კერძოდ, „ერთისა” და მზის ისეთი წარმოდგენა, როგორიც გვხვდება იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში, თითქმის იმავე სახითა მოკვემული არეოპაგიტიკაშიც, რასაც შ. ნუცუბიძეც აღნიშნავს. მაგრამ მისგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ აქ არავითარ „შემთხვევებით” და „უნებლიერ” გადახვევასთან არ უნდა გაქტინდეს საქმე. ამას უნდა ადასტურებდეს თუნდაც ღმერთისა და მზის ცნობილი არეოპაგიტული ანალოგია, რომლის საფუძველზეც ღმერთი არეოპაგიტიკაში წარმოდგენილია, როგორც სამყაროს იმანენტური არსება, რომლისგანაც აუცილებლობით მომდინარეობენ არსებები. არც ის უნდა ყოფილიყო შემთხვევებითი, რომ არეოპაგიტიკის ეს თვალსაზრისი ქრისტიანი ღვთისმეტყველთა (მაქსიმე აღმისარებელი, თომა აკეინელი) მეაცრი კრიტიკის საგნად იქცა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იოანე პეტრიწის მისამართით შ. ნუცუბიძის გამოთქმული თვალსაზრისი ძირითადად მართებულია და ამას ყევლაზე ნათლად მის მიერ დამოწმებული პეტრიწის თხზულების შესაბამისი აღილი ადასტურებს: „აღიუწევ, რომ ოდეს ეტროდის არსი ზესთ არსესა, პირველად თვისთა ყოველთა შინაგანთა შეიარებს, რაითა პოვოს თვის-შორის და მიზეზი თვითერთი. ვინაი მის მიზესისა მიერ თვისისა, რომელ არს მის შორის. ერთი შეეყოფვის მას ზესთათა, მზესა ერთსა, ვითარცა აღმოაჩენს სოკრატი „უდროსა” შორისა”<sup>17</sup>.

იოანე პეტრიწი, აღნიშნავს შ. ნუცუბიძე, ნეოპლატონური ფილოსოფიის ტრადიციების გამგრძელებელია და მასთანაც,

ისევე როგორც ნეოპლატონიკოსებთან, ღმერთი სამყაროს მიზეზითა და არა შემოქმედი, ხოლო სამყარო შემოქმედი კი არაა, არამედ შედეგია, რომელიც გამომდინარეობს მიზეზიდან: „ამით ეს დებულება განსხვავდება შემოქმედებით, ე.წ. კრეაციონისტული თვალსაზრისის მომხრეთა პოზიციისაგან”, და აქ აკტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც იმუამინდელი ეპოქისათვის საყიველთაოდ დამახასიათებელი იდეოლოგიური წენებისათვის ანგარიშის გაწევა უფროა, ვიდრე ფილოსოფიური კულევა-ძიების შედეგად გაკეთებული დასკვნა. კერძოდ, შ.ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ კრეაციონისტული თვალსაზრისისგან განსხვავდებით, „ემანაციის შესახებ ნეოპლატონიური მოძღვრების ასეთი კაუზალური გაებიდან პირდაპირი გზა მიღის პანთეიზმისაურ; ხოლო თუ ამას დავუმატებთ ე.წ. არეოპაგიტულ განმარტებას ღმერთის არსებობის, როგორც ნეგატიური მომენტისა, მაშინ ყველაფერმა ამან მოამზადა გადასვლა პანთეიზმიდან ათეიზმზე, ონტოლოგიზმიდან კი მატერიალიზმზე და შ. ნუცუბიძე ამ ასრე ავრცელებს რუსთაველზეც: XII საუკუნის ქართულ რენესანსში ასეთი გამოსავალი აღნიშნულ სიტუაციიდან უკვე სახეზე იყო: რუსთაველის მსოფლგაგებამ, რომელიც, ცხადია, პოეტური ფორმითა და გამომსახველური საშუალებებით იყო შემოსილი, მოგვცა ასეთი გადასვლა ნეოპლატონიური ემანაციიდან ფსევდო-ლიტონისეს თხზულებათა ავტორის ნეგატიური თეოლოგიაზე გადასვლით ათეიზმისაურ, რომელიც მატერიალიზმს „უახლოვდება”, შ.ნუცუბიძის ეს თვალსაზრისი საფუძველს მოკლებულია<sup>18</sup>.

თუკი გავითვალიწინებთ შ. ნუცუბიძის დიდი ერუდიციას, ფილოსოფიის ისტორიასა და ფილოსოფიურ პრობლემატიკაში ღრმა ჩახედულებასა და განსწავლულობას, მაშინ შეიძლება კირწმუნოთ, რომ მისი ეს თვალსაზრისი სხვა არაფერია, თუ არა ზემოთ აღნიშნული გარემოებისადმი ანგარიშის გაწევა.

საბოლოოდ შ. ნუცუბიძეს სამყაროს მთლიანობაზე იოანე პეტრიწის პოზიცია ასე აქვს წარმოდგენილი: „...პეტრიწის აზრით, სამყაროს სიკეთე შექმნილი არ არის, არამედ „ღმერთის ბუნების” შედეგია, ამასთან იგი „განაწილებულია”, ე.ი. ყოფიერებაში მოცემულია რაღაც სისტემის სახით, რომლის

საფეხურები განსაზღვრულია არა ღმერთის მიერ, არამედ ყოფიერების საფეხურთა ბუნებით – გონიერასკურეტით, გრძნობად და სამგანსომილებიან საგანთა რიგებით. და ეს ყველაფერი წარმოადგენს ერთიანობას, რადგან სიმრავლე კი არ იქმნება, არამედ, როგორც პეტრიწი ამბობს, “ერთიანდება ერთის მიერ”<sup>19</sup>.

რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლის შესახებ შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ზოგადად რენესანსის ფილოსოფიური საფუძველი ნეოპლატონიური ფილოსოფიაა, უფრო ზესტად არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი, რომელიც ანტიური მემკვიდრეობის ათვისების პირველ გზას მიეკუთვნება (უშუალოდ შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი) და რომელშიც შედიან: ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ოოანე იტალი, ოოანე პეტრიწი... ქართული რენესანსის ფილოსოფიური საფუძველია იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, რომელმაც ნეოპლატონიზმი აითვისა არეოპაგიტული რედაქციით. ამასთან, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისაგან განსხვავებით, პეტრიწი მიუბრუნდა წარმართობას.

შ. ნუცუბიძის აზრით, იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში სამყარო მოკემულია მოძრაობა-განვითარებასა და მთლიანობაში. პეტრიწის მოძღვრებაში ბუნება მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სიცოცხლისუნარიანობითაა წარმოდგენილი. სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობით გვევლინება პეტრიწი, შ. ნუცუბიძის აზრით, რენესანსის იდეოლოგიად საქართველოში: „...ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ თუ არეოპაგიტული ნეოპლატონისმის წყალობით ფლორენციის აკადემიის მოაზროვნები (მარსილიო ფინინო, პირ დელა მირანდოლა და სხვა.) იტალიური რენესანსის იდეოლოგებად იქცნენ, პეტრიწი, რომელიც მათზე შორს წავიდა ანტიური მსოფლმხედველობის ათვისების მიმართულებით, XII საუკუნის ქართული რენესანსის იდეოლოგიური წინამორბედია. აალორძინა რა თავის შრომებში არეოპაგიტული („ქართული“) ნეოპლატონიზმი, პეტრიწმა ძირითადი მიმართულება მისცა XII საუკუნის ქართულ პოეზიას. რუსთაველის შემოქმედებაში, როგორც აღმოსავლური და ქართული რენესანსის მწევრუალში, ამ იდეოლოგიამ თავისი მხატვრული განხორციელება ჰპოვა“<sup>20</sup>.

რენესანსის ფილოსოფიური საფუძველი შ. ნუცუბიძემ სწორად მიაკეთა, მაგრამ ამ საკითხზე მისი მოსაზრებები ჩაკლოვანია. ეერძიდ, ბოლომდე გარკვეული არაა, თუ რის საფუძველზე შეიძლება მივიჩიროთ ნეოპლატონიზმი (მათ შორის, რა ოქმა უნდა, იგულისხმება არეპაგიზიკა და იოანე პეტრიწის ფილოსოფია) რენესანსის იდეურ წყაროდ. ამ მიმართულებით თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ის ნეოპლატონურ ტექსტებს ნაკლებად მიმართავს, რაც საბოლოოდ დაუკმაყოფილებლობისა და უკმარისობის გრძნობას ტოვებს.

აღნიშვნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნეოპლატონიზმის იმ პრინციპების გადმოცემა, რომლებიც საფუძვლად ედებიან რენესანსისა და პუმარიზმის მსოფლმხედველობას.

ნეოპლატონიზმი ანტიკური ხანიდან შეუა საუკუნეებს შორის არსებული გარდამავალი ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური სისტემაა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მომდევნო დროის მსოფლმხედველობრივ მიმართულებებზე. გავლენა შეიმჩნეოდა როგორც ქრისტიანულ სამყაროში (რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ქრისტიანული ნეოპლატონიზმი), ისე მუსლიმურში (მაგალითად, სუფიზმი). საქართველო, რომელიც დაკავშირებული იყო ბერძნულ ბიზანტიურ სამყაროსთან, ამ გავლენის არეში მოექცა.

რა ნიშნით შეიძლება ჩაითვალოს ნეოპლატონური ფილოსოფია რენესანსის ძირითად ფილოსოფიურ საფუძვლად? როგორც ცნობილია რენესანსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ამქვეყნიურ სინამდვილისადმი ღირებულების მინიჭებაა. ნეოპლატონური ფილოსოფიის ამოსავალი ღებულებაა ემანაციის საფუძველზე აღიარებული, ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა, რაზე დამყარებითაც ღმერთი, გარკვეული აზრით, „მიწაზეა ჩამოყანილი“. ეს კი ხილულ სინამდვილეში ღვთაებრივის „აღმოჩნისა“ თუ „დანახვის“ შესაძლებლობას უშევბდა, რაც საბოლოოდ ამქვეყნიურის ღირებულებად გამოცხადების საფუძველია. ნიშანდობლივია, რომ ნეოპლატონიზმის უდიდესი წარმომადგენელი პლოტინე მატერიის მარადიულობას და ამის საფუძველზე მასში არსებული მშენებერების მარადიულობას და ამის საფუძველზე მასში არსებული მშენებერების მარადიულობასაც აღიარებდა. მსგავსი თვალსაზრი-

სებია ნეოპლატონური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებთან. სწორედ ამ აზრით ითვლება ნეოპლატონისში რენესანსის მსოფლმხელველობრივ წყაროდ; ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაშია რენესანსის ის გაგება, როცა მის შინაარსში იგულისხმება ამქვეყნიურში ღვთაებრივის აღმოჩენა და ამის საფუძველზე მისი აღიარება ღირებულად, ადამიანურის წინა პლანზე წამოწევა და ა.შ.

შეა საუკუნეების კულტურის მსოფლმხელველობრივი ძორების ძიებისას მკელევრები განსხვავებულ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისებს გამოთქვამენ. ერთინი განსაკუთრებულ უურადღებას ამახელვებენ პლატინის ფილოსოფიაზე, მეორენი არისტოტელეს მსოფლმხელველობაზე, ხოლო მესამენი ნეოპლატონურ მოძღვრებაზე. აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული უნდა იყოს იმის გაუთვალისწინებლობით, რომ ნეოპლატონიზმი თავისთავში მოიცავს პლატინისა და არისტოტელეს, საერთოდ, წარმავალი ფილოსოფიური სისტემების არსებით მომენტებს, რომ ეს ფილოსოფიური სისტემა არა მხრილოდ „ნეოპლატონიზმია“, არამედ „ნეოარისტოტელიზმიც“ (ჰეგელი, ცელერი). ეს არცად გასაკეირი, რადგან ნეოპლატონიზმი ანტიური ფილოსოფიის უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური სისტემაა, რომელშიც შენარჩუნებული და შეჯამებულია აღრინდელი ფილოსოფიის არსებითი პრინციპები.

ნეოპლატონიზმს როდესაც ნეოარისტოტელიზმსაც უწოდებენ, მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ ნეოპლატონური ფილოსოფიის უმთავრესი პრინციპია მოძღვრება პირველი ერთის შესახებ, რომლის თანახმადაც სინამდვილის საფუძველია ერთი (ლმერთი); პირველი ერთისაგან აუცილებლობით მომდინარეობს სინამდვილის არსებანი და მასევ უკუუბრუნდებიან, ასევე აუცილებლობით. რაღაც არსებები ღმერთისგან მომდინარეობს, ნეოპლატონიკოსთა აზრით, ამის საფუძველზე ღმერთი, გარევეული აზრით, არის ამ არსებებში. შეიძლება აღინიშნოს, რომ ნეოპლატონიზმის მამამთავრის პლოტინეს თვალსაზრისი – „ღმერთი ყველგანაა“, ღმერთისა და სამყაროს გამოთლიანების საფუძველი გახდა, რაც გამოიყენა რენესანსულმა მსოფლმხელველობამ და რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. რაც მთავარია, ნეოპლა-

ტონიკოსებთან მოცემული პირველი ერთის ამგვარი გაგება წარმოადგენს პლატონის დიალოგ „სახელმწიფოს“ მე-6 წიგნში გაღმოცემული სიკეთის იდეისა და მიზნობრივი მიზანის შესახებ არისტორელეს თვალსაზრისის გაღრმავება-განვითარებასა და მათ გარევენდ სინოეზს. ამიტომ ითვლება ნეოპლატონიზმი ნეოარისტოგლობიზმადაც.

## § 4. ალექსეი ლოსევი (1894-1988)

რუსმა მეცნიერმა ალექსეი ლოსევმა ფუნდამენტურ ნაშრომში „ალორძინების ესთეტიკა“ (1978) საგანგებოდ განიხილა რენესანსისა და პ'ემანიზმის ფილოსოფიური საფურმელი.

სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებით, მანამ მოკლედ განვითილოთ მისი აზრი ნეოპლატონიზმზე, რაც გაგვიადვილებს ნეოპლატონიზმის, როგორც რენესანსის და პ'ემანიზმის ფილოსოფიური საფუძვლის ლოსევისეული თვალსაზრისის გაგებას.

ნეოპლატონიზმზე მსჯელობას ა. ლოსევი იწყებს „პლატონიზმის“ ცნების გარკვევით, რომელშიც, როგორც წესი, იგულისხმება მატერიასთან იდეის პრიმატის აღიარება. მაგრამ ა. ლოსევს ეს განსაზღვრება არ აკმაყოფილებს, რადგან „ყოველგვარი იდეალიზმი არის რომელილაც მოძღვრება მატერიაზე იდეის პრიმატის შესახებ“!. მაშინ რაში მდგომარეობს „პლატონიზმის“ სპეციფიკურობა? ა. ლოსევი თვლის, რომ პლატონთან, პირველ რიგში, საგნების იდეა მოცემულია მაქსიმალურად და უკიდურესად „ოავის აზრობრივი სისავსით“. ასე მაგალითად, ჯოხი შეიძლება გავჩეხოთ ან სულაც დაუწეათ, მაგრამ ჯოხის იდეას უერც გავტეხავთ და ეერც დავწვავთ. ეს ისეთი ელემენტარული აზრია, რომ მის წინააღმდეგ არავინ არ გამოვა. სწორედ პლატონიზმის ამ საუკელთაოდ აღიარებულმა თვისებამ, ა. ლოსევის აზრით, განაპირობა რენესანსის ეპოქაში პლატონიზმის ესთეტიკისადმი დიდი პატივისცემა.

პლატონისმის მეორე ამოსავალ დასაბუთებას წარმოადგენს საყოველთაო ცეკვებადობასა და ქმნადობაში საგნის იდეის არსებობა, რომელიც ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს „საგნების მუდმივ წარმოშმობ მოდელს“.

ნეოპლატონიზმის შეფასებისას ა. ლოსევი გამოთქვამს მაღალ საინტერესო ასრს: „ამ სკოლის სახელწოდება პირობითია, რამდენადაც სოკრატემდელი ფილოსოფოსები, არისტოტელე და სტოელები მასში მოჩანსილეობენ პლატონზე არანაკლებად“<sup>2</sup>. აქევ ა. ლოსევი დიდ უკრადლებას აქცევს ნეოპლატონიკობის მიერ პლატონიზმის განვითარებას.

პლატონის იდეა არსიცაა და აზრიც, რადგანაც შეუძლებელია არ იყოს იღეა, როცა არსებობს საგანი და იდეის არსებობის საფუძველზე მოიაზრება საგანი. მხოლოდ იდეის მეშვეობით შეიძლება გაგებულ იქნას საგანი. ეს გვხედება არისტოტელესთანაც, კერძოდ, ნუსზე მოძღვრებაში, რომლის საფუძველზეც მიღებულია ინტელიგიბელური მაწერის თვალსაზრისი. არისტოტელეს ეს თვალსაზრისი ნეოპლატონიზმა გამოიყენა.

არისტოტელემ, ლოსევის აზრით, გააფართოება პლატონის იდეის ცნება, საიდანაც წარმოიშეა არისტოტელეს თვალსაზრისი პოტენციასა და ენერგიაზე. „ამრიგად, ნეოპლატონიკოსები არისტოტელეს გავლენით მათივე უშუალოდ მოცუმული პლატონური იდეების სამყაროს ნაცვლად, გვასწავლიან თავისი თავის შემცნობ და თავის თავის განმააზრებელ გონებაზე“<sup>3</sup>. ეს, ა. ლოსევის აზრით, იყო ნეოპლატონიკოსების მიერ არისტოტელეს მეშვეობით პლატონის იდეებზე მოძღვრების განვითარება შინაარსის მიხედვით.

უკვე პლატონთან მოცუმული იყო არსა და ქმნადობას შორის განსხვავება. არსი არსებობს თავისთვალი, ქმნადობა კი მხოლოდ დროში. ეს კარგად იცოდნენ სტოელებმა მატერიალურ და ფიზიკურ მიმართებათა დაკავშირებით, რომელიც საბოლოოდ გულისხმობდა პირველი ცეცხლის ემანაციას და მის გავრცელებას მთელ სამყაროზე. ამ ემანაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა იერარქიული კიბე, პირველი ცეცხლიდან დაწყებული დემონებისა და ადამიანების გავლით და უსულო საგნით დამთავრებული. ა. ლოსევი შენიშნავს, რომ ნეოპლატონიკოსებმა გაწმინდეს ეს ემანაცია ელემენ-

ტარულ-საგნობრივი მატერიალიზმისაგან და იგი გადააქციეს სამყაროს ანუ ნუსის იდეის წმინდა არსობრივ ქმნადობად. მსოფლიო სულის საერთო მოძრაობის რეზულტატი ნეოპლატონიკოსებთან გახდა კოსმოსი.

ა. ლოსევის აზრით, ნეოპლატონური ნუსი მსოფლიო კანონზომიურების სისტემას წარმოადგენს, ხოლო ნეოპლატონური მსოფლიო სული - სამყაროსა და სიცოცხლის მუდმივი მოძრაობაა, რომელშიც ხორციელდება სამყაროს ესა თუ ის კანონები<sup>4</sup>. სწორედ მსოფლიო სულისა და კოსმოსის ცნებებია თავისი შინაარსით ის, რითაც ა. ლოსევის აზრით, ნეოპლატონური სამყარო განსხვავდება მკვიდრი პლატონური თვალსაზრისისგან.

ა. ლოსევი განიხილავს პლატონის მოძღვრებას ერთზე, რომელიც მოცემულია დიალოგი „სახელმწიფოს“ VI წიგნში და წარმოადგენს მას, როგორც აბსტრაქტულ საყოველთაო კატეგორიას. ა. ლოსევი აღნიშვნით, „მოელი საუკუნეების გავლა გახდა საჭირო, ეიდო ანტიური ფილოსოფოსები ამ აბსტრაქტულ გაფორმებას გაიგებდნენ“<sup>5</sup>. აქ ავტორი დაასკვნის, რომ პლოტინეს ერთი ყოველგვარი შემცნებისა და აზროვნებისგან განსხვავდება და აღემატება მათ. ერთის ასეთი გაგება, მართალია, მოცემული იყო პლატონთან, მაგრამ არსად არ იყო გამოყენებული. სწორედ ეს იყო ის დამატება, რომელიც პლიტინემ შეასრულა ზემოდან და ამით დაასრულა კიდევ ანტიური პლატონიზმის მთელი სისტემა.

ა. ლოსევის აზრით, ნეოპლატონიზმა ახლებურად გაიაზრა ფილოსოფიისა და ესთეტიკის მთავარი მონაპოვრები, გადამუშავა ისინი და გადაიტანა შინაგანი შეგრძნების ენაზე. ამის საფუძველზე, ანტიური ფილოსოფიის კატეგორიები უფრო ცხადი და აღვილად მისაღწევი გახდა: „ასე, ძველი არისტოტელესეული გონი აბსტრაქტული კატეგორიიდან ნეოპლატონურ ესთეტიკაში გადაიქცა სამყაროს ულამაზეს და მიმზიდველ აზრობრივ სტრუქტურად, მსოფლიო სულზე არსებული განვითარებული მოძღვრების წყალობით შეავსო მთელი კოსმოსი გახარებული და ესთეტიკურად გამხიარულებული ბუნების ცოცხალი ენერგიებითა და პულსირებული გამოცოცხლებული სურათებით“<sup>6</sup>.

ა. ლოსევი აღნიშნავს, რომ რენესანსის ეპოქაში ნეოპლატონიზმი და მისი ესოებიკა პროგრესულ როლს ასრულებდა ახალი მითოლოგიის გააზრებაში და განსაზღვრავდა რენესანსის არსებას. მაგრამ ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები კონსერვატორებიც იყვნენ თავისი არისტოტელიზმის გამო. ამის საფუძველზე აკრიტიკებდნენ ნეოპლატონიზმს „უფრო ცოცხალი და მხიარული პლატინიზმის პოზიციიდან.“

რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლის განხილვას ა. ლოსევი იწყებს ასეთი შენიშვნით: „რენესანსის ესოებიკა ემუარება ნეოპლატონიზმის სებსტანციურ ადამიანურ და პიროვნულ, კერძოდ, სუბიექტურ იმანენტურ განმარტებას“<sup>7</sup>. ამ პრობლემის განხილვისას ავტორი ძირითადად აანალიზებს ნიკოლოზ კუზელის, ფლორენციის პლატონური აკადემიის წარმომადგენლების (პლეთონი, მარსილიო ფინიო, პიკო დელა მირანდოლა), ლორენცო ვალასა და პიეტრო პომპანაცის მსოფლიმენელიობებს და აგრეთვე აღორძინების პუმანისტური მიმართულების საკითხეს. ა. ლოსევი მათგან განსაკუორებულ კურადღებას ამახვილებს ნიკოლოზ კუზელსა და მარსილიო ფინიოზე, როგორც პროგრესირებადი განვითარების ღრმა ნეოპლატონიკოსებზე.

ა. ლოსევი ნიკოლოზ კუზელს წმინდა წყლის ნეოპლატონიკოსად თელის, რომელიც ნეოპლატონიზმში წინა პლანზე აყენებდა და ხასს უსვამდა ისეთ მომენტებს, რომლებიც სრულიად შესაბამებოდნენ იმ დროისთვის უკვე მომწიფებულ ინდივიდუალიზმს მისი მარადიული მიდრეკილებებით სინამდვილის სუბიექტურ-იმანენტური ინტერპრეტაციისადმი.

ა. ლოსევი აჩვენებს, რომ კუზელთან გადმოსულია ნეოპლატონური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები და ამის შესაბამისად ეს პრინციპები თავისებურადაა განვითარებული. ამასთან, შესაბამისი ნეოპლატონური კატეგორიები კუზელთან გარდაქმნილია და განმარტებულია ისე, რომ დაკმაყოფილებულია ბუნებრივი ადამიანური მოთხოვნილებები, რომ ყველაფერი დანახეული და შესახები იყოს, ყველაფერი იზომებოდეს და გეომეტრიულად გაფორმდეს, მუდმივად იყოს მისწრაფება უსასრულობისაკენ და ა.შ. გამოდის, რომ ეს უსასრულო სიშორეები გეომეტრიულიცაა, ე.ი. მოცემულია აგრეთვე ხილულად და შეიძლება მათზე შეხება. „მხოლოდ

კუზელმა ანუენა უმარტივესი დიალექტიკური ჩამოყალიბებისა და ნახტომების დახმარებით როგორ შეიძლება ხილულისა და „უსასრულობის შეერთება. ეს კუზელთან მშეგნივრადაა მოფიქრებული და ამიტომაც ითვლება ის რენესანსის ჭეშმარიტ მოასროვნედ“<sup>8</sup>.

როგორც ეხედავთ, ა. ლოსევი კუზელის შემოქმედებაში რენესანსისთვის „უმნიშვნელოვანებს მომენტად მიიჩნევს მის მიერ სასრულობისა (ხილულობის) და „უსასრულობის გაერთიანების თვალსაზრისს. ეს კი საბოლოოდ სამყაროს მთლიანობის იდეის გატარებაა, რაც კუზელის მოძღვრებაში მუდავნელება აგრეთვე აბხოლუტური მაქსიმუმისა და აბხოლუტური მინიმუმის დამთხვევით. ამასთან, „კუზელის ამ სახის მსჯელობები იმდენად მარტივი და ცხადია, რომ ვერც ერთი თანამედროვე მათემატიკოსი ყველა თავისი უსუსტესი მეთოდით ვერ შეძლებს რაიმე შეწინააღმდეგებას კუზელის უსასრულობაზე თვალსაზრისთან“<sup>9</sup>.

ა. ლოსევი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კუზელის შემოქმედების მიხედვით, როცა ღმერთი სამყაროს ქმნიდა, სარგებლობდა არითმეტიკით, გეომეტრიით, მუსიკით, ასტრონომიით და უკელა იმ ხელოვნებით, რომლითაც ჩვეუნ ვსარგებლობო. შემდგომ, როგორც ა. ლოსევი მიიჩნევს, კუზელი უფრო დაწვრილებით განიხილავს და განმარტავს ამ საკითხს. როგორც ჩანს ღმერთს არითმეტიკა აქ დასჭირდა იმისთვის, რომ სამყარო ყოფილიყო „მთელი“ (ა. ლოსევი ამაგებს – „ერთიან-განუყოფელი მთელი“). გეომეტრიამ საგნებს მისცა როგორც მდგრადი, ისე მოძრავი ფორმები; მუსიკის მეშვეობით კი მოხდა მიწიერის, ცეცხლის, პაერისა და წყლის სფეროების პარმონია. და ბოლოს: ღმერთს მხოლოდ ასტრონომიული გეგმით შეეძლო შეექმნა სამყარო ერთიანი ციური სსეულების მოძრაობასა და დედამიწასთან მათ შესაბამისობაში მოსული დაურღვეველი სისტემების სახით. ა. ლოსევი ასევნის: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ შესასრულობის ორთოდოქსიის უფრო ცხადი აღორძინების მოდიფიკაციას ვერც კი წარმოედგენთ. კუზელის ეს მსჯელობები ემყარება სწორედ ყველაფერ იმის სუბიექტურ-ადამიანურ იმანენტურობას, რაც ადამიანების გარეთაა“<sup>10</sup>.

ა. ლოსევი აქ მეთოდურად ავითარებს აზრს, რომ კუნელთან სამყარო წარმოდგენილია როგორც ერთიანი და რომ აქ წინაა წამოწეული ადამიანის სუბიექტურ-იმანენტური მხარე. ამით კი კუნელი ქრისტიანობის მკაცრი და მიუღწეველი დოგმატების ცხად და მარტივ გადამუშავებას ახდენს. ეს კი იმის საფუძველის, იძლეოდა, რომ აღირებინების თვით ისეოთ წარმომადგენლებიც კი, რომელთაც არც ქრისტიანობისა და არც ეკლესიის აღარ სჯეროდათ, ემყარებოდნენ კუნელს. მაგალითად, ჯორდანო ბრუნი (1548-1600) კუნელს ემყარებოდა არა ქრისტიანული დოგმატების განმარტებებისთვის, არამედ ანტიქრისტიანული პანთეიზმის დასაფუძნებლად. „...აქ ყველაზე ცხადად გამოვლინდა კუნელის ესთეტიკის აღირძინებისდროინდელი მიმართულება. ის, აქაც ცხადად დგას მოელი სინამდვილისადმი სუბიექტურ-იმანენტური და ადამიანურ-იროვნული მიღეომის იმავე პოზიციაზე”<sup>11</sup>.

ა. ლოსევის მსჯელობებში საქურადლებოა ის აზრი, რომ კუნელთან ადამიანი ღმერთის მსგავსია და რომ ღმერთი მას თავის მსგავსად ქმნის. ე.ი. ადამიანიც ქმნის თავისი მსგავსად. „ეს კი ნიშნავს, რომ კუნელი ამ აზრითაც შეასაუკუნებისა და ახალევროპული მსოფლიხედევლობის ნამდვილი საზღვარია – რენესანსის ფილოსოფოსია”<sup>12</sup>.

ნოკოლოუზ კუნელის როლის შესაფასებლად ა. ლოსევი იმოწმებს უნგრელი მეცნიერის ო. ბენეშის თვალსაზრისს. ამ უკანასკნელს მიაჩნდა, რომ კუნელმა წამოაყენა თვალსაზრისი სასრულისა და უსასრულოს ერთიანობაზე და ამით ღმერთი – უსასრულო – იგულისხმება ყოველ უმცირეს საგანში, რომელიც ამ მისაზით იმსახურებს ჩვენს ყურადღებას; ყოველი უმცირესი ნაწილაკი ასახავს კოსმოსს და ამით ის სამყაროს სარკეა; უპირველესად, კუნელის ფილოსოფიამ, უფრო ადრე, ვიღრე მხატვრებმა, განაპირობა შეასაუკუნების სისტემის დაშლა, ინტელექტუალური აზრით სათავე დაუდობუნების იმ გზას, რომელიც მთელი სიღრმით პირეელად ხელოვნებაში გამოვლინდა<sup>13</sup>.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ა. ლოსევის აზრით, ნიკოლოზ კუნელთან, როგორც ნეოპლატონიკოსთან, წინა პლანზე წამოვიდა ადამიანი და ამასთან გამოიკვეთა ღვთის ადამიანური პოზიციიდან დანახვის გარდაუვალობა. „ის თავის

ონტოლოგიურ ესთეტიკაში ერთობ დაწერილებით განიხილავს ადამიანისთვის აბსოლუტურის შესახებ წმინდა ადამიანური წარმოლგენის გარღუვალიბას, ისევე როგორც ლომი აბსოლუტს ლომის სახით წარმოიდგენდა ან ხარი წარმოიდგენდა აბსოლუტს ხარის სახით”<sup>14</sup>. რაც იმ დროისთვის სარისკო აზრი იყო, ასკენის ა. ლოსევი. ყურადღებას იმსახურებს მისი აზრი კუსელის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ღმერთი შემოქმედებაა, ხოლო ადამიანი ღმერთის მსგავსადაა შექმნილი; მაშასადამე, ადამიანიც შემოქმედება. აქ ორთოდოქსია შენარჩუნებულია, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პირ დელა მირანდოლა იწყებს მტკიცებას: „ღმერთი ქმნის თავისი თავიდან; ადამიანი შექმნილია ღმერთის მსგავსად, მაშასადამე ადამიანმაც უნდა შექმნას თავისი თავი, რაც შეუასუებების ორთოდოქსის ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა”<sup>15</sup>.

ა. ლოსევის აზრით, ნიკოლოზ კუზელი სწორედ ის მოაზროვნეა, რომლის თანახმადაც, რამდენადაც ყოველგავარი ინდივიდუალური ღვთაებას ასახავს, აქედან გამომდინარე, აგრეთვე ყოველი ადამიანი არის აბსოლუტი, ერთადერთი და განუმეორებელი (ისევე როგორც აბსოლუტი). თუმცა, ყოველი ინდივიდუალური ყოველთვის სპეციფიკური და ორიგინალურია. მაშასადამე, კუზელი იძლევა სამყაროს ერთიან გაღვთაებრივებულ სურათს, სადაც თავის მხრივ ადამიანიც ღმერთია. თუ გავითვალისწინებთ, რომ რენესანსის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაც ადამიანის ამ რანგში ამაღლებას გულისხმობს, ცხადი გახდება რენესანსისთვის კუზელის მსოფლმხედველობის მნიშვნელობა.

იტალიური რენესანსისთვის, ნეიკლატინურ ფილოსოფიას განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ პქრინდა, ეს კარგად ჩანს მარსილიო ფიჩინოს მხოვლმხედველობიდანაც. ფიჩინოსთან, ა. ლოსევის აზრით, წარმართობა და ქრისტიანობა შეწყმელია ერთიან ნაკადად ადამიანურ განცდებში და თვით მის არსში. აქ წარმართული სიშიშვლე მთლიანად აღიარებულია, მაგრამ ამასთან ეს ადამიანური სიშიშვლე ერთობ გასულიერებულია და გამოსჭვივის გონისა და არსის უმაღლეს სფეროებში. ეს კი, ა. ლოსევის აზრით, საერთო ნეოპ-

ლატონიშვილია, რომელიც ასე დამახასიათებელია აღორძინებისთვის<sup>16</sup>.

მარსილიო ფიჩინო სამყაროს განიხილავს როგორც პარმონიულ წეობას, რომლის ყველა ნაწილი ლირის მსგავსადაა გაწყობილი. „ყოველი მხატვარი ცდილობს თავის ნაწარმოებში უკვდავყოს თავისი თავი; ღმერთმაც ასე ქნა, რამდენადაც შეიძლებოდა თავისი მსგავსის შექმნა... ფიჩინოს თანახმად, ჩვენ ვცხოვორობთ ყოველის შემძლე არქიტექტორის ტაძარში; თითოეულმა ამ წრის შიგნით უნდა გაატაროს თავისის წრე და ამით განადიდოს ღმერთი. ადამიანი შექმნილის მწვერვალზეა არა იმიტომ, რომ შეუძლია ჩაწერდეს მის მექანიზმსა და პარმონიას, არამედ უპირველესად, თავისი შემოქმედებითი დინამიზმის გამო”<sup>17</sup>. აქ, ლოსევი გადმოსცემს მარსილიო ფიჩინოს მშვენიერ, რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელ შეზღუდვებისაგან თავისუფალ აზრს: “დიდი ლვთაებრივი თამაში თავის განმეორებას პერვებს ადამიანის თამაშსა და შრომაში, რომელიც “ხუსტად ბაძავს ღმერთს და ერთიანდება მასთან”.

ა. ლოსევი აჩვენებს, თუ როგორი აღტაცებულია ფიჩინო ადამიანის მიწიერი ცხოვერების, მეცნიერებისა და ხელოუნების აყვავებით. ამასთან, ა. ლოსევი მიუთითებს ფიჩინოს ნეოპლატონიზმის ერთ, ერთობ საჭირო და მისი აზრით, პარადოქსულ ასპექტზე, რომლის გასაგებადაც უნდა გავიხსენოთ მთელი იტალიური რენესანსის ლტოლვა ადამიანური პიროვნების აბსოლუტიზაციისკენ. ეს კი, ნებისით თუ უნებლივთ, განაპირობებდა, რომ ადამიანური პიროვნება განმარტებულიყო, როგორც ყველაზე სანდო და ყველაზე უტყუარი ჰეშმარიტების შემცველი, რაც ბადებდა მუდმივ ტენდენციას ობიექტური აბსოლუტის უფრო მარტივად, უფრო გასაგებად და შესაძლებლობის ფარგლებში, უფრო უმწიერლოდ წარმოდგენისთვის. თავის მხრივ, ეს მოასწავებდა აბსოლუტის უფრო აბსტრაქტული წარმოდგენის პროგრესირებადი ტენდენციის დამკუიღრებას. აი რატომაა ფიჩინო არა მხოლოდ ნეოპლატონიკოსი ესთეტიკოსი, არამედ შეიძლება ითქვას, ნეოპლატონიკოსი ესთეტიკ, რომელიც მოულოდნელად იწყებს რაღაც საყრველთაო რელიგიის შექმნას. ერთი შეხედვით, ის კონკრეტული ესთეტიკური გრძნობების თითქოსდა

კონკრეტულ რელიგიურ ფორმას უნდა ჩასჭიდებოდა, რომელ-შიც მითოლოგია და რელიგია კველაზე ცხადად და მაკ-ლუნებლად იქმ გამოყენილი. მაგრამ „აბსოლუტიზირებული აღამიანური სებიექტის თვითლობრივა სწორედ აღამიანური პიროვნების მაქსიმალური აბსოლუტიზაციის მიზნისთვის ობიექტურ აბსოლუტს აცლილა მის კონკრეტულ ისტორიულიბას და მის პოეტურ მითოლოგიურობას“<sup>18</sup>.

ფიჩინო - სასულიერო პირი - ქადაგებდა საუკუნელთაო რელიგიის თეალსანრისს. ღმერთი, მისი ასრით, არსებობს, „მაგრამ ეს ღმერთი არის გონება, ხოლო გონება თავისი ბუნებით ყველგან ერთნაირია, თვით აღამიანის გონება კი არის მხოლოდ ღვთაებრივი გონების ასახვა. მაშასადამე, წვენ ეს საუკუნელთაო გონება უნდა ვიპოვოთ ყველა რელიგიაში, ხოლო ყველა სპეციფიკურსა და ისტორიულს მათში იგნორირება უნდა გაუსაკოთოთ“<sup>19</sup>. ა. ლოსევი შენიშნავს, რომ ფიჩინო ყველაფერს ამას საეკლესიო კათედრიდან ქადაგებდა.

შეიძლება ითქვას, რომ მარსილიო ფიჩინოც, ისევე როგორც ნიკოლოზ კუზელი, ნეოპლატონიზმის იდეებს აღიარებდა განვითარებული შეუა საუკუნეების ეპოქაში. სწორედ ნეოპლატონიზმზე დაყრდნობით მათ მოძღვრებებში ახლებურად წარმოჩინდა ღმერთთან დამოკიდებულება. კერძოდ, სამყაროში ღმერთის „აღმოჩენით“, მათ მსოფლმხედველობაში აღამიანს, როგორც ყველაზე განვითარებულ ცოცხად არსებას, ღვთაებამდე ამაღლების სტატუსი ერგო: აღამიანური პიროვნების აბსოლუტიზაციით და ღმერთისთვის დამახასიათებელი ჭეშმარიტებების აღამიანზე გადმოტანით. ყველაფერი ეს კი, როგორც უკვე დაყრწმუნდით, კარგად აქვს ჩაწერები ა.ლოსევს თავის შრომაში „აღორძინების ესთეტიკა“.

## §5. ქართველი ავტორები

### 1. შალვა ზიდაშვილი (1910-1994)

რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველს ეხება და შესაბამის დასკვნებს აკეთებს შალვა ხიდაშელი თავის ნაშრომებში „ქართული რენესანსის საკითხები“, „ქართული ფილოსო-

ფიის ისტორია”, “ნეოპლატონიზმის თეორია რესთუელოლო-გიაში” და სხვა.

შ. ხიდაშელი, ისევე როგორც შ. ნუცუბიძე და ა. ლოსევი, ნეოპლატონიზმს რენესანსის მთავარ იდეურ წყაროდ მიიჩნევს. რენესანსის არსება მასთან ასეა ჩამოყალიბებული: „რენესანსისა და რენესანსული პუმანიზმის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს ხილული სინამდვილისა და ამქვეუნიური არსებობის ღირებულად აღიარებაში. აქედან ახალი, შეასუებულებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკურობისადმი და ახალი, განსხვავებული გაგება აღამიანურისა”<sup>1</sup>.

მართალია, შ. ხიდაშელს რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლის კვლევა-ძიებისათვის საგანგებო ნაშრომი არ მიუძღვნია, მაგრამ მასთან, შეიძლება ითქას, ყველაზე ნათლადაა გამოკიდეთილი, თუ რის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს ნეოპლატონური ფილოსოფია რენესანსის იდეურ საფუძვლად. მისი მართებული შენიშვნით, „ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი თავისებურება პირველსაწყისისა და სამქაროს ერთიანობის იდეაა, რომელიც მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევისკენ იყო მიმართული. ამ იდეამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა რენესანსის ეპოქის იდეურ ცხოვრებაში და აისახა ნიკოლაუს კუზანელისა და ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიაში”<sup>2</sup>.

კუზელთან ეს შეხედულება, შ. ხიდაშელის აზრით, გამოთქმულია აბსოლუტური მაქსიმუმისა და აბსოლუტური მინიმუმის ერთიანობის იდეით. „ამ დებულებათა იდეური წყარო ნეოპლატონიზმია, კუზანელთან – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ბრუნოსთან - პლოგინი”<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, შ. ხიდაშელთან აღიარებულია ნეოპლატონური ფილოსოფიის გადამწყეტი გავლენა რენესანსის ფილოსოფოსების მსოფლმხედველობებზე, რითაც ცხადად ჩანს რენესანსისთვის საბჭოთა სინამდვილეში ნეოპლატონიზმის გადამწყეტი იდეური მნიშვნელობა.

შ. ხიდაშელი აღნიშნავს აგრეთვე იმ დიდ სიძნელეზე, რაც თან ახლავს რენესანსის (და პუმანიზმის) ფილოსოფიური საფუძველების დაღენას. აქ აეტორს მხედველობაში აქვს არა მხოლოდ საკვლევი თემატიკის სირთულე, არამედ

ის იდეოლოგიური ბარიკადები, რომელთაც ადგილი პქონდა ნეოპლატონური ფილოსოფიის შეჯასებისას.

შ. ხიდაშელი ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონური თვალსაზრისის მნიშვნელობას უპირველესად ხედავს მიწიერისა და ზეციერის გაუქმებაში. ნეოპლატონიზმა არა მხოლოდ ამოავსო მიწიერისა და ზეციერს შორის არსებული უფსკრული, არამედ თვით სამყარო წარმოადგინა როგორც „იგივე ღმერთად, ოღონდ მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე“ (ა.ლოსევი). აქ შ. ხიდაშელი აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას, რომელიც საერთოდ გასდევს რენესანსის მისეულ გაგებას და განსაზღვრებას: „ეს მოძღვრება (ნეოპლატონიზმი – მ.მ.) იძლეოდა საფუძველს ამქვეუნიური სინამდვილის ამაღლებისთვის, მის ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებისათვის“<sup>4</sup>. შ. ხიდაშელი ბოლომდე იზიარებს ა.ლოსევის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საკითხში ნეოპლატონიზმი „აღმოჩნდა ფრიად შესაფერისი ბაზისი რენესანსული ფილოსოფიისათვის“. ამ მხრივ, ის აღემატებოდა „არისტოტელეს მშრალ კონსტრუქციებს“. ნეოპლატონიზმი „იძლეოდა უმაღლეს სამყაროში ზეასვლის ცოცხალ შეგრძნებას, ღვთაებრივი ენერგიებით აღსავსე ბუნებასა და იდეალურ სამყაროს, როგორც ცოცხალ და ადამიანისათვის სავსებით მისაღწევ სილამაზეს“<sup>5</sup>.

ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონური თვალსაზრისი, რომლის საფუძველზეც ამქვეუნიურ ცხოვრებას ღირებულება ენიჭება, საბოლოოდ ნეოპლატონიზმს რენესანსის იდეურ წყაროდ სახავს. შ. ხიდაშელი ამ თვალსაზრისის უტყუარ ხორცშესხმას ხედავს „ვეფხისტყაოსანში“. ამ მიმართებით, მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს მისი დასკვნა: „ამქვეუნიური სინამდვილის ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარება ღოგიური, ეთიკური, ესთეტიკური და გნოსეოლოგიური ღირებულებების ერთიანობას გულისხმობს“<sup>6</sup>.

რუსთაველზე სპეციალურ გამოკვლევებსა და აგრეთვე თავის სხვა შრომებში ხიდაშელი ამ მოსაზრებას მდიდარი ფაქტოლოგიური მონაცემებით ასაბუთებს. თუმცა, მისი მოსაზრება, სადაც საუბარი შეეხება ნეოპლატონურ პანთეიზმსა და რუსთაველის პანთეიზმს, სადაც მიგვაჩნია.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ შ. ხიდაშელის თვალ-საზრისი რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველზე მნიშვნელოვანი და საუკრადლებოა იმით, რომ მასში ნათქვამია, თუ რის გამო შეიძლება იყოს ხეოპლატონიზმი რენესანსის ფილოსოფიური საფუძველი. ეს კი ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონურ თვალსაზრისს გაელისხმობა".

## 2. თანამედროვე ქართველი ავტორები

რენესანსის იდეურ წყაროებსზე მსჯელობა არის ნოდარ ნათაძისა და გურამ თევზაძის გამოკელევებში. აღნიშვნული ავტორები ესებიან ქართული რენესანსისა და ჰუმანიზმის მსოფლისტელელობრივ საფუძველებს, რითაც აესეგენ და ამდიდრებენ რენესანსისა და ჰუმანიზმის მსოფლმედველობრივი საფუძვლების შესახებ საერთო თვალსაზრისს.

6. ნათაძე არ იზარებს "შ. ნუცუბიძის, მ. გოგიძერიძისა და ქ. კეკელიძის თვალსაზრისებს რენესანსზე. კერძოდ, შ.

„განსახილვები საკითხზე საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ი. მედვედევს, რომლის თანახმად, რენესანსის ეპოქის ჰუმანისტები, როგორც წესი, პლატონიკოსები იყვნენ. ხოლო ისინი, ვინც ფილოსოფოსი ჰერომატეტიკოსები იყვნენ და რომლებიც გვიანი სქოლასტიკის ორთოდოქსის ხაზს წარმოადგინდნენ, ჰუმანისტების წრიდან ეთიშებოდნენ. ავტორი აკენებს კითხვას იმის თაობაზე, რით უნდა აიხსნას ეს ფერმენტი და რატომ იყო სავალდებულო ჰუმანისტებს მიემართათ პლატონისთვის. აქ ის იმოწმებს მელეუკარ მაზეს, რომლის თანახმად, აშერად შეიმჩნევ პლატონისა და ჰუმანისტ ჰლეოთონის შეხედულებებს შორის სიახლოეს. ი. მედვედევი იმ აზრისა, რომ პლატონის მოძღვრების მითოლოგიურ-პოეტური და თვით მისტიკური შეუერილობა უფრო მისაღები იყო ჰუმანისტებისთვის, ვიდრე არისტოტელეს მოძღვრების შრალი მსჯელობები. აქ. ი. მედვედევი იმოწმებს და იზიარებს მკერავარ ენოსის აზრს, რომლის თანახმად „ათენელი ფილოსოფოსი (პლატონი – მ.მ.) გახდა განათლებული კაკობრიობის ახალი ინტელექტუალური ცივილიზაციის სიმბოლო, მაშინ როცა სტაგირელი (არისტოტელე – მ.მ) მშრალია და სქოლასტიკურ სიბრძნის სიმბოლოა", (И.П. Мечевелев. Византийский гуманизм XIV-XV вв. Ленинград. 1976. გვ. 543)

მართალია, ი. მედვედევი ამ ეკნერეტულ შემთხვევაში უშუალოდ პლატონის ფილოსოფიას და უპირესესად მის მოძღვრებასთან ჰუმანისტების დამოკიდებულებაზე მსჯელობს, მაგრამ მთავარი ისაა. რომ სწორედ ამგვარად გაგებული პლატონის ფილოსოფიაა რენესანსული აზროვნებისათვის მნიშვნელოვანი.

ნუკუბიძე და მ. გოგიბერიძე ქართული რენესანსის საკითხებს ძირითადად ფილოსოფიურ პლანში განიხილავდნენ. კიკელიძე კი, რენესანსის ქართული კულტურის საერთო აღმავლობას უკავშირებდა. ნათაძისოვის საკითხისადმი ამგვარი მიღვომა მიუღებელია, რადგანაც „რენესანსი გაცილებით უყრო ფართო ცნებაა, რომელიც მსოფლმხედველობისა და მსოფლმხედველობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს და არა მხოლოდ ფილოსოფიას”<sup>7</sup>.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ნ. ნათაძე ქართული კულტურისთვის ღიღ მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტორი უნიადაგოდ მიიჩნევს თვალსაზრისს (შ. ნუკუბიძე) – „თიოქოს ქართველი ხალხი თავისი მსოფლმხედველობითა და მსოფლმეგრძნებით მუდამ წარმართო იყო, თითქრის ქრისტიანობა ქართველისათვის ზედაპირული მოვლენა იყო და მისი დაძლევა საერთ კულტურის აღმოცენების სახით ამ ჯერ კიდევ ცოცხალი წარმართული ტრადიციების გაცოცხლებამ გააადვილა”<sup>8</sup>.

ამასთან, ნ. ნათაძე ეროვნარად აგრძელებს ქართველი ფილოსოფოსთა (ნუკუბიძე, ხიდაშელი) ტრადიციას ნეოპლატონიზმის მნიშვნელობაზე როგორც საკაცობრიო, ისე ქართული კულტურისთვის. „ნეოპლატონიზმი სიჩერეტული მოძღვრება – უკანასკნელი და ერთ-ერთი ყველაზე სრული, ანტიკერი ფილოსოფიის ყველა მოძღვრებათა შორის – იყო ის ფოკუსი, რომელშიც ამ ფილოსოფიის მიღწევებმა თავი მოიყარა და რომელმაც, ამგვარად, ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანობას შორის შუამავლის როლი ითამაშა რესორსულის დროს და მასზე აღრეულ ეკოქაში”<sup>9</sup>.

ქართული კულტურისთვის, კერძოდ, რესტავრებისთვის ნეოპლატონიზმის მნიშვნელობა ნათაძეს ასე ესახება: „თავისი სულისკეთებით, თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოციური ტონალობით რესტავრების მეტაფიზიკური და, საერთოდ ფილოსოფიური შეხედულებები ანტიკურ, კერძოდ, პლატონურ-ნეოპლატონურ ფილოსოფიურ ტრადიციას ეკედლება და არა ქრისტიანულს”<sup>10</sup>.

ქართველ მცნიერთაგან პირველად გ. თევზაძემ მიაქცია ყურადღება X-XII საუკუნეების საქართველოში „კაპადოკიული მამების” სახელით ცნობილი სამი დიდი კაპადოკიულის ბასი-

ლი დიდის (330-379), გრიგოლ ნაზიანზელისა (330-390) და გრიგოლ ნიკელის (335-394) მსოფლმხელველობათა აღორძინებას.

საუკურადლებოა ავტორის აზრი იმის თაობაზე, რომ შესასაუკუნეების საქართველოში თარგმნიდნენ კაპადოკიელთა ნაშრომებს, მათ შორის, გრიგოლ ნაზიანზელისას. აჩასთან, სათარგმნებლად შერჩეული გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტები მაშინდელი საქართველოს მთავარ გენეს - რენესანსისკენ მისწრაულებას ჰასუხობდა!!

მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ ნოსელის „მოსეს ცხოვრებაში” მოცემული მისტიკური შინაარსის ტერმინი - „მბრწყინავი წყვდიადი”, როგორც სეგონიერი ხედვის გამომხატველი, რომელიც არეოპაგიტიკის გაელით „ეეფხისტყაოსანში” შემოდის და რესტველისეული „მზიანი დამის” - „შორეულ წინაპრად” შეიძლება ჩაითვალოს<sup>12</sup>.

გ. თევზაბე ასკენის, რომ კაპადოკიელებისადმი ინტერესმა X-XI საუკუნეების საქართველოში სასიკეთო შედეგი გამოიღო - ამაღლდა მთარგმნელობითი კულტურა, ფილისოფიური აზროვნების დონე, რაც არეოპაგიტიკისა და ნეოპლატონიზმის მწვერვალის - პროექტს „თეოლოგიის პირეელსაუკულების” პირველად თარგმნის წინაპირობა გახდა. პროექტეს თხულების პეტრიწისეულმა თარგმნამ და მასზე დართულმა კომენტარებმა საქართველოში პემანიზმის ახალი საფეხურის ფილოსოფიური საფუძველი მოამზადა<sup>13</sup>.

გ. თევზაბის მოსაზრებებში საუკურადლებოა აგრეთვე რენესანსის (კნების განმარტება, რომელიც სიღრმითა და ლაკონურობით გამოიჩინა: „რენესანსი, ცხადია, რაიმეს აღორძინებას, ხელახლა წარმოშობას ნიშნავს, თანაც უფრო მაღალ დონეზე, რაც ახალ კულტურულ დონესთან წარსულის კულტურის ელემენტების სინთეზით ხორციელდება”<sup>14</sup>.

ქართველ მკვლევართა (და აგრეთვე ა.ლოსევის) განხილული თვალსაზრების ერთიანად წარმოდგენით იქმნება რენესანსისა და პემანიზმის ფილოსოფიური საფუძვლის დადგენის გარკვეული ლოგიკურად მწყობრი სვლა. მათ მოსაზრებებში შეინიშება რაღაც უხილავი ძაფი, რომლის ცალკეული მონაკვეთი გარკვეული ურთიერთშესებაა რენესანსისა და პემანიზმის იდეური საფუძვლის დადგენისას.

სხევადასხვა აკტორთა თვალსაზრისების ანალიზი ადას-  
ტურებს, რომ ნეოპლატონიზმი რენესანსისა და პუმანიზმის  
მთავარი ფილოსოფიური საფუძველია.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ნეოპლატონური თვალსაზ-  
რისი ღმერთისა და სამყაროს ურთიერთობაზე განსაზღვ-  
რულია მასში მოცემული ემანაციური პრინციპით, რაც ქვე-  
ლაზე ნათლადაა გამეღავნებული პლოტინეს, პროკლეს, ფსევ-  
დო-დიონისესა და საქართველოში ივანე პეტრიშვის მსოფლ-  
მხედველობებში.

### III თავი აღმოსავლური რენესანსის თეორია

#### 1. აღმოსავლური რენესანსის თეორიის არხი

აღმოსავლური რენესანსის პრიმდევების სისტემური კულტურული ძიება და მისი თეორიის სახით ნაშროვალიბება შალვა ნუცუბიძეს ეცავთვინის. მან 1940 წელს ჯერ მოხევვის ლიტერატურის ინსტიტუტში, ხოლო შექმლება სხვებ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში წაკითხულ მოხსენებაში „აღმოსავლური რენესანსის თეორია და ეკროპოცენტრიზმის ერიტერია“ აღმოსავლური რენესანსის თეორიის ძირითადი დებულებები გადმოსცა! ამ ნაშრომებში კრიტიკულადაა შეფასებული ეკროპოცელი მეცნიერების თვალსაზრისები, რომლის თანახმადაც, რენესანსი ეკროპული მოვლენაა. შ. ნუცუბიძე კი რენესანსის მსოფლიმხედველობრივ მომზადებაში გადამწუდებული როლს ქრისტიანულ აღმოსავლეთში შექმნილ არეოპაგიტულ მოძღვრებას ანიჭებს.

არეოპაგიტული მოძღვრება ქრისტიანულ აღმოსავლეთში შექმნილი ძეგლია და თუ იგი რენესანსის მსოფლიმხედველობრივი საფუძველია, მაშინ რენესანსის მსოფლიმხედველობრივი ძირების ძიებისას, ეჭვგარეშე უნდა იყოს აღმოსავლეთის მნიშვნელობა დასავლეთისთვის. საბოლოოდ შ. ნუცუბიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ წინარენესანსი და რენესანსი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიედინება და იდეოლოგიურად ეს ერთიანი გენეტიკური ხაზი იყო<sup>2</sup>. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება შ. ნუცუბიძის გამოკვლევიდან. ამასთან, შ. ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ „აღმოსავლეთის რენესანსის ფარგლებში გამოკვლევა შეიძლება შემოვფარგლოთ სომხეთით, საქართველოთი და აზერბაიჯანით და ცალკეული მომენტები მოვიტანოთ მუსლიმანური სამყაროდან - აღმოსავლეთში და ბიზანტიიდან - დასავლეთში“<sup>3</sup>.

ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შ. ნუცუბიძის გაბეჭდული დასკვნა დასავლეთის რენესანსზე აღმოსავლური რენესანსის გავლენის თაობაზე, ძნელია აიხსნას დასავლეთის რენესანსის მთავარი იდეოლოგის - ერიუგენასა და კუზუ-

ლის მხრიდან მხოლოდ არეოპაგიტული მოძღვრების გამოყენებით, თუნდაც გაღამისუკეტი სარგებლობის ფაქტით. ეს ნაკლი შ. ნუცუბიძის მსჯელობაში შეინიშნება და ვყიქრობ, მისი აღმოსავლური რენესანსის თეორიის ერთი სუსტი აღგოლიც ეს არის.

შ. ნუცუბიძემ შემდგომში ინტენსიურად გააგრძელა აღმოსავლური რენესანსის თეორიის პრობლემების კვლევა, გააფართოვა საკელევი თემატიკის წრე, გააღრმავა და განამწერცა იგი და საბოლოო სახით წარმოადგინა მონოგრაფიაში – „რენესათაეველი და აღმოსავლური რენესანსი“. აღნიშნულ ნაშრომში შ. ნუცუბიძემ გამოკვეთა თავისი პოზიცია რენესანსის იდეურ წინამძღვრებზე და ჩამოაქალიბა ქართული რენესანსის ოეორია.

რენესანსის პრობლემებზე მსჯელობისას, ნუცუბიძე ემუარება უნგალსის ცნიბილ დებულებას, რომლის თანახმადაც შეა საუკუნეები არ ყოფილა უბრალო გაჩერება, როგორც ეს მიაჩნდათ თვით რენესანსის წარმომადგენლებს (პეტრარკა, ლორენცო ვალა, ლეონარდო ბრუნი...). შეა საუკუნეები შ. ნუცუბიძისთვის ანტიკურობიდან ახალ დროზე, ანტიკური კულტურიდან რენესანსზე გადასვლის აუცილებელი რგოლია, რომლის პროგრესული იდეოლოგია სახიდოობდა ანტიკურობით და შეამსადა რენესანსი.

შეა საუკუნეებში არსებული იდეოლოგიური ბრძოლების ჭეშმარიტი შინაარსის გასაგებად შ. ნუცუბიძეს აუცილებლად მიაჩნია მისტიკიზმის ცნების დასუსტება. მისტიკის ორგვარი გაგება არსებობს. ერთი გაგებით მისტიკიზმი არის მოძღვრება, რომლის თანახმადაც ღმერთის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ჭვრეტით საფეხურზე, რაც გულისხმობს რაციონალური ცოდნის საზღვრებს გარეთ გასვლას. ამგვარად გაგებული მისტიკა რელიგიური მსოფლმხედველობის შემადგენლი ნაწილია.

მისტიკის მეორე გაგება შეა საუკუნეების ერესთან არის დაკავშირებული და გულისხმობს რელიგიურ დოგმებში ეჭვის შეტანას. ეს, ფაქტობრივად, ერეტიკული მოძრაობაა<sup>4</sup>. შ. ნუცუბიძის აზრით, თუ ერთმანეთისგან არ გაიმიჯვნა მისტიკის ეს ორი გაგება, მაშინ გაგვიგირდება, ერთი მხრივ, კლემენტ ალექსანდრიელის, ტერტულიანეს, ავგუსტინეს და მეო-

რე მხრივ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, იოანე სკორი ერიუგბანას, მაისტერ ექატონის მსოფლმხედველობათა ერთმანეთისგან განსხვავდა.

შ. ნუცუბიძე მანის (217-276) სახელთან დაკავშირებულ მძღავრ ერებიკედ მოძრაობას – მანიქეწმის, გაბატონებული მსოფლმხედველობისადმი თპოზიციად მიიჩნევს – „ანტიკური რობის მზის სახელმწიფოთანავე“. ეს იყო დუადოისტური მოძღვრება, რომელიც აღიარებდა ორი თანაბარიძალოვანი – კეთილი და ბოროტი საწყისის არსებობას. მანიქეულობაში უჰვი შეიტანა ქრისტეს ორბენებოვნებაში. რის გამოც ქრისტიანთა მხრიდან დევნას განიცდიდა.

მანიქეულობის პროგრესიულობას შ. ნუცუბიძე იმაში ხედავს, რომ ამ მოძღვრებაში მოწილეობისგან განსხვავებით მიწიერისა და ზეციერის თანაბარიძალოვნებაა მოცემული. რითაც გაუქმდა ზეციერის პრიორიტეტი მიწიერის მიმართ. მაშინ, როცა მოწილეობისტური რელიგიების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მიწიერისა და ზეციერის გათიშვა და ამასთან მიწიერი ცხოვრება ზეციერში გადასხელის მოსამზადებელი საფეხურია. ამიტომ მიწიერი სინამდვილე ლირებულებას მოკლებულია, რითაც უაქტობრივად ქრება ადამიანის აქტიურობა და არსებულოთან შეგუება ხდება.

შ. ნუცუბიძის აზრით, მართალია, მანიქეულობას არ მოუკითხა ამ დუალიზმის გაუქმება, მაგრამ როგოც აღნიშნეთ, მიწიერი ზეციერს გაუთანაბრა და ამ უკანასკნელის პრიმატე გააუქმა, რაც უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. შ. ნუცუბიძის აზრით, ამით როდი ამოიწურება მანიქეულობის დაღუბითი როლი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. მანიქეულობამ ამავე დროს განსაზღვრა აღმოსავლეოთისა და დასავლეთის ერეტიკული მოძრაობანი. მართალია პლატონის ფილოსოფიიდან მომდინარე იდეებისა და ხილული სინამდვილის დუალიზმი მანიქეულობამ ვერ გადაღლასა, მაგრამ მათ თანაბარი უფლებები მიანიჭა, რაც უდავოდ პროგრესული და რევოლუციური იყო იმ დროისთვის. აქედან გამომდინარე, შ. ნუცუბიძის აზრით, არ იყო შემთხვევებით, რომ მანი დასაჯეს. ხოლო თვით ეს მოძღვრება დევნას განიცდიდა.

მანიქეულობა თავდაპირუელად გაერცელდა სომხეოსა და საქართველოში (V საუკუნე), შემდგომ ბიზანტიაში, სამხრეთ

იტალიაში, საფრანგეთში. აქედან კი, ეს მოძღვრება გავრცელდა ჩრდილოეთის ქვეყნებში და უკელგან მას მოჰყევა ერეტიკული მოძრაობა. შ. წუცუბიძის აზრით, პავლი იურიანობა და ოონდრა კიზმი სომხეთში, მაზდა კიზმი და მუტაზილიტობა მუსლიმურ სამყაროში, უკიტები და ბოგომოლები ბალკანეთში, მანიქეელური ერესის სახეცვლილებებს წარმოადგენდა<sup>6</sup>. შ. წუცუბიძის აზრით, მანიქეელობამ და პავლიკიანობამ არეოპაგიტიკაზე დაყრდნობით „იდეურ-უილოსოფიური საფუძვლები მიიღო“ და ამგარად გადამუშავებული დასაცლეოს გადაეცა. მეორე მხრივ, მანიქეელობამ „გზა გაკვალა“ ისლამის ყაიდის ერესის - სუფიზმისა და არეოპაგიტული მოძღვრებისთვის<sup>7</sup>.

იმის მიუხედავად, რომ მანიქეელობამ და მის საფუძველზე აღმოცენებულმა ერეტიკულმა მოძრაობებმა დიდი როლი შეასრულეს საეკელესიო დოგმატიკის წინააღმდევე ბრძოლაში და ხელი შეუწყეს რენესანსის მომზადებას, შ. წუცუბიძეს ეს მაინც არ მიაწინა საკმარისად ამ დიდი კულტურული მოვლენის საბოლოო დაფუძნებისთვის. ამისთვის საჭირო იყო გარკვეული ფილოსოფიური სისტემა და იგი არეოპაგიტულ მოძღვრებას თვლის.

რენესანსისთვის არეოპაგიტული მოძღვრების მნიშვნელობის დასადგენად განსაკუთრებული როლი ენიჭება მასში მოცემულ აუცილებლობის პრინციპს, რის საფუძველზეც არსებათა წარმოშობა პირველმიზეზიდან ხდება აუცილებლად, ყოველგვარი წინასწარი არჩევანის გარეშე<sup>8</sup>. ეს პრინციპი უფრო ადრე გვხვდება პროკლესთან და პლოტინესთანაც<sup>9</sup>. არსებათა აუცილებლობით წარმოშობის აღიარება, რელიგიური მსოფლმხედველობის არსებითი - კრეაციის დოგმატის უარყოფას ნიშნავს, რაც გულისხმობს ღმერთის მიერ არსებათა შექმნას, დროში, არაფრისგან, ნებელობითი აქტის საფუძველზე.

რენესანსისთვის არეოპაგიტიკის მნიშვნელობის დადგენის საქმეში ასევე საინტერესოა მასში გატარებული სიერთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის პრინციპი. ეს თვალსაზრისი სათავეს პლატონის ფილოსოფიაში იღებს და გვხვდება პლოტინესთანაც. მაგრამ როგორც პლატონთან, ისე პლოტინესთან ბოროტება მაინც დაშეებუ-

ლია სიკეთის ბუნების გარკვევის მიზნით. შემდგომ ბასილი დიღთან ბოროტება გაგებულია, როგორც სიკეთის შესუსტება, კლება და ეს თვალსაზრისი გვხვდება არეოპაგიტულ მოძღვრებაში. თავის მხრივ ფსევდო-ლიონისე არეოპაგელი, პროკლეს მსგავსად, ბოროტების ყოველგვარ მნიშვნელობას აუქმებს. რენესანსისთვის კი ამ თვალსაზრისს ის მნიშვნელობა პჟიონდა, რომ ბოროტების საბოლოო დაძლევის შესაძლებლობა იყო აღიარებული.

ასე რომ, არეოპაგიტული მოძღვრების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ანტიური მემკვიდრეობის (ნეოპლატონიზმის სახით) „გადარგვა ქრისტიანულ ნიადაგზე” (შნუცუბიძე), რითაც რენესანსისთვის აუცილებელი იდეები და პრინციპები იქნა შენარჩუნებული. მათ მორის ძირითადია ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა, რომელიც საფუძველს ამშადებს რენესანსის მსოფლმხედველობისთვის. ამ იდეის ძირითადი მომენტებია: ღმერთიდან (პირულმიზეზიდან) არსებათა აუცილებლობით გამომდინარეობა, ადამიანის გაღმერთობის შესაძლებლობა, ღმერთთან ადამიანის უშუალოდ შეერთების დაშვება, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობის და ბოროტების არასუბსტანციურობის აღიარება.

საბოლოოდ შ.ნუცუბიძე აუგნებს საკითხს იმის თაობაზე, რომ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება შესა საუცნების ფილოსოფიისადმი და იგი გაგებულ იქნას, როგორც რელიგიული მსოფლმხედველობისა და ოპოზიციის (ერეტიკული მოძრაობის) შეურიგებელი ბრძოლა. ამ ბრძოლის დაგვირგვინება იყო „ოპოზიციის გამარჯვება ოფიციალურ დოგმატიკაზე” და, ნუცუბიძის აზრით, სწორედ ეს იყო რენესანსი<sup>10</sup>.

შ. ნუცუბიძემ მანამდე მიღებული და გაურცელებული თეალსაზრისის საწინააღმდეგოდ რენესანსის ძირები აღმოსავლეთში დაინახა. თავისი ეს მოსაზრება შ. ნუცუბიძემ სათანადო საბუთებით შეამაგრა, რომელთა არსი მოკლედ შემდგომში მდგომარეობს: ნეოპლატონური ფილოსოფიის უანასენელმა დიდმა სისტემატიკოსმა პროკლემ შეძლო ერთიანობის პრინციპის გატარება, მაგრამ პროკლეს ფილოსოფია ამავე დროს საზრდოობდა წარმართული მსოფლმხედველობითაც, ამიტომაც ამ სახით მას ქრისტიანობა უერ მიიღებდა. საჭირო იყო ნეოპლატონიზმის გარევეული რედაქცია და

მისი მორგება ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. ეს მისია წარმატებით განახორციელა ე.წ. არეოპაგიტული თხზულებულის ავტორმა, რითაც მოხდა ანტიკურობის „გადარგვა ქრისტიანულ ნიადაგზე“ და ამ გზით ქრისტიანულ სინამდვილეში სარეალიზაციოდ გზა გაეხსნა ანტიკური ფილოსოფიური მემკერდობის პროგრესულ იდეებს. ამასთან, არეოპაგიტიკა ქრისტიანულ აღმოსავლეთში შექმნილი ძეგლია და რენესანსის იდეურ საფუძვლელსაც შეადგენს, ამიტომაც უდავო უნდა იყოს აღმოსავლეთის როლი რენესანსის ჩამოყალიბებაში.

შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიაში ბევრი რამ გაზეიადებულია (მაგალითად, ერეტიკული მოძრაობების-თვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება), ზოგიერთ მომენტს, პირიქით, სათანადო ყურადღება არ ექცევა (მაგალითად, საკუთრივ რენესანსის ცნების შინაარსის დადგენა, რაც ბევრი გაუგებრობის მიზეზი ხდება). ყველაფერი ეს კი შემდგომში კამათის საგანი გახდა. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის უნდა იყოს, რომ შ. ნუცუბიძემ სრულიად ახლებურად გაიაზრა რენესანსის პრობლემა და ქართულ მეცნიერებაში შემოიტანა ეს საკითხი. მარტო ეს ფაქტი საკმარისია, რომ ვაღიაროთ, ნუცუბიძის უდიდესი დამსახურება ამ მიმართებით. რაც შეეხება სადაც და საკამათო საკითხებს, ეს ბენებრივია და თან ახლავს ყოველ ახალ წამოწყებას.

## 2. პირველი გამოხმაურებანი

შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას იმთავითებ უარყოფითად შეხვდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: ფილოლოგი კორნელი კაქელიძე (1879-1962) და ფილოსოფოსი სერგი დანელია (1887-1963). ნუცუბიძის პოიციის მიმართ მათ კრიტიკულ წერილებში გვხვდება სრულიად სამართლიანი შენიშვნებიც, სადაც მოსაზრებებიც და, სამწუხაროდ, ტენდენციური შეფასებებიც.

ს. დანელიამ მკვეთრად უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა შ. ნუცუბიძის წიგნზე „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“.<sup>11</sup> რეცენზიაში იგი აღაგებს შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიის ძირითად დებულებებს და

ეურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ შ. ნუცუბიძის მიხედვით, ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა სრულყოფილად მხოლოდ აღმოსავლეთია აითვისა პეტრე იბერის წალობით. აკტორი რატომდაც არ მიუთითებს შესაბამის აღგილებას შ. ნუცუბიძის წიგნიდან.

ს. დანელიას მართებული შენიშვნით, კოდხეთის ფილოსოფიური სკოლის არსებობა და არეოპაგიტული წიგნების აკტორად პეტრე იბერის გამოცხადება (თუნდაც ეს სიმართლე იყოს), სრულიადაც არ ასაბუთებს ქართული ანტიკურობის არსებობას<sup>12</sup>. ს. დანელიას შენიშვნით, დასავლეთში რენესანსი წინ უსწრებდა რეფორმაციას და წარმოადგენდა აზეთქებას კათოლიკური ეკლესიის დიქტატურის წინააღმდეგ. აღმოსავლეთი, რომის პაპის ასეთ დიქტატურას არ იცნიოდა და არც ასეთი აზეთქება იყო აუცილებელი<sup>13</sup>.

ს. დანელია შ. ნუცუბიძეს საყვედურობს რუსული კულტურის ისტორიისგან ქართული კულტურის ისტორიის მოწყვეტას, რაც მას ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია. ამასთან, აქ ლაპარაკია არა ბოლო საუკუნეების, არამედ სწორედ XI-XII საუკუნეების მოვლენებზე. იქნე აღნიშნულია, რომ შ. ნუცუბიძემ რუსი ხალხის ისტორიიდან ქართველი ხალხის ისტორიის მოწყვეტით ქართული კულტურის სპეციფიკურობა დანრდილა. შევნიშნავთ, რომ შ. ნუცუბიძე ეხება XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსულ ხასიათს და მიჯელიბს ამ ეპიქის საქართველოში რენესანსის არსებობის შესახებ. ამ ეპოქაში კი ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება ქართულ-რუსული ურთიერთობისთვის, რასაც მოითხოვს ს. დანელია, საფუძველს მოკლებულია.

ასევე, უარყოფითია კ. ეპელიძის კოზიცია შ. ნუცუბიძის ხსენებულ თვალსაზრისზე. თუმცა კ. ეპელიძე, რომელიც ამ წიგნის პირველი რედაქტორი იყო, თავიდან მხარს უჭერდა მას.

კ. ეპელიძის ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიაზე მართებულია და ვინც რენესანსისა და კერძოდ, ქართული რენესანსის საკითხებზე მუშაობს, მან ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, მისაღებია მისი შემდეგი შენიშვნა: „ჩენენ მკლევარს (იგულისხმება შ. ნუცუბიძე – მ.მ.) ალბათ სასი-

ქადაგლოდ მიიჩნია, როდესაც ამტკიცებს, რომ საქართველოს კულტურა ეწ. „ქლასიკური“ პერიოდისა მისტიკურ-ერებიკულ ხიაღაგზე იყო აღმოცენებული, რომ თითქმის ყველა მოაზროვნე და მწერალი ამ პერიოდისა ჩვენში ან წარმართი იყო, ან ერებიკული. წარმართული კულტურა საშუალო საუკუნეებთა ქრისტიანული საქართველოსთვის უკვე დიდი ხნის განცლილი გრძაპი იყო და საჯეკოა, ქრისტიანული კულტურის წინაშე მას „უპირატესობა პქონდეს“<sup>14</sup>.

ასევე მართებულია კ. კეკელიძის შენიშვნა, რომ შ. ნუცებიძეს გარკვეული არა აქვს ნაჩენები, რას წარმოადგენს ოქუსანის და თავის მხერივ იძლევა რენესანსის ასეთ განვაჭას: რენესანსი „ეს არის შეტევა ფეოდალიზმისა და ეკლესიის წინაძლმდება, მათი სტაბილური მდგომარეობის შერყევამდე დაყვანილი, როგორც შედეგი, გარევეულ მიზეზთა გამო, პეცინიურული აზროვნების გაღვიძება-განვითარებისა; ანტიური კულტურისადმი ეურადღების გამახვილება იყო ერთ-ერთი გამოვლინება გაღვიძება-განვითარების პრიცესისა, მეტი არა ფური“. <sup>15</sup>

კ. კეკელიძე, ისე როგორც ს. დანელია, სრულიად მართებულია არ იზიარებენ შ.ნუცებიძის შეხედულებას, რომ კოლხეთის ფილოსოფიური სკოლა და არეოპაგიტიკა ქართულ ახტიკას წარმოადგენს. აქ, კ.კეკელიძეს დამაჯერებელი საბუთი მოაქვს: „კოლხიდის აკადემია, რომელშიც მეცადინეობდნენ არა მარტო ადგილობრივი, კოლხიდის ბრძნები, არამედ თვით საბერძნეთიდან მოსულნიც კი, იმდენადვე იყო ქართული, რამდენადაც, მაგალითისთვის, ბიზანტიაში არსებული პეტრიწონული ქართული აკადემია იყო ბერძნული“<sup>16</sup>.

ამავე დროს ამ სტატიაში კ. კეკელიძე არეოპაგიტული მოძღვრების აშერად მცდარ შეფასებას იძლევა, რაც კარგად ჩანს მისი შემდეგი შენიშვნიდანაც: „ეს არის უკიდურესად განვითარებული ასეპტური მოძღვრება. შეეძლო განა ასეთ მოძღვრებას საფუძვლად დადებოდა რენესანსის მსოფლმხედველობას, რომელიც არის ქადაგება ამქანენიურ, რეალური ცხოვრების იდეალებისა, ოპტიმიზმისა, მამაცობისა, მეგობრობისა, სიუკარულისა ამქეუენიურ, ხორციელ ფორმებში გამოვლინებულისა, ქეყნიური ცხოვრებით დატყობისა, რომელსაც, რესტავრელის სიტყვებით რომ ვთქვათ, თან სდევს

„სმა-ჭამა, კარგად შესარგი”, იმ მსოფლმხედველობას, რო-  
მელმაც ადამიანის ინტერესები ზეციური სამყაროდან ამ  
ქვეწად ჩამოიყანა, ამ ქვეწად დაამჟარა? რასაკეირველია  
არა! ასეთი მოძღვრება ვერ გახდებოდა საფუძველი და და-  
საყრდენი ვერც დასაელეოთის, ვერც აღმოსავლეთის რენტ-  
სანსისა”.<sup>17</sup>

ვინც საფუძვლიანად იცნობს არეოპაგიტულ მოძღვრებას  
და აგრეთვე მასზე არსებულ გამოკვლევებს, ვერაფრით  
გაიზიარებს ამ მოძღვრების კეცელიძისეულ შეფასებას. ის,  
რომ არეოპაგიტული მოძღვრება ასკეტიზმს არ შეიცავს და  
მისი მისტიციზმიც თეორიულ-ინტელექტუალური ხასიათისაა,  
ფილოსოფიურია, არაერთი მკალევარი აღნიშნავდა (ნ.  
ბერდიავეკი, პ. ბლონსკი, ა. ბრილიანტოვი, კ. ჰასე). რენტსან-  
სის იმგვარ გაგებას, რომელსაც პ. კეცელიძე გვთავაზობს  
თავის სტატიაში, სწორედ რომ ბევრი ექნებოდა საერთო  
არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, სადაც ღმერთის (პირეულმი-  
ზუსის) და სამყაროს ერთიანობის თეალსაზრისია გატარე-  
ბული.

პ. კეცელიძე სტატიის „შესავალში არეოპაგიტიკას თავისი  
შინაარსის გამო რენტსანსისთვის გამოიუსადევრად მიიჩნევს,  
შემდეგში კი, კრიტიკულად იხილავს პეტრე იბერისა და  
ფსევდო-ლიტერატურისე არეოპაგელის იდენტობის თვალსაზრისის.  
ამით ავტორს იმის ჩვენება უნდა, რომ არეოპაგიტიკა, თუნ-  
დაც იყოს რენტსანსის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, ის  
ქართულ რენტსანსთან მიმართებაში არ უნდა განვიხილოთ,  
რადგანაც მას არაეთმორი კაგშირი არა აქეს ქართულ სინამ-  
დეილესთან. სწორედ ამ განწყობით მიმდინარეობს მსჯელობა  
სტატიაში იდენტობის საკითხის განხილვისას. აქ აუცილებ-  
ლად არსანიშნავია, რომ როცა მსჯელობა ეხება ქართული  
რენტსანსის თეორიის ავ-კარგიანობის განსჯას და ამ დროს  
არანაკლებ მნიშვნელობას იძენს იდენტობის საკითხიც, ეს  
უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ შ. ნუცუბიძის „შეხედულუ-  
ბების შეფასება გარეულელი პოზიციიდან ხდებოდა. მით უმე-  
ტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კ. კეცელიძე, როგორც შ.  
ნუცუბიძის წიგნის პირველი რედაქტორი, ამ წიგნის წინათქ-  
მაში – „რედაქტორისგან” – სულ სხვა რამეს წერდა: „აკადე-  
მიკოს შ. ნუცუბიძის შრომა ყურადღებას იმსახურებს თემის

აქტუალობით, გაძედებული დასკანებით და არგუმენტაციის ორიგინალობით. მართალია, ავტორის ზოგიერთი დებულება სადაცოა, ამა თუ იმ ქართული წეაროს ინტერპრეტაცია საკამაო, მაგრამ ასე ერცელ შრომაში, რომელიც აკენებს სრულიად ახალ საკითხებს, ყველაფერი ეს გარდაუვალი მოკლენაა".<sup>18</sup>

### 3. აღმოსავლური რენესანსის თეორიის შეფასებები

შ. ნუკუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიაზე გამოქვეყნდა მრავალი რეცენზია, რომლებშიც გამოთქმული იყო ერთმანეთისგან განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთოგამომრიცხავი მოსაზრებებიც კი. ერთინი საერთოდ უარყოფნენ რენესანსის არსებობას აღმოსავლეთში (ბ. გორჩუნიგი, ა. გორგუნელი, ვ. რუტენბურგი, ვ. შტეინი...), მეორენი აღიარებდნენ რენესანსის არსებობის ფაქტს აღმოსავლეთში, მაგრამ უარყოფნენ მსგავს მოვლენას საქართველოში (ც. ჟირმუნსკი, ი. გოლენიშვილი-კუტუჩივა), მესამენი კი აღიარებენ როგორც საერთოდ აღმოსავლურ რენესანსს, ისე ქართულს (ნ. კონრადი, ა. ლოსევი). ქართული რენესანსის თეორიას მხარს უჭერენ შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, რ. სირაძე, გ. ყორანაშვილი, ვ. ხინთიბიძე...

ვ. შტეინს საგანგებოდ არ განუხილავს ქართული რენესანსის საკითხები, მაგრამ მისი უარყოფითი დამოკიდებულება „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიისაღმი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქართულ რენესანსზეც ვრცელდება. ვ. შტეინის აზრით, „...აღმოსავლეთში ფართო გაგებით რენესანსი არ ყოფილა იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, აღმოსავლეთის ქვეყნებში ადგილი არ პქონია კულტურის დაცემასა და გადაგვარებას, რომელმაც ასე ცხადი გამოხატულება პოეტ ევროპულ სქოლასტიკაში“. <sup>19</sup>

ვ. რუტენბურგი სტატიაში „იტალიური აღორძინება და მსოფლიო აღორძინება“ მიმოიხილავს სხვადასხვა თვალსაზრისს რენესანსის შესახებ და აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ამრიგად, იტალიური აღორძინება წარმოადგენს ერთობ რთულ, მაგრამ სრულიად კონკრეტულ, ისტორიულად განპი-

რობებულ პროცესს, რომელიც მოიცავს საზოგადოების განვითარების უველა მხარეს".<sup>20</sup> რაც შეეხება აღმოსავლურ რენესანსს, გ. რუჩენბურგი უარყოფს ამგვარი მოვლენის არსებობას შეუა საუკენების აღმოსავლეთში. სტარიის დასასრულს ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას რენესანსის შინშენელობაზე ამა თუ იმ ქვეყნის კულტურისოფერის, რაც წერ სადაცოდ მიგვაჩინია: „მაგრამ აღორძინების განხილვა როგორც ტიტულისა, რომელიც საფუძველს იძლევა ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის მაღალი შეფასებისთვის, შეირსაა მეცნიერული მიღებობისგან".<sup>21</sup> თუკი „ტიტულებს“ ჩამოვაკილებთ, შეიძლება დარწმუნებით იოქვას, რომ აღორძინება – „ამა თუ იმ ქვეყნის“ კულტურის მაღალი დონის მასუების დღია. თუმცა, არიან დიდი კულტურის ქვეუნები, რომელთაც რენესანსი არ ჰქონიათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი კულტურა არასრულყოფილი იყო ან არის.

გ. გორჩუნგი სპეციალურად იხილავს შ. ნუცუბიძის გამოკვლევას „რუსთაველი და აღმოსავლერი რენესანსი“. შ. ნუცუბიძის ბევრ მოსაზრებას ის სადაცოდ მიიჩნევს. თუმცა „წიგნში, – მისი აზრით, – გვხვდება ძალზე ღირებული“ დასკუნებიც. გ. გორჩუნგის საბოლოო დასკვნა ასეთია: „თელიან, რომ ბიზანტიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, საქართველოში და ა.შ. ნაკლებ ხელსაყრელი ისტორიული პირობების გამო ამ კლასიკურ საფეხურამდე ამაღლება არ შეიძლება განხორციელებულიყო“.<sup>22</sup>

ქართული რენესანსის თეორიის მიმართ უკიდურესად ტენდენციური დამოკიდებულება გამოამჯდავნა მკვლევარმა ილია გოლენიშვილ-კუტუზოვმა (1904-1969). აუტორი შეუა საუკუნეებს უპირისპირებს რენესანსს და ამ უკანასკნელს მიიჩნევს რევოლუციად. ეს თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ქართველი მკვლევრების თვალსაზრისებისგან, რომლებიც პირიქით – რენესანს არ წარმეტენ შეუა საუკუნეებისგან.

ი. გოლენიშვილ-კუტუზოვი აღნიშნავს, რომ ქართველი მკვლევრები (შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, კ. კაპანელი, ო. ჯიონორია) ცდილობენ ერთ – ქრისტიანული ცივილიზაციის კომპლექსში წარმოადგინონ IX-XII სს.-ის დასავლეთისა და კავკასიური კულტურა. ამის შესახებ ლაპარაკობს კ. გამსა-

ხურდია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მისეული თარგმანის შესავალში, შ. ნუცუბიძე გამოკელევაში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ და აგრეთვე კ. კაპანელი და ო. ჯინორია თავიანთ შრომებში. ყველა ამ ავტორთან საუბარია დანტესა და რუსთაველის სიახლოეუზე.<sup>23</sup> ამავე წიგნში ავტორი იროვნით ლაპარაკობს ფსევდო-ლიონისე არეოპაგულისა და პეტრე იბერის იდენტობის თეორიაზე. რაც შეეხება დანტესა და რუსთაველის სიახლოეს, ეს, გოლენიშვილის უზრუნველის მართებული შენიშვნით, შეიძლება განაირობებული იყოს ერთი და იგივე წეაროს, კერძოდ, ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის ნეოპლატონური თხზულებების გამოყენებით, რადგანაც „არეოპაგელის ნეოპლატონური იდეაბი უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ მაღალი შუა საუკუნეების ლიტერატურასე კავკასიოდან ესპანეთამდე“. <sup>24</sup>

ასევე უარყოფითი პოზიციაა გამუღავნებული ქართული რენესანსისაღმი გოლენიშვილ-უზრუნველის სხვა გამოკელევებში, სადაც ავტორი შ. ნუცუბიძის „ქართული რენესანსისა“ და ვ. ჩალოვიანის „სომხური რენესანსის“ თეორიების განხილვისას შენიშნავს: თუკი IX და X საუკუნეების აღმოსავლეთის კულტურა მიჩნეულია რენესანსულად, მაშინ ამავე ეპოქის ფრანგულ კულტურას რატომ უნდა ეწოდოს შუა საუკუნეები? თუკი რუსთაველი „აღმორძინების პოეტია“, მაშინ კრეტიენ დე ტრუა რატომაა „შუა საუკუნეების“ პოეტი?<sup>25</sup> აქ ძნელია დაეთანხმო ავტორს, რადგანაც ქართული რენესანსის არცერთ მკვლევარს არ უცდია დაესაბუთებინა, რომ რენესანსი დასავლეთსა და საქართველოში ერთსა და იმავე დროს იყო. რაც შეეხება რუსთაველისა და კრეტიენ დე ტრუას შედარებას, აქ მთავარია არა ამ შემოქმედთა მოღვაწეობა ერთ ეპოქაში, არამედ მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების ძირითადი პრინციპები, ტენდენციები და ხასიათი.

ი. გოლენიშველ-უზრუნველის ტენდენციურობასე მიუთითებს მისი შემდეგი აღნიშვნაც: „გამოდის, რომ რამდენადაც ფსევდო-ლიონისე არეოპაგელი ქართველი უფლისწულის პეტრე იბერის იდენტურია – ის პროგრესული მოაზროვნეა, რომელიც ამზადებს აღმორძინებას.“, ხოლო თუკი დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ის სირიელია ან გალიელ-რომაელია (დასავლეთის ლეგენდის მიხედვით), მაშინ ის – „ძნელი საუკუ-

ნეების რეაქციონერია".<sup>26</sup> ჩვენთვის უცნობია ეის გულისხმობს აკტორი ამ კანკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ არც შ. ნუცუბიძისა და არც სხვა ქართველი მკელევრების შრომები ამგეარი დასკენების საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

ქართული რენესანსის საკითხები ვრცლად განიხილა ე. მელეტინსკიმ. ის აღნიშნავს, რომ შ. ნუცუბიძე და სხვა ქართველი მკვლევრები „უფეხისტურასანში” ხედავენ არა რომანულ ეპოსს, არამედ ფილოსოფიურ პოემას, რენესანსულ ძეგლს, რომელიც წინ უსწორებს დასაცლურ რენესანსს. მისივე შენიშვნით, შ. ნუცუბიძის მხრიდან, აღმოსავლერი რენესანსის და მისი ბირთვის – ქართული რენესანსის გაზიადება ბევრად არის განპირობებული მის მიერ აღორძინებითი ჰუმანიზმის ნეოპლატონიზმზე, კერძოდ, მის არეოპაგიტულ რედაქციაზე ცალმხრივი დაყვანით.<sup>27</sup>

უჩდა აღინიშნოს, რომ ე. მელეტინსკიმ შ. ნუცუბიძის მოსაზრებებში აღმოაჩინა ზოგიერთი წინააღმდეგობა, კერძოდ, როცა შ. ნუცუბიძე ეხება მიწიერისა და ზეციერის მიმართებას არეოპაგიტიკაში. იგი ასევე კრიტიკულად იხილავს ქართული მკვლევრების – ა. ბარამიძის, შ. ხიდაშელისა და ე. ხინთიძის თვალსაზრისებს და ამის საფუძველზე „უარყოფს აღმოსავლერი რენესანსის იდეას და რუსთაველის მიჩნევას რენესანსის მოღვაწეებს. ე. მელეტინსკის საბოლოო დასკვნა ასეთია: „რუსთაველის ჩათვლა რენესანსის მოღვაწედ, ისე როგორც აღმოსავლერი რენესანსის თეორია – რუსთაველისა და აღმოსავლეთის ზოგიერთი სხვა პოეტის გადაჭარბებული შეფასების რეზულტატი კი არაა, არამედ შესა საუკუნეების კულტურის შეუფასებლობის შედეგია; კერძოდ, ეს არის XII-XIII საუკუნეების კურტუაზული ლიტერატურის და მასში მოცემული ცნობილი „ჰუმანისტური საწყისის“ შეუფასებლობის შედეგი".<sup>28</sup>

სამწუხაროდ, არც ე. მელეტინსკის თვალსაზრისია დაზღვეული ტენდენციურობისგან. იგი რატომდაც არაფერს ამბობს იმ არაქართველ და მათ შორის აღიარებებულ მეცნიერებზე, რომლებიც იზიარებენ რენესანსის არსებობას XI-XII საუკუნეების საქართველოში. მკითხველს, რომელიც არ იცნობს საეციალურ ლიტერატურას რენესანსის შესახებ, ე. მელეტინსკის გამოკლევის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა

ნება, რომ აღმოსავლეური და ქართული რენესანსი ნუცუბიძის გამოგონილია და მის შესახებ წერენ მხოლოდ ქართველი მკაფიოდები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და ეს ნათლად ჩანს ჩენს მიერ განხილული აკტორების თვალსაზრისებიდანაც.

ქართული რენესანსის თეორიაზე გამოთქმულ მოსაზრებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა XX საუკუნის რუსი მოაზროვნის ალექსეი ლოსევის პოზიცია. მან ნაშრომის – „აღორძინების ესთეტიკა“ (1978) – შესავალში, რომელიც აღმოსავლეური რენესანსის პრობლემებისადმია მიღებული, ახლებიურად წარმოადგინა ეს საკითხი და ამასთან, ამ ნაწილში გამორჩეული ადგილი მოუჩინა ქართული რენესანსის თეორიას და რენესანსის ქართველ მკაფიოდების გაეთვალისწინებას.

ა. ლოსევი კრიტიკულად იხილავს ქართველი მკაფიოდების (შ. ნუცუბიძე, მ. გოგიძერიძე, კ. ექელიძე, ი. ფანცხავა, შ. ხიდაშელი) მოსაზრებებს და ამასთან, ბოლომდე იზიარებს ქართული რენესანსის თეორიას და თავის დასკვნებს:

„ჯერ ერთი, ამ გამოკვლევების შემდეგ (იგულისხმება რენესანსის პრობლემებზე ქართველ მკაფიოდებით შრომები – მ. მ.) დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართულ რენესანსს საფუძვლად უდევს ნეოპლატონიზმი განსაკუთრებით კი პროექტების ფილოსოფია. ეს უნდა ჩაითვალოს დიდმიშვნელოვან აღმოჩენად, რადგანაც იგი ჩენ საშუალებას გვაძლევს უფრო მიუხალოედეთ იტალიურ რენესანსს.

მეორე, საქართველოში რენესანსი ათვისებული იქნა არეოპაგიტიკის შუქუ, ე.ი. არა როგორც შიშეელი წარმართული მსოფლიმებულელობა, არამედ როგორც პროექტებს დიალექტიკის ქრისტიანულ-თეისტური გადამუშავება და გასულიერება“.<sup>29</sup>

„ჩესამე, ქართული აღორძინების მკაფიოდებმა არეოპაგიტიკიდან პირდაპირ პანთეისტური დასკვნების გამოტანის შესაბლებლობა კი არ დაასაბუთეს უდავოდ (პრინციპულად არეოპაგიტიკებს ყოველგვარი პანთეიზმის უარყოფა შეუძლიათ მთლიანად), არამედ ის, რომ იგი შეიცავს გამოხსნის ადამიანური გზის უფრო სრულ, უფრო საერო და უფრო

მიწიერ იდეებს... ამიტომაც, აქ საჭიროვაა ვილაპარაკოთ რენესანსზე, ვინაიდან არეოპაგიტიკის განმარტებით აღაშიანის აქტიურობა, უეჭველად ძლიერდებოდა, მისი მგრძნობიარობა ღრმავდებოდა და ადამიანური განცდა ლუთაებრივი შექის „ოქეანეში” უკეალოდ არ იძირებოდა. ზოგიერთს არეოპაგიტიკა უჩვენებდა ამ „ოქეანეს”, ხოლო დანარჩენებს წმინდა ადამიანური იდეის დამიუკიდებლობას, მგრძნობიარობასა და პროგრესულობას”.<sup>30</sup>

„მეოთხე, ბოლოს ქართული აღორძინების მკალევრებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოასროენები გამოდიოდნენ ნეოპლატონური და არეიპაგიტული რენესანსის წამომწყებუბად ეკროპაში. მ მხვრივ, მათ პრიორიტეტი ექუთვნით და რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. კამათი ამის წინააღმდეგ შეუძლებელია, ისე როგორც შეუძლებელია არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი დაუვანილ იქნას წარმართობაზე, ერესზე, პანთეიზმზე და ოფიციალური ეკლესიის სრულ უარყოფამდე”.<sup>31</sup>

ა. ლოსევის საბოლოო აზრი რენესანსის ქართველ მკალევრებზე ასეთია: „ასე შეიძლება შევაჯამოთ ის ნამდვილი და ჰეშმარიტი ფილოსოფიურ-ისტორიული ღვაწლი, რომელიც განახორციელეს ქართული რენესანსის ეპოქისა და მასთან ერთად საერთოდ მსოფლიო რენესანსის ისტორიის მკალევრებმა”.<sup>32</sup>

აღმოსავლური და ქართული რენესანსის საკითხები უცლადა წარმოდგენილი შ. ნუცუბიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში. გამოუქვეყნებელი სტატიების ავტორები (ნ. ბრაგინსკი, მ. კაპუსტინი, ზ. ეული ზადე, ნ. ნათაძე, ი. კენჭოშვილი) ძირითადად იზიარებენ აღმოსავლური რენესანსი თეორიას.

ნ. ბრაგინსკი სტატიაში – „აღმოსავლეთის რენესანსის კონცეფცია. მომხრეები და მოწინააღმდეგები”, ამ თეორიის ოპონენტების არგუმენტებზე აღნიშნავს: „ოპონენტების მიერ წამოყენებული იქნა მათი აზრით უდავო, სოციოლოგიური (უფრო სწორად, სოციოლოგიზატორული) ხასიათის შემდეგი სილოგიზმი.

რენესანსი კაპიტალიზმის გარიურავია. IX-XV საუკუნეების აღმოსავლეთში კაპიტალიზმი არ ყოფილა, მაშასადამე,

აღმოსავლეთში აღნიღნული დროის შონაკეთში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რენესანსი<sup>33</sup> იქნე ავტორი სინაზულით დასძენს, რომ ადრე ამ თვალსაზრისზე იდგა თვითონაც. მაგრამ შემდგომ მან შეისწავლა სათანადო ლიტერატურა რენესანსზე, კერძოდ, სადაც საკითხებზე, კრიტიკულად განიხილა აღმოსავლეთის რენესანსის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები და კონტრარგუმენტები, ყველაფერი. ეს შეამოწმა კლასიკური ირანული (საარსელ-ტაჯი-კური) პოეზიის ისტორიიდან აღებული ფაქტებით და დარწმუნდა შ. ნუცუბიძისა და ნ. კონრადის სიმართლეში.

6. ბრაგინსკი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთის რენესანსის კონცეფციის მოწინააღმდეგებს არ მოეპოვებათ საფუძვლიანი არგუმენტები ამ თეორიის წინააღმდეგ. „სამწუხაროდ, მათ ნაწერებში შეიძლება ვნახოთ საწინააღმდეგო მოსაზრებები, უსაფუძღლო უარყოფა, ცალკეული შენიშვნები, მაგრამ არა არგუმენტების სისტემა რომელიც დამტარებული იქნება ნამდვილი ლიტერატურის კროცესის კონკრეტულ ანალიზე“<sup>34</sup>. 6. ბრაგინსკის საბოლოო დასკვნა ასეთია: სანამ არ იქნება წამოყენებული ახალი არგუმენტები აღმოსავლეთის რენესანსის წინააღმდეგ „დასაბუთებულად რჩება აღმოსავლეთის ბევრ ლიტერატურაში რენესანსული ტენდენციებისა და რენესანსის არსებობის კონცეფცია“<sup>35</sup>.

აღნიშნულს შეიძლება დავამატოთ, რომ 6. ბრაგინსკის მიხედვით, რენესანსის თეორიულ-აბსტრაქტული მოდელი, რომელიც წმინდა სახით განხორციელდა იტალიაში, სხვადასხვა ქვეყნებში გეხვდება აღგილობრივ „ვარიანტებში“, რომელიც ემყარება საკუთარ ნაციონალურ კულტურას. 6. ბრაგინსკის ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვნად მიგვაჩინია სხვადასხვა ქვეყანაში რენესანსის არსებობისა და გამოვლენის დადგენის თვალსაზრისით.

მ. კაპუსტინი აღმოსავლეთის რენესანსის საკითხებში შ. ნუცუბიძეს პიონერად მიიჩნევს. ამასთან, ის მართებულად შენიშნავს, შ. ნუცუბიძე აჭარბებს, როცა საუბარი ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მნიშვნელობას რენესანსისთვის. ამის მიუხედავად, მ. კაპუსტინი სათანადოდ მიაგებს შ. ნუცუბიძის დამსახურებას მსოფლიო რენესანსის კრიბლემების კვლევის საქმეში. ავტორი ფიქრობს, რომ შ. ნუცუბიძემ

პირველად მსოფლიო მეცნიერებაში ფილოსოფიური და ფილოლოგიური ანალიზით კონკრეტული მასალის საფუძველზე აჩვენა, რომ აღმოსავლეთის რენესანსის წინ უსწრებდა დასავლურ-ევროპულს და აღმოსავლური რენესანსის მწერგალს რესთაველის შემოქმედება წარმოადგენდა. მ. კაპუსტინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც „... ასე დამაჯერებლად და არგუმენტირებულად, პირველად გადმოსცა ქართველმა მეცნიერება“.<sup>36</sup>

ამ კრებტულში დაბეჭდილ ნ. ნათაძის სტატიაში – „შალვა ნუცუბიძე და რენესანსის პრობლემა“ ნაჩვენებია ის განსხვავება, რომელიც არსებობს აღმოსავლურ რენესანსზე შ. ნუცუბიძის, ნ. კონრადის, ვ. ჩალოიანისა და ვ. ჟირმუნსკის თვალსაზრისების შორის. შემდგომ ავტორი აღაგებს დასავლური რენესანსის ძირითად პრინციპებს, რომელიც მდგრმარეობს არა მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ანტიდოგმატიზმი, არამედ ახალი ადამიანის ფორმირებაში. ნ. ნათაძე ამ სტატიაში აჩვენებს აგრეთვე ქრისტიანობის როლს რენესანსული ქულტურის ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, ავტორი დაასკენის: „... სწორედ ამის გამო რენესანსი არის არა აღორძინება, არამედ რაღაც გაცილებით მეტი“.<sup>37</sup> სტატიაში ნაჩვენები და გაანალიზებულია ქართული რენესანსის პირობები. ავტორი იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს და რესთაველის შემოქმედებას მიიჩნევს რენესანსის მწერებალად.

ი. კენჭოშვილი სტატიაში – „ვეფხისტყაოსანი და რომანის უანრის ტრადიცია (აღმოსავლური რენესანსის საკითხო-სათვის)“, ძირითადად იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს და ამასთან მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ სიახლოებები ბერძნულ რომანთან. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს XI-XII საუკუნეების ქართულ არქიტექტურას და მასში ხედავს ახალი სტილის – ბაროკოს კეალს. ამ საკითხის გარკვევისას ი. კენჭოშვილი ემუარება გიორგი ჩუბინაშვილის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „ხელოვნების საერთო, კერძოდ, ელინიზმის, გოთიკის ან XII საუკუნის ეგროპისთვის დამახასიათებელი ტენდენციები... დამახასიათებელია აგრეთვე ქართული ხელოვნებისთვის დაწყებული X საუკუნიდან“.<sup>38</sup>

აი. რაც შეიძლებოდა გვეთქვა ზოგადად იმ გამოხმაურებებზე, რაც მოჰყვა შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომლის ბირთვსაც ქართული რენესანსის თეორია შეადგენდა. ასე, რომ რა შეფასებებიც გამოითქვა შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას თითქმის მთლიანად კრცელდება ქართული რენესანსის თეორიაზეც.

# IV თავი რენესანსი და ჰუმანიზმი საქართველოში

## 1. ჩართული რენესანსის იდეის სათავეებთან

შეა საუკუნეების, კერძოდ, XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსისა თუ რენესანსული ელემენტების არსებობას აღნიშნავდნენ იგანე ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარხოვი, კინისტანტინე გამსახეურდია. რ. მილერ-ბედნიცკაია. ამავე ეპოქის საქართველოში ჰუმანიზმის არსებობაზე დადგებითი აზრი პეტრე ნიკოლოზ მარს. მაგრამ მათთან მოცემული არ იყო რენესანსის, კერძოდ, ქართული რენესანსის წამოებალიბებული თვალსაზრისი, კონცეფცია, რაც „უშალოდ შალვა ნუცემდის დამსახურებაა.

შ. ნუცემდის მათ შორის, ვინც XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობას აღიარებდა, განსაკუთრებული ადგილი „უკავია იგანე ჯავახიშვილის (1876-1940) თვალსაზრისს. საუკრალებოა ის გარემოება, რომ ამ საკითხის განხილვისას ივ. ჯავახიშვილთან იმ ეპოქის საქართველოში, რენესანსი დაკავშირებულია კულტურის, სახელმწიფო უძრის სახელმწიფო ბეჭვის საერთო აღმაღლობასთან. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული კულტურის მიმართებას ბერძნულ-ბიზანტიური სამყაროს სულიერებასთან.

ივ. ჯავახიშვილი ამ მხრივ საგანგებოდ გამოყოფს ქართველთა მხრიდან ფილოსოფიური მწერლობისადმი დიდ ინტერესს. მაშინდელი „... საქართველოს ძლიერების ხანა იმ მხრივ არის განსაკუთრებით საუკრალებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონიერობა სამყლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწია“!

ივ. ჯავახიშვილი ახალ ეპოქაში ქართველი სწავლულების მხრიდან ფილოსოფიური ცოდნის დაუფლებისადმი დიდი მისწრაფებაში ახალ მომენტზე ამახელებს უურადღებას. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ძეგლები (კირილე აღექსანდრიელის „განძი“, ბასილი დიდის „ექსთა დღეთა“, გრიგოლ ნოსელის

„კაცისა შესაქმისათვის”, იოანე დამასკელის „გარდმოცემად” და სხვა) აღრეც ითარგმნებოდა „საუცხოვო” ქართული ენით და მაშასადამე, X საუკუნეზე აღრე, საქართველოში არსებოდა „საფილოსოფიო” ენა და ტერმინოლოგია. მაგრამ ეფრემ ცირისა (XIIს.) და განსაუთორებით იოანე პეტრიწის წვლილი იმით არის გამორჩეული, რომ თუეი მანამდელი თარგმნილი ლიტერატურა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური იყო, ამ ავტორების სათარგმნელად შერჩეული ტექსტები (არისტოტელების, ნემესიოს ემესელის, პროკლეს და სხვათა თხზულებები) წმინდა ფილოსოფიურ მწერლობას მიეკუთვნებიან. ამასთან, როგორც ეფრემ მცირე, ისე იოანე პეტრიწი თარგმნილ ძეგლებს კომენტარებს ურთავდნენ: „მაგრამ თავი-და-თავი ის გარემოება არის, ეფრემ მცირეცა და იოანე პეტრიწიც თავიანთ თავს ფილოსოფიაში იმდენად დახელოვნებულად გრძნობდნენ, რომ ნათარგმნ თხზულებებს მრავალ საკუთარ საფილოსოფიო განმარტებასა და მსჯელობას ურთავდნენ; მაშასადამე, ამ დროს ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობაც წინდებოდა”.<sup>2</sup>

ივ. ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მაშინდელი სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდა საფილოსოფიო მწერლობას, განსაკუთრებით ნეოპლატონიზმს, რადგანაც იგი წარმართობისადმი ინტერესს აღვიძებდა. ამის გამო შევიწროებას განიცდიდნენ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე დავით აღმაშენებლის დიდ წელილზე საქართველოში წმინდა ფილოსოფიის განვითარების თვალსაზრისით, რამაც საბოლოოდ საფუძველი მოიამზადა თავისუფალი ფილოსოფიური მოღვაწეობისთვის. აქ დამოწმებული და ინტერეტირებულია ნიკო მარის (1864-1934) თვალსაზრისი, რითაც ივ. ჯავახიშვილი უფრო ამყარებს თავის პოზიციას: „მეტად საგულისხმო და საყურადღებოა, რომ მაშინდელ საქართველოში საფილოსოფიო ნეოპლატონური მწერლობა განვითარებული მეცნიერები იმგეარივე საფილოსოფიო საკითხებით იყვნენ გატაცებულნი, რომელიც მაშინდელ მოწინავე ქრისტიანთა ერებს აღელვებდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მაგრამ ამავე დროს ქართველებს, როგორც სამართლიანად ამბობს პროფ. ნ. მარი, ის უპირატესობა პქონდათ, რომ ქართველები სხვებზე, მაგა-

ლითად, ეკროპელუბზე, უფრო ადრე ეწაფებოდნენ სოლმე საფილოსოფიო აზრის ყოველ უახლეს მიმართ ულების და იმ დროისათვის სამაგალითო სამეცნიერო მეოთვებით აღჭურვილი პირდაპირ ბერძნული დედნების შესწავლაზე ამჟარებდნენ თავიანთ ნაურიულ მუშაობას“.<sup>3</sup>

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერძნული ფილოსოფიის ათვისებამ ქართველებს ხელი შეუწყო ბერძნული პოეზიის დაუფლებაში, რასაც საბოლოოდ მოცემა დიდებული პომეროსის ქმნილებებთან ზიარება. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა პქონდა, რადგანაც ბერძნულ ფილოსოფიასთან ერთად ბერძნული პოეზიის გაცნობამ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში რენესანსის წარმოშობის წინაპირობები შექმნა: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა, დაეწაფა იმ ცხოველმუოფელ ელინიზმს, რომლის ღრმამ და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ეკროპაში ეწ. „რენესანსი“ წარმოშევა. საქართველოში ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევებმა შეაფერხა“.<sup>4</sup>

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ზოგადად ეხება XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის აუკავებას (გელათის ტაძარი, ვარძია, ხახული, ქართული ოქრომქანდაკებლობა და სხვ.). მთავარი კი მაინც ის არის, რომ მან მიანიშნა რენესანსის ნიშნების არსებობაზე XI-XII საუკუნეების საქართველოში და იგი დაუკავშირა კულტურის საერთო აუკავებას, ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ აღმაკლობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ჩამოყალიბებული რენესანსის არსებობაზე არ ლაპარაკობს.

ზემოთ დასახელებულ აეტორებთან ძირითადად იყო მინიშნებები საქართველოში რენესანსის თუ რენესანსის ელემენტების არსებობაზე. ივ. ჯავახიშვილთან კი შედარებით არგუმენტირებული თვალსაზრისი იყო წამოყენებული საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობაზე, რომლის დასრულებას ხელი შეუშალა გარეშე მტრების მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა. დასახელებული ავტორებისგან განსხვავებით, შალვა ნუცუბიძემ ჩამოყალიბა აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომლის ბირთვსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული რენესანსის თეორია წარმოადგენდა.

## 2. შალვა ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიის არსი

შ. ნუცუბიძემ ქართული რენესანსის თეორიას საბოლოო სახე მისცა ობილისში 1947 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში – „რუსთაველი და აღმოსავლელი რენესანსი“. ამ ნაშრომში მან გამოიკვლია ქართული რენესანსის ჩამოყალიბების წინაპირობები და ფილოსოფიური წეაროები, განსაზღვრა მისი ადგილი ქართულ კულტურაში.

მეორე თავში ეისაუბრეთ, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა შ. ნუცუბიძე არეოპაგიტულ მოძღვრებას რენესანსის ფილოსოფიური მსოფლმხელველობის ჩამოყალიბებაში. არეოპაგიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა პეტრიდა ქართული რენესანსისთვისაც – ასეთია შ. ნუცუბიძის თეალსაზრისის დედააზრი.

ქართული რენესანსის ჩამოყალიბებაში შალვა ნუცუბიძე ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს არეოპაგიტული იდეების აღორძინებას XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამ აღორძინებაში იგულისხმება ეფერები მცირეს მიერ ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებებისა და მასზე დართული მაქსიმე აღმსარებლისა და გერმენოსის კომენტარების თარგმნა ძველბერძნულიდან ქართულ ენაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძე არეოპაგიტიკის საკითხების კვლევისას მისივე აღნიშნით, ნიკო მარის მარჯვედ გამოყენებულ ტერმინს – „ქართული ნეოპლატონიზმი“ მხოლოდ იოანე პეტრიწის მსოფლმხელველობით არ შემოსაზღვრავს. იგი „ქართული ნეოპლატონიზმის“ ცნებას V საუკუნემდე განავრცობს და მასში მოიაზრებს არეოპაგიტულ მოძღვრებასაც: „საჭიროა ქართული ნეოპლატონიზმის ძირები უძიროთ არა XII საუკუნის დასაწყისში, არამედ V საუკუნეში, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროკლეს თხზულების – „ქავშირნი ღმრთისმეტყედებითნი“ არეოპაგიტული ინტერპრეტაციის, კ.წ. არეოპაგიტული წიგნების ერთადერთი შესაძლო აუტორი“<sup>5</sup>.

ქართული კულტურისთვის არეოპაგიტიკის დიდ მნიშვნელობაზე სხვა აეტორებიც აღნიშნავდნენ. ზურაბ კიუნაძის აზრით, „საყოველთაოდ მიღებულია ის აზრიც, რომ პოემას („ვეფხისტყაოსანს“ – მ.მ.) არეოპაგიტული მოძღვრების გავლენის ძლიერი კვალი ატყვება. აკადემიკოსმა ნუცუბიძემ ცხადყო ქართული ფილოსოფიური აზრის განსაკუთრებული

ინტერესი ამ პრობლემაზე იყიდება და დამი. ამიტომ „შემთხვევებითი არ უნდა ყოფილიყო ამ საიდუმლოებით მოცული წიგნების ავტორის ხსენება რუსთაველის პოემაში. „ბრძენი დიუნოსის“ ხსენებას ამართლებს თვით პოემის დედაარსი (ცალკეული გამონათქვამების გარდა), მასში გატარებული ფილოსიფიურ-ეთიკური აზრი, რომ ბორიტება „უსანოა (თვით ქართულ თქმაშიც უხანო ყოფილობის ბორიტებას გულისხმობს), რომ მას თავისთავადი არსებობა არა აქვს და მხოლოდ არას-რულყოფილი სიკეთისგან იშვება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა მკელევარი, ვინც ქართული რენესანსის საკიონებს ეხება, იმის მიუხედავად, იზიარებას თუ არა ქართული რენესანსის თეორიას, განსჯის საგნად იხდის რუსთაველის „ეეფხისტყაოსანშია“. ეს ბენებრივიცაა, რადგან სწორედ „ეეფხისტყაოსანშია“ მოცემული ის იდეები, რომლებიც რენესანსის მოთხოვნებს აქმაყოფილებს, კერძოდ: სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა („უხანობა“), ამ ქეყნიური სინამდვილისადმი ღირებულების მინიჭება, ადამიანის ახლებური დანახვა და სხვა.

შ. ნუცუბიძემ გამოკვეთა ქართული რენესანსის არსებითი მომენტები, დაადგინა მისი ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულებები (წეოპლატონიზმი, კერძოდ, მისი ქრისტიანული რედაქცია არეოპაგიტული მოძღვრება), ანუენა XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის კავშირი ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკასთან. ყოველივე ამის საუზიკულზე კი გააქვთა დასკვნა, რომლის თანახმადაც რუსთაველის „ეეფხისტყაოსანი“ რენესანსული ძეგლია და საქართველოში რენესანსი უფრო აღრე იყო, ვიდრე ეკროპაში. შ. ნუცუბიძის ამ მრავალმხრივ საყურადღებო თვალსაზრისს ჰყავს, როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგები. მომხრეთა შორისაა რუსი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, შეუა საუკუნეების ქართული კულტურის ეპოგი მცოდნე აღექსე ლოსევი?

„ეეფხისტყაოსანის“ რენესანსულობის თვალსაზრისი შ. ნუცუბიძეს გაღმოცემული აქვს ნაშრომში „რუსთაველი და აღმოსაულური რენესანსი“. მოკლედ განვიხილოთ ამ ნაშრომის ძირითადი დებულებები. დავიწყოთ იმით, რომ შ. ნუცუბიძეს ხშირად საყვედურობდნენ „ეეფხისტყაოსანში“ ფილო-

სოფიისა თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძიებისას, მან, თითქოს და გააფერმერთალა ნაწარმოების მთავარი მხარე – პოეზია. ამგვარი საყვედურების უსაფუძღლობა კარგად ჩანს შ. ნუცუბიძის განსახილველი გამოკელევიდან, საღაც ის მიუთითებს, რომ რესთაველის შემოქმედება ფილოსოფიური პოეზიაა, იგი გაჯერების საშუალებით მთლიანად მალავს სკოლური ფილოსოფიის ხაზს ამა თუ იმ ფილოსოფიური მიმღინარეობისადმი თავის კუთვნილებას. რესთაველი ისე აგებს ამ მასალას, რომ ფილოსოფოსობისთვის აღგილი აღარ რჩება და ა.შ საერთოდ ეკი, აღნიშნავს შ. ნუცუბიძე „საღაც მხატვრული შემოქმედების დონე ფილოსოფიით გამაგრებას საჭიროებს, იქ საქმე უკვე ცუდადაა“<sup>8</sup>.

დამოწმებული აღგილის გათვალისწინებით, შ. ნუცუბიძეს პირიქით შეიძლება შეედავო და არა იმ კუთხით, რომ იგი „უფრისსტყაოსანში“ ფილოსოფიის ძიებით პოემას აკნინებს და აფერმერთალებს.

შ. ნუცუბიძე რესთაველის შემოქმედებაში რენესანსის პრობლემატიკას, შეიძლება ითქვას, ონტოლოგიურ სიბრტიკეში იხილავს. კერძოდ, რენესანსის საკითხი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემასთან მიწიერისა და ზეციერის მიმართებასთან. შ. ნუცუბიძის აზრით, „ამ საკითხის პოეტური წედომის საშუალებები და გადაჭრის გზები განსაზღვრავდა რენესანსის განვითარების საფეხურს აღმოსავლეთსა და დასავლეოში“<sup>9</sup>.

შ. ნუცუბიძის აზრი საყურადღებოა. ჯერ ერთი, იგი რენესანსს უკავშირებს ონტოლოგიურ პრობლემას და მეორე: აღმოსავლეთსა და დასავლეოში რენესანსის ერთიანი მსოფლმხედველობრივი (ფილოსოფიური) საფუძვლით განსაზღვრავს.

ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის სახით წარმოდგენილი მიწიერისა და ზეციერის მიმართებისას, მათგან უპირატესობის მინიჭება, შ. ნუცუბიძის აზრით, საკითხს ვერ გადაწყვეტს. მას მიაჩნია, რომ ვერც ნისამიმ, ვერც დაწერემ, ვერც პეტრარკამ და ვერც სხვებმა ვერ მოახერხეს პრობლემის გადაჭრა. ამის მიზეზი კი იყო ან მიწიერისა და ზეციერის ერთმანეთისგან მოწყვეტა, ან კიდევ ამქვეყნიურის წარმოდგენა ზეციურში (დანტე). რესთაველთან, შ. ნუცუბიძის აზრით, ეს პარმონია მიღწეულია იმით, რომ მისთვის პოეზია საღმრთო

გასაგონია დევთის ნაბოძებია ადამიანისთვის ამავე დროს პირზით ტკბობისთვის მიწისგან მოწყვეტა საჭირო არ არის: „პოეზიით დატკბობა ამქუცნად შეუძლია ჩას, ვინც მას ზიარებია”.<sup>10</sup>

რა უდევს საფუძვლად მიწიერისა და ზეციერის პარმონიას? ამ კითხვაზე პასუხისას შ. ნუცუბიძე საყურადღებო აზრს გამოითქვამს რენესანსის მსოფლმხედველობრივ (ფილოსოფიურ) საფუძველზე. მისი აზრით, პლატონის „ნადიმიდან” პლოტინეს „მშენიერებაზე” ტრაქტატის გავლითა და არეპაგიტული წიგნების ჩათვლით, მშენიერებასა და სიუკარულზე თვალსაზრისი მომზადდა. საიდანაც იწყება გსა ადამიანის სიუკარულისკენ, ამქუცნიური სილამაზისკენ, „რომელიც გაბებული იყო, როგორც მშენიერების ანარეკლი და მისდამი მიბაძვა.”<sup>11</sup>

შ. ნუცუბიძეს რესთაველის „კუფხისტყაოსანი” და მასში გატარებული მსოფლმხედველობა მიაჩნია სწორედ იმ ფენომენად, რომელშიც აისახა პლატონის, პლოტინესა და განსაკუთრებით არეპაგიტული ნეოპლატონიზმის თვალსაზრისი მიწიერისა და ზეციერის პარმონიაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ეს თვალსაზრისი რენესანსზე და რენესანსისთვის ნეოპლატონური ფილოსოფიის, კერძოდ, მისი ქრისტიანული რედაქციის – არეპაგიტული მოძღვრების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე შ. ნუცუბიძის შეხედულებათა საფუძველია. მისი აზრით, რესთაველი, „რომელმაც მოგვცა ფილოსოფიის ნიადაგზე შემუშავებული იდეალების მხრილოდ მხატვრული ხორცულებები, სჯობის დასავლეთის რენესანსის რიგ წარმომადგენლებს, რომლებიც თავის პოეტურ ნაწარმოებებში ფილოსოფიური ტრაქტატის პერიფრაზს ან სულაც ციტირებას მიმართავენ”.<sup>12</sup>

შ. ნუცუბიძის აზრით, რესთაველი მიწიერისა და ზეციერის სინთეზითა და პარმონიით პრინციპულად განსხვავდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის რენესანსის წარმომადგენლებისგან. ბუნებრივია რესთაველის შემოქმედება ცარიელ ნიადაგზე ვერ აღმოცენდებოდა და იგი შ. ნუცუბიძის აზრით, ქართველი მოაზროვნებისა და პოეტების (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, მოსე ხონელი, I შავთელი, II შავთელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი) შემოქმედებამ მოამზადა.

შ. ნუცუბიძის კრთი მთავარი დირსება არის ის, რომ მას ქართული რენესანსის მწვერვალის – რუსთაველის შემოქმედება ერთი მხრივ ლოგიკური აუცილებლობით გამოყავს საკაცობრივი კულტურის მსოფლიმს და ელობიდან (პლატონი, პლოტინე, არეოპაგიტული მოძღვრება), ხოლო მეორე მხრივ მას არ წერტს მშობლიური ჩიადაგიდან, იგი „კეფხისტეათ-სანს“ ამირანის ლეგენდასთან აკავშირებს, კერძოდ, მის ზეცად ამაღლების სიუკარულის იდეასთან. ხოლო „მანძილი, რომელიც ერთმანეთს აშორებს პოემას „ამირანის“ ამ პოეტურ აღგილსა და რუსთაველის გმირთა მშფოთვარე სწრაფვას, წარმოადგენს ქართული რენესანსის განვითარებასა და იდეური გაღრმავების საზომს“.<sup>13</sup>

შ. ნუცუბიძე კრთი მხრივ „ამირანის“ ლეგენდის, შავთვლებისა და ჩახრუხაძის პოეზიის, ხოლო მეორე მხრივ არეოპაგიტული მოძღვრების საფუძვლიანი ანალიზით იმ დასკვნამდე მიღის, რომ ამ ფესვებიდან ამოზრდილი რუსთაველის შემოქმედება სრულყოფილ რენესანსს წარმოადგენს. ამასთან, შ. ნუცუბიძის ასრით, რუსთაველი წინ მიღის თავის წინამორბედებზე, კერძოდ, „მისი გმირები მოქმედებენ, ისწრაფვიან, შეუკარებული არიან, იტანჯებიან, იბრძვიან... ისინი ცოცხლობენ და ცხოვრების რეალურ შინაარსს შეადგენდნენ“.<sup>14</sup>

შ. ნუცუბიძის ნაშრომის ამ ძირითადი მონაკვეთის კულმინაციაა მისი დასკვნითი ნაწილი, სადაც შეჯამებულია კულევის შედეგები და ამის საფუძველზე შეფასებულია რუსთაველის შემოქმედება, ჩაჩენებია მისი რენესანსული ხასიათი და მნიშვნელობა საერთოდ კულტურისთვის. „რუსთაველმა შეისრუტა ყოველივე ის, რაც ქართული რენესანსის პოეზიის ძალუმბა და კანონზომიერმა განვითარებამ მოგვცა და თავისი მხატვრული გენიის მეშვეობით, ქართული სახელმწიფო კულტურის საზოგადოებრივ-კონომიკური განვითარების პირობებში,“ ეს რენესანსი უმაღლეს დონეზე აიყვანა. ამით ქართული რენესანსი თავის ეროვნულ საზღვრებს გასცდა. ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ობიექტური და თანმიმდევრული მეცნიერების თვალსაზრისით, სრულიად შეუძლებელია მსოფლიო რენესანსის შესწავლა ქართული რენესანსის შესწავლის გარეშე“.<sup>15</sup>

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შრომაში, შ. ნუცუბიძე არერთგზის დაქმდრუნდა რენესანსის და, კერძოდ, ქართული რენესანსის საკითხებს. მაგრამ შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიისა და მისი მწვერვალის – რენესოფელის შემოქმედების საერთო თეალსაზრისი ძირითადად გადმოცემულია მისი გამოკიდევების – „რენესოფელი და აღმოსავლური რენესანსი“ განხილულ მონაკვეთში.

### 3. ქართული რენესანსის საპიტები შალვა ხიდაშელის შრომებში

ქართული რენესანსის თეორიის განვითარება-განმტკიცებაში დიდი წელი იყლილი შეიტანა შ. ხიდაშელმა. იგი ოთხი ათეული წელი ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიისა და ქართული რენესანსის საკითხებს. შ. ხიდაშელმა როგორც სპეციალურ, ისე ქართული ფილოსოფიის ისტორიისა და რენესოფელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ შრომებში გააღრმავა და განვითარა ქართული რენესანსის თეორია.

შ. ხიდაშელის პოზიცია ქართულ რენესანსზე განსხვავდება შ. ნუცუბიძის კვლევის გზისგან, რასაც თავის დროზე თვით შ. ნუცუბიძე აღნიშნავდა. ამასთან, ამ განსხვავებას საფუძვლად უდევს შ. ხიდაშელის თვალსაზრისის თავისებურება, კერძოდ, XI-XII საუკუნეების ქართულ კულტურას იგი განიხილავს აქსიოლოგის (ლირებულების თეორიის) პოზიციდან.

შ. ნუცუბიძის მსგავსად, შ. ხიდაშელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნეოპლატონურ ფილოსოფიას და მას მიიჩნევს რენესანსის და პუმანიზმის მთავარ მსოფლმხედველობრივ წეაროდ. ამის თაობაზე ის შენიშნავს: „ოგზისი იმის შესახებ, რომ რენესანსის (მათ შორის ქართულის) საფუძვლელს ნეოპლატონიზმი წარმოადგენს, ექუთვნის შ. ნუცუბიძეს და ეს თვალსაზრისი ცნობილი გახდა 30-40-იან წლებში აღმოსავლური რენესანსის თეორიასთან ერთად“!<sup>16</sup>

აკტორისთვის რენესანსის არსი გულისხმობს მიწიერიცხოვების მიჩნევას ლირებულად და აღამიანის ახლებური გაგებას. „როგორც ითქვა, – აღნიშნავს შ. ხიდაშელი, –

რენესანსისა და რენესანსული პუმანიზმის ძირითადი თავისეუბურება მდგრმარეობს ხილული სინამდევილისა და ამქეცენიური ადამიანური არსებობის ღირებულად აღიარებაში. აქედან – ახალი, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკურობისადმი და ახალი, განსხვავებული გაგება აღამიანურისა“.<sup>17</sup>

შ. ხიდაშელმა თავისი მოსაზრებები რენესანსსა და პუმანიზმის სხვადასხვა ასპექტითა და მიმართებით წარმოადგინა შრომებში: „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“ (1981), „ქართული რენესანსის საკითხები“ (1984 რუსულად), „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988) და „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში“ (1990).

შ. ხიდაშელის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საერთოდ პუმანიზმს და ეკრძოდ, რუსთაველის პუმანიზმის საკითხებს და შუა საუკუნეებისადმი რენესანსის მიმართების პრობლემებს. ავტორი ცალმხრივად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს რენესანსისა და შუა საუკუნეების დაპირისპირებას.<sup>18</sup>

რენესანსი ახალი ეპოქის დასაწყისია, მაგრამ ის მსადებოდა და მწიფებრივდა შუა საუკუნეების პირობებში და ატარებდა ეპოქის სააზროვნო ნიშნებს. ამიტომაც ამქეცენიური სინამდევილის ღირებულების აღიარება, წერს შ. ხიდაშელი, სულაც არ ნიშნავს იმქეცენიური (ზეციურის) ღირებულების უარყოფას. „ის ქვეყანა“ რჩება „უმაღლეს, რუსთაველის სიტყვით „ზენა“ სინამდევილედ, აბსოლუტურ მნიშვნელობად და ღირებულად“.<sup>19</sup>

შ. ხიდაშელის აზრით, მიწიერი სინამდევილის ღირებულებისა და მნიშვნელობის საუყდეველს „ორივე სოფლის“ მთლიანობა წარმოადგენს, რაც ფილოსოფიურ ასპექტში საწყისისა და სამყაროს ერთიანობით გამოიხატება. ეს კი მოითხოვდა შუა საუკუნეებში გაბატონებული ზეცისა და მიწის დუალიზმის დაძლევას. ამ გზით მიემართება პუმანიზმი და მისი ფილოსოფიური დასაბუთებაც ამ მიზანს ისახავს. აქ აღნიშნული იდეების რეალიზაცია ხდება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

უველავერი ეს, შ. ხიდაშელის აზრით, რუსთაველთან, როგორც პოეტთან, მხატვრული ხერხებით არის გადმოცემუ-

ლი. ხილული სამყარო მისთვის პირველყოვლისა ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს. მშენებირება „ვეფხისტესანში“ ყოველთვის ამაღლებულია და ესთეტიკურის უმაღლეს რანგს მიეკუთვნება.<sup>20</sup>

მეორე თავში საუბარი გვქონდა, რომ შ. ხიდაშელი ნეოპლატონიზმს რენესანსისა და პუმანიზმის ფილოსოფიურ საფუძვლად მიიჩნევს. მისი აზრით, მსოფლიო პარმონიის და აგრეთვე ხილული სინამდვილის ღირებულების დასაბუთება დასაცელეოში და საქართველოშიც ნეოპლატონიზმის საფუძველზე გადაწყდა.

შ. ხიდაშელის შრომებში დიდი ურადღება ექცევა პანთეიზმის პრიბლებას. ავტორს პანთეისტურად მიაწინა როგორც ნეოპლატონიური ფილოსოფია და მისი ქრისტიანული რედაქცია – არეოპაგიტული მოძღვრება, ისე რუსთაველის მსოფლმხედველობა. პანთეიზმზე შ. ხიდაშელის საერთო თვალსაზრისი ასე შეიძლება წარმოედგინოთ: ნეოპლატონიზმი და არეოპაგიტული მოძღვრება პანთეისტური მსოფლმხედველობაა; რუსთაველის ფილოსოფიურ წყაროს წარმოადგენს არეოპაგიტული მოძღვრება. ამდენად, რუსთაველის მსოფლმხედველობაც პანთეისტურია.

ამ საკითხსე უფრო მართებული უნდა იყოს ა. ლოსევის პოზიცია, რომლის თანახმადაც, ნეოპლატონიზმში იყო არა პანთეიზმი, არამედ პანთეიზმში გადაზრდის ტენდენცია, რომელმაც საბოლოოდ მოამზადა კუნელისა და ბრუნოს პანთეიზმი. მაშასადამე, პლოტინეს ფილოსოფიაში მოცემული დმერთისა და სამყეროს ერთიანობის იდეა პანთეიზმში გვიან გადაიზარდა და ბენებრივია, რომ რუსთაველთან პანთეიზმი ვერ იქნებოდა.

პანთეიზმზე მსჯელიბისას გასათვალისწინებელია შ. ხიდაშელის პოზიციის სპეციფიურობა. კერძოდ, იგი არ იზიარებს პანთეიზმის იმგვარ გაგებას, რომლის თანახმადაც საწყისი (ლმერთი) და სამყარო ერთმანეთთან გაიგოებულია. შ. ხიდაშელი ეთანხმება და იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომელიც პანთეიზმში გულისხმობს ლმერთისა და სამყაროს ერთიანობას. ავტორი ეთანხმება ფრ. პაულსენის მოსაზრებას, რომ „სინამდვილე – პანთეიზმის მიხედვით არის ერთიანი არსება“.<sup>21</sup>

რენესანსზე, პუმანიზმსა და ქართული რენესანსის საკითხებზე შ. ხიდაშელის პოზიცია ნათლად ჩანს მის პოლემიკაში გერმანელ ფილოსოფოს ზიგფრიდ ვილგასტან.<sup>22</sup>

ზ. ვოლგასტმა, მართალია, ქართველ მეცნიერთა (ძირითად შ. ხიდაშელის) ბევრი მოსაზრება გაიზიარა, მაგრამ საბოლოოდ XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსის არსებობა ეჭვქეშ დააყენა: „საქართველოს შეუძლია იმავეოს იმ შედეგებით, რომელსაც XI-XII სს. ამ საფუძველზე მისმა საუკუთხესო წარმომადგენლებმა მიაღწიეს, მაგრამ განაზუსტი იქნება ეს ფაქტი „რენესანსის“ ცნებით აღვნიშნოთ? ხიდაშელი ამას აკეთებს და მე ეს პრობლემატურად მეჩვენება.“<sup>23</sup>

შ. ხიდაშელი ზ. ვოლგასტის სტატიაზე პასუხში აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის რენესანსის თეორიის დასაბუთება შეიძლებოდა „რენესანსის იდეურ თავისებურაბათა მსგავსების, ზოგადობის დადგენის გზით ერთსა და მეორე შემთხვევაში“, „ეს იყო ჩემი კვლევის გზა – აღნიშნავს შ. ხიდაშელი, – მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეკროპული რენესანსი როგორც ისტორიული ფაქტი, წარმოადგენს საყრდენს რენესანსის ცნების გარევეუისათვის, მაგრამ არა საფუძველს ეკროპული რენესანსის ერთადერთ ისტორიულ ფაქტად აღიარებისათვის“.<sup>24</sup>

ავტორი არ ეთანხმება ზ. ვოლგასტს, რომლის თანახმად, ეკროპაში ადგილი ჰქონდა ანტიკურობის ამპუტირებას და სწორედ ამიტომაც, რენესანსი ნამდვილი აღორძინებაა. შ. ხიდაშელის აზრით, შუა საუკუნეებსა და რენესანსის შორის წყვეტა არ ყოფილა, „მაგრამ რენესანსის წარმოქმნის პრიცესი არის წყვეტილი უწყვეტობაში, ნახტომი ხანგრძლივ თანდათანობით განვითარებაში, და ამ ფაქტს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისი ბუნებისა და კანონზომიერების გაგებისათვის“.<sup>25</sup>

საყურადღებო და მნიშვნელოვანია შ. ხიდაშელის შემდეგი შენიშვნებიც: XII საუკუნის ქართულ სააზროვნო სინამდვილეს ბევრი აქვს ანალოგიური იაკობ ბურკპარდტის მიერ დახასიათებულ რენესანსთან იტალიაში. მაგრამ ანალოგიურია და არა იგივეობრივი, „რადგან შეუძლებელია ორ სხვა-

დასხვა საზოგადოებრივ მოვლენათა იგივეობაზე ლაპარაკი, როგორი მსგავსებაც არ უნდა იყოს მათ შორის“<sup>26</sup>

შემდგომ შ. ხიდაშელი აღნიშნავს, რომ მართალია ვოლგასტი იზიარებს მის აზრს ნეოპლატონიზმის, როგორც „გადამწყვეტ საფუძველზე“ რენესანსის ეპოქის აზროვნებისათვის, მაგრამ ეტყობა მას სათანადო მნიშვნელობას არ აძლევს. შ. ხიდაშელი პოლემიკას ასეთი დასკენით ამთავრებს: „ყოველივე ოქმულის შემდეგ, ვუკირობ, არსებობს თუ მეტი არა, არანაკლები საფუძველი იმისათვის, რომ დაგეთანხმო მრავალ ცნობილ ავტორს და რეცენზიის სათაურშივე დასმულ კითხვას – არსებობდა თუ არა ქართული რენესანსი? – გავცნ პასუხი: არსებობდა და როგორც ლოსევი წერს „ამაზე კამათი შეუძლებელია“<sup>27</sup>

#### 4. ქართული რენესანსის თეორიის ბამოძახილი

უკვე გვქონდა საებარი იმ ურთიერთგამომრიცხავ გამოხმაურებებზე, რომელიც მოჰყევა შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას. მსგავსი ვითარებაა ქართული რენესანსის თეორიის მიმართაც. სხვასთან ერთად განვიხილავთ იმ ავტორთა თვალსაზრისებასაც, რომლებიც მართალია, უშუალოდ შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიის გამოძახილი არ არის, მაგრამ რუსთაველთან რენესანსისა და პუმანიზმის არსებობაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიანიშნებენ.

აღმოსავლური რენესანსის თეორიის განხილვისას ვნახეთ, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს რენესანსის არსებობას. აღმოსავლეთის ქვეუნდაში; მეორე ნაწილი აღიარებს რენესანსის არსებობას აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება მსგავსი მოვლენის არსებობას საქართველოში; მესამე ნაწილი კი იზიარებს საერთოდ აღმოსავლური რენესანსის თეორიას და კერძოდ, ქართულსაც.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვინც აღიარებს ან უარყოფს ქართული რენესანსის თეორიას, ყოველი მათგანისთვის ამოსაეალი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. კერძოდ, ვინც იზიარებს ქართული რენესანსის თეორიას, მისთვის „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული ძეგლია. ხოლო ის, ვინც უარ-

ყოფის რენესანსის არსებობას ხაქართველოში, შესაბამისად „ვეზენბისტეაოსანს“ არ მიიჩნევს ისეთ ნაწარმოებად, რომელიც რენესანსის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და „უკიდურეს შემთხვევაში, რენესიაველთან პუმანისმის იღების არსებობას თუ აღიარებს.

I) მოსე გოგიძერიძე. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს „ვეზენბისტეაოსნის“ ფილოსოფიურ წყაროებსა და რენესთაველის შემოქმედების ხასიათზე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსე გოგიძერიძე (1897-1951). შეიძლება ითქვას, რომ ამ საკიონში მ. გოგიძერიძის შეხედულებები დამატრალურად განსხვავდება შ. ნუცუბიძის პოზიციისგან. ისიც „უნდა აღინიშნოს, რომ მ. გოგიძერიძე უშეალოდ არ ეხება ქართული რენესანსის საკიონებს, მაგრამ მის მოსაზრებებს რენესთაველის შემოქმედების წყაროებზე, „ეუფსისტეაოსნის“ მიმართებაზე ნეოპლატონიზმთან და ა.შ. პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეხების წერტილები აქვს შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიასთან, კერძოდ, რენესანსის ფილოსოფიურ წყაროებთან.

მ. გოგიძერიძეს რენესთაველი მიაჩნია პირველ პუმანისტად და ახალი დროის დამწყებად. იმის მიუხედავად, რომ რენესთაველი „ჯლერისკალიზმის საპურობილის“ ეპოქაში ცხოვრობდა, ამქენებიური ცხოვრების სიამე აჩვენა, „რენესთაველმა თავისი გმირები არც ერთი გაჭირვების დროს არ შეავეღრა ქრისტიანულ სამპიროვან ღმერთს, მათ ბრძოლით მოაპოვებინა თავიანთი ბედი და ამქენებიური ბედისერება“.<sup>28</sup>

რენესთაველის მსოფლმხედველობის წყაროებზე მსჯელობისას მ. გოგიძერიძე უპირველესად მკაცრად აკრიტიკებს იმ მოსაზრებებს, რომლებიც „ვეზენბისტეაოსნის“ იღეურ საფუძვლებს წარმართულ და ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში, მანიქერიზმსა და ბიზანტიურ-ლიგიკურ სქილასტიკაში (მიქაელ ფსელოსი, იოანე იტალი), სუფიზმსა და სხვა მსგავს მიმართულებებში ეძებენ. რენესთაველი, მ. გოგიძერიძის აზრით, იცნობდა ამ სისტემებს, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი ამ სკოლის მიმდევარი.<sup>29</sup>

მ. გოგიძერიძის აზრით, რენესთაველის მსოფლმხედველობა „ქართული სინამდვილით იყო გამოწვეული“ და არა პლატო-

ნურ-არისტოგრაფულური სქოლასტიკის ნიადაგზე წარმოება-ული პაქტრობით.<sup>30</sup>

საყურადღებოა მ. გოგიძერიძის პოზიცია სართოდ ნურპლატონიზმსა და მასთან რუსთაველის „შემოქმედების მიმართებაზე“. ავტორი შ. ნუცებიძისგან განსხვავებით, ნეიპლატონიზმს – გარდამაშვალი პერიოდის ამ „უმნიშვნელოვანების ფილოსოფიურ სისტემას მხოლოდ უარყოფითად ახასიათებს: „ნეოპლატონიზმი იყო სიკედილის გზასე დამდგარი მოჩათმყლობელური რომის გაბატონებული კლასის ოფიციალური იდეოლოგია. ეს კლასი აღარ გრძნობდა სიცოცხლის დენას თავის ძარღვებში. ამიტომ ნეოპლატონიზმი სიკედილის სიდიადეს ქადაგებდა; სიკედილს განთავისუფლებად და არსებობის „უმაღლეს მიზნად ისახავდა“.<sup>31</sup>

მ. გოგიძერიძის მიერ ნეოპლატონიზმის „უკიდურესად უარყოფით შეფასება ფაქტობრივად განსაზღვრავს მისივე „უარყოფით პოზიციას ნეოპლატონიზმთან რუსთაველის მიმართებაზე“. მ. გოგიძერიძე კითხულობს: „რა საერთო შეიძლება არსებობეს სიკედილის ამ ფილოსოფიასა (ნეოპლატონიზმსა) და რუსთაველის მიერ მოცემულ სიცოცხლის დაუშრეტელ პიმნს შორის?“ „არაფერი!“, პასუხობს იგი ამ კითხვას და კატეგორიულად აღნიშნავს: „რუსთაველის გენიალურ პოემაში არავითარი კეალიც კი არაა ნეოპლატონიზმისა, არავითარი წარმართობა და არავითარი მსოფლმხედველობრივი ატავიზმი“.<sup>32</sup>

აღნიშნულით მ. გოგიძერიძე სულაც არ ფიქრობს, რომ რუსთაველისთვის საერთოდ უცნობი იყო ნეოპლატონური ფილოსოფია. იგი განიხილავს „ვეფხისტეაოსნის“ იმ ცნობილ სტროფს, სადაც საუბარია მზეზე, როგორც „მზიანი ღამის“, „უჟამი ჟამის“, „ერთ არსება ერთის“ (ყველა ეს ცნებები ღმერთის აღმნიშვნელია) ხატზე და ბოლოს, ცნობილ სტრიქონს იმავე სტროფიდან – „ვის ხატად გიტუვიან ფილოსოფოსნი წინანი“. <sup>33</sup>

„ფილოსოფოსნი წინანში“ მ. გოგიძერიძის აზრით ეჭვგარეშეა ნეოპლატონიკოსები იგულისხმებიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს რუსთაველის ნეოპლატონიკოსობას. ეს უფრო რუსთაველის განსწავლულობისა და ერთეულიცის მას-

ვენებელია. ასე, რომ „ნეოპლატონური ერთ-არსება ერთი“ არ უწყილა ღმერთი“.<sup>33</sup>

მ. გოგიძერიძის ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ, რადგანაც „ვეფხისტყაოსნის“ განხილული სტროფიდან არა მხოლოდ ის ჩანს, რომ რუსთაველი იცნობდა ნეოპლატონიკოსების აზრს მზეზე, როგორც ღმერთის მატერიალურ ხატზე, არამედ ეს გარკვეულად მისი პოზიციაა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არსად არ გვხვდება საკუთრივ რუსთაველის მხრიდან ამის საწინააღმდეგო აზრი. ამიტომაც განხილულ სტროფში მოცემული ნეოპლატონური აზრი – მზე როგორც ღმერთის ხატი – რუსთაველის პოზიციაცაა.

მ. გოგიძერიძე ასევე არ ეთანხმება ნიკო მარს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფის ბოლო სტრიქონის – „დაშლიან ჩემნი კაშირნი, შეკრთვიუარ სულთა სიასა“ ნეოპლატონურ წარმომავლობაზე. მისი აზრით, „მართალია, მიწიერი“ კაშირების „დაშლაზე“ და „სულთა სირაზე“ ნეოპლატონური სქოლასტიკაც ლაპარაკობდა, მაგრამ ამაზე მეტად ამავე მსოფლმხედველობას იზიარებდა ორივე სარწმუნოების (ქრისტიანობის და ისლამის – მ.მ) რელიგიური ორთოდოქსია“.<sup>34</sup>

რაც მთავარია, შენიშნავს მ. გოგიძერიძე, ზემოთ გადმოცემულ პოეტის სტრიქონის პესიმისტური იდეა სულაც არ არის „ვეფხისტყაოსნისთვის“ არსებითი. ამის დასტურია აკ-თანდილის შეგონება ტარიელისადმი, რომ სიკედილით საქმე არ გაკეთდება და „ცდა და გამარჯვება“ უნდა ვეძებოთ.

მ. გოგიძერიძის აზრით, რუსთაველმა ავთანდილს დააძლევინა ყოველგვარი მისტიკიზმი, პლატონურ-ფილონური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსთაველი დაუბრუნდა წარმართობას. აქ, მ. გოგიძერიძე შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს აკრიტიკებს და ამაში იგი მართალია.

მართალია, მ. გოგიძერიძე არ იზიარებს რუსთაველის მსოფლმხედველობრივ კაშირს ნეოპლატონიზმთან, მაგრამ ამით „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი ძირების ძიება როდი მთავრდება. ამ მიმართულებით ავტორი ეხება არისტოტელეს ფილოსოფიას. მ. გოგიძერიძის აზრით, სავარაუდოა, რომ რუსთაველი არისტოტელეს შრომებს იცნობდა

არაბული ცივილიზაციის შეშეცემით. ამასთან, იქნობდა ნამდვილ არისტოკრატების და არა ქრისტიანულ-ბიზანტიური სექტლასტიკის მიერ პლატონიზმში „შერეულ ფსევდო-არისტოტელებს“.<sup>35</sup>

აღნიშვნულის მიუხედავად, მ. გოგიძერიძე რესთაველის მსოფლმხედველობას არ მიიჩნევს არც მუსლიმურ სამყაროსთან კავშირში მცირდად და არც არისტოკრატელურად. „ნამდვილ არისტოტელეს გაცნობას რესთაველში შეეძლო მოვხდინა მხრილოდ გარდატეხა ქრისტიანულ-პლატონური ორთოდოქსის წინააღმდეგ. ეს იყო რესთაველის გზა რენესანსისა და ამქეულინიური მსოფლმხედველობისაკენ ისევე როგორც თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ავერეოს-არისტოტელემ ამ გზაზე დააუენა დანტე“<sup>36</sup>.

მართალია მ. გოგიძერიძე აღიარებს ავერეოს-არისტოტელეს მსოფლმხედველობის მიერ დანტეს შემოქმედების შემზადებას, მაგრამ მსგავს ვითარებას რესთაველთან მიმართუბაში გამორიცხავს: „მსოფლმხედველობა რესთაველისა უპირველეს ყოვლისა, რესთაველური იყო“<sup>37</sup>.

რესთაველის მსოფლმხედველობრივ წყაროებზე მ. გოგიძერიძის თვალსაზრისი, გარეუეული არათანმიმდევრობის მიუხედავად, მრავალმხრივ საინტერესოა. კერძოდ, რესთაველის მსოფლმხედველობრივ წყაროზე მსჯელობისას იგი მეტნაკლებად მაინც არისტოტელეს ფილოსოფიისკენ იხრება. მ. გოგიძერიძის ამ თვალსაზრისს ქართულ მეცნიერთა შორის ბევრი მომხრე ჰყავს.

რესთაველი, როგორც ცნობილია, იშვიათად მიმართავს ავტორიტეტებს. ამ გამონაკლისთა შორისაა პლატონი და ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. აქ მხოლოდ დამოწმებაში როდია საქმე. რესთაველისთვის, როგორც პოტტისთვის უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო პლატონისა და ფსევდო-დიონისეს არეოპაგელის მხატვრული სტილი, ვიდრე არისტოტელეს მკაცრი, ლოგიკურ აუცილებლობას დაჭვემდებარებული მსჯელობანი. შემთხვევეთი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რო სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის საკითხში რესთაველი იმოწმებს არა კაპადოკიელი მამების (კერძოდ, ბასილი დიდის) თვალსაზ-

რისს (სადაც საბოლოო სახით გაფორმდა იგი) და პროკლეს (ვისგანაც აიღო ეს თვალსაზრისი არეოპაგიტიკის აუტორმა), არამედ ფსევდო-დიონისე არეოპაგელს. საქმე ის არის, რომ ფსევდო-დიონისესთან მოცემული სიკეთისა და ბოროტების მიმართების ამგეარი გაგება, ქრისტიანულ ხედვასთან ერთად, გარეულ ფილოსოფიურ დატეირთვასაც შეიცავს.

სადაც მიგვაჩნია მ. გოგიძერიძის ოვალსაზრისი ქრისტიანობასთან რესთაველის დამოკიდებულებაზე. ავტორის აზრით, რუსთაველი თავს არიდებს ქრისტიანობასთან შეხვედრას. აღნიშვნელის საფუძველზე იგი მკვეთრ და ჩვენი აზრით ერთობ საჭირო დასკვნას აკეთებს: „ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, რომ უკვე პოემის დაწერამდე რუსთაველი დიდ კონფლიქტში იმყოფებოდა ქართული ქრისტიანული ეკლესიის იმდროინდელ მრღვაწეებთან. მათზე კარგის თქმა არ უნდოდა და არც ცუდის თქმა შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ რუსთაველი ქრისტიანობის სრული იგნორირების გზას დაადგა“.<sup>38</sup>

აქ გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ რუსთაველის ეპოქის ქრისტიანობა საქართველოში საკუთრივი იყო განსხვავებული ფენომენი. სხვანაირად აუხსნელი დარჩება ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის ზეობისას საქართველოში დაიწერა ისეთი ლალი და თავისუფალი პოემა, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. ამისთვის ერთ იქმარებდა მხოლოდ რუსთაველის გენია. საჭირო იყო აგრეთვე რელიგიის ისეთი განსაკუთრებული დონე, რომელიც რუსთაველისთანა მოაზროვნეს აიტანდა და „ვეფხისტყაოსანის“ მსგავს ნაწარმოებს შეებუებოდა. გავითხსნოთ ისიც, რომ როცა გარეული დროის შემდეგ საქართველოში ქრისტიანობა ამ სიმაღლეს ვერ ინარჩუნებს, მაშინ „ვეფხოისტყაოსანიც“ გარკვეული კლერიკალური წრეების შეტევის ობიექტი ხდება.

მ. გოგიძერიძის ოვალსაზრისმა ნეკლატონიზმთან და ქრისტიანობასთან რუსთაველის მიმართებაზე, შემდგომში გარეული ეკოლუციია განიცადა და იგი ასე მკაცრად აღარ ლაპარაკობს, რომ რუსთაველის დმერთი არაა ქრისტიანულ-ნეოპლატონური. თუმცა აქაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არ არის ორთოდოქსული ქრისტიანული თვალსაზრისი, რაშიც მართალია. ქრისტიანობასთან და ნეოპლატონიზმთან

რუსთაველის კავშირსე მ. გოგიბერიძე საუბრობს სიკეთისა და ბოროტების მიმართების განხილვისას. მისი აზრით, ბოროტებაზე სიკეთის აღმატებულობის საკითხში „ქრისტიანული რედაქციით, როგორც ეტყობა ითანე პეტრიწის ხელით მოწოდებული, ნეოპლატონიზმის პოზიტიური ზეგავლენა რუსთაველზე ჩანს აქ და არა იქ, სადაც დღმდე ეძებდნენ“.<sup>39</sup> ბოროტების უარსობის საკითხი ქრისტიანობაში პროექტეს ეთიკიდან გაღმოვიდა და რუსთაველმა იგი შეიძინა პეტრიწის მეშვეობით, რომლის თანახმადაც „არა არს რა ბუნებით ბოროტი“.

მ. გოგიბერიძე აქ აკრიტიკებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც რუსთაველის მთავარი მსოფლიმებულობრივი წყარო არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი იყო. ამასთან, მ. გოგიბერიძის თვალსაზრისი რუსთაველისეულ სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების უარსობაზე გარკვეულ კორექტივს საჭიროებს.

ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია ის გარემოება. რომ საკუთრივ რუსთაველი პირდაპირ მიუთითებს „ბრძენ დივნოსნებები“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე – მ.მ.), როგორც სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების უარსობის საკითხში სიცხადის შემტანებე. ამდენად, ამ თვალსაზრისის ავტორის სხვაგან ძიება, უსაფუძლოა.

მეორე, სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების უარსობის თვალსაზრისი პრიკლედან კი არ გაღმოსულა ქრისტიანობაში (როგორც მ. გოგიბერიძე აღნიშნავს), არამედ კაპადოკიელი მამებიდან. პროკლემდე თითქმის ერთნახევარი საუკუნით აღრე, ეს თვალსაზრისი უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა კაპადოკიელ მამებთან (ბასილი დილთან და გრიგოლ ნისელთან). თუმცა ამ შემთხვევაში მ. გოგიბერიძის თვალსაზრისის მიმართ საყველური არც ითქმის, რადგანაც კვლევის მაშინდელი დონე ამაზე შორს არც იყო წასული.

ასეთია ზოგადად ცნობილი ფილოსოფოსის მ. გოგიბერიძის პოზიცია რუსთაველის ფილოსოფიურ წყაროებზე, რითაც იგი პირდაპირ თუ ირიბად ეხმაურება შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიას და საერთოდ რუსთველოლოგიურ შეხედულებებს.

2) მორის ბოურა. იმ აუტორთა შორის, რომელიც „გეფხისტეინისანზე“ მაღალი ასრისაა, თუმცა შეხების წერტილი არა აქვს ქართული რენესანსის თეორიასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინგლისელი მეცნიერი მორის ბოურა. მის წიგნში „შთაგონება და პოეზია“ შესულია ნარკევი „გეფხისტეინისანზე“, რომელიც უცხო ენაზე დაწერილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული.<sup>40</sup>

მ. ბოურა რუსთაველის შემოქმედების წყაროებად მიიჩნევს პლატონიზმით გაჯერებულ და მუსლიმურ ფონზე აღმოცენებულ პოემებს და სპარსულ პოეზიაში მოცემულ სიუვარულით გატაცებულ თემას. ამასთან, აუტორის აზრით, „რუსთაველს ბევრი უფიქრია ამაზე და ერთიან თეორიად აქვს ჩამოყალიბებული როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ელუბენტები“<sup>41</sup>.

მართალია მ. ბოურას ნარკევში არ არის პირდაპირი მითითება ან მინიშნება რუსთაველის შემოქმედებაში რენესანსის ან პუმანიზმის არსებობაზე, მაგრამ მის სოგიერთ დასკვნაში ამგვარი რამ შეიძლება ამოვიკითხოთ. კერძოდ, აუტორის აზრით, „გეფხისტეინის“ გმირები ერთმანეთზე ზრუნავენ, გვერდში უდგანან, მათ შორის ქექევრდომებსაც აქვთ ეს უნარები; „გეფხისტეინი“ აგებულია გულმხურვალე თავდადებასა და ერთგულების საფუძველზე და ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი სიუვარული იშვიათად თუ ტოვებს მის ფურცლებს“<sup>42</sup>.

მ. ბოურას ამ აზრში პირდაპირ იყითხება პუმანიზმის ნიშნების არსებობა „გეფხისტეინისანზში“. ის, საომარი ეპოსისგან განსხვავებით, „გეფხისტეინის“ სარაინდო რომანად მიიჩნევს. ევროპელ (ართურის „თქმულებანი“) და აღმოსავლეთის (ნიზამი) მწერალთა შემოქმედებასთან პარალელის საფუძველზე კი ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობას უფრო მაღლა აყენებს. კერძოდ, სიუვარული რაღაც არანორმალური

\* ეს ნაშრომი პირეელად გამოქვეუნდა უურნალ „მნათობში“ (№8, 1959, გვ. 134-145), შემდეგ კი შესწორებული და შევსებული სახით, ცალკე ბროშურად გამოიცა 1967 წელს (რედატორი ალექსანდრე გამყრელიძე).

მოელენა კი არ არის, არამედ „ადამიანის გულში სიკეთის გამომავლინებელია და სხვადასხვა ჯერის გაუკაცთა და დიაცთა ნორმის დამდგრენია“.<sup>43</sup>

„ეფუძისტებისტებისანი“, როგორც სარაინდო რომანი, მ. ბოუ-რასთვის განსხვავდება საგმირო ეპოსისგან და ეს შემდეგში გამოიჩინარება: „სიყვარულისთვის განსაკუთრებული რეალის მინიჭება; სეპუნებრიობის გამორიცხვა და რეალურობა; - მისი გმირების სასიათების სიახლოვე ჩვენი წარმოდგენის ადამიანთან“.<sup>44</sup>

მ. ბოურას შეხედულებები „ვეფხისტებისანზე“ სიახლოვეს ამჟღავნებს შ. ნუცუბიძის პოზიციასთან. მაგალითად, მ. ბოურას აზრით, „ვეფხისტებისანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცემულის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა.<sup>45</sup> ასევე ჩანს შ. ნუცუბიძის თვალსასრისოან სიახლოვე, როცა მ. ბოურა საუბრობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირებთან (ჩაზიმი, ალიშერ ნავოი, დანტე...) შედარებით რესთაველის წინ წასლასე.

მ. ბოურა რესთაველის შემოქმედებაში პანთეზის ნიშნებს ხელავს, ყოველ შემთხვევაში მსეს ღეთაებრივად მიიჩნევს შენიშნავს ავტორი, აქ კი მ. ბოურასა და შ. ხილაშელის აზრები პირდაპირ ემოხვევა ერთმანეთს.

მ. ბოურას ნაშრომის ფინალი კი თითქმის ემთხვევა შ. ნუცუბიძის საერთო თვალსასრისს და ამდენად, საყურადღებოა. კერძოდ, მ. ბოურას აზრით, „რესთაველება და სარაინდო რომანების სხვა ავტორებს შორის ის განსხვავდებაა, რომ მაშინ, როცა ამ უკანასკნელო უპირატესად გართობა და დროსტარება აინტერესებთ, „ვეფხისტებისანის“ ავტორს გარკვეული, თითქმის რელიგიური მისია და შეხედულებები მოეპოვება. სიყვარულის პლატონურ მოძღვრებასთან, ერთი მხრივ, საგმირო საქმეებისა და მეორეს მხრივ, რეალობის ჯანსაღი გრძნობის შერწყმით, რესთაველი გვიჩვენებს, თურა ადგილი უნდა დაეჭირა მას ცხოვერებაში. მისი აზრით, ასეთი სიყვარული რეალურ სამყაროში უნდა არსებობდეს და ვაუკაცურ საქმეებთან უნდა იყოს დაკავშირებული. რესთაველი თავის მოძღვრებას უფრო გულდასმითა და მეტის თანმიმდევრობით ამუშავებს, კიდრე ფრანგული და სპარსული

სარაინდო რომანების წარმომადგენლები და საჩინოს ხდის რა მოხდებოდა, რომ აღამიანებს აქამდე მიეღწიათ“.<sup>47</sup>

მ. ბოკურა მაღალი აზრისაა „ვეფხისტესანსა“ და იმ კულტურულ გარემოზე, სადაც ეს ნაწარმოები შეიქმნა. მართალია ავტორი პირდაპირ არ ლაპარაკობს პოემის რენესანსულ ხასიათზე ან მასში მოცემული იდეების პუმანიზმის კუთხით და ასევე მის დასკვნაში ეს აზრი ნამდვილად იკითხება, რაც მეტად საყურადღებოა რუსთაველის მსოფლიხედულობაზე ერთიანი აზრის ცამოყალიბებისთვის.

3) თანამედროვე ქართველი ავტორები. ქართველი რენესანსის თეორიას იზიარებს და „ვეფხისტესანსანის“ რენესანსულ ძეგლად მიიჩნევს რუსთველოლოგი ნოდარ ნათაძე. ამასთან, იგი პრინციპულად არ ეთანხმება შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ქართველი ხალხის მსოფლიხეგრძნება განსახილებელ ეპოქაში მუდამ წარმართული იყო, ხოლო ქრისტიანობა მისთვის ზედაპირული მოვლენა (რაზედაც ნაწილობრივ მე-2 თავში უკვე აღვნიშხეთ).

„ვეფხისტესანის“ რენესანსულობის ნეკუნძისთვის ნ. ნათაძე განიხილავს პოემაში მოცემულ ქალაქ გულანშაროში მიმდინარე პროცესებს, რომელიც „რენესანსის ეპოქის ეკროპულ ქალაქთა მეტად თვალშისაცემ ანალოგიას გვიჩვენებს“<sup>48</sup> ამ ქალაქში, შენიშნავს ავტორი, პოემის საერთო ხაზისგან განსხვავებით მეფის მეგობრობა დაბალი წრის წარმომადგენელ ვაჭარ უსენოან, მონების მხრიდან ქრთამზე გაყიდვის გაძევა, ამქენეუნიური ცხოვრებით ტკბობა და სხვ. რენესანსული ლიტერატურის მთავარი მოტივი იყო.<sup>49</sup>

ნ. ნათაძე მაღალ შეფასებას აძლევს ნეოპლატონურ მეტაფიზიკას, რომელიც შემდგომ ავტორის აზრით, ქრისტიანობამ თავისი დოგმის ფილოსოფიური დასაბუთებისთვის გამოიყენა. რუსთაველთან „ეს ქრისტიანიზაცია მდგრმარეობს ნეოპლატონური ემანაციონიზმის შეცვლაში ჩკვეთრად გამოხატული ქრისტიანული კრეაციონიზმით“.<sup>50</sup>

აქ ნ. ნათაძის აზრებში ერთგვარი წინააღმდეგობაა. კერძოდ, ერთი მხრივ, „ვეფხისტესანში“ ამქვეუნიური ცხოვრებით ტკბობა (გულანშაროს მაგალითზე), ხოლო მეორე მხრივ, რუსთაველთან მკვეთრად გამოხატული ქრისტიანული

კრეაციონიზმის არსებობის აღიარება, ერთმანეთთან ძნელად შეთავსებადი თვალსაზრისებია.

6. ნათაძე ნეოპლატინიზმია და ქრისტიანობას „კეფხისტყაოსნის“ მსოფლმხელულობრივ წეაროებად მიიჩნევს. ეს თვალსაზრისი განსხვავდება შ. ნუკუბიძისა და შ. ხიდაშელის „ოზნიციუბისგან, რომელიც ამ მიმართებით ძირითად აქცენტს აკეთებს ნეოპლატინიზმას და მის ქრისტიანულ რელაციაზე – არეპაგირიქაზე (ეს უკანასკნელი ხომ ამავე დროს ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანესი ძეგლია). თუმცა, ავტორის აზრით, ნეოპლატინიზმიც და ქრისტიანობაც რესთაველისთვის საბოლოოდ ერთგვარი ფონია. იგი მათ სკილდება და ქმნის თავისეულ, სრულსა და თავისებურად მეცნიერულ სამყაროს, ე.ი. დროის წარმოდგენათა ამსახველ სერატს. აქ ნ. ნათაძე აკეთებს საუკუდღებო დასკვნას რესთაველის შემოქმედების რენესანსულობაზე. კერძოდ, მისი აზრით, „რესთაველის პოემაც, მაშასადამე, იმიტომ კი არ არის „რენესანსული“, რომ იგი მიწიერ ვნებებს უმდერის, არამედ იმიტომ, რომ იგი ამოზრდილია მაღალ ქრისტიანულ კულტურაზე და ამ უკანასკნელის არა ლიტონ უარყოფას, არამედ გარეუეული აზრით, ძლევას და მასზე შორს წასვლას წარმოადგენს. ეს ქრისტიანული კულტურა მხოლოდ თეოლოგიური აზროვნების დონე კი არაა, რომელიც იმ დროს საქართველოში ძალიან მაღალი იყო. იგი პირველ რიგში ქრისტიანული მსოფლშეგრძნებაა, რომელიც პოესიაზე გავლენის თვალსაზრისით, თეოლოგიაზე უფრო ძლიერია და რომლის დაძლევა ეკროპული რენესანსისათვის ყველაზე ძნელი და სასახელო მიღწევა იყო“.<sup>51</sup>

ამ ვრცელი ამონაწერიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ნ. ნათაძე, მართალია, იზიდარებს შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიას, მაგრამ მისი მსოფლმხედველობრივი წყაროები და შინაარსი განსხვავდებად ესმის.

„კეფხისტყაოსანის“ რენესანსულობაზე ნ. ნათაძის ორიგინალობა სხვა მიმართებითაც მუღავნდება. ეერძოდ, გავრცელებული თვალსაზრისით, რესთაველის პუმანიზმის მაჩევნებელია პოემაში სრულყოფილი ადამიანის დახატვა. ნ. ნათაძის აზრით, კი ეს არ არის საკმარისი და მთავარი უფრო სხვაა: „კეფხისტყაოსნის“ იდეალური გმირები იმდენად რეა-

ლურნი არიან, რომ მეითხველი მათთან თავისი თავის მიმართებისას „უფსერულს ერ გრძნობს“.<sup>52</sup>

ორიგინალურობით ხასიათდება 6. ნათაძის მიერ ცნობილი გერმანელი კავკასიოლოგის გერპარდტ დეეტერსის მხრიდან „კეფხისტყაოსანის“ ნიპილისტური შეფასების კრიტიკა. 6. ნათაძის აზრით, თანამედროვე ევროპა ნიპილიზმზე მიუურადებული და ამდენად, დეეტერსისთვის უცხოა სიდიალის რწმენაზე დამყარებული რუსთაველის მსოფლმხედველობა.<sup>53</sup>

რუსთაველის შემოქმედების საკაცობრიო კულტურის პოზიციიდან განხილების თვალსაზრისით, 6. ნათაძესთან საყურადღებოა რუსთაველსა და დანტეს შორის პარალელები. მისი აზრით, დანტეს უპირატესობა ის ერთი საუკუნეა, რომელიც მას რუსთაველისგან აშორებს. ეს მხრილოდ დროის ფაქტორით გამოწეული „უპირატესობა“ და მეტი არაფერი. სხვა მხრივ რუსთაველი დანტეს ბადალიცაა, თუმცა ეს ის სუეროა, „სადაც ბადალისა და არაბადალის გარჩევისათვის საზომები აღარ არსებობს“.<sup>54</sup>

ქართულ რენესანსს გამოთქმული აზრები 6. ნათაძემ ძირითადად გაიმეორა ნაშრომში – „დროთა მიჯნაზე“, სადაც აღნიშხაეს, რომ ქართული მწერლობის „ოქროს ხანა“ (XI ს-ის დასასრული და XIII ს-ის დასაწყისი) „შუა საუკუნეების ქრისტიანული მსოფლშეგრძნებისა და მსოფლმხედველობის ფარგლებს გარეთ გასვლას მოასწავებს“<sup>55</sup> შუა საუკუნეების საქართველოში არსებული ვითარება ევროპაში „რენესანსის“ სახელით ცნობილი მოვლენის ანალოგიურია და შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოში რენესანსის არსებობაზე დაისვა საკითხი, რომ რუსთაველის შემოქმედება სწორედ რენესანსული ხასიათით განსხვავდება მისი დროის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემოქმედთაგან და ა.შ.<sup>56</sup>

ასეთია ზოგადად 6. ნათაძის თვალსაზრისი ქართულ რენესანსსა და რუსთაველის შემოქმედების რენესანსულობაზე. 6. ნათაძის თვალსაზრისი ქართული რენესანსის შინაარსზე შორდება შ. ნუცუბიძის პოზიციას, მაგრამ სამაგიეროდ, საკითხის ახლებური ხედვითა და მის საფუძველზე გაკეთებული დასკენებით ამდიდრებს და აკითარებს ქართული რენესანსის თეორიას.

ელგუჯა ხინთიბიძის აზრით, რუსთაველი შუა საუკუნეებიდან რენესანსულ აზროვნებაზე გარდამავალ ხანას უკავშირდება. „ვეფხისტეაოსანი” – ევრუპული ცივილიზაციის პროცესში შუა საუკუნებრივისა და რენესანსულის თავისებური პარმონიაა.<sup>57</sup>

ე. ხინთიბიძის აზრით, რუსთაველი გვიანი შუა საუკუნეების ინტელექტური ქრისტიანული აზროვნების ბაზასების დგას და XI-XII სს.-ის ქრისტიანული აზროვნების მიერ დასმულ პრობლემათა წრეშია, „ხოლო ამ პრიბლემის გადაწყვეტის სიღრმითა და თავისებურებებით, რუსთაველი ევროპული რენესანსის ეპოქის აზროვნების დონემდე მაღლდება”.<sup>58</sup>

შ. ჩუცუბიძის მსგავსად, ე. ხინთიბიძე, ერთი მხრივ, აღიარებს ანტიკურ-ბერძნული ფილოსოფიის გავლენას რუსთაველის შემოქმედებაზე, ხოლო მეორე მხრივ – აღნიშნავს მის ეროვნულ ხასიათსეც. რუსთაველი როგორც ანტიკურ-ბერძნულ, ისევე აღმოსავლურ სამყაროს ეროვნული და ზოგადქართული პოზიციებიდან უკერს. სწორედ აქ იბადება რუსთაველის რენესანსული ელემენტები და ეს ელემენტები ენათესავება იმ ტიპის აზროვნებას, რომელსაც აღგილი პეტრე XIII-XV სს.-ის ევროპაში.<sup>59</sup>

რუსთაველის შემოქმედებაში ე. ხინთიბიძე ხედავს ადამიანის ბრძოლას საკუთარი მაღალი იდეალებისთვის, რომელიც თავისუფალია ევროპული კურტუაზიული სიუკარელის დაქნინებული პირობითობისგან.<sup>60</sup>

ე. ხინთიბიძის საბოლოო დასკვნით, „რუსთაველი როგორც პოეტი და მოაზროვნე შუა საუკუნეებისა და რენესანსის ზღვარზე დგას, მსგავსად დანტე ალიგიერისა, რომელიც გაერცელებული აზრის თანახმად, ითვლება დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების უკანასკნელ და ახალი დროის პირველ პოეტად”.<sup>61</sup>

რევაზ სირაძის აზრით, რუსთაველის შემოქმედების რენესანსულობა მეღავნდება იმაში, რომ მან ადამიანური მისწრავებები ღვთაებრივად გამოაცხადა და მათ შორის დაპირისპირება, ფაქტობრივად, მოხსნა – ადამიანის ღვთაებრივობამდე ამაღლებით, „რუსთაველის მიხედვით, ადამიანური სიუკარულის კანონზომიერებანი სრულიად არ ეწინააღმდეგება

ლეთაებას, პირიქით, სიყვარული თავისი არსით ლეთაებრივია".<sup>62</sup>

ორგინალურობით გამოირჩევა გურამ ყორანაშვილის თვალსაზრისი რენესანსზე. მისი აზრით, რენესანსზე საუბარს აზრი აქვს მხოლოდ ქრისტიანული ცივილისაციის ხალხების მიმართ.<sup>63</sup> ამასთან, აეტორის აზრით, საქართველოში რენესანსული ტენდენციების შეჩერების ახსნა მხოლოდ ბარბაროსთა შემოსევით (ივ. ჯავახიშვილის აზრია-ზ.მ.) სწორი არ არის. ამაში, ასევე დიდ როლს ასერულებდა ევროპასთან შედარებით სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა და განუვითარებლობა.

მ. გოგიძერიძის, მ. ბოურას, ნ. ნათაძის, ე. ხინთაბიძის, რ. სირაძისა და გ. ყორანაშვილის თვალსაზრისების განხილვით გარეული წარმოლგენა შეგვექმნა აღნიშნულ აეტორთა დამოკიდებულებაზე ქართულ რენესანსსა და რუსთაველის შემოქმედებაზე, საქართველოში რენესანსული და პუმანისტური იდეების არსებობაზე.

მ. გოგიძერიძის და მ. ბოურას გამოკვლევებში პირდაპირ არ არის საუბარი ქართულ რენესანსზე, მაგრამ მათი დასკვნები მაინც ეხმაურება რუსთაველის შემოქმედების რენესანსულ თუ პუმანისტურ ტენდენციებს. ნ. ნათაძის, ე. ხინთაბიძის, რ. სირაძისა და გ. ყორანაშვილის შეხედულებები კი ქართული რენესანსის თეორიის უშუალო გამოძახილია.

# ქართული რენესანსის რაობისთვის

## ზოგადი დასკვნები

XI-XII საუკუნეების საართველოში რენესანსისა და პ'ემანიზმის არსებობაზე მრავალი ავტორის თვალსაზრისის განხილვის საფუძველზე შეიძლება ზოგადი დასკვნების გაცემა.

საქართველოში, კერძოდ, XI-XII საუკუნეებში რენესანსის ელემენტებისა თუ პ'ემანიზმის ნიშნებისა და სრულყოფილი რენესანსის არსებობაზე სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, გ. ქოქოძე, რ. მილერ-ბედნიცაია. შ. ნუცუბიძემ კი ჩამოაყალიბა და საბოლოო სახე მისცა ქართული რენესანსის თეორიას.

ქართული რენესანსის თეორიის გაღრმავება-განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის შ. ხიდაშელს. ამ მიმართებით, ასევე დიდია ნ. ნაოაძის წელილი.

ქართული რენესანსის თეორია სხვადასხვა კუთხით განვითარეს გ. თევზაძემ, ე. ხინოიძიძემ, რ. სირაძემ და გ. უორანაშვილმა.

საქართველოში რენესანსის არსებობის მომხრენი „ვეფხისტეაოსანს“ ქართული რენესანსის მწვერვალად თვლიან.

„ვეფხისტეაოსანში“ სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე, პოემის გმირები დასახულ მიზანს აღწევენ არა ზეპუნებრივი და უხილავი ძალების დახმარებით, არამედ ადამიანთა თანადგრომით, მეგობრობისა და ადამიანური სიყვარულის ძალით. რესათაველის პოემაში ეს ქვეყანა – ხილული სინამდვილე – ნდობა გამოცხადებულია, ხოლო ადამიანი და ადამიანური გრძნობები, განცდები უმაღლეს ღირებულებადაა მიჩნეული. ამის დასადასტურებლად პოემიდან მრავალთაგან ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ: როსტევან მეფე და აეთანდილი ნადირობისას წელის პირად მჯდომ მტკრალ უცხო მოქმედი იხილავენ, რომელიც მათთან კონტაქტის დამყარებას არ ისურვებს და მასთან გაგსავნილ მონებს დახოცას კიდეც.

როსტევანის ქალიშვილი – თინათინი, ახალგაზრდა მეუე, თავის მიჯნურს – ავთანდილს, უცხო მოქმედის მოსაძებნად აგზავნის. პოემიდან ნათლად ჩანს, რომ თინათინს ამ კონკრე-

ტულ შემთხვევაში მოყმის ცრემლისა და სევდის მისების გაგება უფრო აინტერესებს, ვიდრე შურისძიების გრძნობა, რაც მას წესითა და რიგით უცხო მოყმის მიმართ უნდა პქონიდა. ეს კი პოემაში პუმანიზმის იდეების არსებობის მაჩვენებელია, რაც თავის მხრივ, რენესანსული მსოფლმხედველობის გამოყლენაცა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის პოემის გმირები ახლა აღნიშნულის საწინააღმდეგო ქუვებსაც ჩადიან. გაეიხსენოთ, თუ როგორ მიაარვით კლავს ტარიელი უდანაშაულო ხეარაზმელ უფლისწულს, ხოლო ავთანდილი ასევე მიპარვით კლავს ჭაშნაგირს და თითსაც აჭრის მას. პოემის ამ აღგილების საინტერესო ახსნას იძლევა გერონტი ქიქოძე: „ამ გარეგნული წინააღმდეგობის ასახსნელად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რუსთაველის გმირები ორი განსხვავებული მსოფლიოს მიჯნაზე მყოფი საზოგადოების წარმომადგენლები არიან: ისინი ნაწილობრივ მომავალ შუა საუკუნეებს ეკუთვნიან, ხოლო ნაწილობრივ, აღმოცენების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებას, რომელსაც პუმანიზმის და მსოფლიო მოქალაქეობის იდეები ახასიათებს“<sup>64</sup>.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დონისა და იმ სიღრმის პოემა, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“ ცარიელ ჩიადაგზე ვერ აღმოცენდებოდა. ის, რომ ქართული რენესანსის თეორია მეაცრი შემთასებლებიც პყავს, ნაწილობრივ შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ XI-XII საუკუნეების ქართული რენესანსის არსებობა ძირითადად მხოლოდ რუსთაველის შემოქმედებაზე დაყრდნობით საბუთდება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ საფუძვლიანად არაა შესწავლილი ეპოქის სხვა კულტურული მოვლენები. შემდგომი კულევა და დასაბუთება სჭირდება თვალსაზრისს, იმის თაობაზე, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს XI-XII საუკუნეების საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო-დემოკრატიული გარდაქმნების, რელიგიასთან სახელმწიფოს დამოკიდებულებისა და საეკლესიო რეფორმების, ქალაქური ცხოვრების, ფილოსოფიის, ხელოვნების (ხუროთმოძღვრება, ოქრომქანდაკებლობა) და საერთოდ, ქართული კულტურის აყვავების ლოგიკურ შედეგს.

XI–XII სს.-ის ქართული კულტურის ხასიათის დასადგენად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართველთა რელიგიური ორიენტაციის საყითხეს, იოანე პეტრიშვილის ფილოსოფიას, დავით აღმაშნებლის მიერ გატარებულ რეფორმებს და თვით თამარ დედოფლის გამეფების ფაქტებაც კი.

რენესანსის ჩამოყალიბებაში ქრისტიანული მსოფლმხედველობა რომ დიდ როლს ასრულებდა ეს სადაც არ უნდა იყოს, რაც XI–XII სს.-ის ქართული კულტურის მაგალითზე დამაჯერებლად აჩვენა ნ. ნათაძემა:

ქართული კულტურისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ჩვენმა წინაპრებმა ორიენტაცია გააქეთეს ქრისტიანული რელიგიის დიოციზიტურ იდეოლოგიას. შ. ხიდაშელი მონოფიზიტობასთან შედარებით დიოციზიტობის პროგრესულობას ხედავს ზეცისა და მიწის დაუალიზმის მოხსნაში. ამას კი ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქრისტეში ადამიანის აღიარება „ადამიანში ადამიანურის“ გამართლებას მოასწავებდა და აგრეთვე „ადამიანზე იმ ნიშნების გავრცელებას, რომლებსაც შუა საუკუნეების აზროვნება მხოლოდ იმქეონიურის კუთხინილებად თვლიდა“<sup>46</sup>. ყველაფერი ეს კი, შ. ხიდაშელის აზრით, გზას ხსნიდა რენესანსული მსოფლმხედველობისკენ.

იოანე პეტრიშვილი ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლეს უმნიშვნელოვანესი თხზულება „თეოლოგიის პირველსაფუძვლუბი“ („კავშირი ლმრთისმეტყუელებითნი“) და დაურთო ვრცელი კომენტარები, შესავლითა და ბოლოსიტყვაობით. იოანე პეტრიშვილი აგრძელებს ნეოპლატონიზმის ტრადიციას, აღიარებს და ავითარებს მის ძირითად თვალსაზრისს ლმერთისა და სამყაროს ერთიანობის შესახებ, რაც როგორც უკვე აღინიშნა, რენესანსის ერთ-ერთი მთავარი მსოფლმხედველობრივი საფუძველია.

აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, იოანე პეტრიშვილი ფილოსოფოსების მიქაელ ფსელოვანისა და იოანე იტალის ტრადიციების გამგრძელებელია. ამ უკანასკნელის მსოფლმხედველობაში კი არაორაზრუცნად ლაპარაკობენ წინა რენესანსული იდეების არსებობაზე. არც ისაა გამორიცხული,

რო კონსტანტინეპოლიში, მანგანის აკადემიაში იოანე იტალთან განსწაველული იოანე პეტრიტი საქართველოში რენესანსული თუ წინარენესანსული იდეებით გამსჭვალული დაბრუნებულიყო. ამასთან, საქართველოში მას დახვდა გარკვეული ტრადიცია ნეოპლატონიზმის შესწავლის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს ეფურემ მცირეს მიერ ძველბერძნულიდა ქართულად თარგმნილი არეოპაგიტული თხზულებანი.

მართებულმა პოზიციამ რელიგიასა და ფილოსოფიაში თავისი სასიკეთო გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რაც უკელაზე ნათლად გამოვლინდა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში. მხედველობაში გვაქვს, მის მიერ განსორციელებული სახელმწიფოობრივი და საეკლესიო რეფორმები, ზრუნვა მეცნიერებისა და ხელოვნების აღმავლობისთვის, არაქრისტიანი და არაქართველი მოსახლეობისადმი შემწყნარებლობა და სხვა. ერთი შეხედვით აქ გასაკვირი არაფერი არ უნდა იყოს: სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო დიდ სახელმწიფოთა გზაჯვარედინებსა და სხვა რელიგიების გარემოცვაში მყოფი ქვეყნის გონიერი ხელმწიფე. მოკლედ, ამ შემთხვევაში პოლიტიკა და დიპლომატია განსაზღვრავდა მეფის მხრიდან ამგვარ ქმედებებს. მაგრამ არის მომენტები, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ხშირად აქ მეფის შინაგანი ბუნებით, ზნეობით იყო ნაკარნახევი მისი პოლიტიკური ნაბიჯები. უკელაფერი ეს კი, გვაფიქრებინებს, რომ დავით აღმაშენებელში დავინახოთ რენესანსული თუ არა, ჰუმანიზმის მსოფლიმხედველობით გამსჭვალული სახელმწიფო მოღვაწე.

საქართველოს სახელმწიფოობრივმა და პოლიტიკურმა სიძლიერემ, ქვეყნად არსებულმა მაღალმა კუტერამ განაპირობა ის, რომ ამ ეპოქაში მეფის ტახტზე ადის ქალი – თამარი. თავის მხრივ, თამარ მეფის ქველმოქმედებითი საქმიანობა მას სულ სხვა კუთხითაც წარმოაჩნენს და მომავალში XI–XII საუკუნეების საქართველოში რენესანსის არსებობის ფაქტების კვლევისას ამ მომენტსაც უნდა მიექცეს საგანგებო უურადღება.

ზოგადად ასე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართული რენესანსის ძირითადი პრინციპები. ქართული რენესანსის

თეორიას ჰყავს მომხსრებიცა და მოწინააღმდეგებიც. საქმე ის არის, რომ რის საფუძველზე XI–XII საუკუნეების საქართველოში აღიარებულია რენესანსის არსებობა, საკმარისი არ არის ამისთვის. კერძოდ, ამქენებიურში ღეთაებრივის დანახვა და მისი ღირებულად აღიარება, ადამიანის ფაქტორის მოქცევა უკრადღების ცენტრში, ადამიანური პრინციპების რეალიზაციის დასახვა ძირითად მიზნად, უფრო პუმანიზმია ვიდრე რენესანსი. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს XI–XII სს.-ის საქართველოში რენესანსის არსებობის უარყოფას. აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქართველი მკვლევრების თვალსაზრისი საქართველოში რენასანსის არსებობასა და მის სასარგებლოდ მოხმობილი არგუმენტები, უფრო პუმანიზმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რაც თავის-თავად სულაც არ არის უმნიშვნელო ფაქტი.

ჩვენ კინიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც რენესანსში იგულისხმება კულტურის ყოველმხრივი განვითარება და აუკავება. იყო თუ არა სრულყოფილი რენესანსი საქართველოში ამ კითხვაზე საბოლოოდ პასუხის გასაცემად XI–XII საუკუნეების ქართული კულტურის, სახელწიფოებრიობის, სამართლებრივი ინსტიტუტების არსის მთლიანობაში განხილვაა საჭირო და აუცილებელი.

## ალექსეი ლოსევი

### ალმოსავლური რენასანსი\*

ძველი დროის სასკოლო და, აგრეთვე, საუნივერსიტეტო პრაქტიკაც შეუა საუკუნეებისა და რენესანსის მკეთრი და-პირისპირებიდან ამოდიოდა. შეუა საუკუნეები საეკლესიო დოგმების ბატონობის ეპოქაა, სადაც ადგილი არ ჰქონია მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო განვითარებას; ის მისტიკა და ბნელეთის მოციქულებაა. რენესანსი კი – პირი-ქით, უკუაგდებს შეუა საუკუნეების მთელ ამ „წევლიადს“, მი-მართავს ნათელ ანტიკურობას, მის თვისუფალ ფილოსოფიას (თავისუფალს ყოველგვარი ფორმალური ბრძანებებისგან), შიშველი ადამიანის სხეულის ქანდაკებას, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განვითარების მიწიერ, ლალ და ყოვლად შეუსღლუდელ თავისუფლებას. ასე ამბობდნენ ძველად და ახლაც ცოცხალი არიან საპატიო ასაკში შესული ადამია-ნები, რომლებიც ოდესდაც იმ ორი კულტურის აბსტრაქტულ-მეტაფიზიკურ კონცეფციაზე იყვნენ აღზრდილნი, რომელ-თაგანაც ერთმა მკეთრად შეცვალა მეორე და დაუბრუნდა ანტიკური სამყაროს თავისუფლებას. ეს კონცეფცია, შეიძლე-ბა სწორიც თავის ზოგიერთ აბსტრაქტულ კატეგორიაში, დღეს ბევრად უფრო რთულად განიხილება და ამასთან, ით-ვალისწინებს ეკროპული რენესანსის სხვა, არაეკროპულ რენესანსთან, კულტურასთან კავშირს; ამიტომაც ეკროპაში შეუა საუკუნეებიდან რენესანსზე მკეთრი გადასვლის აბსტ-რაქტული სქემის გამეორება დიდი ხანია შეუძლებლადაა მიწ-ნეული. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, აღვნიშნოთ, რომ ბევრის აზრით, უკვე XII საუკუნე იყო ეკროპული აღორძინე-ბის დასაწყისი. ამის შესახებ ბევრს წერდნენ და კამათობდ-ნენ; შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი დღესაც ბუნდოვანია. აქ ჩვენ არ შევეხებით უველა იმ ავტორს, ისტორიკოსსა და

\* წიგნიდან – А.Ф. Лосев. Эстетика Возрождения. М., 1978, გვ.13-37

ლიტერატურათმცოდნეს, რომლებიც აანალიზებდნენ XII საუკუნეს ამ მიმართებით. ამ საკითხის ირგვლივ არსებული ერცელი ლიტერატურა მოცემულია ბ. ვ. გორნუნგის სტატიაში - „არსებობდა კი XII საუკუნის რენესანსი?“ [1, 272-282]. ამ ერთობ საფუძვლიან ნაშრომშე შეკჩერდეთ.

ეს გამოკვლევა თავისი ფაქტობრივი შინაარსით სრულიადაც არ გვაიძელებს უარი კთქვათ XII საუკუნის ეპროპელ აღორძინებაზე. ბ. ვ. გორნუნგს მოჰყავს უცხოელი ისტორიკოსების შეხედულებანი, რომლებიც საუკედებივე აუქმებენ მოსაზრებას ეკროპელ რენესანსზე, როგორც მხოლოდ XIV-XVI საუკუნეების იტალიურ მონაპოვარზე. ამასთან, ბ. ვ. გორნუნგი არ იძლევა შეხედულებების უარმყოფელ არაეითარ დასაბუთებას.

აი, რას წერს, მაგალითად, იგი ისტორიკოს მაკილუეინის შეხედულებების თაობაზე [27, 275-288]. მაკილუეინი უხება არა მხოლოდ იდეოლოგიურ სფეროებს, არამედ გვიანი შუა საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურასაც; ხაზს უსვამს პირველი ჯეაროსნული ლაშქრობის წინა პერიოდთან შედარებით მით თვისებრივად ახალ ხასიათს, რომ არაფერი კთქვათ უფრო აღრეულ ხანაზე: „პირადი უფლების,“ „უონსტიტუციის“ და აგრეთვე, „პარლამენტარიზმის“ (sic!) იდეები კი, შთაგონებულნი იმპერიასთან პაპობის ბრძოლის პერიპეტიებით, მისი აზრით, აღმოცენდა ბოლონიელ იურისტებთან უკვე ამ დროს. მეცნიერებაში უქსაპერიმენტის ლირებულების აღიარებას, – განაგრძობს გორნუნგი, – მაკილუეინი ჯერ კიდევ როვერ ბეჭონამდე (XIII ს.) წარმოშობილად თვლის და უკავშირებს მას ხელოსნური ტექნიკის გაეითარებას. იდეოლოგიის სფეროში უკვე XII საუკუნეში უსარმაზარი უფექტი მოგვცა ანტიური მემკენიდრეობის ათვისებამ, მაგრამ ამ დროის მწერლები და მხატვრები ვერ ხედავდნენ ანტიურობასა და შუა საუკუნეებს შორის კავშირის გაწყვეტას და თავიანთი ქრისტიანული კულტურის მოთხოვნის მიხედვით კლასიკური მემკენიდრეობის ასიმილირებას ახდენდნენ. არისტოტელეს შესწავლა XII საუკუნეში (ჯერ კიდევ თომა აკვინელამდე) ემყარებოდა არა მხოლოდ არაბულიდან და ებრაულიდან შესრულებულ ლათინურ თარგმანებს, არამედ ბერძნულ ტიპსტაც და XII-XIII საუკუნეების

ზალპიელ სქოლასტიკოსებთან ბერძნული ენის ცოდნა (მარ-სელული და ავინიონელი ბერძნების მეშვეობით) უფრო ფარ-თოდ იყო გავრცელებული, ვიდრე XIV საუკუნის იტალიელ პუმანისტებს შორის. „საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების უკელა ამ ოთხივე სფეროში (სოციალური ინსტი-ტუტები, მეცნიერება, ფილოსოფია, ლიტერატურა) ზოგიერთი თანამედროვე მედიევისტის აზრით (არა მხოლოდ მაკ-ილუების და პრილმსის), XII საუკუნიდან (XI საუკუნის დასასრულიდანაც კი, რაზედაც დაუინებით მიუთითებდა ჯერ კიდევ პასკინსი) XIV-XVI საუკუნეებამდე განვითარება უვო-ლუციურად მიმდინარეობდა (და უკელაზე ნელა და „ფრაგ-მენტულად“ იტალიაში), ხოლო იტალიელი პუმანისტების მიერ შექმნილი ისტორიული „წყვეტის“ ფიქცია უბიძებდა მათ ანტიკურობის „წმინდა სახით“ (ქრისტიანობის მიერ არაასიმილირებული) „აღმოჩენაზე“, თუმცა რიცორც კი ისინი ფილოლოგიისა და მიმბაძელობით-სტილიზებული ლიტერატურული შემოქმედების ფარგლებს სცილდებოდნენ, მიისწრაფოდნენ, რომ ანტიკურობა ქრისტიანული მსოფლ-მხედველობისთვის „შეეგუებინათ...“ [1, 277-278].

ბ. ვ. გორნუნგის სტატიაში მოხსენიებული სხვა მკალევ-რები – ევა სენფორდი, პოლმსი, ულმანი და სხვები XII-XVI საუკუნეების ევროპის ერთობ ბუნდოვან კულტურულ-ისტო-რიულ სურათს იძლევიან [29, 635-641. 22, 643-651. 30], რომლის საფუძველზედაც ძნელია განსაჯო, როდის იყო შუა საუკუ-ნეები, როდის და სად დაიწყო აღორძინება, ამა თუ იმ კულტურის რომელი ელემენტები თანაარსებობდნენ ამ საუ-კუნეებში და სად ეწინააღმდეგებოდნენ მკეთრად ისინი ერთ-მანეთს.

რაც შეეხება საკუთრივ ბ. ვ. გორნუნგის საბოლოო დას-კენებს, მისი პასუხი სტატიის სათაურში შეკითხვის სახით დასმულ თემაზე, აგრეთვე, არ შეიძლება ჩაითვალოს სრუ-ლად და განსაზღვრულად. ალბათ, აქ აპრიორულ სქემებს თუ არ ჩავეჭიდეთ, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელიც იქნება. ბ. ვ. გორნუნგი აღიარებს იმ უცილობელ რენესანსულ ფაქტებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში XII საუკუნის შესახებ მეცნიერებამ დააგროვა, მაგრამ იგი ამას რენესანსად კი არ მიიჩნევს, არამედ ამაში ხედავს (ისე

როგორც შ. ნუცუბიძე, რომლის შესახებაც ქვემოთ გვიქმნება საუბარი) მხოლოდ ორი, პარალელური საულიურ-კულტურული მიმდინარეობის ბრძოლას.

ბ. ვ. გორგანუნგის მიხედვით, XII-XIII საუკუნეებში გარკვეული სახის აღორძინებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მისთვის ისეთი საპასუხისმგებლო სახელი გვეწოდებინა, როგორიცაა რენესანსი. საერთოდ, ბ. ვ. გორგანუნგი XII საუკუნის ეპოქას იტალიაში იმდენად ბ'უნდოვნად თვლის, რომ შეუძლებელია იგი ყოფილიყო რომელიდაც განსაზღვრული და მკაცრად დადგენილი ისტორიული მიჯნა [1,280-282]. XIII-XIV საუკუნეების კულტურული ეპოქა მაინც იყო ფრიად გარკვეული და მძლავრი, წინააღმდეგ შემთხვევაში XIV-XVI საუკუნეების იტალიური აღორძინება არ იქნებოდა ესოდენ მკეთრ წინააღმდეგობაში მასთან.

ვალტერ პატერს [9], რომელიც, აგრეთვე, რენესანსის ჩასახვას მიაკუთხებს XII საუკუნეს, ამის დასასაბუთებლად მოჰყავს ზოგიერთი მასალა, რომელთა უარყოფა, ყოველგვარი წინასწარი ანალიზის გარეშე, შეუძლებელია.

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომის აკტორს, დასავლეთის რენესანსის თეორიის მყარი ხაზები მხოლოდ XIII საუკუნეში ჰპოვა. სწორედ ამ საუკუნიდან დავიწყებთ დასავლეთის რენესანსის გადმოცემას. მაგრამ, რენესანსის ესთეტიკის შემდგომ მძაფრი განვითარების მხედველობაში მიღებით, ჯერჯერობით უმჯობესად მიგეანია XIII საუკუნის მოვლენებს პროტორენესანსი ვუწოდოთ. იტალიაში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მთელი XIV საუკუნე ჯერ კიდევ ნამდვილი რენესანსის მხოლოდ მომზადებას წარმოადგენს. ტერმინი „რენესანსი“, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მხოლოდ XV და XVI საუკუნეების იტალიას მიეკუთვნება. ამას საჭიროა დაემატოს აგრეოვე, რომ დასავლეთის რენესანსის ნამდვილი და ძირითადი ესთეტიკა არასოდეს გამოდიოდა წმინდა სახით. მისი ნამდვილი წარმომადგენლები ყოველთვის, ნებსით თუ უნებლიერ, აღმოჩნდებოდნენ ხოლმე აღრინდელი, სავსებით აღორძინებადებული ესთეტიკური ცნობიერების და, აგრეთვე, ისეთი ცნობიერების გამომხატველებადაც, რომელიც ნამდვილად მხოლოდ შემდგომ საუკუნეებში განვითარდა. აღორძინების ესთეტიკოსების (და აგრეთვე მხატვრების) დიდი

უმრავლესობა ძალზე ხშირად ამჟღავნებდა სხვადასხვა სახის მერყეობას, დაურწმუნებლობას, სკეპტიციზმს, ზოგჯერ ლრმა უიმედობასაც კი თავის რენესანსულ მისწრაფებებში. ისეთი მიმღინარეობა, როგორიც იყო, მაგალითად, მანიერიზმი, მსჯვალავდა მთელ XVI საუკუნეს და არსებობდა უფრო აღრეც. მისი გაერთიანება რენესანსის ძირითად ხაზთან კი არცთუ ისე იოლი ამოცანაა. არც ჩრდილოეთის რენესანსის გაერთიანებაა იტალიურთან იოლი საქმე, ან გოთიკის გაერთიანება – რენესანსთან, თუმცა ეს მოვლენები თანადროულია. მაგრამ ყველაფერი ეს ბუნებრივია, რაღგანაც რენესანსი ბოლოს და ბოლოს მაინც გარდამავალ ეპოქას წარმოადგენს და მასში საწინააღმდეგო ელემენტების შეთავსებას შეუძლებელია ადგილი არ პქონოდა. ამგვარი ეპოქა მკულეერისგან მოითხოვს არა მხოლოდ დახვეწილ დაკვირვებულობას, არამედ, და ეს მთავარია, კიდევ ზედმიწევნით გონებრივ ეკვილიბრისტიკას, რენესანსული კულტურის ყველა ამ უსასრულო „კაპრიზების“ აღრიცხვისა და ინტერპრეტაციის დროს.

თვით რენესანსის ეპოქის იტალიელებმა უწოდეს თავის თავს აღორძინების წარმომადგენლები ისე, რომ არაფერი იცოდნენ მსგავსი ეპოქების შესახებ სხვა ქვეყნებში. ამავე დროს, ისინი ზედმიწად აზეიადებდნენ შუა საუკუნეების შემავიწოდებელ ჩარჩოებს და დაბრმავებულნი იყვნენ მისი წინამორბედი ანტიკური კულტურით. ამის საწინააღმდეგოდ აუცილებელია ითქვას, რომ როგორც ჩანს, რენესანსი არსებობდა განურჩევლად ყველგან, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა შინაარსით, თუმცა თავისი კულტურით სრულიადაც არ აღემატებოდა ყოველთვის შუა საუკუნეებისა და რენესანსული იტალიის კულტურას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ამა თუ იმ ფორმით, თუგინდ ძალზე მოქლედ, რენესანსული მოვლენები სხვა კულტურებში, გარდა დასავლურისა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას. მართალია, ძევლი აღმოსავლეთის კულტურების ყველა რენესანსს თავისი სპეციურია პქონდა, რომლის სრული სიზუსტით ჩამოყალიბება მეცნიერებს ჯერ კიდევ არ ძალურთ. ის, რაც გაკეთებულია და რაც შეიძლება გაკეთებულ იქნას დღეს, შევეცდა-

ბით მოკლედ გავითვალისწინოთ, რათა არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ეკროპით, მხოლოდ დასავლეთით.

ნ.ი. კონრადმა ბეჭრი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩინურ აღორძინებაზე ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში. ასე, მაგალითად, ხან იუი (768-824) ხამდვილი პურანიზმის იდეალებს ქადაგებდა, უ.ი. ადამიანური ბუნების იმ კანონზომიერებებს, რომლებიც არაა დამოკიდებული არაფერ ზებუნებრივზე და რომლებიც თვით ადამიანზე მოცემულ „აკოტმოყვარეობას“ და „აკრარსულს ავითარებენ“. ეს ფილოსოფოსი ლაპარაკობდა ადამიანის ბუნებრიობის, გონიერებისა და სრული დამოუკიდებლობის ცნებებს ზეც კი, ამ დამოუკიდებლობით ყოველგვარი მიზანშეწონილობის პირობებში<sup>1</sup>. მაგრამ, ხან იუი მხოლოდ შორეული წინაპარი იყო ნამდვილი ფილოსოფიური რენესანსისა ჩინეთში, სადაც XI-XVI საუკუნეების განმავლობაში შეიმჩნეოდა ჩინეთის ისტორიის იმ ძველი ეპოქის ნამდვილი აღორძინება, რომელიც ანტიურის სავსებით ანალოგიური იყო. აქ ჩვენ ვხედებით ნატურული სოფიურ მოძღვრებას „სინათლესა და ჩრდილზე“ ძირითად ყოფიერებით ელემენტებთან – წყალთან, ცეცხლთან, ხესთან, ლითონთან და მიწასთან კავშირში. მართალია, ესენი მთლად ის ელემენტები არაა, როგორზეც საუბარია ანტიურ ნატურული სოფიაში, მაგრამ ჩინური აღორძინების ფილოსოფოსები უკვე აგებდნენ მათზე სრულად გარკვეულ დიალექტისა (რომელიც ეკროპაში ჯერ კიდევ ბერძნების მიერ იყო შექმნილი). ამგვარად, აღორძინებას, მისთვის დამახასიათებელი ადამიანის ავტონომიურობით, აგრეთვე, მისი დამოუკიდებელი და სავსებით გასაგები ბუნების შესახებ მოძღვრებით, ადგილი პქონდა არა მხოლოდ ეკროპაში, არამედ ჩინეთშიც, ნაწილობრივ უფრო აღრეც კი, კიდრე ეკროპაში [4, 174-207].

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნ. ი. კონრადი ძალიან შორსაა აღორძინების რომელიმე შეზღუდული გაგებისგან, სხეადასხვა ქვეყანაში მისი შინაარსის ერთნაირობისა და

\* ამაში მთლიანად გვარწმუნებს ნ.ი. კონრადის ნაშრომი „ხან იუი და ჩინური რენესანსის დასაწყისი“, სადაც შეიძლება ვნახოთ, აგრეთვე, ამ მოაზროვნის ნაწარმოებების რუსული თარგმანებიც (4, 103-131).

მით უმეტეს, მისი საყოველადგილო ერთდღოულობის აღიარებისგან. დასაწყისში ჩენ მოვიხმობთ ნ. ი. კონრადის ზოგად მსჯელობას აღორძინებაზე, რომელიც მისი თვალსაზრისით, გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის აღორძინებების უკელა ტიპისადმი განურჩევლად, და უპირველესად ჩინეოში. „პეტრარქას მიმდევრებმა – კოლიუჩი სალიუტატიმ (1331-1406) და ლეონარდო ბრუნიმ (1369-1444), - წერს ნ. ი. კონრადი, - ხმარებაში შემოიტანეს სიტყვა – *humanitas*, რომელიც ნახეს ძელ დროში ციცერონთან: მათ ჩათვალიეს, რომ ეს სიტყვა ყველაზე უკეთ განსაზღვრავს... მის (ადამიანის – ა. ლ.) ადამიანურ ღირსებას და მიუკავართ ციცლისკენ. ასეთივე სიტყვა ჩინერ ენობრივ ფორმულაში ასე ჟღერს - უნი-ი და ოგი ხმარებაში შემოიტანა ხან იუმ, რათა ამით აღენიშნა განსხვავება მისი დროის „გზისა“ – მანამდელი „გზისგან“. ხოლო ეს სიტყვა მან ძეელი დროიდან – კონფუციისთან აიღო. როგორი მნიშვნელობა აქვს ჩინერ სიტყვა უნი-ს საკუთრივ კონფუციისგან, სავსებით ცხალია: კითხვას – „რა არის უნი-ი?“ მან უპასუხა: „ადამიანისადმი სიყვარული“ [იქვე, 221-222] და შემდეგ: „რენესანსის ეპოქის ყველაზე ზოგადი და ამავე დროს ძირითადი მამოძრავებელი ძალები – პუმანიზმი და აღორძინებაა (ამ კულტურულ-ისტორიული კატეგორიების გადმოცემულ ინტერპრეტაციებში - ა. ლ.), როგორც ის წარმოგეიღება კაცობრიობის ისტორიაში თავის ორ – იტალიურ და ჩინერ ვარიანტებში. ამ ეპოქის კულტურის ყველა მოვლენა ან ამ ძალებითაა პირდაპირ შექმნილი, ან მთლიანად განსაზღვრული ართან მათით; მათით იყო განსაზღვრული თეით ცხოვრების სტილიც. როგორც იტალიის, ისე ჩინეთის პუმანისტებისთვის დამასასიათებელია პრაქტიკული მოღვაწეობისკენ, თავისი იდეების განხორციელებისაკენ მისწრაფება. ორივე შემთხვევაში ერთნაირი იყო მათი გავრცელების საშუალებები: საჯარო გამოსკლები, მოწაფეებთან მეცადინეობა, მეგობრებთან საუბრები, მოწინააღმდეგებთან დისკუსიები, ეპისტოლებები, პამფლეტები, სტატიები, ტრაქტატები, რომლებმაც წარმოქმნეს მეცნიერული, პუბლიცისტური ლიტერატურა, გამოკელევები, კლასიკოსების კომენტარები, რომლებმაც შეადგინეს აღორძინების სპეციალური ფილოლოგია. ყველა ამ მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ გვიჩენა ჩვენ

განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფენის – ინტელიგენციის არსებობა, თავისი მდგომარეობით, მოღვაწეობის ხასიათით, თეთრ თავისი ტიპით – მკეთრად განსხვავებული წარსულის დროის მოღვაწეებისგან, ორმლებიც გამოიღოლნენ წინასწარმეტეველთა, ბრძენთა, მათი მოქმედების არებ ბევრად გამოკვეთა შემდგომი დროის ინტელიგენციის მოქმედების წრე [იქვე, 238].

6. ი. კონრადი აღორძინებას უველა ქვეყანაში მართებულად უკავშირებს სოფლური კულტურიდან ქალაქურ კულტურაზე გადასვლას [იქვე, 239].

ამ აკტორის სტატიაში – „აღორძინების ეპიქის შესახებ“ ეხვდებით ისტორიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან შემდეგ მსჯელობებს: „მაგრამ წვენ ვიცით, რომ აღორძინების ეპოქა, ყოველ შემთხვევაში, ეკროპაში მაინც – მოიცავს ისტორიის ნაწილს არა მხოლოდ იტალიისას, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებისაც; ამავე დროს, ჩვენ კარგად ვიცით, რომ პირველი ქვეყანა, რომელშიც აყეავდა ეს ეპოქა, იყო იტალია; ვიცით ისიც, რომ ევროპის სხვა ქვეყნების აღორძინება ბევრად განისაზღვრებოდა იმით, რასაც ადგილი პქონდა იტალიაში. ამის თაობაზე წამოიკრება საკითხი ავტოჭრისურ და არეკლილ აღორძინებათა შესახებ. თუკი პირველი, როგორც ჩანს, წარმოიქმნა ძველი ხალხების ისტორიაში, ასე კოქვათ – ისტორიის „დამსახურებულ მოღვაწეთა“ შორის, მეორე – უფრო ახალგაზრდა ხალხების ისტორიაში, რომლებიც საერთოდ ისტორიულ არენაზე გამოვიდნენ მაშინ, როცა მონაძიფლობელური სამყარო წარსულის კუთვნილება ხდებოდა, ამიტომაც, საკუთარი წარსული, ისეთი, როგორიც ძეველ ხალხებს, მათ არ გააჩნდათ. მაგრამ, სწავლად დაადგნენ რა უეოდალური განვითარების გზას, ისინი მიღიოდნენ იქამდე, სადამდისაც ძველი ხალხები, ე.ი. გონებრივი რევოლუციის აუცილებლობამდე ამ სიტუაცის აღნიშნული მნიშვნელობით. ამიტომაც, აღორძინების ეპოქას თავის უორმებში და თავის დონეზე ადგილი პქონდა ამათთანაც. ამასთან, საკუთარი „კლასიკური“ წარსულის არქონის კომპენსაცია მათთან

ძველი ხალხების წარსულის ათვისებით ხდებოდა. ელინური და რომაული ანტიკურობა უკროპის დანარჩენი ხალხების-თვისაც იქცა სიძეველედ, ჩინურმა ანტიკურობამ კი იგივე აღგიღი დაიკავა აღმოსავლეთ აზიის სხვა ხალხების კულტურის ისტორიაშიც” [იქვე, 241-242].

ნ. ი. კონრადის გამოკულეების მიხედვით, მსოფლიო აღმორმანების ეპოქისთვის უკელაზე არსებითი იყო სამი გარემოება: ადამიანურობის ფართო, უკელგან ერთნაირი, თანაბარი და თავისუფალი გრძნობა; ადამიანური გონების განთავისუფლება ურუეები და მტკიცე დიღგმებისგან, რაც ხელს არ უშლიდა აღმორმანებას ესარგებლა არა მხოლოდ თავისუფალი საერო მისტიკის მეთოდებით, არამედ იმავე გრძნობითაც, მაგრამ ჭეშმარიტების თავისუფალი და რაციონალური ძიების აზრით; უახლესი შუა საუკუნეების აეტორიტეტების საწინააღმდეგოდ, ძველი დროის აეტორიტეტებზე, ე. ი. ანტიკურობაზე დამყარება, მაგრამ არა მის პირველყოფილ ან საბოლოო „გადამწიფებულ” თავისებურებებზე, არამედ საშუალო და კლასიკური ტიპის ანტიკურობაზე დამყარება.

ნ. ი. კონრადის აღმოსავლური რენესანსის კონცეფცია არ დარჩენილა კრიტიკის გარეშე. მიუთითებენ, რომ ჩინეთში ანტიკურობის აღმორმანებას სრულიადაც არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც უკროპაში. მოხმობილი ჰქონდათ ფაქტები, რომ აღმოსავლეთში, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში რენესანსი სრულიადაც არ წარმოადგენდა ისეთ მკეთრ გარდაცეხას, როგორიც იყო დასავლეთში. ზოგიერთ აეტორს ეს გარდაცეხა ესმოდა არა როგორც უეკარი რეკოლუცია, არამედ როგორც ისტორიული განცითარების ძალზე ხანგრძლივი, თანდათანობით, და ხშირად, საკმაოდ ბუნდოვანი პერიოდი: ისინი ამბობდნენ – რენესანსი არაა აუეთქების ეპოქა, ის მრავალსაუკუნოვანი განვითარების განმავლობაში მწიფებოდა და უოველ შემთხვევაში გარდამავალი ეპოქა იყო [18, 15].

აღმოსავლური რენესანსის მკელევარი ვ.ი. სემანოვი შუალედურ პოზიციას იკავებს – უარყოფს აღმოსავლეთში აღმორმანების, როგორც სრულ არარსებობას, ისე მის უეცარ რევოლუციურ აუეთქებას. იგი იხილავს ჩინეთის ზოგიერთ მოღვაწესა და აეტორს, რომელთაც სწორედ თანაბრად ჰქონ-

დათ როგორც „შუასაუკუნეობრივის”, ისე „რენესანსულის” ტიპის ნიშნები [13, 427-501]. ვ. ი. სემანოვი, რომელსაც მოჰყავს კონტადის მრავალრიცხოვანი ნაშრომი აღმოსავლური ლიტერატურის შესახებ, მიუთითებს ამ მეცნიერის შეხედულებების უკოლუციაზე და პოულობს მათში სოგიერთ წინააღმდეგობას [იქვე, 480-481].

ჩინეთში ვ. ი. სემანოვი უერ ხედავს ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმს, კლასიციზმსა და უახლეს ლიტერატურულ მეთოდებს შორის განსხვავებას და საერთოდ, უფრო უურადღებას აქცევს ცხოვრებისა და ლიტერატურის მოვლენების განვითარებაში სირბილეს, თანდათანობითობასა და აუჩქარებელ თანმიმდევრობას. ასე, მაგალითად, ჩინეთისთვის სრულიად უცხოა მკეთრი ინდივიდუალიზმი, რომელმაც გაიმარჯვა უეროპული რენესანსის ეპოქაში [იქვე, 498-501].

ირანი. მეორე დიდი აღორძინება, და ისიც აგრეთვე XV-XV საუკუნეებისა, შუაზიური აღორძინება იურიულის უურლაზე კოლორიტულ პიროვნებასაც უსბექური ლიტერატურის დამარსებელი აღიშერ ნავო წარმოადგენდა [4, 273-289].

აღიშერ ნავოს, როგორც აღმოსავლური და მსოფლიო აღორძინების წარმომადგენლის პიროვნება, საქმარისადაა გამუქებული რუსულ ლიტერატურაში. ამ მოღვაწის შესახებ არსებული დიდხალი ლიტერატურა ჩამოთვლილი აქვს ვ. მ. უირმუნსკის სტატიაში „აღიშერ ნავო და რენესანსის პრობლემა აღმოსავლეთის ლიტერატურაში“ [3, 464]. ამ თემის შესახებ ვ. მ. უირმუნსკის სტატია საკმაო აღფრთხოვანებითაა დაწერილი და მთავრდება სიტყვებით: „მაშასადამე, აღიშერ ნავოს გრანდიოზული ფიგურა იზოლირებული არაა მსოფლიო ლიტერატურაში. უსბექური ლიტერატურის უდიდესი ფუძემდებლის შემოქმედება უშუალოდ ეხმაურება მისი დასაცლეთელი თხამოაზრების – რენესანსის ეპოქის პოეტებისა და მოაზროვნების მოწინავე იდეებს“ [იქვე, 471].

სომხეთი. ჩინეთიდან, ინდოეთიდან და სპარსეთიდან დაწყებული, აღმოსავლეთიდან დასავლეთზე თანდათანობით გადასევლისას, ჩვენ ვხვდებით სომხეთისა და საქართველოს კულტურულ დინებებს, რომლებსაც აქვთ, აგრეთვე, პრეტეზია – იწოდებოდნენ აღორძინებად. მართლაც 30-40 წლის წინათ ამ ტერმინს აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ თითქმის

არ იუნებდნენ. სამაგიეროდ, დღეს გამოიყენება ამ სიტყვის ქველაზე ფართო მნიშვნელობით, შეიძლება რამდენადმე გასვიადგებულადაც კი. მსოფლიო ისტორიის სფეროში აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვა თანამედროვე მეცნიერების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს უჰჰველად და მისი მეთოდისა და მისი მასალის ერთიანობაზე მოწმობს. მაგრამ აღმოსავლეთის აღრიცხინების მოძღვრების მომხრეებიც კი ხაზს უსვამენ აღმოსავლეთის იმ ეპოქების სხვადასხვაგვარობას, არათანადროულობას და სხვადასხვა თეისობრიობას, რომელიც იწოდება აღორძინებად. მეცნიერება აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ ჯერ კიდევ ერთობ ნაკლებადა დამუშავებული. ამ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური ბაზა, მკვლევრების მიერ, არაიშვიათად დახასიათებულია არაერთგვაროვნად და წინააღმდეგობრივად.

აქ გვინდა მიუთითოდ ვ. კ. ჩალოიანის ნაშრომზე „სომხური რენესანსი“ [იხ. 17]. ამ ნაშრომში თავმოყრილია ევროპისთვის ჯერ კიდევ უცნობი დიდი მასალა, რომელიც საკიროებს გულდასმით და ხანგრძლივ შესწავლას.

ვ. კ. ჩალოიანის თანახმად, ეკროპული რენესანსი წარმოადგენს არა თეოთ კაპიტალიზმს, არამედ კაპიტალის მხოლოდ პირველდაწყებითი დაგროვების იდეოლოგიას. გარდა ამისა, იგი რენესანსის საერთოდ უკავშირებს უშაუალო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ პერიოდებს. წვენ კი ვიტყოდით, რომ ცნობიერების საზოგადოებრივ ფორმებზე ასეთი თვალსაზრისი არ გვგონია შეესაბამებოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის თანამედროვე განვითარებას. საზოგადოებრივი ცნობიერების ცალკეული ფორმები აუცილებლობით კი არ ემთხვევიან ქრონოლოგიურად შესაბამისი წარმოების საშუალებებს, არამედ შეიძლება ადგილი პქონდეს ამ უკანასკნელის წარმოშობამდე დიდი ხნით აღრე და ასევე შეიძლება აგრძელებდეს განვითარებას მის საბოლოო განმტკიცების შემდეგაც.

აღნიშნული სოულებითაც არ ამცირებს ვ. ჩალოიანის წიგნის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ძნელია კამათო მისი შემდეგი მსჯელობების წინააღმდეგ: „დასავლურ აღორძინებასთან შედარებით აღორძინებას აღმოსავლეთში ახასიათებს ორი თავისებურება. ჯერ ერთი – აღმოსავლეთში, კერძოდ კი

სომხეთში, აღორძინება დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აღორძინება წარმოიშობოდა დასავლეთში, მეორე – აღმოსავლეთში, მათ შორის სომხეთში, აღორძინებამ კულტურის განსაზღვრულ სფეროებში თავისი განვითარების სრულიადაც ვერ მიაღწია უფრო გვიანი დროის დასავლეთის აღორძინების დონეს, ზუსტად ასევე, სომხეთში აღორძინების სოციალურ-ეკონომიკურმა ბაზამ, რომელიც წარმოიშვა უფრო ადრე, კიდრე დასავლეთში, ვერ მიაღწია იტალიური ქალაქების სოციალურ ეკონომიკურ დონეს, განსაკუთრებით ფლორენციის ეკონომიკურ აუგავებას.

ბოლოს, აღორძინებას აღმოსავლეთშიც და იტალიაშიც დაახლოებით ერთნაირი ბედი ეწია. ეგრეთ წოდებული პირველდაწყებითი დაგროვება არც სომხეთში, არც იტალიაში, ზემოთ აღნიშნული ისტორიული მისესების გამო, ვერ გადაიზარდა კაპიტალისტურ დაგროვებაში, ვერ განვითარდა საწარმოო ურთიერთობის კაპიტალისტური სისტემის სტადიამდე. მეტიც, იტალიის ეკონომიკურმა დეგრადაციამ, უერდალური რეაქცია აღორძინებაზე გამარჯვებამდე მიიყვანა. გაუისსენოთ აქ კონტრეფორმაცია და იეზუიტების ორდენის („იესოს საზოგადოება“) დაარსება. რომლის საქმიანობაც უპირველესად, აღორძინების იდეილოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული; გაუისსენოთ პაპის „აკრძალული წიგნების სია“, ტრიდენტის კრება და ა.შ. ამის ანალოგიური ამბები ხდებოდა სომხეთშიც, სადაც უერდალიზმის აუგავებამ ადგილი დაუთმო უცხოელი დაპეტრობლების თავს მოხეულ, მასზე უფრო დაბალ ფორმას, სადაც საზოგადოების დეგრადაცია ფერდალური ურთიერთობის პრიმიტიულ-ჩამორჩენილ ფორმებამდე მიეკიდა, რომელიც არსებობდა – მონღილ, შემდეგ კი თურქ-სპარსელ დამსკრობლებთან. „უცხოელთა ბატონობამ მთელი სომხური კულტურა საშინელ დაცემამდე მიიყვანა“ [17, 51].

აქ ვ. კ. ჩაღოიანი გაცილებით რთულ პოზიციას იქავებს სომხური რენესანსის მიმართ, ვიდრე ეს მან დასაწყისში განაცხადა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მისი მსჯელობა აღმოსავლური კულტურების სხევადასხვაობისა და მათი რენესანსის რომელიდაც ერთ უძრავ და ერთდროულ სქემაზე დაევანის შეუძლებლობაზე. „ჩენ ხაზს უსვამთ აზრს იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის საყოველთაო კულტურა ნაციო-

ნალური კულტურების სიმრავლეს არათუ გამორიცხავს, არა-  
მედ სწორედ გულისხმობს მათ. აღმოსავლეთის საყოველთაო  
კულტურის წარმოქმნა ისტორიული პროცესია, რომელიც  
ნიშნავს: თავისი განვითარებით უფრო მოწინავე ცალკეული  
ნაციონალური კულტურების მონაპოვრებმა მეტწილად სწო-  
რედ ასეთი ხასიათი შეიძინა. უკეთესი ფაქტია, რომ ნაციო-  
ნალური შემოქმედება რამდენადაც არ უნდა გახდეს საყო-  
ველთაო მონაპოვარი, ის მაინც დარჩება ნაციონალურად.  
ამრიგად, ნაციონალურ-პროგრესული კულტურული საწყისე-  
ბიდან შეიქმნა აღმოსავლეთის საყოველთაო კულტურა”  
[იქვე, 157-158].

ჩაგრამ ჩეენთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს  
აღმოსავლეთისა და დასავლეთის, კერძოდ, აღმოსავლური და  
დასავლური ონეგსანსის შეპირისპირებას. „გარეგანმა და  
შინაგანმა ხელსაყრელმა პირობებმა, – წერს ვ. კ. ჩალოვიანი,  
– განსაზღვრა ხან - აღმოსავლეთის, ხან კი დასავლეთის  
კულტურის აყვავება, მაგრამ, როგორც აღმოსავლეთის, ისე  
დასავლეთის კულტურული მიღწევები მხოლოდ თავიანთ  
ფარგლებში არ რჩებოდა – საყოველთაო საკუთრებად იქცეო-  
და ხოლმე. აქედან გასაგებია, რომ ჩეენ უნდა გამოვიდეთ  
იმათ წინააღმდეგ, ვინც გადაჭარბებით აფასებს დასავლეთს  
და უკელა კულტურულ მიღწევას მიაწერს დასავლეოის სამ-  
ყაროს, აგრეთვე, იმათ წინააღმდეგაც, ვინც აზეიადებს აღმო-  
სავლეთს და უკელა კულტურული მიღწევა აღმოსავლური  
სამყაროდან გამოჰყავს. ამ ანტიმეცნიერული კონცეფციის  
საწინააღმდეგოდ ჩეენ ვიცავთ პროგრესირებადი მატერია-  
ლური და სულიერი კულტურების მემკვიდრეობის პრინციპს,  
ვიცავთ არა ჩაკეტილ თვითკმარ, არამედ კავშირში, ურთი-  
ერთქმედებაში მყოფ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულ-  
ტურას.

ამ მემკვიდრეობითი კავშირის საფუძველზე შეიძლება  
დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ აღმოსავლეთის კულტურა  
აღორძინებადი დასავლეთის კულტურების ერთ-ერთი წყარო-  
თაგანი გახდა, როდესაც ეს უკანასკნელი, ახალი სოცია-  
ლურ-ეკინომიკური ურთიერთობის წარმოშობის ძალით, საყო-  
ველთაო კულტურის ახალი ტიპის წარმოქმნისთვის მომზადე-  
ბული აღმოჩნდა. ისტორიულად უდავო ფაქტია, რომ აღმო-

სავლეთის მიღწევები დასავლეთის სამყაროს გადაეცა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ბიზანტიურ-ქავეკასიური კულტურული სამყაროს ხალხებისა და ქვეყნების მეშვეობით. აი, რატომაა არასწორი ფერდალური საზოგადოების ბურუჟაზიულზე გადასვლის საკითხების კვლევისას არმოსავლეთის როლის უგულებელყოფა, რატომაა არასწორი მტკიცება, თითქოსდა, ასეთი გადასვლა აღმოსავლეთის ზემოქმედების გარეშე მოხდა. ამგვარი გადასვლისთვის ნიადაგი გარევეული მნიშვნელობით სწორედ აღმოსავლეთმა მოამზადა” [იქვე, 158].

სრელი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ X-XIII საუკუნეების სომხური ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლების დიდი რიცხვის გამოწვლილებით შესწავლა [იქვე, 58-153] მთლიანად შეგვიცვლიდა ჩენენ წარმოდგენას საერთოდ რენესანსზე, როგორც მთლიანად აღმოსავლეთისაზე, ისე დასავლეთისაზეც. მაგრამ ჩენენთვის მთავარია გამოკევლევის მხოლოდ მეთოდოლოგია. ვ. ქ. ჩალიონის ეს მეთოდოლოგია კი, მცირეოდენი შესწორებით, სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს, და უდავოდ აფართოებს მსოფლიო რენესანსის შესახებ მოძღვრების სფეროში ჩენენს პორიზონტებს.

საქართველო. აკადემიკოსი შ. ი. ნუცუბიძე რესთაველისა და აღმოსავლური რენესანსის შესახებ თავის ძალზე საინტერესო წიგნში, აღმოსავლური რენესანსის სხვა მცოდნეთაგან განსხვავებით, ერთი მხრივ იძლევა, საერთოდ აღმოსავლური და დასავლური რენესანსის ერთობ ფართო სურათს, ხოლო მეორე მრივ, ამ სულიერ მოძრაობას თავს უყრის ეგრეთ წოდებული ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის ირგვლივ, რომლის ნამდვილი ავტორი შ. ნუცუბიძის გამოკევლების მიხედვით არის ნეოპლატონიკოს პროკლეს უშუალო მოწაფე [იხ. 6], სირიის გაზაში ქართული კულტურული სკოლის მეთაური და პალესტინაში მაიუმის ეპისკოპოსი, ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი (გარდაიცვალა 491 წელს). შ. ნუცუბიძისგან დამოუკიდებლად, ამავე დასკენამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ე. პონიგმანი [23, 445-446]. სხვა სიტყვებით, აღმოსავლურ-დასავლური რენესანსის საფუძველს წარმოადგენს შემდგომ გადამუშავებული ანტიკური ნეოპლატონიზმი. ამ ფაქტს უმაღლე შეაქვს სიცხადე და გარ-

კვეულობა რენესანსის ყველა პრობლემაში, თუმცა ის არც უდაკოა და არც კრიტიკის გარეშე არ დარჩენილა [იხ. 2]. ამის მიუხედავად, ჩვენ შ. ნუცუბიძესთან ერთად არეოპაგიტიკის აკტორად პეტრე იძერის ჩათვლას საკუთრებით შესაძლებლად ვთვლით.

შ. ნუცუბიძის აზრით, თანამედროვე მეცნიერები, რომლებიც ბურუჟიზის დამარცხებისა და აღმოსავლური კულტურის ახალი გამარჯვების ზემოქმედების გაკლენას განიცდიან, ცნობიერად და არაცნობიერად უგულებელყოფენ მოელ აღმოსავლურ რენესანსს და უარყოფენ მის მისტიკასა და ურველგვარი სახის ერესების სიმრავლეს. მათ განიხილავენ, როგორც, თიოქოსდა, ბარბაროსების რომელილაც ახალი სახის ახალ შემოსევას და ივიწყებენ იმას, რომ ერთსაც და მეორესაც თან მოაქვს ბურუჟუაზიული რაციონალიზმისა და მასთან დაკავშირებული ანტროპოცენტრიზმის წინააღმდეგ უღრმესი რევოლუცია [7,20].

ფრიად მნიშვნელოვანია შ. ნუცუბიძის, მართლაცდა, აღმოჩენა, რომ ძირითადი ერესები აღმოსავლეთიდან მოყიდოდა, რომ მათ რევოლუციური მნიშვნელობა პერინდათ, რომ ისინი საუძღველს აცლიდნენ აზროვნებისა და ცხოვრების სქოლასტიკურ წყობას და რომ ამ აზრით დასავლური რენესანსი ბერძნობა და აღმოსავლეთი სწორედ აღმოსავლეთისგან [იქვე, 22-24]. ჩვენ მხოლოდ იმაში არ დაკვეთან ხმებოდით ავტორს, რომ ტერმინი „რენესანსი“ შეიძლება მიგვეკუთვნებინა ქრისტიანობის პირველი საუკუნეებისთვისაც და უფრო აღრეც – ფილონ ალექსანდრიელისთვისაც.

შ. ნუცუბიძის წიგნის ბრწყინვალე თავებს წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთში მისტიკური ერესების მიმოხილვა [იქვე, 27-51] და აგრეთვე თავები, რომლებიც ყველა ერესის რევოლუციურ მხარეს ეხება [იქვე, 52-83].

შ. ნუცუბიძის გამოკულევის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს ერთობ ხანგრძლივი შუა საუკუნეების ისტორიის ყველა ერესის საფუძვლად ნეოპლატონიზმის გამოცხადება. მაგრამ აქ შ. ნუცუბიძე ყველაფერში როდია მართალი და ზოგიერთ არსებით ისტორიულ-ფილოსოფიურ და ისტორიულ-რელიგიურ მცდარ ინტერპრეტაციას იძლევა.

შეიძლება ითქვას – შ. ნუცუბიძის პირველი, ძირითადი და ყველაზე ღრმა შეცდომა არის ის, რომ იგი ყოველგარ ნეიპლატონისმს აუცილებლად ერეტიკულად და ანტიკლესიურად, რევილუციურადაც კი მიიჩნევს. ის, რომ აროპაგიტიკის ცოცხალი და გასულიერებული მისტიკა ხშირად იქმობა მიკროციაში თფიციალურ დფტისმეტყველებასთან, რომელიც აუცილებლობით ღებულობდა რაციონალისტურ ფირმებს, – ეს სწორია. ამ აზრით, აქ, თუ გნებავთ, შეიძლება უნახოთ რომელიდაც სახის თპოზიცია და რევოლუციაც კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამ სიტყვის არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მნიშვნელობით. გარდა ამისა, არეოპაგიტიკის შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ „საღმრთოთა სახელთათვის“ და „მისტიკური ღვთისმეტყველების“ შესახებ ტრაქტატები, არამედ აქ ვხედებით, აგრეთვე, წმინდა საეკლესიო-ღვთისმეტყველურ ტრაქტატებს – „საეკლესიო იერარქიის შესახებ“ და „ზეციური იერარქიის შესახებ“. ვერავითარ მნიშვნელობას რომელიმე საეკლესიო ერესზე ამ ტრაქტატებში ვერ ვნახავთ. ესენი ჩეულებრივი და სავსებით ორთოდოქსული საეკლესიო ტრაქტატებია, რომლებშიც წინა პლანზე წამოწეულია მისტიკური და არა რაციონალისტური მხარე. მაგალითად, ტრაქტატები „ზეციური იერარქიის შესახებ“ დადგენილია ანგელოზთა ცხრა ხარისხი, რომელებიც საერთოდ შეეიდა ანგელოზთა შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძვლებში. შ. ნუცუბიძეს სურს, რაც არ უნდა მოხდეს, არეოპაგიტიკა გაიგოს, როგორც ანტისაეკლესიო და მთლად არასაეკლესიო ნაწარმოებადაც კი. ეს კი საერთოდ შეეძლებელია. მას სურს ერეტიკოსად ჩათვალოს VII საუკუნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველი მაქსიმე აღმსარებელიც კი, მისი დევნის გამო, რომელიც განიცადა ამ ნიჭიერმა ბიზანტიელმა ღვთისმეტყველმა; შ. ნუცუბიძე უგულებელყოფს, რომ მაქსიმე აღმსარებელი საბოლოოდ წმინდანად იქნა შერაცხეული და მიიღო მაღალი და დიდი წოდება – „ღირსი“ [7, 84-87,89]. არეოპაგიტული მიმართულების პრინციპულ მომხრეს, ცნობილ თეოლოგსა და მქადაგებელს სეიმეონ ახალი ღვთისმეტყველს, ამ უდიდეს მოღვაწეს, რომელიც ეკლესიაში იწოდებოდა „წმიდად“ და „ღირსად“, მთელ თავის მოწაფებთან ერთად, შ. ნუცუბიძე

რატომდაც თვლის ერეტიკოსად XI საუკუნის ბიზანტიაში. ამის გარდა, მთლიანად XI საუკუნეს ბიზანტიაში, შ. ნუცუბიძე უკვე რენესანსის საუკუნეს უწოდებს. ისე გამოდის, რომ მთელს ბიზანტიურ ქრისტიანობაში რენესანსის გარდა არაფერი ყოფილა. შ. ნუცუბიძე „ერეტიკულ“ ნეოპლატონიკოსებს მიაკუთხნებს მიქაელ ფსელოსის და იოანე იტალს [იქვე, 88-90]. აღნიშნულს, ჩენი მხრივ. დავამატებდით, რომ იოანე იტალი არსებითად საერთოდ არ ყოფილა ქრისტიანი, რამდენადაც აღიარებდა პლატონის „უსულო იდეებს“, მარადიულ მატერიას, რომლისგანაც იქმნება სამყარო. იგი სულთა გადასახლებას აღიარებდა. რაც შეეხება ზეარსებით ერთიანზე მოძღვრებას, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ არეპაგიტულ მისტიკას, ეს საერთოდ მაშინდელი, ლოგიკურად ბრულომდე მიყეანილი იდეალისტური მოძღვრებაა ერთიანზე, რომელიც ჯერ კიდევ პლატონის „სახელმწიფოს“ VI წიგნიდან იწყება. მაშინ პლატონიც უნდა ჩაეთვალით ქრისტიან ერეტიკოსად, თუმცა იგი წმინდა წელის წარმართი იყო.

შ. ნუცუბიძეს სურს, რომ ნეოპლატონიზმი აუცილებლად აქციოს ქრისტიანულ ერესად, ამიტომაც მას ქრისტიანული „განლმრთობა“ ესმის არა იმ აზრით, რომ აღამიანი რჩება შექმნილად და ადამიანად (და არა ღმერთად), ამავე დროს „ივსება ღვთაებრივი მადლით“, არამედ შემდეგნაირად, ადამიანი ლოცვის მეშეეობით ხდება ღმერთი თვით თავისი არსებით, თვით თავისი სუბსტანციით, თვით თავისი პირველსაწყისი ბუნებით [იქვე, 90-91]. აქ შ. ნუცუბიძე უგულებელყოფს ქრისტიანულ რწმენას იმის შესახებ, რომ მოელი კაცობრიობის ათასწლიან ისტორიაში, იყო მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო ადამიანი თავისი სუბსტანციით და ღმერთი თავისი უკანასკნელი, ღვთაებრივი სუბსტანციით, ეს ღმერთკაცი ქრისტეა, სხვა დანარჩენი ადამიანები. ეკლესიის საერთო და განუხრელი რწმენით, თავისი უმაღლესი მდგომარეობის პირობებში შეიძლება ყოფილიყვნენ ღმერთები მხოლოდ მადლით, მაგრამ არასეზით, არა ბუნების მიხედვით. ათასწლოვანი საეკლესიო ისტორიის ამგვარი გაგება შ. ნუცუბიძეს სჭირდებოდა არა მხოლოდ ადამიანის თავისი ბუნებით ღმერთად ქცევის შესაძლებლობის აღიარებისთვის, არამედ იმისთვისაც, რათა მოეხდინა

არეოპაგიტიკის ინტერპრეტაცია იმ აზრით, რომელიც მან საფუძვლად დაუდო ბიზანტიურ, ქართულ და დასაცავურ რენესანსს. სინამდვილეში კი პლოტინეს „ენეადებს”, პროკლეს „თეოლოგიის პირეულსაფუძვლებს” მთელი თავიანთი სულიერი შინაარსით არაფერი არ აქვთ საერთო არც ქრისტიანობასთან და არც ურთიან და ჰეშმარიტ ღმერთზე მოძღვრებასთან, უარესიყენ სამყაროს შექმნას; არ იცნობენ არავითარ ცოდვებში სავარდნას; მათვის სრულიად უცხოა ქრისტიანული მოძღვრება, ღმერთულის ტანჯვასა და ჯვარცმის სიკედილზე, სამყაროსა და ადამიანის გამოსკიდვაზე, ღმერთკაცის აღდგომასა და ამაღლებაზე, სამყაროს მხსნელზე, მის იდუმალებებსა და წესჩერეულებებზე. განკითხვის დღეზე, ჯოჯონეთსა და სამოთხეზე. არსზე ასეთი ნეიტრალური დიალექტიკური მოძღვრება, როგორც ეს ნეოპლატონიზმია, რომელიც იყო მთელი ანტიკური ფილოსოფიის უკელაზე მომწიფებული ნაწყოფი, შემდგომში დიდი წარმატებით გამოიყენებოდა როგორც ქრისტიანულ, თანაც წმინდა ორთოდიქსულ, ისე არაქრისტიანულ დევოსმეტუკელებაში. IX საუკუნის დასაცავო ფილოსოფიის იოანე სკოტ ერიუგენა, მაგალითად ძალზე ახლოს იყო წარმართ ფილოსოფოსებთან – პლოტინესა და პროკლესთან, ამიტომაც შემდეგში იგი ეკლესიის მიერ დასჯილი იქნა, როგორც ერეტიკოსი. ბიზანტიილი დევოსმეტუკელები, მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.), სეიმეონ ახალი დევოსმეტუკელის (X ს.) და XIV ს. უკელა მისტიკოსის მსგავსად, რომლებმაც მეტსახელი - ისიხასტი, ე.ი. „მდუმარე“ მიიღეს (და თვით ბელადი გრიგოლ პალამაც, რომელიც ეკლესიაში აღიარებული იყო „წმიდად“ და „ღირსად“), ყოველგარი წარმართობისა და ურველგვარი წარმართული ნეოპლატონიზმის უკიდურესი მოწინააღმდეგენი იყვნენ. ისინი ოფიციალური ეკლესიის ბელადებად ითვლებოდნენ და ამ აზრით, მათ არავითარი დამოკიდებულება არავითარ რენესანსთან არ ჰქონდათ. თუკი ვინმე იყო რენესანსის ნამდვილი წინამორბედი, მაშინ ეს იყო გრიგოლ პალამას მთავარი მტერი - ვარლაამი, რომელმაც აღიარა მოძღვრება ღმერთის, როგორც ნივთი თავისთავადის შეუმცნებლობაზე (შემდგომში კანტის მიერ განვითარებული), ბერების მიერ გონიერული ლოცვის საფეხურზე წყალობის სინათლის ხილების შეუძლებლობა და

მართლაც მთელი ადამიანური შემეცნება მხოლოდ მიწიერ არსზე დაიკვანა. სწორედ ვარლამმა შეაღწია ეკროპაში და აღორძინების ეპოქის ზოგიერთი პოეტის მასწავლებელიც იყო, თუმცა მანვე მოინანია ოფიციალური ეკლესიის წინაშე და ეპისკოპოსიც იყო.

რაც ნამდვილად წარმოადგენს შ. ნუცუბიძის ნაშრომის უდიდეს დამსახურებას – არის ის, რომ მან ძალზე ენერგიულად და ხელთარსებული რეალური ფაქტებით დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთზე, დასავლეთის რენესანსის დასაწყისშივე [7, 93-95]. ჩვენ აქ ამ ფაქტებს არ განვიხილავთ, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ დასავლეთში ბერძნების მისვლის გარეშე არ წარმოიქმნებოდა ფლორენციის განთქმული აკადემია მარსელიო ფიჩინის მეთაურობით, რომელიც გახდა მთელი ახალი ეპოქის პირველი ცხადი და სრულიად გარეული აღმოჩენა ეპოქისა, რომელსაც შემდგომ თეოთ იტალიელებმა აღორძინება უწოდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არეოპაგიტიკას თავის დროზე არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა ოფიციალური ეკლესიისთვის და რომ მთელი რენესანსი საჭიროა მხოლოდ აღმოსავლურ გავლენებსა და ბერძნების მოსვლაზე იქნას დაყვანილი. სინამდვილეში, არეოპაგიტულმა ფილოსოფიამ რენესანსისთვის სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა, რომელშიც შ. ნუცუბიძეს არასწორად ესმის მხოლოდ „საეკლესიო ერესები“. შეასაუკუნეების ღვთისმეტყველების ერთ-ერთი ძველი მცოდნეთაგანი, კერძოდ ი. კლეიტბენი წერს: ვერ დავასახელებთ რომელიმე მნიშვნელოვან თეოლოგს, ვინც გაბედავდა წინ აღდგომოდა წმ. დიონისეს რომელიმე პუნქტში [24,69].

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ არეოპაგიტიკის მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ენერგიული მომხრე, როგორიც ნუცუბიძეა, მცდარად მიიჩნევს კლეიტბენის მსგავს თეალსაზრისს. ასეც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ნეოპლატონიზმში ნუცუბიძე აუცილებლად მხოლოდ წარმართულ ნეოპლატონიზმს გულისხმობს. ამიტომაც ქართველმა მელევარმა „ერეტიკოსებში“ ჩარიცხა ლირსი მაქსიმ აღმსარებელიც, ლირი სვიმონ ახალი ღვთისმეტყველიც და ლირსი გრიგოლ პალამაც. ხოლო XIV საუკუნის მთელ დანარჩენ ბიზანტიურ ისინაზმს საერთოდ დუმილით აუარა გვერდი. იყვნენ წარმართი

ნეოპლატონიკოსები და იუვნენ ქრისტიანი ნეოპლატონიკოსები, იუვნენ ნეოპლატონიკოსები არაპეტშიც და ისლამშიც. იუვნენ ბიზანტიული ნეოპლატონიკოსები, ე.ი. მართლმადიდებლები, იუვნენ კათოლიკე და პროტესტანტი ნეოპლატონიკოსები. ამაში არაფერია გასაკეირი. ისე დაწერილებით დამუშავებულ ფილოსოფიას, როგორსაც ნეოპლატონზემი წარმოადგენდა, ლოგიკური გაფორმებისთვის ხომ შეიძლებოდა უურადღება მიეკურო მსოფლმსედველობის, განსაკუთრებით კი რელიგიური მხრიდან. ყოველთვის, როცა ახალი რელიგია იყენებდა ნეოპლატონიზმს, რა თქმა უნდა, უპირველესად უკუაგდებდა მის წარმართულ მხარეს, ქერძოდ კი, აჩიკურ მითოლიგიას და სარგებლობდა ნეოპლატონიზმის მხოლოდ დახვეწილი ფილოსოფიური მეთოდებით; ხომ იყენენ კანტიანელები, მორწმუნენი და ურწმუნონი; იყენენ სრულიად არარელიგიური ჰეგელიანელები და აგრეთვე, რელიგიურიც – როგორც კათოლიკე და პროტესტანტები, ისე მართლმადიდებელნიც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის პირველ ნახევარშიც სვენ გვევდება მთელი რიგი სპირიტუალისტური სისტემები, რომელთაგან ურთნი რელიგიურ რწმენას ემცარებოდნენ, მეორენი გულგრილი არიან მის მიმართ, ხოლო მესამენი - კოველგვარი რელიგიის ნამდვილ მოწინააღმდეგებად წარმოგვიდგენიან. მაშინ ნეოპლატონიზმი რატომ „უნდა მიეიჩინოთ აუცილებლად წარმართულ თეორიად და ქრისტიანულ ლოთისმეტყველების დაფუძნებისათვის მის გამოყენებას რატომ „უნდა მიუკუვანეთ აუცილებლად ერესამდე და საეკლესიო რევოლუციამდე? იოანე პეტრიწი XI საუკუნის ფილოსოფოსი საქართველოში, იყო არა მხოლოდ „უდრმესი ნეოპლატონიკოსი, არამედ მართლმადიდებელი ბერიც და მონასტრის წინამდვარიც კი; რუსთაველმა კი, XII საუკუნის ქართული რენესანსის მეთაურმა, მიიღო მართმადიდებლური ბერ-მონასტრი და გარდაიცვალა პალესტინაში, რომელსაც მთელი ქრისტიანილი სამყარო მუდამ „წმიდა მიწად“ მიიჩნევდა. ამგვარად ამ იდეის აღმოჩენაში ძირითადი როლი უთუოდ შ. ნუცებიძემ შესარულა. მაგრამ ევროპული რენესანსის არსება ძნელია დავახასიათოდ როგორც ქრისტიანული ერესი, თუმცა ის იყო განსაკუთრებული ტიპის ქრისტიანობა, ზოგჯერ კი სრულიადაც არ

იყო ქრისტიანობა. დასავლეთიოს რენესანსი, ისე როგორც მთელი აღმოსავლური ნეოპლატონიზმი, საოცარი სიკრელით გამოირჩევა. ნეოპლატონიკოსი ნიკოლოზ კუზანელი არა მხოლოდ მართლმორწმუნე კათოლიკე იყო, არამედ პაპის კარდინალიც. ნეოპლატონიკოსი მარსელიო ფიჩინო იყო საერო ფილოსოფოსი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხოლო ნეოპლატონიკოსი ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს.

პროექტეს ფილოსოფიის, როგორც ყველაზე სრულყოფილი ანტიკური დიალექტიკური სისტემის გაგება და, აგრეთვე, სრულყოფილებისგან ძალაშე შორს მყოფი წინამავალი ცალმხრივი ანტიკური და ფორმალურ ლოგიკური ცდების ნაკვლად, საბოლოო ქრისტოლოგიური გამოთქმების დამტკიცებულება არეოპაგიტული დიალექტიკისაგან, – ყოველივე ეს მნიშვნელოვნად არის გაღმოცემული შ. ნუცუბიძესთან (7, 105-111). მაგრამ ავგუსტინეში ნუცუბიძემ მხოლოდ უკოდინარი პლატონიკოსი დაინახა, რომელსაც სურდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, ჩამოეშორებინა ანტიკური სამყარო. სრულიად არასწორია ვიუკიროთ, რომ ავგუსტინე არ იცნობდა ნეოპლატონიზმს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი პროექტემდე ცხოვრობდა. ავგუსტინე მშეენივრად იცნობდა ნეოპლატონური სკოლის დამაარსებელს პლოტინეს, რომელმაც მთელი 54 ტრაქტატი დაწერა ნეოპლატონურ თემაზე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ შ. ნუცუბიძემ, თავის ყველა ლრმა მეცნიერულ და უმდიდრეს შრომებში გვერდი აუარა იმას, რითაც პქონდა მნიშვნელობა ავგუსტინეს სწორედ დასავლეთის ფილოსოფიისთვის. ბერძნული და აღმოსავლური ნეოპლატონიზმი, მეტად ლოგიკურ, მეტად აბსტრაქტულ-ფილოსოფიურ, მეტად ობიექტურ-ონტოლოგიურ სისტემებს წარმოადგენდა. მათვის უცხოა გრძნობის ის სითბო, ის სუბიექტური აღელვებულობა, ხსნისა და მონანიების ის წყურვილი და ყველა ის სუბიექტურ-ფიქიური ცხოვრება საერთოდ, რომელიც ასეთი სიღრმითა და ბრწყინვალებით გამოხატა ავგუსტინემ თავის „აღსარებაში“. საქმე იმაშია, რომ მასთან ყველაფერი ისე ზუსტი და დიალექტიკური არაა, როგორც ეს დასრულებულ

ნეოპლატონიზმში<sup>\*</sup>. ამიტომაც რაც არ უნდა იყოს ნეოპლატონიზმი დასაელურ რენესანსთან და ორგორც არ უნდა წარმოადგენდეს მის საფუძველებს, ან, უფრო სწორად, ერთ-ერთ საფუძველს, იგი მაინც არ შეცვლის ავგუსტინესულ ინტიმურობას და ქრისტიანული მოძღვრებისადმი ავგუსტინესულ გულითად სიუკარულს, თუმცა ის ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო ლოგიკური ფორმულირებისგან. აი ამიტომაც შეუძლებელია „ხელადუბით“ უარვეოთ ის მეცნიერები, რომლებიც ანტიკური სამყაროს თანაბრად, რენესანსში შეა საუკუნეების მემკვიდრეობის უზარმაზარ გავლენასაც აღიარებდნენ აგრეთვე. აუცილებლად უნდა დავაკირდეთ ავგუსტინესა და ფსევდოდიონისეს იმ დაახლოებას, რომელსაც ვევდებით, მაგალითად არტურ ლავჯონისთან (იხ. 26) ან ენტონი პეჯისთან (იხ. 21); აუცილებელია მოვისმინოთ მარტინ გრაბმანისა (იხ. 21) და ერნესტ კასირერის (იხ. 19) შეხედულებები ერთიან ხაზზე – ავგუსტინედან დაწყებული ფსევდო-დიონისეს, თომა აკვინელის, XIV საუკუნის გერმანელი მისტიკოსების გავლით იქამდე, რასაც ჩეულებრივ რენესანსს უწოდებდნენ. ამ საკითხში გამოვიყენებთ, აგრეთვე, უ. ლიურანტელის ნაშრომსაც (იხ. 20), რომელმაც უდიდესი მეცნიერულობით დაასაბუთა არეოპაგიტული ნიშნების არსებობა კათოლიკური სქილასტიკის ისეთ მეთაურთან, როგორიცაა თომა აკვინელი. ქ. კრემერმა უდავო სიცხადით დაასაბუთა (იხ. 25) იმ არისტოტელიზმის ნეოპლატონური ხასიათი, რომელიც დამახასიათებელია თომა აკვინელისთვის. საწყენია, რომ ჩვენი წინამდებარე ნაშრომის გეგმა და მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას უფრო ახლოს მივიდეთ თომასა და ნეოპლატონიკოსების არსზე მოძღვრების უახლოეს შეპირისპირებამდე (იქვე, 351-469). სხვაგვარად ჩვენი მკითხველი გაოცებული დარსებოდა ამ ორი სისტემის მსგავსებით და აღარ გაუკეირ-

\* იმის შესახებ, რომ ავგუსტინეს ფილსოფია თუ მთლიანად არ ემთხვევა ნეოპლატონიზმს, ხშირად ძალზე ახლოსაა მასთან, არსებობს დიდალი ლიტერატურა, რომელთაგან ჩვენ აქ მხოლოდ ი.ვ. პოპულის ძალზე ლიტებულ ნაშრომს – „ნეტარი ავგუსტინეს პირვენება და მოძღვრება“ – დავასახელებთ (იხ. 11,485-607).

დებოდა ის. რომ არისტოტელები, აგრეთვე, დგას მომავალი რენესანსის ხაზზე და რომ თომასთეის არეოპაგიტიკა არა-ნაკლებად იყო ნაცნობი, და შეიძლება გაცილებით უფრო მეტადაც, კიდრე ნიკოლოზ ქუჩანელისთვის. ე. კასირერთა-ნაც (იხ. 19,8-9). აგრეთვე, მთელი სიცხადითაა გამოვლენილი შეუძლებელის მისტიკის გაერთიანება არსის იერარქიის შესახებ მოძღვრებასთან, რომელიც ნუკუბიძის მიხედვით პირველად მხოლოდ არეოპაგიტიკაში ჩამოყალიბდა. მაგრამ კასირერი აქ, ისე როგორც თავისი წიგნის სხვა აღგილებ-შიც, მიუთითებს რაღაც სხვაზე, რომელიც ნეოპლატონიზმის, არეოპაგიტიკის, არისტოტელესა და სქოლასტიკის ჩარჩოებს სცილდება, რაც სწორედ რენესანსის სპეციფიკას „შეადგინს და რაზედაც ჩვენ აქ ჯერჯერობით არ ვისაუბრებთ.

ახლა საუბარია მხოლოდ არეოპაგიტიკაზე, რამდენადაც მას, და სწორედ მხოლოდ და მხოლოდ მას, ემყარება შ.ნუ-ცუბიძე. როგორც არ უნდა ვაფასებდეთ რენესანსს, ნუკუბიძის გამოკვლევებს გვერდს ვერ ავტოლით. XI-XII საუკუნეების ქართული რენესანსისა და იოანე პეტრიწის მოღვაწეობის შესახებ მისი წიგნის თავები წარმოადგენს შესანიშნავ გა-მოკვლევას, რომელსაც უკვე ვეღარ უგულებელყოფს არა მხოლოდ ქართული, არამედ იტალიური რენესანსის წარმო-შობის ვერც ერთი მკლევარი. ვერავინ იმ ზომით ვერ იგრძნო, როგორც ეს შ. ნუცუბიძემ, პროკლეს ფილოსოფიისა და პირველ რიგში მთელი მისი დიალექტიკის სინთეტური ხასია-თი (იხ. 7,124-125). თუმცა, შეუძლებელია ნუცუბიძის მსგავსად ი. პეტრიწის ნამდვილ მასწავლებლად მივიჩნიოთ ი. იტალი (იქვე, 126-127), რომელიც მართლაც იყო ბიზანტიური ერეტი-კოსი.\*

XI-XIII საუკუნეების ქართულ რენესანსში ოფიციალური საკლესიო მოძღვრება იცვლება დვორისა და სამეცნიერო აღქმისადმი ადამიანის ცოცხალი, ენერგიული და ცხოველი

\* იოანე იტალის მოძღვრების აშეარად არაქრისტიანულობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მის წინააღმდეგ არსებული საკლესიო დადგუ-ნილებებიდან, რომლებიც ბერძნულიდან რუსულ ენასე თარგმნილია ჩემს მიერ [5,884-889].

მიმართებით. XIV საუკუნის იტალიურ იდეებს აქ უკვე პქონდა თავისი აღგილი; მაგრამ ყველაზე მთავარი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა პქინდა, ესაა აბსოლუტურ-ადამიანური ინდივიდუალიზმი, რომელიც მოწევებილი კი არ იყო შეასაუკუნეებს, პირიქით, ჯერ კიდევ მასში პქინდა საფუძველი. სწორედ ეს გახდა დასავლეთის რენესანსის ძირითადი პრინციპი.

რენესანსი, აღმოსავლური თუ დასავლური, რატომ უნდა ყოფილიყო აუკილებლად ან უბრალოდ წარმართული, ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიღაც ქრისტიანული ერესი? არც წარმართობას და არც ქრისტიანულ ერებიკოსობას არ დაუყოვნებით გამომჟღავნებულივნენ რენესანსში, ისევე როგორც, ისინი არაერთხელ გამომჟღავნებულან შეასაუკუნეებში. მაგრამ, როგორც ქვევით ვნახავთ, ეს ჯერ კიდევ არ არის საკუთრივ რენესანსი, არც საქართველოში, არც იტალიაში, სიცოცხლის სიყვარული (თუმცა იგი როდი იყო ყოველთვის რენესანსისოთვის დამახასიათებელი) პრინციპული და სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობას, რომელიც არა მხოლოდ მოითხოვს თავისი თავისი მთლიანად შეწირვას და ბერ-მონაზენობისადმი, არამედ, აგრეთვე, უშვებს ქორწინებასაც და ამ უკანასკნელს საეკლესიო საიდუმლოებად მიიჩნევს კიდევ. ამის შემდეგ რა საჭიროა ითანე პეტრიწი და რუსთაველი აუცილებლად ვაქციოთ წარმართებად, რათა ისინი ქართული რენესანსის სათავეში დაგაყენოთ?

ჩვენ აქ არა გვაქვს შესაძლებლობა დაწურილებით განვიხილოთ შ. ნუცუბიძის გამოეკლევა, მაგრამ მაგალითის-თვის შეიძლება მიემართოთ რუსთაველს, რომლის როგორდაც უფრო მატერიალისტად წარმოდგენასაც ცდილობს იგი, რათა სწორედ ამით წარმოაღგინოს რუსთაველი ერეტიკოსად და დააყენოს იგი მთელი დასავლური ეკროპული რენესანსის სათავეში. არავითარი მატერიალიზმი არ ყოფილა რუსთაველთან, არავითარი ერეტიკოსი ის არ იყო; თვით დასავლეთის რენესანსში მატერიალიზმი და ათეიზმი საერთოდ არ ყოფილა, და ისინი დასავლეთ ეკროპაში გამოიწვდნენ არა უადრეს XVIII საუკუნისა და ისიც ერთობ გულუბრყვილო და ძალზე ხანმოკლე არსებობის ფორმაში. დღეს ძნელია ვინმე

დაეთანხმოს XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტისთვის არეოპაგიტული მოძღვრების – ადამიანის ლერთად გახდომის თვალთაზრისის აუცილებლობით მიწერას [7, 243]. არეოპაგიტიკის აპოფატიზმი სინამდვილეში არის ქადაგება იმაზე, რომ ადამიანი შეიძლება გახდეს ლმერო. მაგრამ იმისთვის, რომ არ მოხვედეთ ანტისტორიზმის ქსელში, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ განლმრთობის იდეა – ეს, საერთოდ, რომ ითქვას, მკვიდრი საეკლესიო იდეაა [იხ. 10, 165-213]. ოდორდ აქ უოველთვის მხედველობაში პქონდათ ადამიანის ლმერთად გახდომა არა თავისი სუბსტანციის და არა თავისი ბუნების მიხედვით (ეს ქრისტიანობისთვის იქნებოდა წარმართული რწმენა), არამედ ადამიანის უმაღლესი ლოცვით ზეასელის შედეგად ლმერთად გახდომა მხოლოდ მადლით, რომელიც ერთი წუთითაც არ წევეტდა არსებობას, როგორც „არაფრიზმისგან“ შექმნილი და არა როგორც თვით ღმერთის ბუნებიდან ემანირებული.

ამგვარად, ადამიანის განლმრთობა XII საუკუნის ქართულ რენესანსში თავის თავში არავითარ წარმართულსა და არავითარ ბერძნულს არ შეიცავს, იგი ემყარება ათასწლოვან ზოგადსაეკლესიო რწმენას – ერთიან და კეშმარიტ შემოქმედებაზე, როგორც არაფრისგან ყველა არსებულის შემქმნელზე და არ შეიცავს არავითარ მინიშნებას ეკლესიის ოფიციალური მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლაზე და მით უმეტეს, არავითარ მატერიალიზმს და თუნდაც უბრალოდ, ადამიანის განდიდებას.

